საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

კლარა გაგუა

დრონაკლი ზმნები სვანურში

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1976

4 Г
4ᲒᲐ.ᲐᲒᲐ.1
Გ 144

ნაშრომში მოცემულია სვანური დრონაკლი ზმნების სინქრონიული ანალიზი. შესწავლილია სვანურ დრონაკლ ზმნათა სახეები ოთხიეე კილოს მონაცემების შეპირისპირების საფუძველზე. წინა პლანზეა წამოწეული დრონაკლ ზმნათა აღწერა და მათი კონკრეტული ანალიზი. აუცილებლობის შემთხვევაში მოხმობილია სხვა ქართველურ ენათა მონაცემები.

გ 70103 78—76
М 607(03)—76

© გამომცემლობა „მეცნიერება" 1976

აკადემიკოს ვარლამ თოფურიას
ნათელ ხსოვნას უძღვნის ამ შრომას
ავტორი

წინასიტყვაობა

ქართული ენის მეცნიერული შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სხვა ქართველური ენების, სახელდობრ, სვანურისა და ზანურის მონაცემებს. ამ ენათა შესწავლის აუცილებლობას კარგად გრძნობდა გასული საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერი პროფ. ალ. ცაგარელი, როცა ერთ-ერთ თავის ნაშრომში წერდა: „У этих народов[1] язык живет еще в природном своем состоянии, в состоянии постоянного сгорания и на эти-то языки мы должны обратить особенное внимание, если желаем приобресть настоящее понятие о росте и развитии грузинского языка, не остановленного в диалектах вмешательством литературы"[2].

დღეს ცნობილი ფაქტია, რომ თითოეული ამ ენათა მონაცემების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისა და ფუძეენის რეკონსტრუქციის საქმეში. როგორც პროფ. ვ. თოფურია თავის ფუძემდებელ ნაშრომში სვანური ზმნის შესახებ აღნიშნავს: „სვანურში შემონახული არქაიზმები, გაჩენილი ინოვაციები, რთული ფონეტიკური პროცესები, დიალექტთა ნაირობა და თავისებურებანი, სხვა ენათა სუბსტრატის არსებობა და სხვა მოვლენები ხელშესახებ მასალას იძლევიან კერძო და ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემათა წამოსაყენებლად და გადასაწყვეტად"[3].

---

[1] იგულისხმებიან ჭანები, მეგრელები, სვანები (კ. გ.).

[2] А. Цагарели, Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, С.-Петербург, 1872, გვ. 4.

[3] ვ. თოფურია, შრომები, I, თბილისი, 1967, გვ. XXIII.

წინამდებარე ნაშრომი ეხება სვანური ენის მორფოლოგიის ერთ-ერთ ურთულეს საკითხს — დეფექტურ ზმნებს, resp. დროის მიხედვით ნაკლულ სვანურ ზმნებს. საკითხი შესწავლილია სვანური ოთხივე დიალექტის მონაცემების გათვალისწინებით. კვლევისას ამოსავლად გვაქვს სვანური ენის ბალსზემოური კილო, რადგან, თუ ზოგ რამეს არ მივიღებთ მხედველობაში, „ბალსზემოური იქნება ის კილო, რომელსაც შემოკრებილი აქვს სხვა კილოების თავისებურებანი“[4]. თითოეულ ზმნაზე მსჯელობისას ყოველთვის ვეყრდნობით ჩვენ მიერ ოთხივე კილოზე ადგილობრივ შედგენილ უღვლილების პარადიგმებს.

ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული დრონაკლ ზმნათა აღწერა და მათი კონკრეტული ანალიზი. ამდენად ნაშრომი ძირითადად აღწერითი ხასიათისაა და არ ისახავს მიზნად დრონაკლობის მიზეზები იკვლიოს სვანურში. ცხადია, სვანური ენის მორფოლოგიის ასეთ კარდინალურ საკითხზე მუშაობისას ჩვენ წინაშე დაისმებოდა ქართველოლოგიაში დრონაკლობასთან დაკავშირებული რიგი საკითხისა. ავტორი ამჟამად თავს იკავებს მათ შესახებ ზოგადი მსჯელობისაგან, რადგანაც მიაჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე ჩატარებული სამუშაო არ იძლევა ამის საშუალებას. იგი იმედოვნებს, რომ ნაშრომი ამ სახითაც შეასრულებს თავის დანიშნულებას, რადგან, როგორც ამას პროფ. ვ. თოფურია აღნიშნავს: „სვანური ენის აგებულების ყოველმხრივ აღწერას გარკვეული წვლილის შეტანა ევალება“[5].

ახლა ზოგი აუცილებელი განმარტების შესახებ:

1. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ ზმნათა უღვლილების პარადიგმები მიჰყვება ზმნის ფორმების თოფურიასეულ კლასიფიკაციას, ზოგჯერ ადგილი აქვს ტერმინთა შორის სხვაობას. ყველა შემთხვევაში ფორმათა სახელწოდებები შეცვლილია თვით პროფ. ვ. თოფურიას მიერ ჩვენთან წინასწარი შეთანხმებით.

2. ტექნიკური და ზოგი სხვა მიზეზის გამო ნაშრომში ძირითადად წარმოდგენილია იმ ნაკვთთა ფორმები და შესაბამისი ნიმუშები, რომლებიც გვჭირდება შეპირისპირებისას. წარმოვადგინეთ აგრეთვე თითქმის ყველგან უწყვეტლის ფორმები, რადგანაც, როგორც ცნობილია, უწყვეტლის ნაკვთი დიალექტთა მიხედვით სხვა-

---

[4] ა. შანიძე და ვ. თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, თბილისი, 1939, გვ. XIV.

[5] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. XXIII.

დასხვა წარმოებას ეკიჩვენებს. ყველგან წარმოდგენილია ავტორის ჩვენს ნაშრომში გამოტოვებული. მაგრამ ნაბეჭდ ტექსტებში დიალექტურებულ ნაკეთთა ფორმები.

3. საილუსტრაციო მასალად, ცხადია, ძირითადად ჯოხმაბელი გვაქვს სვანურის ოთხივე დიალექტზე არსებული გამოქვეყნებული ტექსტები. გზადაგზა ვიყენებთ ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალასაც. ლენტეხური ძირითადად წარმოდგენილია „ლენტეხური კილოს“ მიხედვით. აუცილებლობის შემთხვევაში ვიყენებთ პროფ. ზ. ჭუმბურიძის მიერ ჩაწერილ ტექსტებს და ჩვენს ნიმუშებსაც. ჩვენეულ ლენტეხურ მასალას ყველგან ახლავს აღნიშვნა — ჩვ. ტ.

4. სვანური უბრჯგუს (უ) ნაცვლად ნაშრომში სისტემატურად ნახმარია ვ'ინი (ვ).

დასასრულ, მადლობით მოვიხსენიებ სვან მასპინძლებს — ვენერა და ბესო ბარლიანების ოჯახს ლაღამიდან, დენა და შოთა ნიგურიანების ოჯახს მესტიიდან, გრიგოლ ონიანის ოჯახს სასამიდან, გიორგი პაკელიანის ოჯახს ეცერიდან, ახალგაზრდა პეტრეწოგებს — მაყვალა გაზდელიანსა და ელზა ჩარქველიანს (ლენტეხიდან) და მრავალ სხვას, რომელთაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნეს ჩემთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

წინამდებარე ნაშრომი ჩვენ მიერ დამუშავდა 1963—66 წლებში აკად. ვარლამ თოფურიას ხელმძღვანელობით.

---

[6] სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბილისი, 1967.

შესავალი

§ 1. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის

სვანურმა ენამ მეცნიერთა ყურადღება ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დამლევიდან მიიქცია. სვანური ლექსიკა პირველად ფიქსირებულ იქნა გერმანელი მეცნიერების გიულდენშტედტის (A. Güldensteädt)[1] და კლაპროთის (J. Klaproth)[2] მიერ. აქედან მოკიდებული არ შენელებულა მკვლევართა ცხოველი ინტერესი სვანური ენისადმი.

1890 წელს დაიბეჭდა მ. ზავადსკის სვანური ენის გრამატიკული მიმოხილვა, რომელიც წინ უძღვის ერთ-ერთ კრებულში გამოქვეყნებულ სვანურ ტექსტებს[3]. ეს მიმოხილვა იმითაცაა საინტერესო, რომ სხვა მკვლევართაგან განსხვავებით ზავადსკი პირველი ავტორია. რომელმაც ცალკე გამოყო და გარკვეული ყურადღება მიაქცია სვანურ დეფექტურ ზმნებს. სახელდობრ, მის ნაშრომში ლაპარაკია ლი მეშველ ზმნაზე. სწორად არის წარმოდგენილი ამ ზმნის აწმყოსა და კავშირებითის ფორმები. ნამყოში შენიშნულია უბრჯგუს დაკარგვის მოვლენა хвас(в), хас(в), лас(в)'ში. სწორია აგრეთვე მყოფადისათვის პარალელური ფორმების დასახელება хвіpi‖хвіpa. ნაშრომში სხვაგან აღნიშნულია, რომ „Вспомогательный глагол лі 'есть' в спряжении своем, повидимому, пользуется формами глагола существительного лірде 'быть, находиться'"[4]. იქვე მოცემულია არი ზმნის უღლილების ძირითადი ფორმები აწმყოსა და წარსულში. მომავალსა და ბრძანებითში. თუ მცირე ლაფსუსებს არ მივიღებთ მხედველობაში,

---

[1] D. Johann Anton Güldenstädt, Reisen durch Rußland und im Caucasischen Gebürge, St.-Petersburg, ტ. II, 1791, გვ. 496—504.

[2] J. Klaproth, Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807 und 1808, Berlin.

[3] СМОМПК, Тифлис, 1890, გვ. 144—150.

[4] იქვე, გვ. XXXII.

ფორმები ძირითადად სწორია. ასევე სწორია ხევსურეთის ზნაურული ლიფაне'ს შესახებ: იგი იხმარება უსულო საგნების ქონების გამომხატველად, მაგ.. ლიფაне (деньги, дом и т. п.). ხოლო სულიერთა კუთვნილების გამომხატველია ლიფене (бык, лошадь) და სხვ.

ქართველ მკვლევართაგან პირველი იყო მ. ჯანაშვილი. რომელმაც ყურადღება მიაქცია სვანურ თავისებურ ზმნებს. მან შენიშნა, რომ а ri'ს და ლი'ს შორის არსებობს განსხვავება ხმარების თვალსაზრისით, თუმცა რაიმე სიტყვიერი განმარტება ამის შესახებ ნაშრომში არ არის წარმოდგენილი[5]. ამავე ზმნებს ეხება ბესარიონ ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი) თავის ნაშრომში „მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა"[6]. ნაშრომი მცირე მოცულობისაა. შეკუმშულადაა წარმოდგენილი ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია სვანურ ზმნაზე. თავისებურ ზმნათაგან ყურადღება გამახვილებულია ლი მეშველ ზმნაზე და არსებობის გამომხატველ ლირდე'ზე. ფორმები წარმოდგენილია უშგულური თქმით. დასახელებულია ლი'ს შემდეგი ფორმები: **Praes., Imperf., Fut. I. Imperat.** და სათუო კილო (იგულისხმება პირობითი). კავშირებითის ფორმები არ არის მოყვანილი, მაგრამ მასზე წარმოდგენა გვექმნება იქვე დასახელებული ბრძანებითის III პირის ფორმების წყალობით: ლესლესხ! დაცულია უმლაუტი (ხვას), ხმოვანთა სიგრძე გადმოცემულია ხმოვნის გაორკეცებით (ხვიირი=ხვირი'ს).

ყოველგვარი მსჯელობის გარეშე წარმოდგენილია ლირდე'ს უღელილების ძირითადი ფორმები: **Praes., Imperf., Plusquamperf., Perf., Fut. I, Imperat.** აქედან ჩვენს ყურადღებას იქცევს პლუსქუამპერფექტისათვის მოხმობილი ნიმუშები: მიჩდაან=მიჩდან, ჯიჩდაან=ჯიჩდან, ხოჩდაან=ხოჩდან 'ვყოფილვარ, ყოფილხარ, ყოფილა'... ლირდე'ს უღელილების პარადიგმებში მიჩდა და ა. შ. ფორმების მოქცევა არ მიგვაჩნია მართებულად. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი შინაარსით, 'არსებობას' გამოხატავს (შდრ. იმე ჯიჩდა? 'სად ყოფილხარ'?) ლირდე'ს ამ შინაარსის გამოსახატავად რდ ძირისაგან ნაწარმოები ფორმები აქვს...

როგორც ცნობილია, სვანური ენის მეცნიერული შესწავლის

---

[5] მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906. გვ. 1; გვ. 77, 78...

[6] თავისუფალი სვანი, მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა, „ძველი საქართველო", ტ. II, ტფილისი, 1913.

საქმეში გარკვეული დამსახურება მიუძღვის აკად. ნ. მარს. იგი მისთვის ჩვეული ენერგიით იკვლევდა სხვადასხვა საკითხს: სვანური ენის ნარეობას, სვანურის ადგილს ქართველურ ენათა ოჯახში და სხვა და სხვა. მის ნაშრომებში რიგი საყურადღებო დასკვნა გვხვდება დეფექტური ზმნების შესახებაც, რაც წინამდებარე ნაშრომში სათანადოდ არის გათვალისწინებული.

დასასრულ, სვანურ თავისებურ ზმნებზე სპეციალური მსჯელობაა წარმოდგენილი პროფ. ვ. თოფურიას ფუნდამენტალურ ნაშრომში „სვანური ზმნა"[7], რომელიც ქართველური ენების მკვლევართა სამაგიდო წიგნია. დეფექტური ზმნების შესახებ ავტორისეული დაკვირვებები ჩვენთვის სახელმძღვანელოა და სათანადო ადგილას ყველგან გათვალისწინებულია.

§ 2. მოკლედ ზმნათა დრონაკლობის შესახებ

ენა ისტორიული კატეგორიაა, რომელიც იცვლება და ვითარდება საზოგადოებასთან კავშირში. ცვლილებას მეტ-ნაკლები ინტენსივობით ემორჩილება ენის როგორც ლექსიკური მხარე, ისე გრამატიკული წყობა. დროთა განმავლობაში ერთი რიგის ენობრივი მოვლენები ტოვებენ სამოქმედო ასპარეზს — ისინი ქრებიან ან ფუნქციას იცვლიან (უკეთეს შემთხვევაში ნაშთის სახით შემორჩებიან ენას), სამაგიეროდ, მოქმედებას იწყებენ სხვა რიგის მოვლენები, ენა როგორც სისტემა, ხდება უფრო სრულყოფილი და დახვეწილი.

ენის ცვლილება მიმდინარეობს არა ქაოსურად, არამედ იგი ემორჩილება ენაში მოქმედ შინაგან, ობიექტურ კანონებს. ეს შინაგანი, ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი კანონები არის ენის ცვლილებისა და განვითარების წყარო. ენათმეცნიერების ამოცანაა, შეიცნოს ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი. მხოლოდ მაშინ შეიძლება ყოველ ენობრივ მოვლენას, მოქმედს თუ ნაშთის სახით შემორჩენილს, მოეძებნოს თავისი ახსნა და ადგილი ენის განვითარების ხანგრძლივ პროცესში. განსაკუთრებით ეს ეხება ენაში არსებულ გამონაკლისებს (ანომალიებს), რადგან „Грамматические явления, представляющие неправильности с точки зрения господствующей в языке системы, объясняют-

---

[7] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, თბილისი, 1931. ჩვენს ნაშრომში ყველგან ვეთითებთ ამ გამოცემის მიხედვით.

ся исторически, как отражение закономерностей более ранних ступеней исторического развития"[8]. სხვა შემთხვევაში კი სისტემიდან გადახვევა შეიძლება ენის განვითარების ახალ ტენდენციებზე მიუთითებდეს.

ენობრივი სისტემიდან გადახრები სხვადასხვა ხასიათისა შეიძლება იყოს, ზოგი მათგანი სახელებზე მოდის, ზოგიც — ზმნაზე ან მეტყველების სხვა ნაწილზე; ზოგი მორფოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ზოგი — სინტაქსისას და სხვ.

თითქმის ყველა ენაში აღინიშნება ზმნათა დეფექტურობა ამა თუ იმ კონკრეტული ენის ზმნისათვის დამახასიათებელი კატეგორიების მიხედვით. ქართულისათვის, მაგალითად, გამოჰყოფენ დრონაკლ, პირნაკლ, რიცხვნაკლ, გვარნაკლ და ქცევანაკლ ზმნებს.

კატეგორიანაკლობის თვალსაზრისით არც სვანური წარმოადგენს გამონაკლისს. სანამ უშუალოდ საკითხს შევეხებოდეთ, მოკლედ გავეცნოთ, თუ როგორ დგას დრონაკლობის საკითხი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ჩვენს ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული თვალსაზრისით ქართულში იყო პერიოდი, როდესაც ზმნა იცვლებოდა არა დროების, არამედ ასპექტის მიხედვით[9]. ე. ი. ზმნის უღვლილება გულისხმობდა არა დროის მიხედვით ცვლას, არამედ „უღვლილება ასპექტების ანუ პროცესის სახეობათა აღნიშვნაში მდგომარეობდა"[10]. ეს მოვლენა დადასტურებულია ინდოევროპულ და სემიტურ ენებშიც[11].

ასპექტი ორგვარი იყო: განგრძობითი ანუ დიურატიული და მომენტობრივი ანუ წერტილობრივი. ქართულში განგრძობითი ასპექტი გადმოიცემოდა სპეციალური ნაკვთით — პ ე რ მ ა ნ ი ვ ი თ (ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი თ). მომენტობრივ ასპექტს ა ო რ ი ს ტ ი (ნ. წყვეტილი) გადმოსცემდა, მაგრამ „ეპოქათა განმავლობაში, როცა ზმნის ასპექტური ფუნქცია დროისას დაუახლოვდა, მასში შეერია,

---

8. М. Жирмунский, История немецкого языка, Москва, 1956, გვ. 271.

9 ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 6.

10 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი, 1948, გვ. 77.

11 Gustav H e r b i g, Aktionsart und Zeitstufe: Indogermanische Forschungen, VI, 1896, გვ. 163 (ციტირებულია ი. ქავთარაძის ნაშრომის მიხედვით).

თანდათანობით დროის ფუნქციით შეიცვალა"[12]. ამ დიდ ცვლილებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ყველა ზმნამ ვერ შეძლო ახალ ვითარებას შეჰგუებოდა. ამან განაპირობა გარკვეული ტიპის დრონაკლ ზმნათა წარმოქმნა...

ქართული დრონაკლი ზმნები გამოწვლილვით შეისწავლეს აკად. ა. შანიძემ[13] და პროფ. ივ. ქავთარაძემ[14].

პირველს განხილული აქვს დრონაკლი ზმნები ახალ ქართულში, მეორეს კი — ძველ ქართულში. ეს უკანასკნელი შეეცადა, აეხსნა ზმნათა დრონაკლობის გამომწვევი მიზეზები ძველ ქართულში.

ივ. ქავთარაძე ძველი ქართულის დრონაკლ ზმნებს პირობითად ჰყოფს სამ ძირითად ჯგუფად:

I ჯგუფი — -ი სუფიქსიანი ზმნები (ისტორიული ხოლმეობითის ნაკვთის ფუძეები). იმ პერიოდში, როდესაც ზმნის ასპექტური ფუნქცია დროის ფუნქციით შეიცვალა, -ი სუფიქსიანი ზმნების ერთმა ნაწილმა ვერ შეძლო ახალი ვითარებისამებრ გარდაქმნა: ეს ზმნები აწმყოში მოექცნენ, ხოლო შესაბამისი აორისტის ფუძე დაკარგეს. ასე გაჩნდა დრონაკლ ზმნათა ერთი წყება. სხვა შემთხვევაში დრონაკლობის მიზეზად დასახელებულია ერთასპექტიანობა. ავტორის აზრით, დრონაკლ ზმნათა უმეტესობა ისეთი სემანტიკისაა, რომ მათ მხოლოდ ერთი ასპექტი უნდა ჰქონოდათ. ეს უნდა ყოფილიყო დიურატიული ასპექტი. ნიმუშებად მოხმობილია უწყის, ძრწის, ქრის, ბორგის და ა. შ. ზმნები.

მივის-მესვა ტიპის ძირმონაცვლე ზმნების არსებობა მკვლევარს ავარაუდებინებს, რომ ქართულში ზმნის უღვლილების ასპექტურ სხვაობათა პერიოდში გარკვეული სემანტიკის ზმნები დიურატიული ასპექტის გადმოსაცემად სხვა ძირს იყენებდნენ, მომენტობრივისათვის კი — სხვას.

II ჯგუფი — ნასახელარი ზმნები. ცნობილია, რომ ამ ტიპის ზმნებში „სხვა ფუძეთა წარმოება, გარდა აწმყო დროის ფუძისა... წარმოადგენს ყოველი ენათაგანის დამოუკიდებელი განვითარების შედეგს"[15]. ივ. ქავთარაძე ნასახელარ ზმნებს განიხილავს რა დრო-

---

[12] ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 14.

[13] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, 1953, გვ. 522—527.

[14] ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი.

[15] А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, 1938, Москва, გვ. 212.

ნაკლობის თვალსაზრისით, მიუთითებს, რომ ზოგი ნასახელარი ზმნა ძველ ქართულში ხასიათდება „დროთა წესიერი წარმოებით“[16].

დასასრულ, დრონაკლი ზმნების III ჯგუფში გაერთიანებულია თავისებური სემანტიკის გარდაუვალი ზმნები, რომლებიც ერთ-ორ ფორმაზე მეტს ვერ აწარმოებენ და სხვა ფორმათა წარმოება მათ არც სჭირდებათ, რადგან მათი სემანტიკა ამას ვერ იგუებს. მაგალითად, რომელიმე მაქუს ზმნას არ აქვს ნ. წყვეტილის ფორმები იმიტომ, რომ თავისი შინაარსისა და ბუნების მიხედვით არ შეიძლება იგი წარმოვიდგინოთ დასრულებულად, ასევე არს, აჯსოვს, ჰგავს და ა. შ. ზმნები ვერ იგუებენ ნ. წყვეტილის შინაარსს.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ძველი ქართულის ჰზამს ტიპის ზმნებზე, რომელთა გაერთიანება ზემოაღნიშნულ დრონაკლ ზმნათა რომელიმე ჯგუფთან რაიმე გარკვეული ნიშნის მიხედვით არ ხერხდება.

როგორ გამოიყურებიან ამ ფონზე სვანური დრონაკლი ზმნები? ეს საკითხი სპეციალური შესწავლის საგანი აქამდე არ ყოფილა. პროფ. ვ. თოფურიამ სვანური ზმნისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში განიხილა მხოლოდ ძირმონაცვლე (მისი ტერმინოლოგიით ძირცვალებადი) ზმნები, რიცხვით თორმეტი. აგრეთვე იქვე ცალკე პარაგრაფად წარმოადგინა რამდენიმე თავისებური ზმნის ფონეტიკურ-მორფოლოგიური დახასიათება.

სვანური დრონაკლი ზმნები ჩვენ პირობითად ორ დიდ ჯგუფად დავყავით: ძირმონაცვლე დრონაკლი ზმნები და ფუძემონაცვლე დრონაკლი ზმნები. პირველ ჯგუფში შევიდა პროფ. ვ. თოფურიას მიერ განხილული ძირმონაცვლე ყველა ზმნა გარდა ზი ‘ძევს’ ზმნისა. დაემატა ორიოდეც. ფუძემონაცვლე დრონაკლ ზმნათა ჯგუფში გაერთიანდა ე. წ. საშუალი გვარის ზმნები როგორც აბსოლუტური, ასევე რელატიური აგებულებისა. აქვე ადგილი პოვა ზოგმა სტატიკურმა ზმნამაც.

ცალკე ჯგუფად გამოვყავით და წარმოვადგინეთ ჩვენი დაკვირვების შედეგები ერთი ტიპის ზმნებზე — ადან (მ’ადან ‘რა იქნა’...) და სხვ. ეს ზმნები დრონაკლი არიან და შთაბეჭდილება ისეთია, რომ არც იგრძნობა ნაკლული ფორმების რითიმე შევსების საჭიროება. ვინაიდან ჩვენს ხელთ ამ ტიპის ზმნათა ერთობ მცირე

---

[16] ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

რაოდენობა იყო, გადაჭრით რაიმეს თქმა გაჭირდა. მომავალში კვლევა ალბათ სხვა ამგვარ ზმნებსაც გამოავლენს.

სვანურ დრონაკლ ზმნებზე დაკვირვებისას, ბუნებრივია, ისმოდა რიგი საკითხისა, რაც ესოდენ აქტუალურია ქართველოლოგიაში. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი ს (პერმანსივის) პრობლემა. როგორც უკვე აღინიშნა, ქართულისათვის (და არა მარტო ქართულისათვის) დრონაკლ ზმნათა ერთი დიდი ჯგუფის არსებობა აიხსნა სწორედ დიურატიული და მომენტობრივი ასპექტების დაპირისპირებით (არნ. ჩიქობავა, ივ. ქავთარაძე...) თავის დროზე დაისვა დიურატიული ასპექტის გადმომცემი ხოლმეობითის ნაკვთის არსებობის საკითხი ზანურისა და სვანურის მიმართაც (არნ. ჩიქობავა). როგორც ცნობილია, არც ერთ დასახელებულ ენაში დღეს ხოლმეობითი არა გვაქვს, ასევე არა გვაქვს თანამედროვე ქართულში, თუმცა ძველ ქართულში იგი ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა ზმნისა (გვაქვს აგრეთვე ახალი ქართულის ზოგიერთ აღმოსავლურ კილოში), მაგრამ არ იყო ისტორიულადაც? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემას აძნელებს ის გარემოება, რომ ზანური და სვანური უმწერლობო ენებია და არ მოგვეპოვება ძველი დოკუმენტაცია, რაც გააადვილებდა პრობლემის ისტორიულ ასპექტში გადაწყვეტას (ამ მხრივ ქართული თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი დამწერლობით იდეალურ მდგომარეობაშია).

პროფ. არნ. ჩიქობავა თავის მონოგრაფიაში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის შესახებ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ერთ დროს სვანურსაც უნდა ჰქონოდა ხოლმეობითის გადმომცემი ნაკვთი და ეს ნაკვთი შემონახული უნდა იყოს დღევანდელ ი სუფიქსიან აწმყოში — ჲარ-ი 'არის', აჯნ-ი<ლტ. აჯან-ი 'ხნავს', ჲშხ-ი, ლშხ. აშხ-ი 'წვავს' და ა. შ. შეცნიერის აზრით, პერმანსივის საკითხი სვანურში მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მუშაობისას ნათელი გახდა, რომ სწორედ დრონაკლ ზმნათა გარკვეულ ჯგუფს ქმნიან ი სუფიქსიანი ზმნები...

დრონაკლობის საკითხთან დაკავშირებით შესასწავლი ჩანს დენომინატივების ბუნება (ცვამე 'ბოლავს', ხაჟხა 'ჰქვია'... დრონაკლია). აქვე დადგებოდა ზმნათა ორგანული და აღწერითი წარმოების ურთიერთობის საკითხი სვანურში. შეინიშნა, რომ თანდათან ბატონდება ნასახელარ ზმნათა ორგანული წარმოება, განსაკუთრებით ახალგაზრდების მეტყველებაში, ზოგი ზმნა კი პარალელურად წარმოგვიდგენს აღწერით და ორგანულ წარმოებას, მა-

გალითად, რომელიმე ყ უ ლ ი 'ბღავის' ნ. წყვეტილში გვიჩვენებს როგორც ყ უ ლ ა ნ კ ი დ 'ბღავილი დაიწყო' (აღწერითი ფორმაა), ასევე ეჯნემ ლ ა ჲ ყ უ ლ ე 'მან დაიბღავლა' (ორგანულია).

საინტერესო ჩანს დროთა თანამიმდევრობის საკითხი (ამასთან დაკავშირებით დრონაკლი ზმნების გამოყენება) შერწყმულ წინადადებაში და სხვ.

საერთოდ კი, დრონაკლ ზმნათა ფორმების წარმოებისა და ნაკლულ ფორმათა შევსების საშუალებათა თვალსაზრისით სვანური ძირითადად მონათესავე ქართულის მსგავს ვითარებას გვიჩვენებს. მათ შორის არსებულ სხვაობას მხოლოდ ცალკეული შემთხვევების ხასიათი აქვს.

თავი პირველი

ძირმონაცვლე დრონაკლი ზმნები სვანურში

ცნობილია, რომ ქართულში დრონაკლი ზმნები დრო-კილოთა სრული სურათის წარმოსადგენად სხვადასხვა საშუალებას მიმართავენ. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა ძირთა მონაცვლეობა დროთა მიხედვით. ე. ი. რომელიმე დრონაკლ ზმნას მოეპოვება რა ამა თუ იმ დროის ფორმა, სხვა დროთა საწარმოებლად იყენებს განსხვავებული ძირის ზმნას. ამ მხრივ არც სვანური წარმოადგენს გამონაკლისს. აქაც დროის მიხედვით ნაკლული ზოგიერთი ზმნა დანაკლის ფორმებს სხვა ძირის ზმნით ივსებს.

ამ თავში განხილულია დროის მიხედვით ძირმონაცვლე ცამეტი ზმნა სვანურში. ეს ძირითადად ის ზმნებია, რომელთა შესახებ მსჯელობაა წარმოდგენილი ვ. თოფურიას ნაშრომში[1]. ვ. თოფურია განიხილავს შემდეგ ზმნებს: ლი 'არის (მეშველი ზმნა)', არი/ არი 'არის', ზი 'ძევს', ხედა 'უვლის, შეუპოვრად გადის (მაგ.: წყალში)', ღგრი 'დის, წავა', იზბი 'ჭამს', ითრე 'სვამს', ხაჰვდი 'აძლევს', ყგლე 'ამბობს, იძახის', ხატყცი 'სცემს', ხაჩო 'უშვრება', ბი//ბდესგი 'მიაქვს, წაიღებს, წაიყვანს'.

ჩვენთან დამატებით განხილულია ხეწად 'ნახა, დაინახა', ესრზი 'გაურბის; გასდის (ქვაბს)', ვ. თოფურია სხვა ძირმონაცვლე ზმნებთან ერთად განიხილავს ხედა 'უვლის, შეუპოვრად გადის (მაგ.: წყალში)', რომელიც ჩვენ ბოლო დრომდე ვერ დაკვადასტურეთ. ამჟამად ხელთა გვაქვს ხ̇ედა ზმნის შესახებ მასალები ბალსზემოური კილოზე, რასაც წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ.

ჩვენი ნაშრომის მეორე თავში მოხვდა ვ. თოფურიას მიერ ძირ-

---

[1] ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, თბილისი, 1931, გვ. 249—260.

მონაცვლედ მიჩნეული ზი 'ძევს' ზმნა, რომელიც უფრო ფუძემონაცვლე უნდა იყოს, ვიდრე ძირმონაცვლე.

1. ლი 'არის' მეშველი ზმნაა, რომელსაც დრო-კილოთა სუპლეტური წარმოება ახასიათებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ზმნისაგან სახელები არ იწარმოება. უღვლილების ძირითადი ფორმები შემდეგია:

აწმყო: ყველა კილოსათვის მხ. რ., I პ. ხვი 'ვარ', II პ. ხი 'ხარ', III პ. ზსვ., ქვს. ლი || ბზ. ლიზ 'არის'; მრ. რ., ბზ., ლშხ. Si ლიშდ, ბქვ., ლნტ. ლიდ, Se ბზ. ხვიშდ, ბქვ., ქვსვ. ხვიდ 'ვართ'; II პ. ბზ. ხიშდ, ბქვ., ქვსვ. ხიდ 'ხართ'; III პ. ყველა კილოსათვის: ლიხ 'არიან'.

ნიმუშები: ბზ... მი ხვი 5,14[2]... 'მე ვარ'; სემი ღუზაჲ ლი 43,8 სამი წლისაა; ბაჭ ლიზ 203,1 'ტყუილია'; ბქვ. ლახება ლიდ 103,28[3] 'ძმები ვართ'; ლნტ. ლენტეხა ათხე ჩუბე შვანი რაიონი ცენტრ ლი 3,3[4] 'ლენტეხი ახლა ქვემო სვანეთის რაიონული ცენტრია'.

მყოფადი სრული: მხ. რ., ბზ., ლშხ., I პ. ხვირი||ხვირა, ბქვ., ლნტ. ხვირი||ხვირა||ლნტ. ხვირა ხვი 'ვიქნები'; II პ. ბზ., ლშხ. ხირი||ხირა, ბქვ., ლნტ. ხირი||ხირა||ლნტ. ხირა ხი 'იქნები'; III პ. ბზ., ლშხ. ირი||ირა, ბქვ., ლნტ. ირი||ირა; მრ. რ. ბზ., ლშხ. I Si პ. ლირიდ||ლირად; ბქვ., ლნტ. ლირიდ||ლირად; Se პ., ბზ., ლშხ. ხვირიდ||ხვირად, ბქვ., ლნტ. ხვირიდ||ხვირად 'ვიქნებით'; II პ., ბზ., ლშხ. ხირიდ||ხირად, ბქვ., ლნტ. ხირიდ||ხირად 'იქნებით'; III პ., ბზ., ლშხ. ირიხ||ირახ, ბქვ., ლნტ. ირიხ||ირახ 'იქნებიან'.

ნიმუშები: ბზ. მი მაჲ ხვირა (|| ხვირი) 76,4 'მე რა ვიქნები'; აშხვ გეზლა მჭაფ ალა ირა 24,20 'ერთი შვილის ნაცვლად ეს იქნება'.

ბქვ. ამაშ ხვირი 258,2 'ამისი ვიქნები'...;

ლშხ. ირი ჲეზჳისა ლითოფ 32,27 'იქნება ეზოში თოფის სროლა';

---

[2] ა. შანიძე და ვ. თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, 1939; ტექსტების გამოცემებზე შემდგომ აღარ მიეუთითებთ.

[3] ა. დავითიანი, ვ. თოფურია და მ. ქალდანი, სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, თბილისი, 1957.

[4] ვ. თოფურია და მ. ქალდანი, სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბილისი, 1967.

ლნტ. ეჩქა ხირა ხი (ჩვ. ტ.) 'მაშინ იქნები'.

მყოფადის პირობითის ნიმუში ლენტეხური კილოდან:

ლექვაურა (ქართველ) ოსტატბარ ირო ლხ 5.21 'ქვედაური (ქართველი) ოსტატები იქნებოდნენ'.

უნახავი II: მხ. რ. ბზ., I პ. ლგმჯრ ხვი || ლგმჯრელ ხვი, ბქვ. ლგმჯრ ხვი || ლგმჯრე ხვი, ლშხ. ლგმჯრ ხვი || ლგმჯრელ ხვი, ლნტ. ლგმჯრ ხვი || ლგმჯრე ხვი || ლგმჯრელ ხვი 'ვყოფილვარ'; II პ., ბზ. ლგმჯრ ხი || ლგმჯრელ ხი, ბქვ. ლგმჯრ ხი || ლგმჯრე ხი, ლშხ. ლგმჯრ ხი || ლგმჯრელ ხი, ლნტ. ლგმჯრ ხი || ლგმჯრე ხი || ლგმჯრელ ხი 'ყოფილხარ'; III პ., ბზ. ლგმჯრ || ლგმჯრელი, ბქვ. ლგმჯრ || ლგმჯრელი, ლშხ. ლგმჯრ || ლგმჯრელი, ლნტ. ლგმჯრ || ლგმჯრე || ლგმჯრელი 'ყოფილა'; მრ. რ., ბზ., I Si პ. ლგმჯრ ლიშდ || ლგმჯრელ ლიშდ, ბქვ. ლგმჯრ ლიშდ || ლგმჯრე ლიშდ, ლშხ. ლგმჯრ ლიდ || ლგმჯრელ ლიდ, ლნტ. ლგმჯრ ლიდ || ლგმჯრე ლიდ || ლგმჯრელ ლიდ, Se პ., ბზ. ლგმჯრ ხვიშდ || ლგმჯრელ ხვიშდ, ბქვ. ლგმჯრ ხვიშდ || ლგმჯრე ხვიშდ, ლშხ. ლგმჯრ ხვიდ || ლგმჯრელ ხვიდ, ლნტ. ლგმჯრ ხვიდ || ლგმჯრე ხვიდ || ლგმჯრელ ხვიდ 'ვყოფილვართ'; II პ., ბზ. ლგმჯრ ხიშდ || ლგმჯრელ ხიშდ, ბქვ. ლგმჯრ ხიშდ || ლგმჯრე ხიშდ, ლშხ. ლგმჯრ ხიდ || ლგმჯრელ ხიდ, ლნტ. ლგმჯრ ხიდ || ლგმჯრე ხიდ || ლგმჯრელ ხიდ 'ყოფილხართ'; III პ. ლგმჯრს || ლგმჯრელიხ, ბქვ. ლგმჯრხ || ლგმჯრე ლიხ, ლშხ. ლგმჯრხ || ლგმჯრელიხ, ლნტ. ლგმჯრხ || ლგმჯრეხ || ლგმჯრელიხ 'ყოფილან'.

ნიმუშები: ბზ. კვიჭი მუზვები მი ლგმჯრხვი 71,22 'კუჭის მჭამელი ვყოფილვარ';

ლშხ. ნაქალაქრლა ბურყჯამ ლგმჯრ ლაშხე ლაჯსგ 1.5... 'ნაქალაქევის კოშკი ყოფილა ლაშხეთის შუაში'. აზატ გლეხარ ლგმჯრელიხ 4,29 'აზატი (თავისუფალი) გლეხები ყოფილან';

ლნტ. ეჩქა ამახობ ლგმჯრ 4,35 'მაშინ მტრობა ყოფილა'; ჯვინალდ წანაში ფუსტ ჩარკვიანჯლ ლგმჯრელიხ 106,32 'ძველად წანაშში ბატონი ჩარკვიანები ყოფილან'.

წყვეტილი: მხ. რ., ზსვ., I პ. ხვჯსვ || უშგ. ხვჯს, ლშხ. ხვას, ლნტ. ხვასვ || ხვას 'ვიყავი'; II პ., ზსვ. ხჯსვ || უშგ. ხჯს, ლშხ. ხას, ლნტ. ხასვ || ხას 'იყავი'; III პ., ზსვ. ლჯსვ || უშგ. ლჯს || ბქვ. ლჯსუნ, ლშხ. ლას, ლნტ. ლასვ || ლას 'იყო'; მრ. რ., ზსვ. I Si პ. ლჯსვდ, Se ხვჯსვდ, ლშხ. Si ლასდ, Se ხვასდ, ლნტ. Si ლასვდ || ლასდ, Se ხვასვდ || ხვასდ 'ვიყავი'; II პ., ზსვ. ხჯსვდ, ლშხ. ხასდ, ლნტ. ხასვდ || ხასდ 'იყავით'; III პ., ზსვ. ლჯსვხ, ლშხ. ლასხ, ლნტ. ლასვხ || ლასხ 'იყვნენ'.

ნიმუშები: ბზ. ბაპ ლაშვ 101,2 ... 'მღვდელი იყო'; იმჟი ლაშ გვეშ 62,25 'როგორ იყო საქმე'.

ბქვ. ვოშთხვ მარე ლაშვხ 15.7 'ოთხი კაცი იყო'.

ლშხ. ჲაკოფ ერ ლაშ... 64,3 'იაკობი რომ იყო'...

ლნტ. მაჩუბვაჽ კვეჟოლ მაჲდ ლაშხვ 5.27 'მაჩუბები პატარა არ იყო'. ეჩანღო მაგ თაჳსუფაჽლ ლაშხ 60.4 'ამის შემდეგ ყველანი თავისუფლები იყუნენ'.

კავშირებითი II: მხ. რ., ბზ., I პ. ხვესვ, ბქვ., ლნტ. ხვესე, ლშხ. ხვესე 'ვიყო'; II პ., ბზ. ხესვ, ბქვ., ლნტ. ხესე, ლშხ. ხესე 'იყო'; III პ., ბზ. ლესვ, ბქვ., ლნტ. ლესეს, ლშხ. ლესეს || ლესს 'იყოს'; მრ. რ. I Si პ., ბზ. ლესვდ, ბქვ., ლნტ. ლესედ, ლშხ. ლესედ, Se ბზ. ხვესვდ, ბქვ., ლნტ. ხვესედ, ლშხ. ხვესედ 'ვიყოთ'; II პ., ბზ. ხესვდ, ბქვ., ლნტ. ხესედ, ლშხ. ხესედ 'იყოთ'; III პ., ბზ. ლესეხ, ბქვ., ლნტ. ლესეხ, ლშხ. ლესეხ 'იყონ'.

ნიმუშები: ბზ. ეჩქა ნაჲჲ ჩუ ლეყმე ხვესვდ 231,25 'მაშინ ჩვენ დასახრჩობი ვიყოთ'; ... მარე ლესეს უშგ. 71,11 ... 'კაცი იყოს';

ლშხ. ... ხეკვეს ლესეს 37,23 ... 'უნდა იყოს', ... ხეკვეს ლესს 47,9 ... 'უნდა იყოს'; ლნტ. ჲერდგვილ იმჟი ხვესე?! 180,39 'ერთგული როგორ ვიყო'?!

მეშველი ზმნა ლი მრავალმხრივ საყურადღებოა. იგი არისთან შედარებით ძველი ჩანს[6]. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული[7]:

1) ლი უღვლილებისას სამ ძირს იყენებს. ესენია ი, აშვ || ეშვ და არ. აქედან ი გვაქვს მხოლოდ აწმყოში: ხვი, ხი, ლი (გამოთქმულია მოსაზრება, რომ „-ი ელემენტი უნდა უკავშირდებოდეს აწმყოს ი სუფიქსს"...[8]), ა/ეშვ — წყვეტილსა და კავშირებით II-ში; არ ძირისაგან კი იწარმოება მყოფადისეული დროები და უნახავი II.

2) აწმყოსა, ნამყოსა და კავშირებითში დაცულია III სუბ. პირის უძველესი ნიშანი პრეფიქსის სახით, სახელდობრ ლ-: აწმყო:

---

[5] ა. ონიანი, ლუშნუ ამბჲარ ღლაშხუ შუმი ნინშჳ. С.-Пт. 1917. აქ და ყველგან ლაშხურ მასალებში დაცულია ა. ონიანის ორთოგრაფია.

[6] ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძვ. ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 48.

[7] ვ. თოფურია, სვანური ენა, I, გვ. 249.

[8] გ. შაჰავარიანი, მეშველი ზმნის აგებულებისათვის სვანურში, სტ. XI სამეცნ. კონფერენცია, 1949.

ლ-ი 'არის'. ნამყ. წყვეტ. ლ-ესვ 'იყო', კავშირებითი II: ლ-ესვ 'იყოს'.

ჯერ კიდევ 1895 წელს ჰუგო შუხარდტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ფორმებში ლ-ი, ლ-ე ს, ლ-ა ს ვ'ში ლ- უნდა იყოს III პ. სუბ. ნიშანი[9]. ლ- პრეფიქსს სხვადასხვა დროს ეხებოდნენ თავიანთ მოხსენებებში ა. შანიძე და ვ. თოფურია[10]. შემდგომ ამ საკითხზე დაწვრილებით იყო ლაპარაკი სვანურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში[11]. ლ- პრეფიქსს ეხებოდა არნ. ჩიქობავა თავის ერთერთ ნაშრომში. მან ქართული ენის -ნ სუფიქსის (ძვ. ქართ. წერ-ნ), მეგრულ-ჭანურში ნ'ს (ჭან. რე-ნ 'არის', მეგრ. რე-ნ-ან 'არიან') და სვანურში ლ'ს (ლ-ი) ეკვივალენტობა დაადასტურა და უკანასკნელი ნ სუფიქსის ვარიანტად მიიჩნია[12]. მ. ქალდანმა სვანურის ბალსქვემოურ დიალექტში დაადასტურა ლ-/ნ- პრეფიქსების მონაცვლეობა ზმნაში და აღნიშნა, რომ ნ პრეფიქსი ლა-ნ-ემ და მსგავს ფორმებში წარმოადგენს III სუბ. პირის ნიშანს და იგი ძველია ლ'სთან შედარებით (ლ<ნ)[13].

3) მესამე პირთან დაკავშირებით გამოსარკვევია ზ'ს საკითხი ლი-ზ ფორმაში. ზ-ს შესახებ აღნიშნული იყო, რომ იგი იხმარება მხოლოობითის მესამე პირში და გარდა ბალსზემოურისა სვანურის სხვა დიალექტებში არ ჩანს[14]. ბოლო ხანებში ზ'ს საკითხს ლ ი ზ ფორმაში კვლავ დაუბრუნდნენ[15].

ჩვენს ხელთ არსებული ტექსტების ანალიზისას, აგრეთვე ადგილობრივ ცალკეულ პირთა გამოკითხვის გზით ზ'ს შესახებ მოპოვებული მასალის საფუძველზე ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა:

ა. ბალსზემოურში ზ'ს გავრცელება ყველგან ერთნაირი არ

---

[9] H. Schuchardt, Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, Wien, 1895, გვ. 49.

[10] ა. შ ა ნ ი ძ ე, 1925 წ. წაკითხული მოხსენების ოქმი № 14/39; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, 1928 წ. წაკითხული მოხსენების ოქმი № 3/80. ვუთითებთ „სვანური ენის" მიხედვით, გვ. 3.

[11] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, გვ. 3—4, 8—9.

[12] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 41.

[13] მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, ჲ-ს გენეზისისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, 1959, გვ. 98.

[14] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

[15] ალ. ო ნ ი ა ნ ი, პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსთა შესახებ ქართველურ ენებში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 3, 1963, გვ. 206.

ჩანს. მაგალითად, თუ გამოქვეყნებული ლენჯერული ტექსტების 42 გვერდზე ზ'ს შემცველი ზმნა 40-ჯერ დასტურდება, მულახურ 150 გვერდიან ნაბეჭდ ტექსტში მხოლოდ ერთი ათეულიღა გვხვდება.

ბ. იმავე ლენჯერულში დადასტურდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც — ზ'ს პირველ პირში ხმარება:

მაჲ... ეზერ ამსვალდ ხ ვ ი ზ 423,24 'რა ... კარგი ადამიანი ვარ'.

თბილისში მყოფმა სვანებმა დოდო მარგიანმა (მესტიიდან) და ასლან კორძაიამ (წვირმიდან) დაბეჯითებით დაგვიდასტურეს, რომ მათ გაუგონიათ ზ პირველსა და მეორე პირში უპირატესად მოხუცების მეტყველებაში. ზარდლაშელმა გ. მარგიანმა შენიშნა, რომ ხ ვ ი ზ, ხ ი ზ ფორმები იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება მისი სოფლის მეტყველებაში: ჲარ ხ ი ზ? 'ვინ ხარ?', მი ხ ვ ი ზ 'მე ვარ'.

მაშასადამე, ბალსზემოურში სპორადულად დასტურდება ზ I და II პირში, ე. ი. გვაქვს, ერთი მხრივ, ხ ვ ი, ხ ი, ლ ი, მეორე მხრივ, ხ ვ ი ზ, ხ ი ზ, ლ ი ზ... ვფიქრობთ, რომ ზ'ს I და II პირში ხმარების ცალკეული ფაქტები არ უნდა იყოს შემთხვევითი, იგი ძველის გადმონაშთი ჩანს[16].

როგორც ტექსტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ლ ი ზ ფორმა არც ბალსქვემოურისათვის ჩანს უცხო[17]. აქ მოგვაქვს ამ ფორმის ხმარების ყველა შემთხვევა:

ე ც ე რ უ ლ ი: ჲელბათჳრ როქ ჯი ლ ი ზ 178,4 'იელბათირი მე ვარო'; მაჲ როქ ამბაჲ ლ ი ზ 176,35 'რა ამბავიაო';

ლ ა ხ ა მ უ ლ უ რ ი: ჩი ზავ მოდმა ლ ი ზ წეს 308,21 'ყოველ წელს წესი არ არის';

ზურალ ესერ მაჲრე ლ ი ზ 310,25 'ქალი ადამიანი არისო': ხოლ' ესერ ლ ი ზ 310,37 'გლახა არისო';

ეჯი ეჯგვაჲრ ჭაბიგვ ლ ი ზ... 327,15 'ის ისეთი ჭაბუკია'...

კვლავ ისმის კითხვა, რა უნდა იყოს ზ? ვარაუდობენ, რომ ზ შეიძლება მომდინარეობდეს ზ ჳ || ზ ი 'საგან 'ძევს' (ვ. თოფურია).

---

16 შდრ. ალ. ო ნ ი ა ნ ი, პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითის სუფიქსთა შესახებ ქართველურ ენებში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, გვ. 206.

17 ზ'იანი ფორმების ხმარება ბალსქვემოური კილოს ლახამულური თქმისათვის აღნიშნული აქვს ალ. ონიანს დასახელებულ ნაშრომში.

ალ. ონიანის აზრით, ამ ვარაუდს მხარს უნდა უჭერდეს ის ფაქტიც, რომ: „ეს -ზ მხოლოდ III პირის ფორმასთან არის დადასტურებული. ზგ || ზი ზმნა სვანურში მხოლოდ ნივთთათვის (არაცოცხალთათვის) იხმარება, ისევე როგორც ქართ. ძევს... როგორც ცნობილია, I და II პირის ფორმებში მხოლოდ ადამიანი იგულისხმება, ნივთი (არაცოცხალი საგანი) შეიძლება ივარაუდებდეს მხოლოდ III პირის ფორმაში. ამდენად -ზ ელემენტი, თუ ის მართლა ზემოაღნიშნული ზმნიდან მომდინარეობს, მხოლოდ III პირის ფორმასთან იყო მოსალოდნელი“[18].

ჩვენი მასალით კი ზ დასტურდება I და II, ე. ი. ადამიანისათვის განკუთვნილ პირებში. მაგრამ, ვფიქრობთ, ზ'ს I და II პირში ხმარება მაინც არ არღვევს ვარაუდს ზ'ს ზგ || ზი'დან მომდინარეობის შესახებ. და აი რატომ:

ზგ || ზი სვანურში, მართალია, იხმარება არაცოცხალთა მიმართ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ იგი გვქონოდა I და II პირშიც. ამას მხარს უჭერს ძველი ქართულის მონაცემებიც. აქ ძევს ძირითადად იხმარება არაცოცხალთათვის, მაგრამ იგი ფიგურალურად I პირშიც დასტურდება:

მაგ.:, ვძე მე შიშუელ: იადგ. III[19].

ანალოგიური ვითარებაა მეგრულშიც. აქ შესაბამისი შინაარსის გადმომცემი ძუ 'ძევს' სრულიად თავისუფლად იხმარება პირველსა და მეორე პირში: მაგ. ღურელცალო ვოძუქ (|| ბძუქ) 'მკედარივით ვძევარ'.

მოულოდნელი არ არის, სვანურშიც გვქონოდა მსგავსი მდგომარეობა.

და მაინც თითქოსდა სარწმუნო ეს ვარაუდი ზოგ კითხვას აჩენს, სახელდობრ:

ა. რას გამოხატავდნენ ლიზ და შესაბამისად ხვიზ, ხიზ ფორმები?

ბ. თუ ძევს შინაარსს გადმოსცემდა, III პირში (I და II პირშიც) რა საჭირო იყო ერთი შინაარსის ლიზ და ზგ || ზი?

გ. რას უნდა გამოეწვია ზგ || ზი'ში ბოლოკიდური გ/ი'ს დაკარგვა? ის რომ ძირისეულია, ამას ქართული ძევ'ს მიგვითითებს და სხვა...

---

18 ალ. ონიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 208.

19 ვსარგებლობთ ივ. ქავთარაძის ნაშრომში „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში“ მოყვანილი ნიმუშით, გვ. 152.

დ. ბალსზემოურსა და სპორადულად ლაშხურში ყურადღებას იქცევს მრავლობითი რიცხვის I და II პირში შ ბგერის გამოვლენა ლ-ი-შ-დ, ხვ-ი-შ-დ, ხ-ი-შ-დ ფორმებში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შ ფორმანტისეულია და დ'სთან ერთად წარმოადგენს I და II სუბიექტურ პირთა მრავლობითობის ფორმანტს[20], შესატყვისს ქართული -თ სუფიქსისას.

ე. საინტერესოდ გვეჩვენება „-ესუ ფუძის თავისებური უღვლილება: ფუძის -ე-ს გადასვლა ზსვ., უშგ.-ში -ა-დ და ქვსვ-ში -ა-დ"[21].

ვ. კავშირებითში ვ არ ჩანს უშგულურსა და ქვემოსვანურში. იმავე კავშირებითის ნიშნად უშგულურსა, ბალსქვემოურსა და ქვემოსვანურში გამოყენებულია -ე სუფიქსი. ლაშხური ამ შემთხვევაში თავისებურებას გვიჩვენებს: სხვა კილოებისაგან განსხვავებით აქ ფუძისეული -ე დაგრძელებულია[22].

ზ. მყოფადში ერთმანეთს ენაცვლება ბზ., ლშხ. ხვ ი რ ი || ხვ ი რ ა, ბქვ., ლნტ. ხ ვ ი რ ი || ხ ვ ი რ ა.

თ. ბალსქვემოურის უნახავ II'ში საყურადღებოა ლ გ მ ა რ ლ ა ს უ ნ, ო ლ ჩ მ ნ ე ლ ა ს უ ნ (253,5) ფორმები, სადაც მეშველ ზმნას ახლავს ნ'არი, რომელიც იგივე ოდენობა უნდა იყოს, რაც ბალსქვემოურში ა რ დ ა ნ 'იყო', ი ზ ბ უ დ ა ნ 'ჰამდა' და მსგავს ფორმებშია.

ი. ლენტეხურში მყოფადის ფორმას მეშველი ზმნა ახლავს: ხ ი რ ა ხ ი 'იქნები'. აგრეთვე წყვეტილის ლ ა ს ხ ვ ფორმაში დასტურდება მეტათეზისი — ხ აქ მრავლობითის ნიშანია. ქვემოსვანურში კავშირებითი პარალელური ფორმებით გვევლინება: ლშხ. ლ ე ს ე || ლ ე ს ს, ლნტ. ხ ვ ე ს ე || ხ ვ ე ს... დასასრულ, ლ ი ზმნასთან იხმარება ჭა ზმნისწინი და ზმნას აძლევს კ მ ა რ ა'ს მნიშვნელობას: ქ ა ლ ი 'კმარა'.

2. ა რ ი / ა რ ი 'არის, არსებობს

სვანურში ა რ ი / ა რ ი ზმნა მ ყ ო ფ ო ბ ა ს გამოხატავს. იგი, ისევე როგორც ქართული ა რ ი ს, აბსოლუტური აგებულებისაა. საინტერესო ჩანს ა რ ი ზმნის უღვლილება კილოთა მიხედვით.

---

20 ალ. ო ნ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

21 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა... გვ. 249.

22 იქვე.

გვხვდება ძირითადად შემდეგი ნაზმნარი სახელები:

ს ა წ ყ ი ს ი: ლირდე 'ყოფნა, არსებობა'; მ ი მ ღ ე ო ბ ე ბ ი: მერდე 'მყოფი', ლარდა 'სამყოფი' (ოდა-სახლი), ლერდე 'სამყოფი' (ადგილი), ნარდვ 'ნამყოფი', ურდვნა || ლშხ. ურდნა 'უმყოფი (ვინც არ ყოფილა)'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ხოჩა ლიზგე=ლ ი რ დ ე ბდკიდხ 107,35 'კარგი ცხოვრება გაატარეს'; ამეჩუ მ ე რ დ ე[23] 'აქ მყოფი'; ამიცახბან ესერ ლ ა რ დ ა მშმა ხერახ 192,4 'ამასთან არ გაგვეძლებაო'; ეჩქად ესერ ჩუ ლ ე რ დ ე ხარ დილეგისგა 195,16 'მანამდე უნდა იყოს დილეგშიო'; ალ'ესერ შვანს ნ ა რ დ ვ მჯრეს ლიზ 52,14 'ეს ალბათ სვანეთში ნამყოფიაო'.

ბქვ. მინე ლათხვარს ლ ი რ დ ე მ მადმავვეშ მიხალდა 15,12 'მათი სანადიროდ ყოფნის არაფერი ვიცოდი'.

ლნტ. მაჲაქ ლოქ ლი მინე ლ ი რ დ ე 169,26 'რისთვისაა (საჭირო) ჩვენი სიცოცხლეო'.

ა წ მ ყ ო: ზსვ., ლნტ., მხ. რ., I პ. ხვარი || ლნტ. ხვარი ხვი, ლშხ. ხვარი 'ვარ'; II პ. ხარი || ლნტ. ხარი ხი, ლშხ. ხარი 'ხარ'; III პ. ზსვ., ლნტ. არი, ლშხ. არი 'არის'; მრ. რ. ზსვ., ლნტ., I Si პ. ლარიდ, ლშხ. ლარიდ; ზსვ., ლნტ. Se პ. ხვარიდ, ლშხ. ხვარიდ 'ვართ'; II პ. ხარიდ, ლშხ. ხარიდ 'ხართ'; III პ. არიხ, ლშხ. არიხ 'არიან'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ლეგდ ხ ვ ა რ ი 75,17 'ავად, ვარ'; ჲერეჯჲ ღენ ხ ა რ ი დ ჟიქვნ.., 139,2 'ვინც ხართ ზემოთ'...; მაგვაჲდ ა რ ი? 'როგორაა'?

ლშხ. ... მაგ ხ ვ ა რ ი დ 74,21... 'ყველანი ვართ'; ათხეჲ ეჩა შიხა ა რ ი 1,11 'ახლაც იმის ხელშია'.

ლნტ. ხოლა გუჟი ხ ვ ა რ ი 207,12 'ცუდ გუნებაზე ვარ'; ეჩეჲსა ლოქ ბაყაყ ა რ ი 269,26 'იმაში ბაყაყი არისო'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ხვარდას, ბქვ., ლნტ. ხვარდ || ლნტ. ხვარდას || ხვარდ ხვეს, ლშხ. ხვარდ 'ვიყავ'; II პ., ბზ ხარდას, ბქვ., ლნტ. ხარდ || ხარდას || ხარდ ხეს, ლშხ. ხარდ 'იყავ'; III პ., ბზ., ლნტ. არდა, ბქვ. არდ || არდა || არდან, ლშხ. ა̈რდა 'იყო'; მრ. რ., I პ.. ზსვ., ლნტ. Si ლარდად, Se ხვარდად, ლშხ. Si ლა̈რდად, Se ხვა̈რდად 'ვიყავით'; II პ., ზსვ., ლნტ. ხარდად, ლშხ. ხა̈რდად 'იყავით'; III პ. ზსვ,, ლნტ. არდახ, ლშხ. ა̈რდახ 'იყვნენ'.

---

23 მაგალითი, თუ ციფრი არ უზის, ჩვენი ტექსტებიდანაა (გარდა ლენტეხურისა).

ნიმუშები: ბზ. ...ხვარდად სოფელ ბორიანს 42,1... 'ვიყავით სოფელ ბორიანს'; ეჩქა სგაჲ იმე ხარდად? 'მაშინ თქვენ სად იყავით'? ეჩზუმ არდა მგჲცერ 27,34 'იმდენი იყო ეცერელი';

ბქვ. ლეთი ეჩეჩუ ხვარდ 166,29 'წუხელ იქ ვიყავ': მაგ არდ 284,25 'ყველა იყო'; ლათხვარს არდან 47,12 'სანადიროდ იყო';

ლშხ. პოეზ. დესა ვრდა 252,12 'არ იყო'.

ლნტ. ფაყს არდა ეშხუ „მეთერ" ზურალ 71,27 'ფაყში იყო ერთი მკითხავი ქალი'; მაჩუბისკა ლინთვისკა არდახ 5,29 'ზამთრობით მაჩუბში იყვნენ'.

კავშირებითი I: მხ. რ., I პ., ბზ. ხვარდედ || უშგ. ხვარდე, ბქვ., ლნტ. ხვარდე, ლშხ. ხვარდე 'ვიყო'; II პ., ბზ. ხარდედ || უშგ. ხარდე; ბქვ., ლნტ. ხარდი, ლშხ. ხვრდე 'იყო'; III პ., ბზ. არდედს || უშგ. არდეს, ბქვ., ლნტ. არდეს, ლშხ. ვრდეს 'იყოს'; მრ. რ., I პ., ბზ. Si ლარდედდ, Se ხვარდედდ, ბქვ., ლნტ. Si ლარდედ, Se ხვარდედ, ლშხ. Si ლვრდედ, Se ხვვრდედ 'ვიყოთ', II პ., ბზ. ხარდედდ, ბქვ., ლნტ. ხარდედ, ლშხ. ხვრდედ 'იყოთ'; III პ., ბზ. არდედხ, ბქვ., ლნტ. არდეხ, ლშხ. ვრდეხ 'იყვნენ'.

ნიმუშები: ბზ. ჩიქე ამეჩუ ლარდედდ 379,23 'ჯერ აქ ვიყოთ'; ეჯჲარს ხაკუხ, ერე ხოჩვმდ ხარდედდ სგაჲ 12,21 'იმათ უნდათ, რომ თქვენ კარგად იყოთ'; უშგ. მაგ ანკგ, ჲვრეა არდეს 74,37 'ყველა წამოიყვანე, ვინც იყოს';

ბქვ. ჩჲაგ შგურვარ... ხეკვეს ხვარდედ 258,32 'ყველგან შერცხვენილი უნდა ვიყოთ';

ლშხ. ეჩქა მაგ ხეკჯეს ვრდეხ 17,20 'მაშინ ყველანი უნდა იყვნენ'.

ლნტ. ეშხუ კვირტ გიმუნჟი არდეს 26,36 'ერთი კვირტი მიწიდან ზევით იყოს'.

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ბზ., ლნტ. ხვირდი || ხვირდა. ბქვ. ხვირდი || ხვირდ, ლშხ. ხვირდი || ხვირდა 'ვიქნები'; II პ. ბზ., ლნტ. ხირდი || ხირდა, ბქვ. ხირდი ||ხირდ, ლშხ. ხვრდი || ხვრდა 'იქნები'; III პ., ბზ., ლნტ. ირდი || ირდა, ბქვ. ირდი || ირდ, ლშხ. ვრდი || ვრდა 'იქნება'; მრ. რ. Si, ბზ., ლნტ. ლირდიდ || ლირდად, ბქვ. ლირდიდ, ლშხ. ლვრდიდ || ლვრდად, Se ბზ., ლნტ. ხვირდიდ || ხვირდად, ბქვ. ხვირდიდ, ლშხ. ხვვრდიდ || ხვვრდად 'ვიქნებით' და ა. შ.

ნიმუშები: ბზ., ეჩქა ნაჲ... გარ ლირდიდ 375.28 'მაშინ ჩვენ... მარტო ვიქნებით'; ბაგის ხირდა 'შინ იქნები';

ლშხ. ეჯ ქორისა ლოქ ჯოდ ხირდი... 11,5 'სანამ იმ სახლში იქნებიო'...: ლნტ. ბაგის ხირდი 77,6 'სახლში იქნები'; ხოლა გუჟი ლოქ ირდა მინე მოჯამაგირ 213,35 'ცუდ გუნებაზე იქნებაო მათი მოჯამაგირე'.

მყოფადის პირობითის ნიმუში ლენტეხურ კილოზე: ამკალი დენა ერ ირდოლ... 46,5 'ასეთი გოგო რომ იქნებოდა'.

უნახავი II: მხ. რ., I პ., ბზ. ლგმარდ ხვი || ლგმრდელ ხვი, ბქვ,, ლნტ. ლგმარდ ხვი || ლგმარდე ხვი || ლგმარდელ ხვი, ლშხ. ლგმარდ ხვი || ლგმარდელ ხვი 'ვყოფილვარ'; II პ., ბზ. ლგმარდ ხი || ლგმრდელ ხი; ბქვ., ლნტ. ლგმარდ ხი || ლგმარდე ხი || ლგმარდელ ხი, ლშხ. ლგმარდ ხი || ლგმარდელ ხი 'ყოფილხარ'; III პ.. ბზ. ლგმარდ || ლგმრდელი, ბქვ., ლნტ. ლგმარდ || ლგმარდელი || ბქვ. ლგმარდლი, ლშხ. ლგმარდ || ლგმარდელი 'ყოფილა' და ა. შ.

ნიმუშები: ბზ. ლგშვამდ ესერ ლგმარდხ 106,13 'მოსვენებით ყოფილან'; ბეჩვის ლგმგრდელიხ 377,27 'ბეჩოში ყოფილან';

ბქვ. ჲარ ესერ ლგმარდხ (|| ლგმართხ) ამეჩუ ღადი? 341.14 'დღეს აქ ვინ იყოვო'?.. ჩუ ლგმარდელი 4,9... 'ქე ყოფილა'; ეშხუ ბუღვა ესერ ლგმარდლი 26.29 'ერთი ბუღა ყოფილაო';

ლშხ. სვმილ ლოქ გარ ლგმარდელი 52,21 'მხოლოდ სამი ყოფილაო'..., ლნტ. ლგმარდელი ეშხუ ხოჩა მარე 56.5 'ყოფილა ერთი კარგი კაცი'; ქორს ლოქ ლგმარდხ (ჩვ. ტ.) 'სახლში ყოფილანო'.

პარადიგმებიდან ჩანს, რომ არი/არი ზმნა დრონაკლია. საკუთარი ძირით მას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე ნაკვთი აწარმოოს, სახელდობრ: აწმყოსი, უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითისა. იგივე ძირია გამოყენებული ამ ზმნის რელატიურ ფორმებში, როგორიცაა სასხვისო ქცევის ხორი 'უვის' და ე. წ. საზედაოს ხარ 'აქვს'. რაც შეეხება დანარჩენ ნაკვთებს — მყოფად სრულსა, პირობითსა და უნახავ II'ს, აქ უკვე სხვა ძირი ჩანს — **რდ**. იგივე **რდ** ძირი დასტურდება ამ ზმნისაგან ნაწარმოებ სახელებში — საწყისსა და მიმღეობებში.

სპეციალურ ლიტერატურაში ა რ ი / а р и ზმნის ძირად გამოყოფილია რ (ნ. მარი, ა. შანიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ივ. ქავთარაძე...)[24]. მართლაც, სვანურში ამ ზმნის სასხვისო ქცევის ფორმები მიგვითითებენ, რომ წინამავალი ა ხმოვანი არ არის ძირეული: მ-ი-რ-ი 'მივის', ჯ-ი-რ-ი 'გივის', ხ-ო-რ-ი 'უვის'. ა რომ ძირეული არ არის, ამას მონათესავე ჭანურისა და მეგრულის ჩვენებებიც ადასტურებს. როგორც ჩანს, ჭანურსა და მეგრულში ო შერჩება ხოლმე პირველ პირში[25]. II და III პირში იგი ჩვეულებრივ არ ჩანს: მეგრ., I პ. მა ვორექ 'მე ვარ', II პ. სი რექ 'შენ ხარ', III პ. თინა რე(ნ) 'ის არის'; ჭან., II პ. სი მუფერი კოჩი რე? 'შენ რანაირი კაცი ხარ'?[26], III პ. კოჩეფე რ ე ნ ან 'კაცები არიან'; ნ. უწყ.: ვა რ ტუ 'არ იყო'.

ჩანს, მეგრულ-ჭანურში წინამავალი ო არ არის ძირეული. იგი ქართულ-სვანური ა'ს[27] ფონეტიკური შესატყვისია. მაშასადამე, რ საერთო ძირეული მასალაა ქართველური ენებისათვის. ეგეთ რ ძირი დადასტურებულია ზოგ კავკასიურ ენაშიც...[28]

ა'ს შესახებ გრამატიკულ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ იგი გარდამავლობას ანიჭებს ზმნას (ნ. მარი)[29], თუმცა სვ. ა რ ი / а р и, ქართ. а р ი ს ზმნის ა'ზე ამის თქმა არ შეიძლება. ა. შ ა ნ ი ძ ე ს ა მიაჩნია საარვისო ქცევის ნიშნად[30]. ენის განვითარების სიღრმეში შეჭრა შესაძლებელს ხდის ა'ს დაეძებნოს პარალელები სახელებშიც[31]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ა იგივე ოდენობა უნდა იყოს, რაც გვაქვს გრამატიკული კლას-კატეგორიის ექსპონენტად

---

24 Н. Марр, Извлечение из сванско-русского словаря, Петг. 1922. გვ. 26; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ზმნის საქცევი, გვ. 329, შნშ.; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, გვ. 250; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 306; ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 48; 279.

25 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭან.-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი... გვ. 307.

26 ნიმუშები ამოღებულია არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ას დასახ. ნაშრომიდან, გვ. 307.

27 ქართულში ა ძირსაა შეზრდილი (ასევე იყო ძველ ქართულში).

28 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. 500, 600, 605.

29 Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 139.

30 ქცევის კატეგორიის შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს ქართული ზმნის საქცევი, ტფილისის უნ. მოამბე, VI, 1926.

31 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ზმოვანთაესართიანი სახელები, თსუ შრ., ტ. XXX—XXXI, თბილისი, 1947.

აღიარებულ თანხმოვან პრეფიქსებთან ერთად[32]. რაც შეეხება ა'ს გენეზისს, მის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისტორიულად იგი უნდა უკავშირდებოდეს ნაცვალსახელოვან ძირს და ჩვენებით-განსაზღვრებითი ნაწილაკის ფუნქცია უნდა ჰქონოდა[33].

რაც შეეხება ა რ ი ზმნის ბოლოკიდურ ი'ს, იგი აწმყოს თემის ნიშანია[34] და ამიტომაცაა, რომ უწყვეტელში აღარ გვხვდება (ა რ დ ა 'იყო'),

ყ ო ფ ნ ი ს გამომხატველი ზმნა ქართულ-სვანურის გარდა დრონაკლია მეგრულ-ჭანურშიც. აღვნიშნავთ ზოგ რამეს.

ჭანურში რ ძირისაგან ნაწარმოებია აწმყო, უწყვეტელი და კავშირებითი I, ხოლო დროთა II ჯგუფში გამოყენებულია ქართულიდან შესული ვ ი ყ ა ვ ი[35]. მაგ.: აწმყო: ანდღა ხოჯა ვა რ ე ნ 1,14[36] 'დღეს მასწავლებელი არ არის'; უწყვეტ.: მემედ აღა ქ ო რ დ უ 118,2 'მემედ აღა იყო'; კავშ. I: ო ში ტ ას-ჲ ა 3,5[37] 'ასი იყოსო', მაგრამ წყვეტილშია: მა ვ ი ყ ვ ი, სი ი ყ ვ ი, ი ა ი ყ უ[38]. ჭანურის ანალოგიური ვითარებაა მეგრულშიც. აქაც რ ძირისაგანაა ნაწარმოები I სერიის ფორმები: აწმყო: ართინეერი ჩხომი რ ე ნ ი ა 27,4[39] 'ერთნაირი თევზი არისო'; უწყვეტ: გოთანაშახ თექ ო რ დ 13,6 'გათენებამდე იქ იყო', კავშ. I: აბა თაშ ო რ დ ა ს ი ა 27,8 'აბა ასე იყოსო'. დროთა II ჯგუფში აქაც ქართულიდან შესული ზმნაა გამოყენებული: მა ვ ი ც ი, სი ი ც ი, თიქ ი ც უ...

როგორც ჩანს, სვანურმა, ჭანურმა და მეგრულმა შეძლეს ქართველური ენებისათვის საერთო რ ძირისაგან ეწარმოებინათ აწმყოს გარდა უწყვეტელი და კავშირებითი I (იქ ეს ნაკვეთები ახალია), ქართული კი ამის შესაძლებლობას რატომღაც მოკლებული აღმოჩნდა.

---

32 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942, გვ. 194.

33 ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში,... გვ. 284—285.

34 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, გვ. 75, შნშ.

35 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936, გვ. 171.

36 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანური ტექსტები, ნაკვეთი პირველი, ხოფური კილოკავი, ტფილისი, 1929.

37 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

38 იქვე.

39 მაკ. ხ უ ბ უ ა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937.

სვანურ ა რ ი / а р и ზმნას უღვლილების სხვა თავისებურებაც ახასიათებს კილოთა მიხედვით. სახელდობრ:

ლენტეხურში აწმყოსა და უწყვეტელში ხ ვ ა რ ი და ხ ვ ა რ დ ა ს'ის პარალელურად მეშველზმნიანი ხ ვ ა რ ი ხ ვ ი, ხ ა რ ი ხ ი... ხ ვ ა რ დ ხ ვ ე ს, ხ ა რ დ ხ ე ს ფორმები მოიპოვება.

-ი სუფიქსიანი ზმნები უწყვეტელში -და სუფიქსის დართვისას აწმყოს თემისეულ -ი'ს იკვეცენ და წინამავალ ხმოვანს უმლაუტიანს წარმოგვიდგენენ[40]. უწყვეტელში აწმყოსეული -ი სუფიქსი აქაც მოკვეცილია, მაგრამ წინამავალი ხმოვანი არ არის გაუმლაუტებული (შდრ. ა-რ-ი, მაგრამ ა-რ-დ-ა).

ლაშხურში ბალსზემოურისაგან განსხვავებით უწყვეტლის მხოლოობითის III და მრავლობითის ყველა პირში ზმნის ფუძისეული ა ხმოვანი დაგრძელებულია[41] (შდრ. ბზ. არდა, მაგრამ ლშხ. ārდა, ლārდად, ხārდად, ārდახ). ცნობილია, რომ გარკვეული ტიპის ზმნებში ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებულად წარმოდგენა ლაშხურის თავისებურებაა[42].

ბალსზემოურსა და ლენტეხურში მყოფად სრულში შეინიშნებოდა -ი/-ა'ს მონაცვლეობა: ხვირდი || ხვირდა.

უნახავ II'ში აღსანიშნავია პარალელურ ფორმათა სიუხვე.

მასდარისათვის სვანურში, ისევე როგორც ქართულში, ამოსავალია აწმყოს ფუძე, რომელსაც დაერთვის მასდარის მაწარმოებელი ლი- პრეფიქსი. ლ ი რ დ ე'ში კი გამოყენებულია მყოფადის რდ ძირი (შდრ. ქართული а р ი ს და ყ ო ფ ნ ა), მაგრამ თუ მოვიგონებთ, რომ მყოფად სრულში ვნებითის აწმყოს ფორმა იხმარება[43], მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ ლ ი რ დ ე'შიც აწმყოს ფუძეა გამოყენებული, ოღონდ სხვა ტიპის ზმნისა.

ქართულისაგან განსხვავებით სვანურს აქვს რდ ძირისაგან ნაწარმოები უარყოფითი მიმღეობა: უ რ დ ვ ნ ა, რომელიც ლაშხურში უ რ დ ნ ა'ს სახითაც წარმოგვიდგება.

ბალსქვემოურში უწყვეტლის მხოლოობითის III პ. გავრცელებულია უანო ფორმები, მრავლობითში კი ა ყოველთვის დაცუ-

---

40 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

41 იქვე, გვ. 98.

42 თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბილისი, 1965, გვ. 213. შნშ.

43 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, გვ. 250.

ლია. თუმცა ლახამულურში დადასტურდა ა რ დ ხ ფორმაც. ჩანს, ლახამულურისათვის ა'ს მოკვეცა დამახასიათებელია[44].

იმავე ბალსქვემოურის უწყვეტელში ყურადღებას იქცევს III პირში დადასტურებული ფორმა ა რ დ ა ნ: ლათხვარს ა რ დ ა ნ 47,12 'სანადიროდ იყო'. ნ'ს გამოვლენა რომ შემთხვევითი არ არის, ეს იქიდან ჩანს, რომ ბეჩოურის ერთ ზღაპარში ნ სუფიქსიანი ფორმა 14 ჯერაა ნახმარი. იმავე ნ'ს ხმარება აღინიშნა ცხუმარულშიც[45], ადგილზე მუშაობისას მსგავსი ფორმები ეცერულშიც დადასტურდა. ნ'ს საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს. საფიქრებელია, იგი ნამყო უწყვეტლის -ჳნ ნიშნის -ნ იყოს.

ბალსქვემოურში შეინიშნა მჟღერი დ'ს დაყრუება მრავლობითის ხ ნიშნის წინ: ლ ჳ მ ა რ დ ხ (‖ ლ ჳ მ ა რ თ ხ).

3. ი ზ ბ ი 'ჭამს'

ნაზმნარი სახელები იწარმოება აწმყოს ფუძისაგან. მაგ.: ბზ., ლნტ. ლიზვებ, ბქვ. ლიზებ ‖ ლიზვებ, ლშხ. ლიზობ 'ჭამა'; ბზ., ლნტ. მუზვებ, ბქვ. მჳზებ, მუზობ 'მჭამელი'; ბზ., ლნტ. ლეზვებ, ბქვ. ლეზებ, ლშხ. ლეზობ 'საჭმელი'; ყველა კილოსათვის: ნაზობ 'ნაჭამი', ლაზობ 'საჭმელი (საშუალება, რითაც ჭამენ)',,.. გვაქვს ნამყოს ფუძისაგან ნაწარმოები სახელებიც: ბზ. ლ̃ომნე 'ჭმევა'... შ̃მა 'უჭმელი'... (ეგეთე ფუძე გამოყენებულია ხ̃ომნე 'აჭმევს' და ა. შ. ფორმებში).

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ცოდ მად ლია ამ̃შ ლ ი ზ ვ ე ბ (ლ ̃ მ ნ ე)? 203,16 'ცოდვა არ არის ამის ჭამა (შეჭმა)'?; ალა ლი მიჩა მუხვბე̃მი მ უ ზ ო ბ 268,14 'ეს არის მისი ძმის შემჭმელი';... ნიშგვედ ლ ე ზ ო ბ 261,15... 'ჩვენი საჭმელი': დიშ̃რ ლ ა ზ ო ბ დ ხუღვე 412,6 'პური საჭმელად აქვს'.

ბქვ. ხოხრა ლახვბას ხაკუხ ჩუ ლ ი ზ ე ბ 142,5 'პატარა (უმცროს) ძმებს შეჭმა უნდათ'.

ლშხ. ლეღჳი ლ ი ზ ო ბ ს უნბინჭნეხ 18,21 'ხორცის ჭამას დაიწყებენ'; სასა̃შ... ხუღჳახ ლ ე ზ ო ბ 3,13 'სასაშში... აქვთ საჭმელი';

ლნტ. ლ ი ზ ვ ე ბ-ლითრე ლ̃ადი მერბე ნ̃ირ ლი ათხე 11,3

---

44 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანურის ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, 1955.

45 თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იკე, IX—X, 1958.

'სმა-ჭამაც სხვანაირია ახლა'; მეფუტკრედ ხეკვეს ლეზვებ ლახომეს 24,16 'მეფუტკრემ უნდა საჭმელი მისცეს'.

იზბი ზმნა იუღვლება შემდეგნაირად: აწმყო: მხ. რ., I პ., ზსვ., ლშხ. ხვიზბი || ლშხ. ხვიზვები, ლნტ. ხვიზვებ || ხვიზვები || ხვიზბი 'ვჭამ'; II პ., ზსვ., ლშხ. ხიზბი || ლშხ. ხიზბები, ლნტ. ხიზვებ || ხიზვები || ხიზბი 'ჭამ'; III პ. ზსვ., ლშხ. იზბი || ლშხ. იზვები, ლნტ. იზვებ || იზვები || იზბი 'ჭამს' და ა. შ.

ნიმუშები: ბზ. მი დირი ნაკვიშს... დეშ ხვიზბი 242,23 'მე პურის ნაჭერს... ვერ ვჭამ'.., მაჯაფდ ხიზბი? 242,23... 'როგორ ჭამ'?; შვანარ ესერ ბაჩს იზბიხ 20,12 'სვანები ქვას ჭამენო'.

ლნტ. დეშ ლოქ ხვიზბი ვახშამს 161,14 'ვახშამს ვერ ვჭამო'; ჩაჭს ლოქ იზვებ 'ცხენს ჭამსო'... საღილს ხვიზვები 'საღილს ვჭამ'; ჩაჭს ლოქ იზვებ (ჩვ. ტ.) 'ცხენს ჭამსო'...

უწყვეტელი: მხ. რ., ბზ., ლნტ., I პ. ხვიზობდას, ბქვ. (ეცერული) ხვიზბუდასვ[46] || ხვიზვბ || ხვიზბვ, (ბეჩ.) ხვიზბუდასგვ, ლშხ. ხვიზბის 'ვჭამდი'; II პ., ბზ., ლნტ. ხიზობდას, ბქვ. (ეცრ.) ხიზბუდასვ || ხიზვბ || ხიზბვ, (ბეჩ.) ხიზბუდასგვ, ლშხ. ხიზბის 'ჭამდი'; III პ., ბზ., ლნტ. იზობდა || ლნტ. იზვებდა, ბქვ. იზბუდ[ა], ლშხ. იზბგდა 'ჭამდა'; მრ. რ. Si ბზ,, ლნტ. ლიზობდად, ბქვ. ლიზბუდდ, ლშხ. ლიზბგდად, Se ბზ., ლნტ. ხვიზობდად, ბქვ. ხვიზბუდდ, ლშხ. ხვიზბგდად 'ვჭამდით'.

ნიმუშები: ბზ. შომა ხიზობდას? 'როდის ჭამდი'?; ბქვ. დოსდ იზბუდხ 341,22 'ადრე ჭამდნენ'; ჟ'ანტყაბე იზბუდან 47,29 'შეიწვა და ჭამდა';

ლშხ. ლეზობს ხიზბის 'საჭმელს ჭამდი'; იზბგდახ 64,23 'ჭამდნენ'.

ლნტ. იზობდახ ლეღვს 7,17 'ჭამდნენ ხორცს'; ლეზვებს იზვებდა 150,22 'საჭმელს ჭამდა'.

ზოგ ძირია გამოყენებული კავშირებით I'ში (ბზ. ხვიზობდ̄ედ 'ვჭამდე'...), მყოფად უსრულსა (ზსვ. ხვიზბუნი 'ვჭამ буду кушать'), მყოფად სრულსა (ბზ., ლნტ. ლაბვზვებნე || ლაბვზვები, ბქვ. ლოხზვებნე, ლშხ. ლოხზობი || ჩუ ლეჯზობი || ჩუ ლეჯზობნებ), უნახავ II'ში (ბზ., I პ. ლუმზვებ ხვი; III პ. ლუმზვებ ლი || ლუმზვებ; ბქვ., I პ. ლგმზებ ხვი || ლგმზებინ ხვი 'ვჭამდი თურმე'; III პ. ლგმზებ[ლი] || ლგმზებინ ლი 'ჭამდა თურმე'; ლშხ., I პ. ლგმზობ-

[46] ამ ფორმაში მთქმელი ამბობდა ორ დ'ს: ხვიზბუდდასვ...

ნ̃ელ ხვი; III პ. ლგმზობინ: ლნტ., I პ. ლგმაზვებ ხვი; III პ. ლგმაზვებ ლი 'ვჭამდი თურმე'... 'ჭამდა თურმე'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ეჩი ნაფასშე ესერ დიარს ლ გ მ ზ ო ბ ი ნ ხ 301,20 'მისი ღირებულებით თურმე პურს ჭამდნენო'; ვისგვს, მიჩა ნათის, ჯა ჩუ ლუმშხუნინ ი მინ ჩუ ლ უ მ ზ ვ ე ბ ხ 149,25 'ვაშლს, თავის ჭილს, შეინახავდა და თვითონ შეჭამდნენ თურმე'.

ბქვ. ჯვინალდ დაშდვაშ ლაღვ დარ ლ გ მ ზ ე ბ 236.31 'ძველად დათვის ხორცს არავინ ჭამდა თურმე'.

ლშხ. დემ ლ გ მ ზ ო ბ ი ნ 'არ ჭამდა თურმე'.

ლნტ. ალ ლგგრაშლს ლ გ მ ა ზ ვ ე ბ ლი (ჩვ. ტ.) 'ამ კვერცხებს ჭამდა თურმე'.

დრო-კილოთა II სერიაში ი ზ ბ ი ზმნა აღარ გვხვდება. აქ მის ადგილს -ემ ძირიანი ზმნა იჭერს.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ., ბზ., I პ. ლრხვაშ, ბქვ. ლოხვემ || ლოხვე, ლშხ. ლოხვემ, ლნტ. ლახვემ || ლახვემ ხვეს 'ვჭამე': II პ., ბზ. ლაბაშ, ბქვ. ლაბემ || ლახე, ლშხ. ლახემ, ლნტ. ლახემ || ლახემ ხეს 'ჭამე': III პ., ბზ., ლშხ. ლალემ, ბქვ. ლაღემ || ლაჯემ, ლნტ. ლალემ 'ჭამა': მრ. რ., Si ბზ., ლშხ. ლალემდ, ბქვ. ლაღემდ, ლნტ. ლალემდ, Se ბზ. ლრხვემდ, ბქვ. ლოხვემდ, ლშხ. ლოხვემდ, ლნტ. ლახვემდ 'ვჭამთ'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. წვად ლ ა ხ ა მ 138,9 'მწვადი შეჭამე'; მი ვისგვ მუღვე, ეჯა ლ ა ხ ე მ დ უშგ. 75,36 'მე ვაშლი მაქვს, ის ჭამეთ'; სადილ ლ ა ლ ე მ 174,31 'სადილი ჭამა'; უშგ. ღვინაღლ ლაიშ, ქართობილ ლ ა ლ ე მ 68,16 'ღვინო დალია, კარტოფილი შეჭამა'.

ბქვ. ჩვესეროღვ ლ ა ღ ე მ ხ (|| ლ ა ნ ე მ ხ) 212,29 'შეჭამესო'; ჩუ ლ ა ჯ ე მ (ლაღემ) 193,7 'ქე შეჭამა'; ალი ჩუჯ ლ ე ე მ ხ || ლ ა ჯ ე მ ხ 66,31 'როგორც კი ეს შეჭამეს'; მაგ ჩუ ლ ა ლ ე მ 101,4 'ყველაფერი ქე შეჭამა';

ლნტ. ტეფ სი ლ ა ხ ე მ 'კანი შენი ჭამე'; ჩუ ლ ა ლ ე მ ხ დაკჯლ 123,6 'ქე შეჭამეს თხა'...

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II: მხ. რ., I პ. ლოხვაშა || ლოხვაშე. ბქვ. ლოხვემე, ლშხ. ლოხვემა, ლნტ. ლახვემე 'შევჭამო'; III პ.. ბზ. ლალაშას || ლალაშეს, ბქვ. ლაღემეს || ლაჯემეს, ლშხ. ლალემას || ლალემეს, ლნტ. ლალემეს 'ჭამოს'; მრ. რ. I Si ბზ. ლალაშად. ბქვ. ლაღემედ, ლშხ. ლალემდ, ლნტ. ლალემედ, Se ბზ. ლოხვაშად. ბქვ. ლოხვემედ, ლშხ. ლოხვემა, ლნტ. ლახვემედ 'შევჭამოთ'.

ნიმუშები: ბზ. ეჩქა ლეღვ ნრსა ლახშე 'მაშინ ხორცი არ ჭამო'; ჩუვ ესერ ესგურდა ი ლალემუ 263,36 'დაჯდესო და ჭამოსო (ქამეო').

ლშხ. მინ ლოქ ხეკვეს ლალემეხ ჩუ 'ისინი უნდა შეჭამონო'.

ეგევე -ემ ძირია დაცული მესამე სერიის ფორმებში, ოღონდ აქ ძირისეულ ხმოვანს ასიმილაცია განუცდია მომდევნო ხმოვანთან და დაგრძელებულა ბალსზემოურსა და ლაშხურში:

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. მიმა, ბქვ., ლნტ. მიმა 'მიჭამია'; II პ., ბზ., ლშხ. ჯიმა, ბქვ., ლნტ. ჯიმა 'გიჭამია'; III პ., ბზ,, ლშხ. ხრმა, ბქვ.. ლნტ. ხომა 'უჭამია'.

ნიმუშები: ბზ. ტებდი დიარ დესა გვიმა 78,6[47] 'თბილი პური არ გვიჭამია'; ბქვ. მარემ ლეღვ ესერ დემეგ ხომა 57,7 'კაცის ხორცი არ მიჭამიაო'; ლნტ. დე ლუზვებ ხომა ი დე ლეთრე ხოშვა 49,14 'არც საჭმელი უჭამია და არც სასმელი უსვამს'.

III სერიის ფორმებში გვაქვს აგრეთვე პრევერბიანი ლაემამა 'შემიჭამია', ლაჯმამა 'შეგიჭამია', ლოხმამა 'შეუჭამია'; მაგ.: დიარ ესერ ჩუ ლოხმამა 45,31 'პური თურმე შეუჭამია'.

თურმეობითი II[48]: მხ. რ., ბზ., I პ. მიმან, ბქვ. ლნტ. მიმან || ცხ. მიმან, ლშხ. მიმან 'მეჭამა'; II პ., ბზ. ჯიმან, ბქვ., ლნტ. ჯიმან || ცხ. ჯიმან, ლშხ. ჯიმან 'გეჭამა'; III პ., ბზ. ხრმან, ბქვ., ლნტ. ხომან || ცხ. ხომან, ლშხ. ხრმან 'ეჭამა'; მრ. რ. I პ. Si ბზ. გვიმან, ლშხ. გვიმან, ბქვ., ლნტ. გვიმან; Se ბზ. ნიმან, ბქვ. ნიმან 'გვეჭამა'.

კავშ. III: მხ. რ., ბზ., ლშხ. მიმენს, ბქვ., ლნტ. მიმენს || ეც. მიმენეს 'მეჭამოს'; II პ., ბზ., ლშხ. ჯიმენს, ბქვ., ლნტ. ჯიმენს || ეც. ჯიმენეს 'გეჭამოს'; III პ., ლშხ. ხრმენს, ბქვ,, ლნტ. ხომენს || ეც. ხომენეს 'ეჭამოს' და სხვ.

იზბი 'ჭამს' დრონაკლია. I სერიაში ამოსავალია ზობ ძირი, ხოლო დრო-კილოთა II და III სერიაში გამოყენებულია სულ სხვა ძირისაგან ნაწარმოები ლალემ 'შეჭამა', ხრმა 'უჭამია'... ნაზმნარ სახელებში იგივე ზობ ძირი გვაქვს, გვხვდება -ემ'ძი-

---

[47] ა. შანიძე, ვ. თოფურია მ. გუჯეჯიანი, სვანური პოეზია, I, თბილისი, 1939.

[48] ჩვენს ხელთ არსებულ ტექსტებში თურმეობითი II და კაუზირებითი III ფორმები არ შეგვხვედრია.

რიანი წარმოებაც: უ მ ა 'უჭმელი', ლ ე მ ე 'შეჭმული', სადაც დროთა II სერიის უფუძეა ამოსავალი.

საგულისხმოა, რომ სვანურის მონათესავე ენებში ამ ზმნის სუპლეტური წარმოება არა გვაქვს. ქართულში ჭ ა მ ს ზმნა წესიერია და თავისუფლად აწარმოებს ყველა დრო-კილოს... ასე იყო ძველ ქართულშიც. ჭანურშიც, როგორც ეს ტექსტებიდან ჩანს, ქართულის მსგავსი ვითარება უნდა გვქონდეს. მაგ.: ნანა შკუნი ყილა შ კ ო მ ა ს ე ნ[49] 'დედა-ჩვენი უთუოდ შეჭამს'; ქოთუმეფე ქ ო ჭ კ ო მ უ 'ქათმები შეჭამა'; სუმი ნდღა რენ, გჲარი-ნა ვარ მ ი ჭ კ ო მ უ ნ[50] 'სამი დღეა, საჭმელი არა მიჭამია'.

საყურადღებოა, რომ იმავე ჭანურში ჭ ა მ ი ს ცნების გამომხატველი მეორე ზმნა მ ხ ო რ || ფ ხ ო რ[51] თავისებურებას იჩენს იმ მხრივ, რომ იგი აწარმოებს მხოლოდ I სერიის ნაკვთებს. ეს მოვლენა ჯერ კიდევ ნ. მ ა რ ს ჰქონდა შენიშნული, როცა ჭანურის შესახებ გრამატიკაში ის ეხებოდა ძირმონაცვლე ზმნებს (сводные корни). აქ, სხვა ზმნების გვერდით, იგი ასახელებს „в и ф х о р,.. я ем, образующий лишь первые времена[52]. ლაზუტის ამულენ დო и м ф х о р ს входит в кукурузу и есть"[53]: ნ. მ ა რ ი ს დებულება и м х о р ს ზმნის დრონაკლობის შესახებ მართებული ჩანს.

არნ. ჩიქობავა თავის შედარებით ლექსიკონში ეხება რა ქართულ-მეგრულის საერთო ჭ ა მ ძირს (ჭან. ჭკომ // შკომ, მეგრ. ჭკომ ფორმებში კ განვითარებულია[54]). დასძენს: „ჭ ა ნ უ რ შ ი ჭ კ ო მ ფუძე ა წ მ ყ ო ს ჯ გ უ ფ ი ს დ რ ო ე ბ ს ა წ ა რ მ ო ე ბ ს ვ ნ ე ბ ი თ ი გვარისათვის (ი-ჭკომ-ე-ნ, ა-ჭკომ-ე-ნ 'იჭმევა, ეჭმევა'), მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს ა თ ვ ი ს სხვა ფ უ ძ ე გ ვ ა ქ ვ ს (ი-მხორ-ს || ი-ფხორ-ს) (ხაზი ჩვენია — კ. გ.)"[55]. მეგრული და ქართული, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, ამ თვალსაზრისით ერთ-

---

49 ნიმუშები ამოღებულია არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონიდან, გვ. 415.

50 ი. უ ყ ი შ ი ძ ე, ჭანური ტექსტები (არნ. ჩიქობავას გამოცემით), თბილისი, 1939, გვ. 36.

51 მ ხ ო რ ხომ არ არის იგივე, რაც ქართ. სა-მხარ-ი (ქართ. ა=ჭან. ო) ან დახერომა?

52 Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1910, გვ. 63.

53 ნიმუშები მოგვყავს მ ა რ ი ს დასახელებული ნაშრომიდან.

54 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭან.-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი, გვ. 416.

55 იქვე.

გვარ ვითარებას გვიჩვენებს — ორივეგან ჰკომ და ჰამ გვაქვს ენებითსა და მოქმედებითში.

ჰანურის აქვე განხილული ნიმუშები მიგვითითებენ, რომ ჰკომ ძირი გამოიყენება მოქმედებითი გვარის ზმნის გამოსახატავადაც და აქაც, ისე როგორც ქართულში, იგი წესიერი ზმნაა[56].

ინდოევროპული ენებიდან სვანურის მსგავს ვითარებას გვიჩვენებენ ინდური ენები[57], აგრეთვე სომხური და ბერძნული. სომხური გრამატიკული ლიტერატურიდან ცნობილი ფაქტია, რომ აქ ერთმანეთს ენაცვლება აწმყო: *ունեմ* 'ჰამს' და ნ. წყვეტილი: *կրպաս* 'ჰამა'[58]. ძველ ბერძნულშიც ერთმანეთის გვერდით გვხვდება აწმყო: ἔσθ:ει 'ჰამს' და ნ. წყვეტილი: ἔφαγε(ν) 'შეჰამა'[59].

სვანურ ლალუ მ'თან დაკავშირებით დგება ძირის საკითხი. ნ. მარს გამოყოფილი აქვს **ჲმ>მ**[60], მაგრამ იქვე დასახელებული ნიმუშები: „მამჳ у меня съедает, ჯამჳმ, ხამჳმ... аор. ლამმჳმხ ошь съели у меня (მომჭამეს)"[61], შესაძლებელს ხდის გამოიყოს მამ ძირი[62]. იგივე მამ გვაქვს III სერიის ფორმებში: ლოხვმამა 'შეუჭამია'... გ. მაჭავარიანის აზრით, აქ შეიძლება გვქონდეს სიმბოლიკური ხასიათის ძირი მამ[63]. უფრო მეტიც, ამავე ავტორის აზრით, შესაძლებელია საერთო-ქართველური ჰამ ძირიც სიმბოლიკური წარმოშობის იყოს, „ამით უნდა აიხსნებოდეს მრავალრიცხოვანი პარალელების არსებობა სხვა ენებში: ხუნძ., ანდ. **ჰამ-**, ბაგვალ. **ჰან-**, არჩიბ. **ჰამ-** „ღეჭვა"[64].

ვ. თოფურიას აზრით, სვანური „... ემ ძირი=ქართ. ჭამ'ს; ჭ-ბგერის ეკვივალენტის დაკარგვის გამო სვანურში -ემ დაგრძელებულა"[65]. უფრო გვიანდელ ნაშრომში ნაჩვენებია გზა. თუ როგორ უნდა მომხდარიყო ძირისეული ე'ს დაგრძელება „უნდა ვიფიქ-

---

56 ნიმუშები იხილეთ აქვე, გვ. 32.

57 თ. ჩოჩუა, სუპლეტივები და მათი ადგილი ენის ლექსიკურ შედგენილობაში, თბ. სახ. უნ. შრ., ტ. 71, 1959.

58 Н. Я. Марр, Грамматика древнеармянского языка, С.-Пб. 1903, გვ. 265.

59 С. И. Соболевский, Древне-греческий язык, Москва, 1948.

60 Н. Я. Марр. Извлечение из сванско-русского словаря, Птр., 1922.

61 იქვე, გვ. 34.

62 ვ. თოფურია, სვანური ენა, I, გვ. 253. შდ.

63 გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 44.

64 გ. მაჭავარიანი, იქვე, გვ. 45.

65 ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 253.

როთ, რომ ჰ>შ>ჰ და უკანასკნელის გაქრობამ ე დააგრძელა"[66]. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც: გ. მაჭავარიანის აზრით, ლ ა ლ ე მ 'შეჯამა' ფორმაში „ე ხმოვანი გრძელია ისტორიულად"[67].

ჩვენთვის ამ შემთხვევაში არსებითი ის არის, რომ ქართველური ენებისათვის საერთო გამოდის ჰ ა მ ძირი, რომელიც სვანურში იშვიათად, მაგრამ მაინც დაცული უნდა იყოს. იგი, როგორც ეს აღნიშნული აქვს ნ. მარს, უნდა გვქონდეს რელიგიური ცნების გამომხატველ ტერმინში ვ ი ჰ მ 'пост', „აქედან пост. ხუჯჰმი, aor. ახუჯჰმ"[68].

შეგრულ-ჭანურში ჰ კ ო მ, ჰ კ ო მ || შ კ ო მ კანონზომიერი შესატყვისია ქართული ჰ ა მ'ისა[69], როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კ აქ განვითარებული ჩანს[70].

ახლა რაც შეეხება აქ წარმოდგენილ სვანურ მასალას: დროკილოთა I სერიაში გამოყენებულია ი ზ ბ ი 'ჯამს'. ძირია ზ ო ბ, რომელიც უცვლელადაა დაცული ნ ა ზ ო ბ'სა 'ნაჯამი', ზ ო ბ ა დ 'ჯამის მოყვარული', ბზ.-ის უწყვეტლის ფორმაში ი ზ ო ბ დ ა 'ჯამდა' და ა. შ., ლენტეხურისა და ლაშხურის ზოგიერთ ნაკვთსა და ლაშხურის თითქმის ყველა ნაზმნარ სახელში. ბზ.-სა და ლენტეხურში ლ ე ზ ე ე ბ 'საჯმელი', ლ ი ზ ე ე ბ 'ჯამა', მ უ ზ ე ე ბ 'მჯამელ"ში გვაქვს ო'ს უმლაუტი (ო=ვე), ხოლო ბალსქვემოურში ბეჩოური ლ ი ზ ვ ე ბ ი ს გვერდით გვხვდება ვ დაკარგული ლ ი ზ ე ბ-ი (ეცერული).

აწმყოს ნაკვთის წარმოებისას ლენტეხურთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელებული ურედუქციო ი ზ ე ე ბ ი ფორმის გვერდით სპორადულად გვხვდება ბალსზემოურისათვის ცნობილი ი ზ ბ ი[71], რომელშიც ძირისეული ხმოვნის რედუქციას

---

66 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იქვე, XII, თბილისი, 1961, გვ. 156.

67 გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 44.

68 Н. Я. Марр, Извлечение из сванско-русского словаря, გვ. 34. იგივე ძირი ჩანს ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს „სვანურ ენაში" დასახელებულ ნიმუშში: ი ვ ჰ მ ი დ ა (|| ი-ვჰმედა) 'მარხულობდა', გვ. 77.

69 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკონი, გვ. 416.

70 იქვე.

71 ზ. ჰ უ მ ბ უ რ ი ძ ე, სვანური ენის ლენტეხური კილოს ფონეტიკური თავისებურებები, სადისერტაციო ნაშრომი, მანქანაზე გადაბეჭდილი, თბილისი, 1952, გვ. 55.

აქვს ადგილი[72]. ლენტეხურშიეე ი ზ ვ ე ბ ი შეიძლება უთემისნიშნოდ იყოს წარმოდგენილი: ი ზ ვ ე ბ[73]. რაც შეეხება ლაშხურს, აქ შეიძლება გვქონდეს როგორც ხ ვ ი ზ ბ ი, ისე ხ ვ ი ზ ვ ი.

უწყვეტლის ფორმებში ზოგი რამ საინტერესო შეინიშნება: ბალსზემოური და ლენტეხური მსგავს ფორმებს გვიჩვენებს — ი ზ ო ბ დ ა 'ჰამდა'.

საყურადღებოა ისიც, რომ ი ზ ბ ი ერთ-ერთ იმ ზმნათაგანია, რომლებშიც უწყვეტლის ნაკვთის წარმოებისას უმლაუტს არა აქვს ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ აწმყოს თემისეული -ი სუფიქსი დაკარგულია[74].

ცნობილია, რომ ბეჩოურში -ი სუფიქსიან ზმნებში უწყვეტლის წარმოებისას -ი სუფიქსი ჩვეულებრივ შენახულია, I და II პირში ასეთ ფორმას დაერთვის -დ ა ს გ ვ სუფიქსი, ხოლო მხ. რიცხვის III პ. და მრავლობითი რიცხვის ყველა პირში გვაქვს -დ ა[75]. ჩვენთვის საინტერესო ი ზ ბ ი კი ბეჩოურის უწყვეტელში ასე წარმოგვიდგება: ხ ვ ი ზ ბ უ დ ა ს გ ვ, ხ ი ზ ბ უ დ ა ს გ ვ, ი ზ ბ უ დ ა..., სადაც აწმყოს თემისეული -ი'ს ნაცვლად უ ჩანს[76]. ლახამულურში დასტურდება: ხ ვ ი ზ ბ ვ, ხ ი ზ ბ ვ, ი ზ ბ უ დ [ა], ხოლო ეცერულში გვხვდება როგორც ხ ვ ი ზ ბ უ დ ა ს ვ, ისე ხ ვ ი ზ ვ ბ, ხ ი ზ ვ ბ, ი ზ ბ უ დ // ი ზ ბ უ დ ა. ამათაგან უფრო გავრცელებული ჩანს პირველი და გვხვდება როგორც ახალგაზრდების, ისე მოხუცების მეტყველებაში.

ლაშხურში ი ზ ბ ი ზმნასაც სხვა -ი სუფიქსიანი ზმნების მსგავსად მხ. რიცხვის III პირში და მრ. რიცხვის სამსავე პირში სუფიქსად აქვს -ჲდა, სადაც ჲ არ წარმოადგენს ფორმანტის კუთვნილებას, „... არამედ ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულს თანხმოვანთ-გასაყარს"[77]. ყოფად სრულში ბალსზემოურსა და ლენტეხურში შეინიშნება ლ ა ჲ ზ ვ ე ბ ნ-ლ ა ჲ ზ ო ბ ი ფორმების მონაცვლეობა, ლაშხურში კი ლ ე ჲ ზ ო ბ ი-ლ ე ჲ ზ ო ბ ე'ს. პარალელური ფორმების სიჭარბით ყურადღებას იქცევს ბალსზემოურში უნახავი II: III პ. ლ ჲ მ ზ ე ბ || ლ ჲ მ ზ ჲ ბ ლ ი || ლ ჲ მ ზ ე ბ ი ნ ლი.

---

[72] G. Deeters, Das Kharthwelische Verbum, Leipzig, 1930.

[73] ზ. ჯ უ მ ბ უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

[74] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, გვ. 84.

[75] იქვე, გვ. 95.

[76] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

[77] იქვე, გვ. 98.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იზბი ზმნას დრო-კილოთა მიხედვით სუპლეტური წარმოება ახასიათებს: იზბი — ლალე̄მ. როგორც ცნობილია, უკანასკნელი იმ ზმნათაგანია, რომლებშიც დაცულია მესამე სუბიექტური პირის უძველესი ნიშანი ლ პრეფიქსის სახით: ლალე̄მ 'შეჭამა', ლალჳმას 'შეჭამოს'.

ბალსქვემოურში ნ. წყვეტილის I და II პირში ზოგჯერ იკარგვის -ემ ძირის თანხმოვნითი ელემენტი მ'ანი: I პ. ლოხვე (შდრ. ლოხვემ), II პ. ლახე (შდრ. ლახემ)..., იმავე ბალსქვემოურში III პირის პრეფიქსი ლ- გადადის ნ'სა და დ'ში (ლჳ-ნ-ემ || ლჳ-დ-ემ). ეს ნ მიჩნეულია პირველადად[78].

ბალსზემოურის კავშირებით II'ში საყურადღებოა ძირისეული ე'ს გადასვლა ჳ'ში: ე̄>ჳ (შდრ. ნ. წყვეტილი ლალე̄მ, კავშ. II: ლალჳმას), იმავე კავშირებითისათვის აღსანიშნავია პარალელური ფორმები: ბზ. ლოხვჳმა/ე, ლშხ. ლალე̄მა/ეს (გვაგონდება მსგავსი მონაცვლეობა სუფიქსებისა, რასაც ადგილი აქვს ქართულში: იქნეს // იქნას).

კილოების მიხედვით წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალის ანალიზისას ანგარიშგასაწევია შემდეგი:

ა) ბალსზემოურში უნახავი II გვიჩვენებს ლუმზრბინ'სა და ლუმზვებხ'ს. პირველში -ინ სუფიქსია გამოსარკვევი. უშგულურში ნ. წყვეტილის II პირში ძირისეული ხმოვანი დაგრძელებულია (ლ̄ახე̄მდ), ხოლო III პ. ფორმაში დაგრძელებულია რა პრევერბისეული ა-, ამავე დროს -ემ ძირის ხმოვანს სიგრძე არ აქვს (ლ̄ალემ).

ბ) ბალსქვემოურ კილოში უწყვეტლის III პირში მრავლობითობის ხ ნიშანი პირდაპირ დართვია ფუძეს: იზბუდხ. უწყვეტელშივე დადასტურდა ნ'არიანი ფორმა იზბუდან. მსგავსი ფორმების შესახებ ჳრი ზმნასთან გვქონდა საუბარი.

იმავე ბალსქვემოურში III სუბ. პირის ლ- პრეფიქსის ნაცვლად დ გვაქვს (ლჳემ), სხვა შემთხვევაში დაკარგული ჩანს დ'ც (ლეემხ || ლჳემხ 66,31). ლეემხ იმითაცაა საინტერესო, რომ ლა- ზმნისწინისეული ჳ -ე-ს სახით მოგვევლინა[79].

---

78 მ. ქალდანი, დ-ს გენეზისისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959, გვ. 98.

79 თ. შარაძენიძე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იქვე, IX-X, 1958.

4. ი თ რ ე 'სვამს'

ნაზმნარი სახელები ყველა კილოსათვის: ლითრე 'სმა', ლეთრე 'სასმელი', ლათრა 'ჟურჭელი ან დასალევი ადგილი', მგთრე 'მსმელი', ნათუნ 'ნასვამი', უთვნა 'უსმელი'. ნამყოს ფუძისაგან ნაწარმოები: ბზ. ლჳშვ, ბქვ. ლუშვე, ლშხ. ლუშვე, ლნტ. ლუშ[ვ]! 'შესმული, დალეული', ბზ., ლშხ. უშვა, ბქვ,, ლნტ. უშვა 'უსმელი'...

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ... ეჩეჩუნ გუნ ლ ი თ რ ე ლი ქვერწილ-ჟინ 6,25 'იქ დიდი სმაა ქორწილის დროს'.

ბქვ. ალ სგიმ ლ ე თ რ ა დ ხუღვა 69,14 'ეს მჟავე წყალი სასმელად აქვს'; ლახაგან ყვერილდ (|| ყერილდ) ზუღვას ლ ა თ რ ა ს 99,18 'მიადგა ნეზვი ზღვას დასალევად'.

ლშხ. მაშდმარჟი არყი ნ ა თ უ ნ ერ ლიხ... 37,30 'სიმთვრალეში არყის ნასვამი რომ არიან'...

ლნტ. ... ლიცე მ გ თ რ ე ს ჩვათორტყვახ 'წყლის დამლევს ჩაუყლაპავს'; ლ ე თ რ ე ხოშვა 49,14 'სასმელი შეუსვამს'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., ბზ., ლშხ., I პ. ხვითრე, ბქვ. ხუთრე, ლნტ. მგთრე || ხუთრე 'ვსვამ'; II პ., ბზ., ლშხ. ხითრე, ბქვ., ლნტ. ხგთრე 'სვამ'; III პ., ბზ., ლშხ. ითრე, ბქვ., ეცრ. გთრე || ბეჩ. ითრე, ლნტ. გთრე 'სვამს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ჰარაყს ი თ რ ე ხ 13,3 'არაყს სვამენ'; ლეთრა გ თ რ ე ხ 59,28 'სასმელს სვამენ'.

ბქვ. სგიმგნქა ლიცს დარ გ თ რ ე 69,15 'მჟავე წყლის გარდა წყალს არავინ სვამს'; ი თ რ ე ალ ნაღვეურ არაყს 32,10 'სვამს ეს ბიჭუნა არაყს'...

ლნტ. ლადეღი ხვაჲ ლიცს მ გ თ რ ე 'დღეს ბევრ წყალს ვსვამ; ხედვა ერე მანგარშალ ჲ გ თ რ უ 'რომელიც რომ საქონელივით სვამს'; გ თ რ ე ხ ღვინალა მაგიერ 25,5 'სვამენ ღვინის ნაცვლად'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., ბზ., I პ. ხვითრას, ბქვ. (ეცრ.) ხუთრასვ || ხუთურ || ხუთჳრ, (ცხმ.) ხუთრას, (ბეჩ.) ხუთრასგვ 'ვსვამდი', ლშხ. ხვითრის, ლნტ. მგთრას || ხუთრას 'ვსვამდი'; II პ., ბზ. ხითრას, ბქვ. (ეცრ.) ხგთრასვ || ხგთჳრ, (ცხმ.) ხგთრას, (ბეჩ.) ხგთრასგვ, ლშხ. ხითრის, ლნტ. ხგთრას 'სვამდი': III პ., ბზ. ითრა, ბქვ. გთრა, ლშხ. ითრა || ითრჳდა || ითრჳდ, ლნტ. გთრა || გთრჳდა 'სვამდა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ლიცს დ ე მ ი თ რ ა ხ 'წყალს არ სვამდნენ'.

ბქვ. ... ყანწარშე ღთრახ 123,25 ... 'ყანწებით სვამდნენ'; ეჯი ჩუი ითრა არაყს 32,14 'ისიც ქე სვამდა არაყს';

ლნტ. მახე ჭყინტჟინ ღვინაჭლს ხოჩამდ მღთრაშ 'ახალ-გაზრდობაში ღვინოს კარგად ვსვამდი'. ღთრახ მინ 'სვამდნენ თეითონ': ქრისტიანი ზისხს ღთრედახ 'ქრისტიანის სისხლს სვამდნენ'.

კავშირებითი I: მხ. რ., ბზ., I პ. ხვითრენდ 'ვსვამდე', II პ. ხითრენდ 'სვამდე'; III პ. ითრენდს 'სვამდეს'; ბქვ., I პ. ხუთრადე, II პ. ხღთრადე, III პ. ღთრადეს; ლშხ. I პ. ხვითღრდე, II პ. ხითღრდე, III პ. ითღრდეს, ლნტ. I პ. მღთრედე, II პ. ხღთრედე, III პ. ღთრედეს.

ნიმუშები: ბზ. მი ერ ხვითრენდ... 'მე რომ ვსვამდე': ლნტ. ქაგარს ერ ხღთრღდე (sic), მა მიჭირ (ჩვ. ტ.) 'წამალს რომ სვამდე, რა მიჭირს',

მყოფადი სრული: მხ. რ., ბზ., I პ. ლაბთურე, ბქვ. ლოხთრე, ლშხ. ლოხთრე, ლნტ. ლამთრე || ლამთრე, ხვი 'დავლევ': II პ., ხსვ. ლაბთრე, ლშხ. ლეხთრე, ლნტ. ლახთრე || ლახთრე ხი; III პ., ხსვ. ლაჲთრე, ლშხ. ლეჲთრე || ლენთრე, ლნტ. ლაჲთრე 'დალევს'.

ნიმუშები: ბზ. სგიმს ლაჲთრე 228,12 'მქაფე წყალს დალევს';

ლშხ. ჩუ ლეჲთრე არაყს 44,13 'დალევს არაყს'; თჯით ჲერუ ჭიქვშ ლეჲთღრენ 41,16 'თითო ორი ჭიქით დალევენ'.

ლნტ. ... ჯე ლოქ ლაჲთრე ... 'მე დავლევო'.

უნახავი II: მხ. რ., ბზ., III პ. ღმთრინ ლი || ღმთრინ, ბქვ. ღმთრინ ლი, ლშხ. ღმთრნელი || ღმთრინ, ლნტ. ღმათირ ლი „ნასვამა".

ნიმუშები: ლშხ. ... ეჯის ღმკიდინხ ი ღმთრინხ 19,15 ...'იმას იღებდნენ თურმე და სვამდნენ'.

ლნტ. ეშხუ ეედრა ღჯეს ღმათირლი (ჩვ. ტ) 'ერთ ეედრო რძეს სვამდა თურმე'.

წყვეტილი: მხ. რ. ბზ., I პ. ლრხუშ, ბქვ., ლშხ. ლოხუშ, ლნტ. ლამჲშ 'დაღლიე'; II პ., ლაბჲშ, ბქვ., ლნტ. ლახჲშ, ლშხ. ლახჲშ 'დალიე'. III პ., ხზ., ლაიშ, ბქვ. ლაიშ, ლშხ. ლაღჲშ, ლნტ. ლაიშ || ლაჲშ 'დალია'.

ნიმუშები: ბზ. ჩუ ლაიშ მაგ 192.17 'დალია სულ'; უშგ... მესმე აჯალ ლაიშ 59,6 'მესამე კიდევ დალია';

ბქვ. მი მოლიდ გარ ლოხუშ 85,15 'მე ცოტაღა დავლიე'

ეშხუ ბაკლაშკა ჲჱრაყ ნუღვე, ჲლი ლოხვიშდ 207,10 'ერთი მათარა არაყი გვაქვს და ეს დაგლიეთ';

ლშხ. ოჭკიდ ბობშიღლდ ლიც, ... ლალგშ 62,29 'მოიტანა პატარა ბავშვმა წყალი, ... დალია'.

კავშირებითი II: მხ. რ., I პ., ბზ. ლოხუშა/ე, ბქვ. ლოხუშე, ლშხ. ლოხუშა, ლნტ. ლამჷშა || ლამჷში || ლამჷშე 'შევსვა, დავლიო': II პ., ბზ. ლახჷშა/ე, ბქვ. ლახჷშე, ლშხ. ლახჷშა, ლნტ. ლახჷშა || ლახჷშე || ლახჷში 'შესვა, დალიო'; III პ., ბზ. ლაჲშას/ეს, ბქვ. ლაჷშეს, ლშხ. ლალჷშას, ლნტ. ლაჲშას || ლაჲჷშის || ლაჲჷშეს 'შესვას, დალიოს'.

ნიმუშები: ბქვ. მიჩა აფხნეგდ ეში ხეკვეს ქა ლაჷშეს ეჩა ნათი ჲრაყ 80,19 'იმისმა ამხანაგმა მაინც უნდა დალიოს იმისი წილი არაყი'; ეშხუ ჰიქ ღვინაღლუ ლაიშ (თქვა: ლაიშეს) 148,7 'ერთი ჭიქა ღვინო დალიოსო'.

ლშხ. ამღა ლი წესდ, ერე ლეთრე ხეკვეს მანკჯი მასძელდ ლალგშიხ-ი ღო მუშგჯრალდ 44,19 'ამიტომ არის წესი, რომ სასმელი პირველად უნდა დალიოს მასპინძელმა და მერე სტუმრებმა':

ლნტ. ... ნომა ლოქ ლახჷშე 'ხუ დალევო'.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ. მიშვა || ლამშვა. ბქვ. მიშვა || ლემშვა; ლშხ. მიშვა, ლნტ. მიშვა || ლამიშვა 'დამილევია'. III პ., ბზ. ხრშვა || ლოხშვა, ბქვ. ხოშვა || ლოხშვა, ლშხ. ხრშვა. ლნტ. ლახოშვა 'დაულევია'.

ნიმუშები თურმეობითი I'სათვის:

ბზ. სიმღლდ ჯიშვა ცხჲრეჯშიშა 186,2 'მყავდე წყალი გისვამს ცხარეშის'; ლიც ლოხშვა 'წყალი დაულევია. შეუსვამს';

ბქვ. ჲლი ჲესვა ქა ლოხშვა, მჲგ ჩომსედელი 209,16 'ეს ვისაც შეუსვამს, ყველა დარჩენილა';

ლნტ. სერ ჩუ ლახოშვახ 'უკვე შეუსვამთ'.

ვ. თოფურიას თავის „სვანურ ზმნაში" მითითებული აქვს, რომ სმის ცნების გამომხატველი ზმნა სვანურში დრონაკლია[80]. ამ დებულებას მხარს უჭერს აქ წარმოდგენილი უღვლილების პარადიგმებიც. მსგავსი ვითარება დადასტურებულია ზოგ სხვა ენაშიც[81]. როგორია ვითარება სვანურის მონათესავე ენებში?

---

80 ს. თოფურია, სვანური ენა, I, გვ. 253.

81 თ. ჩოჩუა, სუპლეტივები და მათი ადგილი ენის ლექსიკურ შედგენილობაში, თბ. სახ. უნ. შრომები, ტ. 71, 1959.

ძველ ქართულში, როგორც ეს ტექსტებიდან ჩანს, ს უ ა მ ს ზმნას შეუძლია აწარმოოს ყველა დრო-კილო. მაგ.:

ა წ მ ყ ო: რაჲსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს და ს უ ა მ ს მოძღუარი თქუენი... მ. 9,11[82].

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: ს უ ე ს... ყოველთა... მრკ. 14,23.

კავშ. II: ღუინოჲ და თაფლუჭი არა ს უ ა ს ი. 1,15.

ახალ ქართულში ასპექტის კატეგორიის გამოხატვასთან დაკავშირებით შემდეგმა ვითარებამ იჩინა თავი: „უზმნისწინო ფორმები უსრულო სახისაა (ვსვამ, ვსვი, მისვამს); სრული სახით ჩვეულებრივ დ ა ლ ე ვ ა იხმარება (დავლევ, დავლიე, დამილევია). თუმცა კი „შესმაც“ არ არის მთლად გადავარდნილი. „შევსვამ“ ოდნავ სხვა ნიუანსის მქონეა“[83].

მეგრულში შ უ ნ ს ‘სვამს’ თავისუფლად აწარმოებს სხვადასხვა დროის ფორმას: წყარს შ უ ნ ს ‘წყალს სვამს’; წყარს გ ე შ უ ნ ს ‘წყალს დალევს’; წყარი გ ე შ უ ‘წყალი დალია’, ან: ბრელი შ უ ‘ბევრი სვა’; ბრელი უ შ უ მ უ ‖ გ ე უ შ უ მ უ ‘ბევრი უსვამს, დაულევია’.

როგორც ნიმუშები გვიჩვენებენ, ახალ ქართულთან შედარებით მეგრული არც ასპექტის თვალსაზრისით გვიელვენს სხვაობას. რაც შეეხება ჰანურს, აქაც არ ჩანს ეს ზმნა სუპლეტური წარმოებისა, შდრ. აწმყ. მა წარი ფ შ უ მ[84] ‘მე წყალს ვსვამ’; მყოფ.: წკაი ო შ უ ფ ს ‘წყალს დალევს’; წყვეტ. ყინი წკაი ქ ო შ უ ‘ცივი წყალი დალია’.

სვანურში ი თ რ ე „.., აწმყოს ჯგუფშიღა გვხვდება (ითრ-ა ‘სვამდა’, ლა-ჱთჳრე ‘დალევს’“[85]. დრო-კილოთა II და III ჯგუფში უკვე სხვა ძირის ზმნა შემოდის. ბზ. ლ ო ხ უ შ ‘ვსვი’, ლ ა ხ ჳ შ ‘სვი’, ლ ა ი შ ‘სვა’...; მ ი შ ვ ა ‘მისვამს’, ჯ ი შ ვ ა ‘გისვამს’, ხ რ შ ვ ა ‘უსვამს’...

თ ჳ რ ძირი (თუ თირ, შდრ. ლნტ. ლ ჳ მ ჱ თ ი რ ხვი...) ამოსავალია აგრეთვე საზედაო ქცევის ზმნათა დრო-კილოთა I ჯგუფში, მაგ.: ბქვ-ი: ამ ე ჩ უ ჯ ა ნს სგიმს ხ ა თ რ ე ხ 78.8 ‘აქ ხარს ვეძახ ასმევენ’...; ბზ. (ქა) ლახთჳრე ‘შეასმევს’... მაგრამ წყვეტილსა და კავშირებით II-ში (ქა) ლ ა ხ ჳ შ ‘შეასვა’ გვაქვს... თუმცა დრო-

---

82 ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბილისი, 1945.

83 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 528.

84 ვსარგებლობთ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ნიმუშებით, ჰან.-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი, გვ. 360.

85 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 253.

კილოთა III ჯგ-ში იხმარება მითვნა 'მისმევია, დამილევინებია'; ჯითვნა 'გისმევია, დაგილევინებია', ხოთვნა 'უსმევია, დაულევინებია'...

„... აწმყო ჯგ.: ათვნე (<*ა-თგრ-უნ-ე?) ასმევს (საქონელს), ათვნა 'ასმევდა', აორისტში: ად-თუნ-ე და სხვა"[86].

ათვნე'ს მასდარია ლითვნე. ვ. თოფურიას ერთ-ერთ ნაშრომში ვკითხულობთ: „... ლითრე 'სმა' და ლითვნე 'სმევა, დალევინება (პირუტყვისათვის)' და მათგან ნაწარმოები ფორმები შეინაცვლებენ რ და ნ'ს. ითრე (ლხმ. გთრე) 'სვამს' — ათვნე 'ასმევს პირუტყვს' (შდრ.: ხათრე 'ასმევს ადამიანს'), ხოთვნა 'დაულევია (პირუტყვს, ადამიანს)'. აშკარაა, რომ აქ კაუზატივის (იძულებითი) უნ>ვნ არის გამარჩეველი"[87]. ... და დასასრულ, როგორც ამავე ნაშრომშია აღნიშნული, ათვნე'ში რ და ნ ბგერების მონაცვლეობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ სხვა ზოგიერთი ზმნის მსგავსად, აქაც ადგილი აქვს ფუძისეულ რ'ს კარგვას[88].

მ. ქალდანი სვანური ენის ერთ-ერთი კილოკავის თავისებურებებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ზოგი ზმნის საწყისთა ფუძისეულ რ თანხმოვანს ნამყო დროის მიმღეობის ფუძეში ნ ენაცვლება (ხაზი ჩვენია — კ. გ.) ლი-თრ-ე — ნა-თუნ ნასვამი"[89]. აქაც იმავე კაუზატივის -უნ სუფიქსთან და ფუძისეულ რ'ს კარგვასთან ხომ არ გვაქვს საქმე? ამ აზრს უნდა იზიარებდეს გ. კლიმოვი, როცა წერს „Производная основа в li-twn-e 'поить' (ср. также na-tun 'напившийся') восходит, по Топурия, к lit ar-un-e"[90].

თგრ ძირი ქართულშიც დასტურდება[91]. ქართულში გვაქვს თრობა, მთვრალი, თვრება და ა. შ. ერთი შეხედვით მთვრალსა და თვრებაში ვ ძირისეული ჩანს. მაგრამ რო-

---

86 ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 253.

87 ვ. თოფურია, რ და ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში, თბ. სახ. უნ. შრ., XVIII, 1941.

88 იქვე.

89 მ. ქალდანი, სვანური ენის ჩუბეხეური მეტყველების თავისებურებანი. იკე, XI, 1959.

90 Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков. Москва, 1964. გვ. 96.

91 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 412; არნ. ჩიქობავა, ჭან.-მეგრ.-ქართული შედ. ლექსიკონი, გვ. 360; Г. А. Климов, Этимологический словарь... გვ. 96.

გორც უკვე აღნიშნულია, და ამას ძველი ტექსტებიც გვიდასტურებენ. ვ სუფიქსისეულია, მომდინარეობს -ავ თემის ნიშნისაგან[92].

მაგ.: „იტყოდა: კაცნო ისრაიტელნო, რომელნი-ეგე წინაწარმეტყუელებასა იოველისსა მიუთხრობთ, ხოლო არა იცით წერილი იგი! არა ვითარ-იგი თქუენ ჰგონებთ, ვითარმედ ამათ სთრავს და რამეთუ გუთრავს ჩუენ, არა ვითარ-ეგე თქუენ გულსა მოგიკდა. არამედ ვითარცა წერილ არს: დაითრვნენ იგინი სიპოხითა სახლისა შენისაჲთა... სთრო და მთრვალობითა მით სიფრთხილისაჲთა“[93] (ხაზი ყველგან ჩვენია — კ. გ.).

მაშასადამე, სვანურის მსგავსი ძირი ქართულშიც დაცულია, მხოლოდ ამ უკანასკნელში შინაარსობლივ გადახრასთან გვაქვს საქმე. ეს გადახრა მეორეული უნდა იყოს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს მონათესავე ენათა ჩვენება, მაგალითად, მეგრულში, ერთი მხრივ, გვაქვს[94]: კოჩი ღვინს შუნს ‘კაცი ღვინოს სვამს’ და, მეორე მხრივ: ღვინი კოს ოშუმუანს ‘ღვინო კაცს ათრობს’[95] აქ ერთი შუ ძირით გადმოცემულია როგორც სმა, ისე თრობა.

თგრ ძირი ზანურში არ ჩანს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დრო-კილოთა II და III ჯგუფში გვაქვს ბზ. ლა-ჲშ ‘დალია’, ლა-ჲგშას || ლა-ჲგშეს ‘დალიოს’, ხრშვა ‘უსვამს’... თურმეობითი I’ის ფორმებიდან ჩანს, რომ აქ ძირია შვ. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ იგი მეგრულიდანაა ნასესხები და „ქართულში სუ (სუამს, სუა) ძირს შეისატყვისებს“[96]. უფრო ადრეც მითითებული იყო, რომ ქართული მისუამს=სვ. მიშვა=მეგრ. მიშუმუ. სვანურ-მეგრული ძირია *შუ. ქართულში კი *სუ=სუმა (სუ-ამ-ს)[97].

ადრევეა შენიშნული[98], რომ ჩვენთვის საინტერესო ზმნა ერთერთი ნულმაქცევრიანი ზმნათაგანია. შდრ. ბქვ., ლნტ. გთრე. ეგევე ზმნა ბალსზემოურსა და ლაშხურში წარმოდგენილია ი- ნიშნით — ბზ. ხვითრე, ხითრე, ითრე... ლენტეხურისათვის სა-

---

92 ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 412.

93 სინური მრავალთავი ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1959, გვ. 188.

94 შეპირისპირებისას. გვაინტერესებს მხოლოდ ამ ზმნის სემანტიკური მხარე.

95 არნ. ჩიქობავა, შედ. ლექსიკონი, გვ. 360.

96 ვ. თოფურია, სვანური ენა, I, გვ. 178, შნშ.

97 ვ. თოფურია. ფონეტიკური დაკვირვებანი ქართვ. ენებში, მიმომხილველი, I, 1926.

98 ვ. თოფურია, სვანური ენა... გვ. 45.

ინტერესო ჩანს ის, რომ სუბიექტური წყობისას პირველ პირში ჩვეულებრივი მ გ თ რ ე'ს 'ვსვამ' გვერდით დასტურდება სხვა კილოების მსგავსი ხვ'თი ნაწარმოები ხ უ თ რ ე.

აქ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალები გვიჩვენებენ, რომ ბალსზემოურისათვის არც გ თ რ ე ფორმაა უცხო, ისევე როგორც ბალსქვემოურისათვის — ი თ რ ე. რაც შეეხება ლენტეხურს, აქ გვხვდება როგორც ი თ რ ე, ისე გ თ რ ე. რამდენიმეჯერ დადასტურდა ჲ გ თ რ ე (იხ. ნიმუშები).

უწყვეტლის ნაკვთთან დაკავშირებით აღვნიშნავთ ბალსქვემოურის ფორმებს პირველი პირისათვის: ხ უ თ რ ა ს ვ || ხ უ თ უ რ || ხ უ თ გ რ და ა. შ. აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, პირისნიშნისეული ვ შერწყმია გ'ს. შდრ. ბქვ. ხ უ თ რ ა ს ვ და ბზ. ხ ვ ი თ რ ა ს, ფონეტიკურად ისეთსავე პროცესს დაურჩა ადგილი, როგორიც დადასტურებულია ყ უ ლ ე (<ყ ვ ლ ე) 'ვამბობ' ზმნისათვის იმ განსხვავებით, რომ გ ამ უკანასკნელში ფუძისეულია.

ვ. თოფურიას მონოგრაფიაში ეცერულისათვის დადასტურებულია ხ უ თ უ რ, ხ გ თ გ რ ფორმები. პირველი პირის ფორმაში აღდგენილია ნარედუქციალი ხმოვანი[99]. გვინდა შევნიშნოთ, რომ ადგილობრივ შემოწმებისას ეს და მსგავსი ფორმები ინფორმატორებმა ძლივს მოიგონეს და აღნიშნეს, რომ ძალზე იშვიათად იხმარება, ისიც ძველი თაობის მეტყველებაში. ცხადია, ძველი წარმოების ფორმები ნელ-ნელა ტოვებენ სამოქმედო ასპარეზს.

ლაშხურსა და ლენტეხურში III პირში ჩვეულებრივი ი თ გ რ ა || გ თ რ ა'ს გვერდით სპორადულად დასტურდება -და სუფიქსიანი წარმოება, ლშხ.-ში ი თ რ გ დ ფორმა წარმოდგენილია -ა სუფიქსის გარეშე. როგორც მოსალოდნელი იყო, პარალელური ფორმების სიუხვე შეინიშნება უნახავ II'შიც (იხ. პარადიგ.). ლენტეხურისათვის საინტერესო ჩანს ლ გ მ ა თ ი რ ხ ვ ი და ა. შ. ფორმები, რომლებიც ვნ(ტნ) სუფიქსის გარეშეა წარმოდგენილი. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ სხვა კილოების თ გ რ'ის ნაცვლად აქ თ ი რ გვაქვს.

როგორც ლიტერატურაში არაერთხელ არის მითითებული, ამ ზმნას ლაშხურში დაუცავს III სუბიექტური პირის უძველესი პრეფიქსი ლ'ს სახით: ლ ა ლ გ შ[100]. დანარჩენი კილოები თითქოს არ გვიჩვენებდნენ პირის ნიშანს. მაგრამ, როგორც მ. ქალდანმა გამოავ-

[99] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა... გვ. 90.

[100] იქვე, გვ. 3.

ლინა, III სუბიექტური პირის ნიშანი უკვე ნ-პრეფიქსის სახით დაუცავს ბალსქვემოური კილოს ეცერული კილოკავის კალაშურ მეტყველებას. სხვა ნიმუშებთან ერთად დასახელებულია ლანიშ ფორმაც[101]. ნ'სა და ლ'ს ურთიერთობის შესახებ არას ვიტყვით, რადგან სათანადო ადგილას ამის შესახებ უკვე გვქონდა აღნიშნული (აქვე, გვ. 18).

წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალიდან საინტერესოა უშგულურის ლანიშ ფორმა, რომელშიც გრძელია პრეევრბისეული ხმოვანი, შდრ. იფარული ლაიშ. კავშ. II'ში ლაშხური ჩვეულებრივ იყენებს -ე/-ა სუფიქსებს. -ი სუფიქსიანი წარმოება დადასტურდა არს. ონიანის ლაშხურ ტექსტებში (აქედან აქვს მოყვანილი ნიმუში დეეტერსს, როცა იგი მსჯელობს სვანურის კავშირებითის შესახებ თავის ცნობილ ნაშრომში) და აგრეთვე ჩვენ მიერ ადგილობრივ ჩაწერილ მოხუცთა მეტყველების ნიმუშებში.

5. ღერი 'დის, წავა'

„სვლისა და არსებობის გამომხატველი ზმნები თითქმის ყველა ენაში თავისებურებას იჩენენ. მათი ეს თავისებურება მათივე სიძველის მაუწყებელია"[102]. ამ მხრივ არც სვანური წარმოადგენს გამონაკლისს, სვანურში სვლის ცნებას სხვადასხვა ზმნა გადმოსცემს. მათ შორის დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით საინტერესოა ღერი 'დის, წავა' ზმნა.

შესაბამისი ნაზმნარი სახელები კილოთა მიხედვით:

ბზ., ლშხ. ლიზი, ბქვ., ლნტ. ლიზი 'წასვლა'; ბზ., ლშხ. ლეზი. ბქვ., ლნტ. ლეზი 'წასასვლელი'; ბზ., ლშხ. ლაზ, ბქვ., ლნტ. ლაზ 'სავალი'; ბზ., ლშხ. მეზი, ბქვ., ლნტ. მეზი 'წამსვლელი'; ბზ., ლშხ. ნაზვ, ბქვ,. ლნტ. ნაზვ 'წასული'; ბზ., ლშხ. უზა, ბქვ., ლნტ. უზა 'წაუსვლელი'.

ნიმუშები: ბზ. შვანრე ლაზი ეჩხანჩუნ ლაშიალთე 20.1 'სვანების წასვლა გადაღმა საომრად'; ჩუქვანჟი ხადურდ მამ ლი ლაზ 1,34 'ქვემოდან სულ არ არის სავალი';

ბქვ. ამხავ მეზი ლგარ დარ მეტხელი 32,19 'აქეთ

---

101 მ. ქალდანი, სვანური ენის ბალსქვემოური კილოს ეცერულის თავისებურებანი, იკე, IX—X, 1958, გვ. 215.

102 ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის. ძველ ქართულში,.. გვ. 169.

წამსვლელი ცოცხალი არავინ დაბრუნებულა'; დარ სედნი საყანთექა უზად 80,20 'არავინ რჩება საყანზე გამოუსვლელად'.

ლშხ. ჯერუ-სემი ლადღი ლ ე ზნას ღჟრიხ მეცართე მაგ 11,14 'ორი-სამი დღის სავალზე მიდიან მკითხავთან ყველანი'.

ლნტ. ხარხ ლ ე ზი 74,38 'წასასვლელი ჰქონდათ'; ლაქმახო მ ე ზი ლენტეხა ლექვა მეზგალე ქორვაწლისკა იგენოლხ 6,33 'საშოვარზე წამსვლელნი ლენტეხში მცხოვრებთა ოჯახებში ათევდნენ ღამეს'.

ზმნის უღვლილებადი ფორმები კილოთა მიხედვით:

ა წ მ ყ ო: მხ. რ., ზსვ., ლშხ., I პ. ონღვრი || ჩიხ. ონღვრ, ლნტ. ანღვრი || ანღვრი ხვი 'მოვდივარ'; II პ., ზსვ., ლშხ. ანღრი || ჩიხ. ანღრ, ლნტ. ანღრი 'მოდიხარ'; III პ., ზსვ., ლშხ. ანღრი || ანღრ, ლნტ. ანღრი 'მოდის'.

ბზ., I პ. ესღრი, ბქვ. ოსღრი || ოსხვრი, ლშხ. ოსღრი, ლნტ. ასხვრი || ასხვრი ხვი 'მივდივარ'; II პ., ბზ., ლშხ. ესღრი, ბქვ. ესღრი || ესხრი, ლნტ. ასხრი || ასხრი ხი 'მიდიხარ'; III პ., ბზ., ლშხ. ესღრი, ბქვ. ესღრი || ესხრი, ლნტ. ასხრი 'მიდის' და სხვ.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ...ჯვენდია შუკვს ო ნ ღ ვ რ ი 157,33 'შორი გზიდან მოვდივარ'; ვოდ-ი-ვოდი ა ნ ღ რ ი ძუღვაქა 204,3 'ძლივ-ძლივს მოდის (გამოდის) ზღვაზე'; ჭაბიგვ ა ღ რ ი 209,13 'ჭაბუკი მოდის'; იმავ ე ს ღ რ ი დ 366,2 'საით მიხვალთ'; იფარ. ასღრიხ (sic) 89,25 'მიდიან';

ბქვ. ... გარ ო ნ ღ ვ რ ი 203,35 'მარტო მოვდივარ'; ო ღ ვ რ ი ღარჩუ 205,12 'ჩამოვდივარ შუროში'; ... ტვიბ ა ღ რ ი 214,13 'ღელე მოდის'; ნაჲ ლამახვალთე ო ს ხ ვ რ ი დ 22,26 'ჩვენ სამტროდ მივდივართ'; ათხე ე ს ღ რ ი ხ 29,35 'ახლა მიდიან';

ლშხ. ლაშხ ლექჯა ა ნ ღ რ ი ლიც ლაშხურ 2,14 'ლაშხეთზე მიედინება მდინარე ლაშხურა'; ლამრჲა სგობინჩუ ო ს ღ უ რ ი 85,24 'ლამარიას წინ ჩავდივარ';

ლნტ. ჩუ ლოქ დემ ღ უ რ ი 205,38 'ჩასვლით არ ჩავალო'; დემ-იჯ ღ ჟ რ ი უ აგვხო? 73,28 'არ მიდიხარო სახლში'?; ალ ლიცს ლაშხვირ ეჩაღა ხაჟახა, ერე ეჯი ლაშხხსენ ა ნ ღ რ ი 3,18 'ამ წყალს ლაშხურა იმიტომ ჰქვია, რომ ლაშხეთიდან მოდის'. გვიანდს ალ ქვითარ ა ღ რ ი ხ 185,4 (იხ. შენიშვნა ტექსტში) 'მოგვიანებით ეს ქურდები მოდიან'. მი ლოქვ ა ნ ღ ვ რ ი ხვი 'მე მოვდივარო'; ღ უ რ ი კლასხო 'მივდივარ სკოლაში'; ჩქარდ ა ს ხ რ ი ხ ი 'ჩქარა მიდიხარ'.

უწყვეტელი: მხ. რ., ბზ., I პ. ონღურდას, ბქვ. (ეცრ.) ონღურდასვ || ღვირ, ბეჩ. ონღურდასგვ || ონღვრიდასგვ, ლშხ. ონღურის, ლნტ. ანღურდას 'მოვდიოდი'; II პ., ბზ., ლნტ. ანღვრდას, ბქვ. (ეცრ.) ანღვრდასვ || ღირ, (ბეჩ.) ანღვრდასგვ || ანღრიდასგვ, ლშხ. ანღვრის 'მოდიოდი'; III პ., ბზ. ქვსვ. ანღვრდა || ლნტ. ღვრდა, ბქვ. (ეცრ.) ანღვრდა || ლხმ. ღვრდ, ბეჩ. ანღვრდა || ანღრიდა 'მოდიოდა'.

ბზ., I პ. ესღურდას, ბქვ. ოსღურდასვ || ოსღვირ, ლშხ. ოსღურის, ლნტ. ასხურდას 'მივდიოდი'; II პ., ბზ. ესღვრდას, ბქვ. ესღვრდასვ || ესღირ, ლშხ. ესღვრის, ლნტ. ასხვრდას 'მიდიოდი': III პ., ზსვ. ესღვრდა, ლშხ. ესღვრჳდა, ლნტ. ასხვრდა || ასხვრდ 'მიდიოდა' და სხვ.

ნიმუშები: ბზ. მი ონღურდას 'მე მოვდიოდი'; აშხვ ლადაღ ესღურდას ლანგზარავთე 424,1 'ერთ დღეს მივდიოდი სამგზავროდ'; მაჲ იმექა ესვღურდად ი მაჲ იმექა... 36,9 'ხან სად მივდიოდი და ხან სად';

ბქვ. ... ეჯჟი ანღვრდა მიშგვათეჟი 85,38 ...'ისე ამოდიოდა ჩემკენ'; ეჩშელდ ოსღურდად 4,4 'იმდენი მოვდიოდით'; ამის ჟიბავ მორვარი დეშ ღვრდხ 286,21 'ამის ზევით მედიატორებიც ვერ ადიოდნენ'; ამიშ ლაისგჟი ვოხუშდ მარე ღვრა 123,8 'ამის წასაღებად ხუთი კაცი მოდიოდა'; ლშხ. ჩაჟ სგა დემ ღვრდა 71,13 'ცხენი არ შედიოდა'.

ლნტ. ჩაჟ დემ ანღვრდ (ჩვ. ტ.) 'ცხენი არ მოდიოდა'; შუკვს ერ ასღვრდა... 237,16 'გზაზე რომ მიდიოდა': ჲერბი ლახვბა ლათხვიარხო ასხვრდახ 127,35 'ორი ძმა სანადიროდ მიდიოდა'.

ღვრდა ლოქუ 130.29 მიდიოდაო; ალმინ მაგ ლენტეხა ლექვა ქედენდახ (ასხვრდახ) 6,20 'ესენი ყველანი ლენტეხზე გამოდიოდნენ'.

კავშირებითი I: მხ. რ., I პ., ბზ. ონღურდენ, ბქვ. ონღურდე, ლშხ. ანღურდე, ლნტ. ანღურდე 'მოვდიოდე'; II პ., ბზ. ანღვრდენ, ბქვ. ანღვრდე; ლშხ. ანღვრდე, ლნტ. ანღვრდე 'მოდიოდე'; III პ., ბზ. ანღვრდენს, ბქვ., ლნტ. ანღვრდეს, ლშხ. ანღვრდეს 'მოდიოდეს'.

მხ. რ., I პ., ბზ. ესღურდენ, ბქვ. ოსღურდე, ლშხ. ოსღურდე, ლნტ. ასხურდე 'მივდიოდე'; II პ., ბზ. ესღვრდენ, ბქვ. ესღვრდე, ლშხ. ესღვრდე, ლნტ. ასხვრდე 'მიდიოდე'; III პ., ბზ. ესღვრდენს, ბქვ. ესღვრდეს, ლშხ. ესღვრდეს, ლნტ. ასხვრდეს 'მიდიოდეს'.

ნიმუშები: ბზ. ჰენ'ენსერ ანღვრდედს ვაშლიშვილ... 244.3 'თუ მოდიოდეს ვაშლიშვილი'...

ბქვ. მინე ქუნაჯრს ქრისტეცახან ესერუ ხარხ ლაქუნ. იმგვაჯ თვიმი სარაგ ესერ ანღვრდეს 6,2 'თავიანთ სულებს ქრისტესთან ჰქონდეს ცხონება, სადაც თაფლის წყარო მოდიოდეს'.

ლშხ. ერ ლოქ ანღრვდეს ცხეტაკ ლათხჯაარხენ 55,22 'რომ მოდიოდეს ცხეტაკი სანადიროდან'...

ლნტ. სი ერე ანღვრდე 'შენ რომ მოდიოდე': შომას ერე დავჯარ ანღვრდეხ ქა... (ჩვ. ტ.) 'როცა რომ დეევები გამოდიოდნენ'...

მყოფადი სრული მხ. რ., ბზ., I პ. ჯნკვდენი || კვედნი, ბქვ., ლშხ. ონკვდენი || კვედნი, ლნტ. ანკვედენი [ხვი] 'მოვალ'; II პ., ზსვ, ჯნკდენი || კედნი, ლშხ. ანკდენი || კედნი, ლნტ. ანკედენი [ხი] 'მოხვალ'; III პ., ზსვ., ჯნკდენი || კედნი, ლშხ. ანკდენი || კედნი, ლნტ. ანკედენი 'მოვა';

ზსვ., I პ. ოდრინე || ოდრი[103], ლშხ. ოდინე || ოდრი || ოდრინე, ლნტ. ადვინე 'წავალ'; II პ., ზსვ. ადრინე || ადრი, ლშხ. ადინე || ადრი || ადრინე, ლნტ. ადინე || ადინე ხი 'წახვალ'; III პ., ზსვ. ადრინე || ადრი, ლშხ. ადინე || ადრი || ადრინე, ლნტ. ადინე 'წავა'.

ნიმუშები: ბზ. ადო ქ'ენსერ ჯნკვდენი 92,24... 'თორემ რომ გამოვალო' ... ადო ქ'ენსა კვედნი, ეჩქა კინჩხს ქა ჯაშგბე 306,5. ...'თორემ თუ გამოვალ, მაშინ კისერს მოგწყვეტო'; მი ოდრინე 89,20 'მე წავალ'; ლალცეყნათენსგა ოდრენე 376,6 'კარების ურდულის გასაყრელში შევალ'; ... მ'ოდრინე 198,16 ...'მე წავალ'; ნჯა ლათხვაართე დომ ოდრიდ... 76,35 'ჩვენ სანადიროდ თუ არ წავედით'..,

ბქვ. ეჩქას გუდ ოლკდენიდ... 103,37 'მაშინ მივხვდებით'...

ლშხ. ჯოდ ლოქ სი ანკდენიხი... 71,32 'ვიდრე შენ მოხვალ'; ჯეჲ ლოქ წერნი კოჯხენ ადრი 56,10 'მეც წითელი კლდის მხარეს წავალო':

ლნტ. ... ჟიბებუასტ ანკედენხი (ჩვ. ტ.) 'საქაოში ამოხვალ'; ნათჯრ ჟივ ჯნკინკვლე, მინეშმოყ ლოქ ადკედენი 170,16; ძუღვა ჩვადკვრემი, ეჩქა ქადინეხი სი 'ზღვა გაიყინება, მაშინ გახვალ შენ',

უნახავი II: მხ. რ., ბზ., I პ. ლჳმკჯდენელ ხვი[104] || ლჳმკჯ-

---

[103] ვ. თოფურიას „სვანურ ზმნაში" მითითებული აქვს ოდრინე, ადრინე'ც, გვ. 251.

[104] ბალსზემოურში ამავე შინაარსს გადმოსცემს აგრეთვე: მი ოლმჯზ ხვი

დინ ხვი ‖ ლგმჯადუნ ხვი, ბქვ. ლგმქედოლნე ხვი ‖ ლგმქედოლინ ხვი, ლშხ. ლგმქედნნელ ხვი ‖ ლგმქედრნნელ ხვი, ლნტ. ლგმაქედენ ხვი 'მოვდიოდი თურმე', „მონავალ ვარ"; III პ., ბზ. ლგმჯადენნელ ლი ‖ ლგმჯადუნ ‖ ლგმჯადინ ლი, ბქვ. ლგმქედოლნე ლი ‖ ლგმქედოლინ ლი, ლშხ. ლგმქედნნელი ‖ ლგმქედრნნელი, ლნტ. ლგმაქედენ [ლი 'მიდიოდა თურმე, „მინავალა"'.

მხ. რ., I პ. ლგმაზ ხვი, ბქვ., ლნტ. ლგმაზ ხვი, ლშხ. ლგმაზ ხვი 'მივდიოდი თურმე, „მინავალვარ"'; III პ., ბზ. ლგმაზ [ლი], ბქვ., ლნტ. ლგმაზ [ლი], ლშხ. ლგმაზ [ლი] მიდიოდა 'თურმე, „მინავალა"'.

ნიმუშები: ბზ. ...ზურალჯარ ლგმჯადუნხ 149,25 'ქალები მოდიოდნენ თურმე'; ბქვ. ლაჯვიჰხენქა ლგმქედოლნელი 204,20 'ბუნაგიდან გამოდიოდა თურმე'; მიჩა ჯრგ ლგმაზ 'მისი ჯოგი „მინავალა"';

ლშხ. ეჩაშთე მუშგჯრი ჲერვაჲ ლგმქედრლინ 51,4 'იმასთან სტუმრად ვინც მოდიოდა თურმე'...; ლგმაზნ კესარ მიჩა ჯარშჯ... 68,28 'კეისარი თავისი ჯარით „მინავალა"'; ... ეჩხაჯ ელმაზინ ლამზჯრდ მგლაშხ დიასახლ... 50,5 'იქით „მინავალან" სალოცავად ლაშხელი დიასახლისები';

ლნტ. შომაჲს გიორგი ლგმაქედენლი, ლგმასინჯაჯელი ვისკვს 'როცა გიორგი „მონავალა", სინჯავდა თურმე ვაშლს'; იარაღულ დარმოშ ლგმაზლი 4,38 უიაღაღოდ ვერავინ „მინავალა".

ნ. წყვეტილი: მხ. რ., I პ., ბზ., ოღვე[რ], ბქვ., ლშხ. ონკედ, ლნტ. ანკედ 'მოვედი': II პ., ბზ. აღე[რ], ბქვ., ქვსვ. ანკედ 'მოხვედი'; III პ., ზსვ,, ლნტ. ანკად, ლშხ. ანკად 'მოვიდა': მრ. რ., I Si პ., ბზ., ლნტ. ალკადდ, ბქვ. ოლკადდ, Se პ., ზსვ. ონკაადდ. ლნტ. ანკაადდ 'მოვედით'.

მხ. რ., I პ., ზსვ. ოდე[რ], ლშხ. ოდერ, ლნტ. ადვი[რ] 'წავედი'; II პ., ზსვ. ადე[რ]. ლშხ. ადერ, ლნტ ადი[რ] 'წახვედი'; III პ,, ზსვ. აჩად, ქვსვ. აჩად 'წავიდა'; მრ. რ., I Si პ., ბზ. ალჩადდ, ბქვ. ოლჩადდ, ქვსვ. ალჩადდ; Se პ., ზსვ. ოჩადდ, ლშხ. ოჩადდ, ლნტ. აჩვადდ 'წავედით'.

ნიმუშები: ბზ. პოლიციათე ოღვერ 23.23 'პოლიცია-

'მოვდიოდი თურმე': სი ალმაზ ხი 'მოდიოდი თურმე', ეჯა ალმაზ 'მოდიოდა თურმე', მაგრამ უფრო გავრცელებული კედ ძირიანი წარმოება ჩანს.

ში მოვედი'; უღვირ ზაგარიდ ონკვადიდ 168,32 'უღვირის გადასავალზე მოვედით'; ონკვაბდდ აგითე 28,6 'წამოვედით სახლში'; ალმასხანიშ კურძმარაწლ ხიშდ, ეჯღა ონკვედ (‖ ოღვერ) მი 227,11 'ალმასხანის მოკეთეები ხართ, იმიტომ მოვედი'; ჭალი პილთეჟი აღე 199,26 'მდინარის ნაპირისაკენ წამოდი'; ოდე ლახკთე ლაჭმად 33,12 'წავედი მთაზე სათიბველად'; პზ. ჩი მიშლადეღ მურყვამთ' ადე 128,87 'ყოველ კვირადღეს კოშკზე ადი'; იმთე ლეზი ნად, ეჩხაე მამ ოჩაბდდ 34,12 'საითაც უნდა წავსულიყავით, იქით არ წავედით'; ლახორთე აჩაბდხ ქუნარუ 13,20 'კრებაზე წავიდნენ სულები'. ათხე სიადერ არგითე 64,6 'ახლა შენ წადი სახლში'.

ბქვ. ისგანკადხ ქორთე 103,11 'შემოვიდნენ სახლში'; სგეხკედგნხ სოფელთე 108,9 'შემოვიდნენ სოფელში'; ათხე გუდ ონკვედ, ერე... 204,4 'ახლა მივხვდი, რომ...'; ანკათხ[105] 'მოვიდნენ'; ოდვირ ჟი... 204,19 'ავიდი ზევით'; ღათხვართ' ოჩვადდ მი ი ტარიელ 205,34 'სანადიროდ წავედით მე და ტარიელი'; ვაშლა აჩადიდ მიჩა ხახვთე... 65,19 'ვაშლა კვლავ თავის ცოლთან წავიდა'.

ლშხ. აკად მერმე სახენწიფთე 75,10 'მოვიდა მეორე სახელმწიფოში'; დენსა ანკად 59,32 'არ მოვიდა'; ადერ ლოქ სი 75,17 'წადიო შენ'; ანჩად 'გავიდა' 61,18 აჩად 59,12 'წავიდა',

ლნტ. ანკვედ გუშკვე სოფელხო 'მოვედი ჩვენს სოფელში'; სკანღერ (ჩვ. ტ.) 'შემოდი'; ჩუ ლოქ ანღირ ძირხო 'ძირს ჩამოდიო'; თხეროლ ეჩეხენხო აჩად 130,14 'მველი იქით მხარეს გადავიდა'; მი მერმე აგხო ადვერ 'მე სხვაგან წავედი'; აჩვადდ ლათხვარხო 'წავედით სანადიროდ' .. ხვაჲ ხან ანჩად 311.34 'დიდი ხანი გავიდა'.

კავშირებითი II: მხ. რ., I პ., ზსვ. ლშხ. ონკვე, ლნტ. ანკვე 'მოვიდე'; II პ., ზსვ., ლნტ. ანკე, ლშხ. ანკე ‖ ანკე ხი 'მოხვიდე'; III პ. ყველა კილოსათვის: ანკეს 'მოვიდეს'; მრ. რ., I პ., ზსვ., ლშხ. ოჩე,ლნტ. აჩვე 'წავიდე'; II პ. ყველა კ. აჩე 'წახვიდე'; III პ. ყველა კ. აჩეს 'წავიდეს'.

ნიმუშები: ბზ. ისგვაცახან ონკვემო? 'შენთან ერთად წამოვიდე'?; ქაჯეთი ქვეყანათე იმჟი ოჩე მი 228,19 'ქაჯეთის

---

105 ნიმუში მოგვყავს მ. ჭალდანის სტატიიდან „სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი", იქვე, VII, 1955.

ქვეყანაში როგორ წავიდე'; მშჲ ჩვემინას, იმთე... აჩეს 122,22 'რა ქნას, საით... წავიდეს'. ნომა აჩე... 83,33 'არ წახვიდე'...;

ბქვ. მი მჲხარ ხეკვეს ოჩვე მიშგვა შუკვს 258,23 'მე ხვალ უნდა წავიდე ჩემს გზაზე'; ... ეჩა მგქაფდ ოჩე 156,36 ...'იმის ნაცვლად წავიდე';

ლშხ. ჩრქე არგებს ანკეს ლაქორწილი ლამთილართე 32,13 'სიძე შეიძლება მოვიდეს ქორწილის დროს ცოლოურს'; ეჯი ხეკვეს აჩეს 5,31 'ისე უნდა წავიდეს'.

ლნტ. აჯაღ ლოქ ერ მათშ (|| მაჩ) აჩეს, ეჩქა იმ ლოქ იჩო? 234,29 'კიდევ რომ ვერ წავიდესო, მაშინ რას იზამო?'

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ. ამკედენ ხვი || ამკედ ხვი || მეკდენ ხვი, ბქვ. ომკედე ხვი, ლშხ. ემკედენ ხვი, ლნტ. ამეკედ ხვი 'მოვსულვარ'; III პ., ბზ. ამკედენი || ამკედ[ლი] || მეკდენი, ბქვ. ომკედელი || ომკედ[ლი], ლშხ. ემკედენი || ემკედ, ლნტ. ამეკედ[ლი] 'მოსულ'.

მხ. რ., I პ., ბზ, ამჩედენ ხვი || ამჩედ ხვი || მეჩდენ ხვი, ბქვ. ომჩედე ხვი, ლშხ. ემჩედენ ხვი, ლნტ. ამეჩედ ხვი 'წავსულვარ'; II პ., ბზ. ამჩედელი || ამჩედ[ლი] || მეჩდენი, ბქვ. ომჩედელი || ომჩედ, ლშხ. ემჩედენი || ემჩედ, ლნტ. ამჩედ[ლი] 'წასულა'

ნიმუშები: ბზ. რუსი ჯარ ამკედენი 4,35 'რუსის ჯარი მოსულა'; ძუღვ' ამხანთე ქამკედლიხ 70,14 'ზღვის გადმოლმა გადმოსულან'; ამხვენ შვანე ლამგარ ამჩედენი რაჭთე ლაშიალთე 20,2 'ერთხელ სვანების ლაშქარი წასულა რაჭისაკენ სათმრად'. ამჩედენი 20,2 'წასულა';

ბქვ. ეჯის სი გუდ დეშ ომკედეხი 141,3 'იმას შენ ვერ მიმხვდარხარ'; სიმღ. სგოვ მეჩედლი მეჩი ნაგჲურ 108,44 'შესულა მოხუცი ნაგჲური';

ლშხ. ემკედენიხ სემი მუგჲარ 72,14 'მოსულა(ნ) სამი მტრედი'; ქენჩედენი ნივრა ლაქდათე 57,24 'გასულა ნივრის მოსატანად';

ლნტ. ჲეხვ ლეგდ ამეკედლი 'ცოლი ავად გამხდარა'; ამკედლი[106] 'მოსულა'; ამეჩედელი ალ ჭყინტ 'წასულა ეს ბიჭი'; სკამეჩედლიხ (sic) ალ ჲეხვ-ჭაშ 'შესულა(ნ) ეს ცოლქმარი'. ყაფლან სოფელხო ამეჩედ 147,24 'ყაფლანი სოფლად წასულა'.

---

[106] ნიმუშში მოგვყავს მ. ქალდანის სტატიიდან „სვანური ენის ლენტეხური კილოს ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურებანი", ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961.

ბზ, მიჩა ხეხვმი ძიძაშოე ა მ ჩ ე დ ლ ი ჯა 179.34 'თავის ცოლის ძიძასთან წასულა თვითონ'; ეშხუ-ჯორუ ნაგზი ქა მ ე ჩ დ ე ლ ი 114,5 'ერთი-ორი კვირა გასულია'.

ბქვ. მი მეჩი ხვი, მიშგუ დრევ მ ე ჩ დ ე ლ ი 106,37 'მე მოხუცი ვარ, ჩემი დრო წასულია'. ალ მარე ჰამს კიბდონთეჯსგა ო მ ჩ ე დ 10,6 'ეს კაცი დილას კიდობანში შესულა'.

ლშხ. ე მ ჩ ე დ ხ მინე აგითე 76,4 'წასულან თავის სახლისკენ'.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ს ვ ლ ი ს ცნების გამომხატველი ღ ვ რ ი 'დის, წავა' ზმნა ქართულთან შედარებით სვანურში საკმაოდ მრავალფეროვნად წარმოგვიდგება.

ცნობილია, რომ ახალ ქართულში ერთმანეთს ენაცვლება ვ ა ლ, ვ ე დ (ვ ი დ) და დ ი[107]. აქედან აწმყოს წრის ნაკვთებისათვის გვაქვს დი ძირი (მოვდივარ, მოვდიოდი, მოვდიოდე). მყოფადსა, „...სახელზმნებში (და აქედან III სერიის ფორმებში) ვ ა ლ ძირია გამოყენებული"[108] (თუმცა მყოფადის წრეში შემავალ ხოლმეობითსა და მყოფადის კავშირებითში ვ ი დ გვაქვს: მ ო ვ ი დ ო დ ი.., მ ო ვ ი დ ო დ ე...), მეორე სერიაში კი ვ ე დ || ვ ი დ გვაქვს. ქართულისათვის ძირის გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს იმას, ზმნა იქითა მიმართულებას აღნიშნავს, თუ აქეთას. შდრ. მ ი დ ი ს-მ ო დ ი ს, წ ა ვ ა(ლ ს)-მ ო ვ ა(ლ ს), წ ა ვ ი დ ა-მ ო ვ ი დ ა და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თვალსაზრისით არც ნაზმნარ სახელებში აქვს ადგილი ფუძეთა შორის სხვაობას: წასვლა-მოსვლა, წამსველელი-მომსველელი, წასული-მოსული და ა. შ.

ძველ ქართულში დ ი ძირი არ გვქონდა: ვ ა ლ იხმარებოდა აწმყოშიც: მაგ.: ორბნი მფრინველნი ჩემდა მ ო ვ ლ ე ნ ა ნ... 30,15[109].

ჰანურის (აგრეთვე მეგრულის) აწმყოში გამოყენებული -ულ (<ვულ) მა მ ო ვ უ ლ უ რ (მობულური) 'მოვდივარ', სი მ უ ლ უ რ 'მოდიხარ', ჰეა ქია, ჰიმ) მ უ ლ უ ნ 'მოდის'... იგივე უნდა იყოს, რაც ქართულში ვ ა ლ[110]. ჰანურის (მეგრულის) წყვეტილში გამოყენებულია ხთ ძირი. თითქოს ირღვევა ქართულთან თანხმიმდევრობა: აქ

---

107 ა შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, 1953, გვ. 523.

108 იქვე, გვ. 524.

109 ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბილისი, 1963.

110 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბილისი, 1936, გვ. 172.

ვედ/ვიდ გვაქვს, მაგრამ, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული[111] და მრავალი სხვა ნიმუშითაც დასტურდება, ძველ ქართულში ვედ'ის სინონიმად იხმარებოდა კედ, მაგ.:

და ოდეს წარკდა დღემ ერთი, ღაღად-ყვეს ცრემლით... 36,12[112]. როგორც ამის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ქართული კედ და ზანური ხთ ერთი და იგივეა.

როგორია ვითარება სვანურში? დავიწყოთ ნაზმნარი სახელებით: სვლა'სთან დაკავშირებულ სახელებში გამოყენებული ჩანს სამი ძირი: შდრ. ბზ. ლიზი 'სვლა, წასვლა'; ლიკედ 'მოსვლა', ლიჩედ 'წასვლა, გაქცევა', მაშასადამე, ნაზმნარ სახელებში ზმნის აწმყოს ფუძე არ ჩანს.

გამოთქმული მოსაზრების თანახმად ზლი-ზ-ი და სხვა ნაზმნარ სახელებში იგივე უნდა იყოს მასალობრივ, რაც გვაქვს ქართულ გზა'ში[113].

ჰანურისათვის დადასტურებულია იგზალუ ნასახელარი ზმნა, ნიშნავს წასვლა'ს, გამგზავრება'ს, 'итти, отправляться в путь'. მეგრულში ასეთი ზმნა არა გვაქვს, მაგრამ დასტურდება ორზოლი 'საგზალი', რომლისთვისაც ამოსავალი უნდა იყოს გზალ (არნ. ჩიქობავა). მაშასადამე, ზ ელემენტით ერთმანეთს უკავშირდება ქართული გზა, ჰანური იგზალუ, მეგრული ორზოლი და სვანური ლიზი.

დასასრულ, ნაზმნარი სახელების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ლიზი, ლეზი და ა. შ. ფორმებში ყურადღებას იქცევს ძირეული ზ'ს წინამავალი ხმოვნის სიგრძე. გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად დასახელებულ ფორმებში ხმოვნის დაგრძელება გამოწვეულია ძირისეული გ თანხმოვნის დაკარგვის შედეგად (თუმცა რა იწვევს გ'ს კარგვას, არ არის ცნობილი), ე. ი., ლი-ზი < <*ლი-გზ-ი[114]; მე-ზი<*მე-გზ-ე-დ[115].

ახლა რაც შეეხება ამ ზმნის უღვლილების ფორმებს: აწმყოს

---

111 ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 176.

112 ი. იმნაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

113 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 14.

114 გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 65.

115 იქვე, გვ. 31.

წრის ნაკვთებში გამოყენებულია ღჳრ ძირი, რომელიც ჩვეულებრივ იხმარება **ან-/ეს-** ზმნისწინებით: ა ნ ღ რ ი 'მოდის', ე ს ღ რ ი 'მიდის', მაგრამ ახალი ქართულისაგან განსხვავებით და ძველის მსგავსად, გვხვდება უზმნისწინო ფორმებიც. შდრ. ბქ. ამექა დეშ ღ ჳ რ ი 22,3 'ამაზე ვერ გავა'; ძვ. ქართ. ...ვიდრეცა იგი ვ ა ლ ს, მუნცა შეუდგან მას[116].

ლაშხური აწმყოში ზემოსვანურის მსგავს ფორმებს გვიჩვენებს, მხოლოდ ჩიხარეშულ თქმაში დადასტურებულ ო ნ ღ ვ რ 'მოვდივარ', ა ნ ღ ბ 'მოდიხარ', ა ნ ღ ბ 'მოდის' ფორმებში ძირისეული **-რ-** დაკარგული ჩანს. ზემოხსენებულ ფორმებში მახვილი ინტენსიურად იგრძნობოდა ბოლოკიდურ ხმოვანზე.

ეს- წინდებულის დართვისას ღჳრ ძირი უცვლელადაა დაცული ბალსზემოურსა და ლაშხურში. ბალსქვემოურში ჩვეულებრივ გავრცელებულია I პ. ო ს ხ ვ რ ი, II პ. ე ს ხ რ ი, III პ. ე ს ხ რ ი; გვხვდება ე ს ღ რ ი'ც. მსგავსი ვითარებაა ლენტეხურშიც. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ე ს ხ რ ი მიღებულია ე ს ღ რ ი ს ა გ ან რეგრესული ასიმილაციის გზით, ხოლო პირველი პირის ო ს ხ ვ რ ი ფორმაში პრევერბისეული **-ე-** სასხვისო ქცევის **ო**'ს ან **ვ-** პირის ნიშნის გავლენით **ო**'დ ქცეულა[117].

საილუსტრაციო მასალის ანალიზისას აღსანიშნავია ბალსზემოურში დადასტურებული ა ს ღ რ ი ხ 89,95 'მიდიან'. **ეს-** ზმნისწინის **ას**'ად წარმოდგენა დამახასიათებელია ლენტეხურისათვის.

ბალსქვემოურში **ან-** ზმნისწინის მნიშვნელობით არაიშვიათად გვხვდება **ა-** ზმნისწინი[118]. შდრ. ტვიბ ა ღ რ ი 213,8 'ღელე მოდის' და ვობაშ ალპინისტ ა ნ ღ რ ი მოსკოვხენ 225,17 'ბევრი ალპინისტი მოდის მოსკოვიდან'. მსგავსი უნდა იყოს ბალსზემოურში დადასტურებული ა ღ რ ი 109,13 'მოდის'.

ბალსქვემოურის ფარულ თქმაში გვაქვს როგორც ო ნ ღ ვ რ ი, ისე ო ღ ვ რ ი, ბეჩოურში დასტურდება **ი** სუფიქსის **ჳ**'სთან მონაცვლეობა: ე ს ხ რ ჳ[119], შდრ. ე ს ხ რ ი. ლენტეხურში ა ნ ღ ვ რ ი ს გვერდით აღწერითი ა ნ ღ ვ რ ი ხ ვ ი'ც 'მოვდივარ' გვაქვს.

---

116 ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963. გვ. 28.

117 თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იკე, IX-IX, 1958, გვ. 238.

118 იქვე, გვ. 239.

119 ნიმუში მოგვყავს მ. ჭალდანის სტატიიდან „სვანური ენის ბეჩოური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი", იკე, XIII, 1962.

უწყვეტლის ნაკვთი ხასიათდება ფორმათა მრავალფეროვნებით. ეცერული -დ ა ს ვ'სუფიქსიან წარმოებას გვიჩვენებს: ო ნ ღ უ რ დ ა ს ვ და ა. შ., თუმცა უსუფიქსო ა ნ ღ ვ ი რ, ა ნ ღ ი რ'იც გვაქვს. ბეჩოურში ეგეთე ზმნა გვხვდება ო ნ ღ უ რ დ ა ს გ ვ და ა. შ. ფორმებით. აღსანიშნავია, რომ ბეჩოურისათვის დამახასიათებელია -ი სუფიქსიანი ზმნების მიერ ი'ს შემონახვა უწყვეტლის ფორმანტების წინ: ხ ვ ა კ ნ-ი 'ვხნავ', ხ ვ ა კ ნ ი დ ა ს გ ვ 'ვხნავდი'. ჩვენს ზმნაში კი -ი სუფიქსი უწყვეტელში არ ჩანს, გვაქვს ო ნ ღ უ რ დ ა ს გ ვ..., თუმცა"... იშვიათად იხმარება: ონღვრ-ი-დასგვ, ანღრ-ი-დასგვ, ანღრ-ი-და"[120]. ლაშხურისათვის აღსანიშნავია, რომ მხ. III და მრავლობითის ყველა პირში ძირისეული ჳ დაგრძელებულია. თუ რა იწვევს მის დაგრძელებას, არ არის ცნობილი[121].

საილუსტრაციო მასალის ჩვენებიდან აღვნიშნავთ ზოგიერთს: უწყვეტლის ნაკვთის III პირში ლახამულურს -ა ხმოვნითი ელემენტი არ აქვს[122], ხოლო მრავლობითის -ხ სუფიქსი უშუალოდ დაერთვის ღ ჳ რ დ ხ ფორმას: ღ ჳ რ დ ხ 286,21 'მიდიოდნენ'. ეცერულის III პ. გვაქვს ღ ჳ რ ა 123,8 ფორმა. მოცემულ შემთხვევაში უწყვეტლის მაწარმოებლად -ა სუფიქსი ჩანს, -ა სუფიქსი კი, როგორც ცნობილია, უწყვეტლის მაწარმოებლად გვეელინება -ე სუფიქსიან ზმნებთან[123]. ბალსზემოურში აღვნიშნავთ ე ს ვ ღ უ რ დ ა დ ფორმას, რომელშიც პირველი პირის ვ ნიშნის გავლენით ძირისეული ჳ>უ. ლენტეხურის III პირში პარალელურად გვაქვს ა ს ხ ვ რ დ ა და ა ს ხ ვ რ დ 'მიდიოდა'.

მყოფად სრულსა და აქედან ნაწარმოებ დროებში, აგრეთვე უნახავ II და დრო-კილოთა II და III ჯგუფში შემოდის კ ე დ ძირი, თუმცა მედიოპასიური კ ე დ ნ ი 'მოდის' აწმყოშიც (და აქედან ნაწარმოებ დროებშიც) გვაქვს. მაგ.: ლშხ. სასაშხუმ სიმინდ თელდ ლაშხისა დეშ კ ე დ ნ ი 3,9 'სასაშისხელა სიმინდი მთელ ლაშხეთში არ მოდის'.

კ ე დ'ში ისტორიულად გამოიყოფა ჯ ძირი[124]. -ედ ვნებითი

---

120 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 95.

121 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 92.

122 მ. ჭ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, 1955.

123 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

124 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, მესამე ტიპის ენებითების წარმოება ქართულში, აკად. მოამბე, ტ. III, № 9, 1942.

გვარის სუფიქსია[125]. კ ე დ ჰანურსა და მეგრულში შეკუმშულადაა წარმოდგენილი, ხოლო „დ- დამსგავსებია ხ-ს“[126].

ჰან. ა'ნდღას ... მუში ხოჯაშა ქ ო მ ო ხ თ უ[127] 'ერთ დღეს მოვიდა თავის ხოჯასთან'; მეგრ. მ ი დ ა რ თ ე ნდემში მორდილქე დიარაშა[128] ...'წავიდა დევის გაზრდილი ქორწილში'. მეგრულში რ მეორეულია.

იქითა მიმართულების გამომხატველი ზმნის მყოფადის ფორმები შემდეგნაირად წარმოგვიდგება: I პ. ოდრინე || ოდრი 'წავალ'; II პ. ადრინე || ადრი 'წახვალ'; III პ. ადრინე || ადრი 'წავა'. მაგრამ როგორც ამას ვ. თოფურია ვარაუდობს, მყოფად სრულშიაც ამოსავალია აწმყოს ღ ე რ ძირი. ეს რომ ასეა, ჩანს ამ ზმნის მრავლობითის ინკლუზიური ფორმიდან[129], შდრ. Se ოდერინედ || ოდრიდ, მაგრამ Si ალღერინედ || ა ლ ღ ე რ ი დ. როგორც ჩანს, მხოლობითის სამსავე პირში, მრავლობითის ექსკლუზიურში და აგრეთვე II და III პირში ძირისეული ღ დაკარგულა. მიზეზი ადწინდებული უნდა იყოს[130].

მყოფად სრულთან დაკავშირებით საინტერესოა ისიც, რომ ქვემოსვანურში ლნტ. ა დ ე ი ნ, ა დ ი ნ, ა დ ი ნ... ლშხ. ო დ ი ნ, ა დ ი ნ, ა დ ი ნ ფორმებში ღ ე რ ძირისაგან აღარაფერი დარჩენილა.

საილუსტრაციო მასალიდან აღვნიშნავთ: ლშხ. ა კ დ ე ნ ი ხ ი 'მოხვალ' ფორმას. აქ ან- 'მო-' პრეევერბი გამარტივებულა ა'დ. გარდა ამისა გრძელია ი სუფიქსი. მყოფადში მეშველზმნიანი ფორმები ლაშხურის გარდა ლენტეხურშიც დასტურდება.

უნახავი II აგრეთვე გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნაკვთის გადმოსაცემად გამოყენებულია სხვადასხვა ძირი, მაგ.: ლ ე მ კ ა დ უ ნ ხვი და ო ლ მ ა ზ ხ ვ ი 'მოვდიოდი თურმე, „მონავალვარ“', თუმცა გავრცელებული უფრო პირველი ჩანს. ანალოგიური ვითარება გვაქვს იქითა მიმარ-

---

125 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II: ენიმკია მოამბე, V-VI, 1940.

126 იქვე.

127 ვსარგებლობთ არნ. ჩიქობავას ჰანურის გრამატიკულ ანალიზში მოყვანილი ნიმუშით, გვ. 9.

128 И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрест. и словарем, 1914, გვ. 65.

129 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, გვ. 251.

130 იქვე, გვ. 252.

თულების ზმნასთან: 'მივდიოდი თურმე, „მინავალვარ“'ს შინაარს ძირითადად გადმოსცემს ლგმაზ ხვი, თუმცა იხმარება აგრეთვე ლგმჩად ხვი'ც ... ფაქტი ერთია — უნახავ II'ში არ გვაქვს ღგრი ზმნის აწმყოს ფუძე! თუმცა იქნებ რაიმეს მანიშნებელია ჩვენ მიერ სასაშელი მოხუცისაგან ჩაწერილი: ლგმღგრნრლნელ ხვი — „მონავალვარ“' ლგმღგრნრლნელ ხი „მონავალხარ“, ლგმღგრნრლნელი, „მონავალა“, სადაც ამოსავლად აწმყოს ღგრ ჩანს. მსგავსი წარმოება სხვა კილოებში ვერ დავადასტურეთ. საკითხი კვლავ შემოწმებას საჭიროებს.

წყვეტილის ნაკვთთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი გარემოება: ბალსზემოური თავისი I და II პირის ფორმებით უპირისპირდება სხვა კილოების ჩვენებას: ერთი მხრივ, გვაქვს I პ. ოღვე [რ] 'მოვედი', II პ. აღე [რ] 'მოხვედი'. ხოლო, მეორე მხრივ, III და მრავლობითის ყველა პირში გამოყენებულია ჰად ძირი. ბალსქვემოურსა და ქვემო სვანურში მხ-ის I და II პირში ჰედ გვაქვს. III პირსა და მრავლობითის ყველა პირში ბალსქვემოური და ლენტეხური ჰად'ს გვიჩვენებს, ლშხ. — ჰად'ს. კითხვა ისმის, ბალსქვემოურის ჩვენებაა პირველადი, თუ სხვა კილოებში აღნიშნული ვითარება? პასუხის გაცემა თითქოს შესაძლებელია: ბალსზემოურში სხვა კილოების მსგავსი მდგომარეობა უნდა გვქონოდა: ამას მხარს უჭერს, ერთი მხრივ, ნიმუშის ჩვენება, რომელშიც მოსალოდნელი ოღვურ'ის გვერდით დასტურდება ონჰვედ 'მოვედი', მაგ.: ბზ. ალმასხანიშ კერძმარწლ ხიშდ, ეჯლა ონჰვედ (‖ ოღვერ) მი 227,11 'ალმასხანის მოკეთეები ხართ, იმიტომ მოვედი'.

ხოლო, მეორე მხრივ, კომპოზიტის ჩვენება, რომელშიც ჰედ ძირი გვაქვს, ესაა ბზ. I გუდ ა-ჰვდ ბქ.. ლშხ. გუდ ო-ჰვედ

1.	„ ა-ჰდ	ა-ჰედ
3.	„ ა-ჰად	ა-ჰა/ად
		'მიხვდა'[131].

საგულისხმოა, რომ ნ. მართან წყვეტილში დადასტურებულია ონჰვად ფორმა ხალდურისა და მულახურისათვის[132]. ყოველივე ეს მიგვითითებს, რომ ჰედ I'სა და II პირში არც ბალსზემოურისათვის უნდა იყოს უცხო.

---

131 ვსარგებლობთ ვ თოფურიას „სვანურ ზმნაში“ მოყვანილი ნიმუშებით, გვ. 252.

132 Н. Я. Марр, Извлечение из сванско-русского словаря, გვ. 35.

ბალსზემოურის ო ღ ვ ე-ა ღ ე,.. ფორმებს ჩამოკვეცილი აქვს ბოლოკიდური -რ თანხმოვანი, იხმარება ორივე. იქითა მიმართულების ო დ ე 'წავედი', ა დ ე 'წახვედი' ფორმები შესაბამისად უპირისპირდება მხოლოობითის III და მრავლობითის ყველა პირში გამოყენებულ ა ჩ ა დ'ს. ამ მხრივ ოთხივე კილო ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებს. ცნობილია და ჩვენი მასალითაც დასტურდება, რომ ო დ ე < ო დ ე რ, ხოლო ა დ ე < ა დ ე რ'ისაგან. როგორც ვ. თოფურია ვარაუდობს, ო დ ე რ ა დ ე რ ფორმებისათვის ამოსავალი უნდა იყოს ღ ე რ ძირი[133]. ამას ამტკიცებს ფაქტობრივი მასალა: ო დ ღ ვ ე რ[134], ა დ ღ ე რ... ად- წინდებულის გამო ძირისეული ღ აქაც იკარგვის[135]: ლენტეხური წყვეტილის I და II პირში ა დ ვ ი[რ], ა დ ი[რ]'ს გვიჩვენებს. ეს ფორმები იმითაცაა საინტერესო, რომ შესაძლებელს ხდის გამოიყოს ღ ი რ. იგივე ღ ი რ გვაქვს ეცერულის უწყვეტელში ო ნ ღ ვ ი რ 'მოვდიოდი', ა ნ ღ ი რ 'მოდიოდი'. მხოლოობითის III და მრავლობითის ყველა პირში გამოყენებული ჩ ად/ჩ ად იგივეა, რაც ხ ო ჩ დ ე ნ ი 'მიუდის. გაურბის' ზმნაში გვაქვს[136].

კერძო შემთხვევებიდან აღვნიშნავთ მუსტიურში დადასტურებულ ა ნ კ ა დ გ ნ 'მოვხვდით (მოვედით)' 34,13 ფორმას, რომელშიც, ჯერ ერთი, პრევერბისეული ა უმლაუტიანია, მეორეც, ნახმარია -გ ნ სუფიქსი. ასახსნელია გ'ს სიგრძე. კავშირებითი II ო ნ კ ვ ე 'მოვიდე', ა ნ კ ე 'მოხვიდე' და ო ჩ ე 'წავიდე', ა ჩ ე 'წახვიდე' ფორმებს ჩამოკვეცილი აქვს ბოლოკიდური დ'ონი, რაზედაც მიგვითითებს ამ ზმნათა მრავლობითის ფორმები: ა ნ კ ე დ დ 'მოხვიდეთ' და ა ჩ ე დ დ 'წახვიდეთ'.

ცნობილია და ჩვენი მასალითაც დასტურდება, რომ დრო-კილოთა III ჯგუფში ამოსავალია კ ე დ და ჩ ე დ ძირები. აქაც, როგორც სხვა ნაკვთებთან, ყურადღებას იქცევს პარალელურ ფორმათა სიმრავლე. მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ, რომ ბზ. ა მ კ ე დ, ლნტ. ა მ ე კ ე დ, ლშხ. ე მ კ ე დ ფორმებს ყველა პირში მოკვეცილი აქვს ბოლოკიდური -ე[137]. შდრ, ბქვ.

---

133 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I,.. გვ. 251.

134 ვსარგებლობთ ვ. თოფურიას „სვანურ ზმნაში" მოყვანილი ნიმუშებით, გვ. 251.

135 იქვე, გვ. 247.

136 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, გვ. 252.

137 იქვე, გვ. 251.

ომკედე ხვი..., თუმცა პარალელურად გამარტივებული ომკედ'იც გვხვდება.

6. ესრზი 'გაურბის: გასდის (ქვაბს)' დროთა მიხედვით ძირმონაცვლე ჩანს. ერთმანეთს ენაცვლება ზ და ჩედ ძირები. რადგანაც ზ და ჩედ აქ იგივეა, რაც ლ̃ზი და ლიჩედ ფორმებში გვაქვს, ამდენად აქ მხოლოდ ზმნის ძირითადი ფორმებისა და შესაბამისი ნიმუშების მოყვანით დავკმაყოფილდებით:

აწმყო: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. ემ̃ზი, ბქვ. ემიზი, ლნტ. ამსიზი 'გამირბის; გამდის'; II პ., ბზ., ლშხ. ეჯ̃ზი, ბქვ. ეჯიზი, ლნტ. ეჯსიზი 'გაგირბის, გაგდის'; III პ., ბზ. ესრზი, ლშხ. ოსრზი, ბქვ. ოსეზი, ლნტ. ასოზი 'გაურბის; გასდის'.

ნიმუშები: ბზ. ხოჩ' ერ ლი, ეჯლა ესრზი ხეხვ! 'კარგი რომაა, იმატომ გაურბის ცოლი'!; ლნტ. ეჯის თერაწლესკო ასოზი 'იმას თვალები გვერდზე გაურბის'; ალ კარდალაშს ლიც ასოზი 'ამ ქვაბს წყალი გასდის'.

წყვეტილი: მხ. რ., I პ., ბზ. ამ̃ჩად, ლშხ. ემ̃ჩად, ლნტ. ამ̃ჩად 'გამექცა; გამივიდა': II პ., ბზ. აჯ̃ჩად, ლშხ. ეჯ̃ჩად, ლნტ. აჯ̃ჩად 'გაგექცა; გაგივიდა': III პ., ბზ. ოთჩად, ლშხ., ლნტ. ქ'ათოჩად 'გაექცა, გაუვიდა'.

ნიმუშები: ბზ, თე ამჩად ეჩხავე 'თვალი გამექცა იქითკენ'; ლნტ. ქილგრმ ჩაქ ქ'ათოჩად 'დაჭერილი ცხენი გაექცა'.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. ქ'ამ̃ჩედა, ლნტ. ქ'ამაჩედა 'გამქცევია: გამსვლია'; III პ., ბზ. ქ'ან̃ჩედა, ლშხ. ქ'ოთჩედა, ლნტ. ქ'ათაჩედა 'გაქცევია, გასვლია'.

ნიმუშები: ბზ. ალ შედს ხოშა ლაღალ ქ'ათჩედა 'ამ ჰურჭელს უმეტესი ნაწილი გასვლია': ლნტ. დაჯგლ ქ'ახორმა ი ქ'ათაჩედა 'თხა დაუჭერია და გაქცევია'.

საინტერესოა ის გარემოება, რომ აბსოლუტური აგებულების ̃ტვ-ესჰომე 'გარბის' ზმნები სვანურში არ ჩანს დრონაკლი. შდრ. აწ. ̃ტვ; მყ. ჩვად̃ტვი/ა, წყ. ჩვად̃ტვ(და); აწ. ესჰომე, მყ. ესჰომნი, წყ. ადჰომნე და ახ. ქართ. მირბის — გაიქცევა — გაიქცა[138].

7. ხატყაცი 'სცემს. არტყამს'

მასდარი და მიმღეობები კილოთა მიხედვით:

---

138 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები..., გვ. 564.

ზსვ., ლშხ. ლიყერ[139], ლნტ. ლიტყაცი[140] 'ცემა'; ზსვ., ლშხ. ლეყერ, ლნტ. ლეტყაცი 'საცემი, ვინც უნდა სცემონ'; ზსვ., ლშხ. მგყერ, ლნტ. მუტყაცი „გამლახველი"; ბზ. ნაყირვ, ბქვ., ლშხ. ნაყირ, ლნტ. ნატყაცი 'ნაცემი'; ბზ. უყრა, ბქვ. უყირა, ლშხ. უყირა 'უცემი'.

ნიმუშები: ბზ. ლიყერ ოთბინე 'ცემა დაუწყო'; ლგკვრტვნე ესერ ცხვიარე ნაყირ ლი 2,3 'დაცხრილული ისრების ნარტყამიაო';

ბქვ. მგყერს მიჩა ლეყერთე ეჯი ხად ლეკდე... 290,32 'მცემელს თავის ნაცემისათვის ის უნდა გადაეხადა'... ლატყაცა-ლჯი ნეყირშე თხუმ ზისხ ჯესვას ახწურივ, ეჯის თხვიმ ესერ ხარ მეკვშე 289,33 'ჩხუბის დროს ცემისაგან თავიდან სისხლი თუ სდიოდა, იმას თავი აქვსო გატეხილი';

ლნტ. ემოშ (|| იმოშ) ლოქ მიჩა ხანჯარშვ ეშხუ ნატყაცვჟი ჩვაქვცე 201,25 'თუ თავისი ხანჯლის ერთი დარტყმით გასჭრიო' ; ლიტყაცის ხამარჯვენა 188,33 'ცემას აპირებდა თურმე'.

აწმყო: მხ. რ., ზსვ., I პ. ხვატყცი, ლშხ. ხვატცი; ლნტ. ხვატყაცი 'ვცემ'; II პ., ზსვ. ხატყცი, ლშხ. ხატცი, ლნტ. ხატყაცი 'სცემ'; III პ., ზსვ. ხატყცი, ლშხ. ხატცი || ხატსი, ლნტ. ხატყაცი 'სცემს'.

ნიმუშები: ბზ. სი მარე, იმღა ხატყცი? 225,11 'შე კაცო, რატომ ურტყამ'?

ბქვ. მინ ნა ნატყციხ 83,19 'თვითონ ჩვენ გვცემენ';

ლშხ. ზურალეს შუშარეხ, დაჯრას... ხატსიხ 23,2 'ქალები ცეკვავენ, დაირას...სცემენ'.

ლნტ. ჯიჯვს ალმინს ხატყაცი 'ძვალს ამათ არტყამს',

უწყვეტელი: მხ. რ., ბზ., ლნტ. I პ. ხვატყაცდას, ბქვ. ხვატყაციდასვ || ხვატყაცვ || ხვატყაცვ, ლშხ. ხვატცის 'ვცემდი'.., III პ., ბზ., ლნტ. ხატყაცდა, ბქვ. ხატყაციდა || ხატყცივ, ლშხ. ხატცდ || ხატსდა 'სცემდა'...

ნიმუშები: ბზ. მადრაჯს ხატყაცდას 154,16 'მათრახს სცემდი';

ბქვ. ეჯი ხატციდა 4,23 'ის ურტყამდა',.; თხუმ ხატყცივ... 290,29 'თავზე ურტყამდა';

---

[139] ამავე მნიშვნელობით ბზ-ში იშვიათად იხმარება ლიტყაცნი, ლეტყაცნი და ა. შ., ლშხ. ლიტყცანე, ლეტყცანე და ა. შ.

[140] ლენტეხურში ლიყერ და ა. შ. ფორმები არ იხმარებაო. დასაზუსტ.

ლშხ. ხატსგდა მადრახს ძუღჯას... 69,26 'მათრახით სცემდა ზღვას';

ლნტ. მატყაცდა, მატყაცდა ტორალს 'მირტყამდა, მირტყამდა ტორებს'.

მყოფადის მნიშვნელობითაა ნახმარი აწმყოს ფორმა შემდეგ ნიმუშებში: ბზ. ეჩქა ეჯყი ჯატყცი მადრაჯს... 90,33 'მაშინ ისე დაგარტყამ მათრახს'... ბქვ. ემიგვშ, ედო ჯატყცი 83,16 'დამისხი, თორემ გცემ'.

მყოფადი სრული: მხ. რ., ზსვ., ლნტ. I პ. ხვაჭდე, ლშხ ხვაჭდე 'დავარტყამ'; III პ., ზსვ., ლნტ. ხაჭდე, ლშხ. ხაჭდე 'დაარტყამს'.

ნიმუშები: ბზ. ფაულდს ხვაჭდე თხუმჟი 197,19 'პატარა ჯოხს დავარტყამ თავზე';

ბქვ. ... ერვაჲ მოშ პლატოკს ცხვი-ცჷემდს ქა ხაჭდე, ეჯის როქ ხაჰვდი მიჩა დინაგეზალს 53,36 ...'ვინც ცხვირსახოცს მოარტყამს მშვილდ-ისარს, იმას მივცემო ჩემს ქალიშვილს';

ლნტ. ... ეჩქა ხვაჭდე ჯოხს 'მაშინ ჯოხს დავარტყამ'.

უნახავი II: მხ. რ., ბზ., I პ. ლჷმჯიდნელ ხვი || ლჷმჯიდინ ხვი, ბქვ. ლჷმჯიდინ ხვი „ნარტყამვარ"; III პ., ბზ. ლჷმჯიდნელი || ლჷმჯიდინ, ბქვ. ლჷმჯიდინ ლი „'ნარტყამა'".

წყვეტილი: მხ. რ., ზსვ., ლნტ. I პ. ხვაკდ, ლშხ, ხვაჯ 'ვცემე, დავარტყი'; II პ., ზსვ., ლნტ. ხაკდ, ლშხ. ხაჯ 'სცემე, დაარტყი'; III პ., ზსვ., ქვსვ. ხაკიდ 'სცემა, დაარტყა'; I Si პ., ზსვ., ქვსვ. ლაკიდდ, Se ხვაკიდდ 'ვცემეთ, დავარტყით'.

ნიმუშები: ბზ. ხვაჲ ხვაკიდდ აჯაღ 38,37 'ბევრი ვცემეთ კიდევ'; ლათ მადრაჯ მაკდ სი 59,25 'გუშინ მათრახი დამარტყი შენ'; ჰალაგმჷყ სუმინ (|| სამინ) ხაჯ აქლემს მათრაჯ 272,20 'ჭიშკართან სამჯერ დაარტყი აქლემს მათრახი'; ბქვ. ექდად ქა ხაკიდხ 44,35 'ორივემ გაარტყა'; ლნტ. .,. ეჩქა ხვაკდ თუფ დაშტვს... (ჩვ. ტ.) 'მაშინ მოვახვედრე თოფი დათვს'. ალ მათრახი ნაჭვიც ხაკიდ ბეჟანს 198,29 'ამ მათრახის ნაგლეჯი (ნაჭერი) დაარტყა ბეჟანს' 198,29; დიაკვენს ლოქ ხაჯ 114,3 'დიაკვანს დაარტყიო'; ჩემი ქორა ყორს ჟი ხაკიდ ბეჭეტ 173,21 'ყველას სახლის კარს დაარტყა ბეჭედი'; შდრ. იქვე 173.23: ჩემი ქორა ყორს ჟი ხაყირ ბეჭეტ 'ყველას სახლის კარს დაარტყა ბეჭედი'.

კავშირებითი II'ის ნიმუში ლენტეხური კილოდან: ეჭკალი ლოქ ხაკჷდეს მათრახ, ერე კან ლოქ ჟ'ახეტყეფს 295.8 'ისე დაარტყას მათრახი, რომ კანი ააღლიტოს'.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: მხ. რ., ბზ., I პ. მიყირა/მიყრა[141], ბქვ., ლნტ. მიყირა, ლშხ. მიყირა 'გამირტყამს'; III პ., ბზ. ხოყირა/ხოყრა, ბქვ., ლნტ. ხოყირა, ლშხ. ხოყირა 'გაურტყამს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ., პოეზ. ფადასგი მუქეეღდ ბარჯად მ ი ყ რ ა 86,60 'მდევრის მძღოლისათვის მხარში მომირტყამს'; ... თვითჟი გურნა ქი ხ ო ყ ი რ ა ხ ...'სათითაო ქვა (ყველას) დაურტყამს';

ლშხ. ეჩქა ხ ო ყ ი რ ა მადრაკ ჩაჟიშდ 76,3 'მაშინ მათრახი დაურტყამს ცხენისათვის';

ლნტ. ღერბათე მეხ ხ ო ყ ი რ ა 75,1 'ღმერთს მეხი დაურტყამს'. ახოთოფა ამშაშე ლაჲდი ი ხ ო ყ ი რ ა (ჩვ. ტ.) 'ამისათვისაც უსვრია თოფი და მოურტყამს'.

დ ა რ ტ ყ ა მ ი ს, ც ე მ ი ს გამომხატველი ზმნა დრონაკლი ჩანს ზოგ ინდოევროპულ ენაშიც[142]. ქართველური ენებიდან ქართულ-მეგრული ამ მხრივ არ გვიჩვენებს რაიმე საინტერესოს. აქ ს ც ე მ ს, ა რ ტ ყ ა მ ს ზმნები წესირია და თითოეული მათგანი თავისუფლად აწარმოებს ყველა დრო-კილოს. შდრ. ქართ. ს ც ე მ ს (ახლა და მომავალში), ს ც ე მ ა, უ ც ე მ ი ა; ა რ ტ ყ ა მ ს-დ ა ა რ ტ ყ ა მ ს-დ ა ა რ ტ ყ ა-დ ა უ რ ტ ყ ა მ ს; მეგრ. ლ ა ხ უ ნ ს 'სცემს', გ ო ლ ა ხ უ ნ ს 'სცემს' (მომავალში), გ ო ლ ა ხ უ 'სცემა', გ უ ლ ა ხ უ[143] 'უცემია'; მ ი თ შ ი ო გ ა ნ ს 'არტყამს'; მ ი ო გ ა ნ ს 'გაარტყამს', შ ი ო გ უ 'გაარტყა', მ ე უ გ ა მ უ 'გაურტყამს'.

მონათესავე ენებისგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს სვანური, სადაც ეს ზმნა სხვადასხვა დრო-კილოში სუპლეტურ წარმოებას ავლენს. მართლაც, როგორც მანამდე იყო ცნობილი და აქ წარმოდგენილმა ნიმუშებმაც დაადასტურეს, სვანურში ს ც ე მ ს, ა რ ტ ყ ა მ ს ზმნა სამ სხვადასხვა ძირს იყენებს დრო-კილოთა წარმოებისას. სახელდობრ: აწმყოსა და აქედან ნაწარმოებ დროებში გვაქვს ტ უ ა ც ძირი, მყოფად სრულსა, უნახავ II და დრო-კილოთა II ჯგუფში — ქ ე დ[144] (resp. ჯიდ), ხოლო III ჯგუფში გვაქვს უ ი რ, უფრო სწორად უ ე რ ძირი, შდრ. ლიყერ და ა. შ.

სვანურში გამოყენებული ძირებიდან ქ ე დ, უ ე რ ზემოხსე-

---

141 მ ი ყ რ ა ნიშნავს ავრეთვე 'გამიკეთებია, მიქნია (იმისათვის)'.

142 თ. ჩ ო ჩ უ ა, სუპლეტივები და მათი ადგილი ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, თბ., სახ. უნ. შრ., ტ. 71, 1959.

143 И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, გვ. 271.

144 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა... გვ. 255.

ნებული მნიშვნელობით ქართულისათვის (ზანურისათვისაც) უცნობი ჩანს. რაც შეეხება ტ ყ ა ც ძირს (შდრ. ლნტ. ლ ი ტ ყ ა ც ი 'ცემა'), გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ იგივე ძირი უნდა გვქონდეს, რაც წარმოდგენილია ჰანურ-მეგრულ ტ ქ ვ ა ც-ტ ყ ვ ა ც, ქართულ ტ კ ა ც'ში: გასკდომა, აფეთქება, разорваться, взорваться, მეხის გავარდნა, удар молнии[145], ტკაცანი, трещать[146].

სახელზმნებად ზემოსვანურსა და ლაშხურში ჩვეულებრივ დაგვისახელეს ყ ე რ ძირიანი ლ ი ყ ე რ, მ ჳ ყ ე რ და ა. შ. გაკვრით — ბზ. ლ ი ტ ყ ც ა ნ ი... ლენტეხურში კი, პირიქით, ტ ყ ა ც ძირიანი წარმოება ჩანს ძირითადი, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასეთი წარმოდგენა შეგვექმნა. ერთი უდავოა: თანამედროვე სვანურში ორივე იხმარება — ერთი კილო ერთს აძლევს უპირატესობას, მეორე — სხვას.

ნამყოს მიმღეობა ნ ა ყ ი რ ვ ბალსზემოურში ვ'თია გართულებული ნ ა რ დ ვ 'ნამყოფი' და ა. შ. ფორმების მსგავსად. გარდა ამისა ძირისეული -ე'ს ნაცვლად -ი გვაქვს. შდრ, ლ ი ყ ე რ, ლ ჳ ყ ე რ და ა. შ. ფორმებს. ბალსზემოურის უ ყ რ ა 'უცემი' უარყოფით მიმღეობაში ძირისეული ხმოვანი რედუცირებულია. შდრ. ბქვ. უ ყ ი რ ა, ლშხ. უ ყ ე რ ა. საილუსტრაციო მასალიდან აღვნიშნავთ ბზ. ნ ა ყ ი რ'ს, რომელიც ვ'ს გარეშეა წარმოდგენილი.

აწმყოში რომ ამოსავალია ტ ყ ა ც ძირი, ამაზე მიგვითითებს ლენტეხური, სადაც ძირისეული ხმოვანი, თუმცა უმლაუტიანი, წარმოდგენილია. შდრ. ბზ. ხ ვ ა ტ ყ ც ი, ლნტ. ხ ვ ა ტ ყ ა ც ი და ა. შ. ლენტეხური იმითაც არის საინტერესო, რომ წინამავალი ა'ს უმლაუტთან გვაქვს საქმე[147]. ლაშხურის ხ ვ ა ტ ც ი'ში (აგრეთვე სხვა ნაკეთებში) ძირისეული ყ არ ჩანს, ხოლო საილუსტრაციოდ წარმოდგენილ ხ ა ტ ს ი ხ 23,2 'სცემენ' (უწყვ. ხ ა ტ ს ჳ ა... 69,29 'სცემდა') ფორმებში ძირისეული ც'ს ნაცვლად ს'ანი გვაქვს.

უწყვეტელში ეცერულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხ ვ ა ტ ყ უ ც ი დ ა ს ვ, ხ ა ტ ყ უ ც ი დ ა ს ვ, ხ ა ტ ყ უ ც ი დ ა ფორმების პარალელურად ბალსქვემოურში გვხვდება ხ ვ ა ტ ყ ა ჳ ც ვ 'ვცემდი', ხ ა ტ ყ ა ჳ ც ვ 'სცემდი', სადაც წარმოდგენილია ძირისეული ხმოვანი ბალსზემოურისა და ლენტეხურის მსგავსად, მაგრამ III პირ-

---

145 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექსიკონი... გვ. 323.

146 შდრ. მეგრული: თიჯგუა ტ კ ა ჩ უ 'ისეთი სტკიცა'.

147 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლენტეხური კილოს ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურებანი, ქართვ. ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961.

ში უკვე რედუცირებული ფორმა გვაქვს -и- სუფიქსის წყალობით: ხ ა ტ უ ც ი დ ა || ხ ა ტ უ ც ი ვ 'სცემდა'. ლაშხურში უწყვეტლის III პირში მაწარმოებლად გვევლინება -ვდ, მაგრამ როგორც ხ ა ტ ს ვ დ ა ნიმუში გვიჩვენებს, არც -ვდა სუფიქსიანი წარმოება უნდა იყოს მისთვის უცხო.

ქ ი დ ძირი, რომელიც გარკვეულ ნაკვთებშია გამოყენებული, ზოგჯერ კარგავს ძირისეულ -დ'ონ'ს: ლშხ. ბ ვ ა ქ 'დავარტყი', ბზ. მ ა ქ 'დამარტყი' და ა. შ.

ლენტეხურში (სოფ. ხელედში) თურმეობით I'ში რამდენიმე პირისაგან მოვისმინეთ ხ ო ყ ი რ ა. მსგავსი ფორმები დადასტურებული აქვს მ. ქალდანს[148]. აქ და მსგავს შემთხვევებში უ ბგერა გამოითქმოდა, როგორც მეგრული ღ ი ნ ი 'ყინული', ღ ი ა ნ ს 'ყივის' და ა. შ.

წ. წყვეტილში, როგორც წესი. გამოყენებულია ქ ი დ ძირიანი ფუძე. დროთა მესამე ჯგუფში ყ ი რ გვაქვს, როგორც ჩანს, ეგეთე ძირი თავს იჩენს ხოლმე II სერიაში. შდრ, ლნტ. ჟ ი ხ ა ქ ი დ 173,21 და ხ ა ყ ი რ 173,23.

ყ ე რ ძირთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ხმოვანთა შემდეგი მონაცვლეობა: ყ ე რ (ლ ი ყ ე რ 'ცემა') / ყ ა რ (ი ყ ა რ ე ლ 'იცემება') / ყ ი რ (ხ ო ყ ი რ ა 'გაურტყამს'). III სერიის ფორმებთან დაკავშირებით ისიცაა აღსანიშნავი, რომ ბზ-სა, ლშხ-სა და ლენტეხურში დ ა მ ი რ ტ ყ ა მ ს მნიშვნელობით იხმარება ავრეთვე მ ი ჩ დ ა / მ ი ჩ ე დ ა. და უკანასკნელ: ხ ა ჯ ი დ 'სცემა, დაარტყა' უპრეველრბოდ გადმოსცემს სრულ ასპექტს[149].

8. ა ხ ღ ვ ა 'მოაქვს, მოჰყავს'; ესღვა 'მიაქვს, მიჰყავს'.

ნაზმნარი სახელები კილოთა მიხედვით: ზსვ., ქვსვ. ლიქდე 'მოტანა, მოყვანა (ცხოველისა')...) ლეკდე 'მოსატანი, მოსაყვანი'; ზსვ., ლნტ. ლაკდა, ლშხ. ლაკდა 'მოსატანი'; ზსვ., ქვსვ. ლ ე კ ი დ 'მოტანილი'; მგკდე 'მომტანი, მომყვანი'; ზსვ,. ლნტ. ნაკიდვ 'მოანატანი, მონაყვანი'; ბზ. უკიდა 'მოუტანელი, მოუყვანელი'.

ბზ. ლიი || ლიჲესგი, ბქვ. (ლხმ.) ლიისგ, ლშხ. ლიჲეს, ლნტ. ლიჲესკ || ლიჲეს 'წაღება, წაყვანა'; ბზ. მ გი || მჲეშგი, ბქვ. (ლხმ.) მჲესგ, ლშხ. მჲეს, ლნტ. მჲესკ 'წამღები, წამყვანი'; ბზ. ლეი || ლეჲეშგი, ბქვ., ლეისგ, ლშხ. ლეჲეს, ლნტ. ლეჲესკ 'წასაღები, წა-

148 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი.

149 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 53.

საყვანი'; ბზ. ლ ჷ ჯე || ლჯესგი 'წაღებული, წაყვანილი'; ბზ. ნაჯასგე, ბქვ. ნაჯასგ 'წაღებული, წაყვანილი'; ბზ, უჯა, ბქვ. უა, ლშხ. უჯესა, ლნტ. უჯესკა 'წაუღებელი, წაუყვანელი'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ალჯარს მევარ ათხიდღნდახ... კუმში ლ ი კ დ ე 171,32 'ამათ ძალიან გაუხარდათ... საქონლის მოყვანა'; ... ათუქდა ლაირალე მ ჷ კ დ ა 132,18 'ჩაეძინა წერილების მომტანს'; პოეზ. სი მჷლდეღილ, იმ ხიწბჷრაჷლ, კ ი დ უ ლ მეროლე ძუღვაში 172,10 'შე მწყემსავ, რას იპარსები, მისატანი („ძღვენი") მექნები ზღვისა';

ბქვ. ხად ლ ე კ დ ე 292,25 'მოსატანი ჰქონდა'; ხელწიფდ ემდჯარე მარა ოთთონე... რაშიშ ლ ა კ დ ა თ ე 332,25 'ხელმწიფემ თორმეტი კაცი გააგზავნა... რაშის მოსაყვანად';

ლშხ. სურუ ჯრდჯა ლ ე კ დ ე ლ ი 5,12 'ნამეტანი შორიდან მოსატანია';

ლნტ. ქა ლუქვე ჯიშჯრჯნქა სკა ლ ჷ კ ი დ ხარხ მერბე-მერაე ჯიში ლერწჯლ 26,30 'ნათქვამი (მოხსენიებული) ჯიშების გარდა შემოტანილი აქვთ სხვადასხვა ჯიშის კალმები'; ალ ბზითუნახაჯი ნ ა ვ კ ი დ ი ლოქ მაჯდ ხარ 159,19 'ამ მზეთუნახავის მოუყვანლობა არ შეიძლებაო'.

ბზ. დინჯ ლ ი ე ს გ ი მაჯდ ხეკეაჯდხ 368,14 'ქალიშვილის წაყვანა არ უნდოდათ'; (ჯ)ერვაჯ ღენ მიშგვა ვისგვი მ ჷ ჯ ე ს გ ი ხი 145,3 'ვიღაცა ხარ ჩემი ვაშლის წამღები';

ლშხ. მა შიღჷნ ათხად ლოქ ქორხენქა ლ ი ჯ ე ს ლჷკად 8.4 'წინათ სახლიდან რძის (რძედ) წაღება არ შეიძლებოდაო';

ლნტ. ხეკვაღხ ამშა ლ ი ჯ ე ს ჟიბე შვანხო 'უნდოდათ ამის წაყვანა ზემო სვანეთში'; ალ ვოხვიშტ მარეს ხაკვედახ ალ მარემი ლირმი ი შვანხო ლ ი ე ს (sic) 'ამ ხუთ კაცს „ნანდომებათ" ამ კაცის დაჭერა და სვანეთში წაყვანა'; დესა ლოქ ჟიბებუშტხო მ ჷ ჯ ე ს კ მაჯმა ხოხალხჷ 212,19 'არავინ (არაფერი) იცით, რომ ზედა ქვეყანაში წამიყვანოსო; ჟიბე სახენწიფოხო ლ ი ე ს კ ლოქ ხაკუ 147.11 'ზედა სახელმწიფოში წაყვანა მინდაო'; ხარხ ქა ლ ჷ ე 62,15 'აქვთ წაღებული'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., ზსვ., I პ. ამღვა/ე, ლშხ. ემღვა, ლნტ. ამვღვა/ე 'მომაქვს'; III პ., ზსვ. ახღვა/ე, ლშხ. ოხღვა, ლნტ. ახვღვა/ე 'მოაქვს' და სხვ.

ზსვ., ლშხ., I პ. ემღვა, ლნტ. ამსუღვა/ე 'მიმაქვს'; II პ., ზსვ. ეჯღვა, ლშხ. ეჯღვა || ედღვა, ლნტ. აჯსუღვა/ე 'მიგაქვს'; III პ., ზსვ. ესღვა || ოსღვა, ლშხ. ოსღვა, ლნტ. ასუღვა/ე 'მიაქვს'.

ნიმუშები: მზ. ...ჰაერქა ახღვა 109,27... 'ჰაერზე მოჰყავს'; ჯერხის ახღოხ ნაბდიშ ქაფჯარ 'ზოგს მოაქვს(თ) ქეჩის ტვირთები'; ლშხ. ...ეჩა ქუნ ოხღვა ბუქს 3,33... 'იმისი სუნი მოაქვს ქარს'; მზ. რივუნს ესღო (|| ესღვა) 59,33 'წყალს (რიონს) მიაქვს'; ლემზგრაულს ხვანყედ, ქა ხვაიდ ლაკვამთე 10,3 სეფისკვერებს ვაცხობთ და მიგვაქვს ეკლესიაში; ბქვ. ამხენი ესღვა ლიც ზურალს 58,11 'აქედან ააქვს წყალი ქალს'; ლჳც ოსღვა 242,2 'წყალს მიაქვს'; ლშხ. მეცარიშთე ოსღვა ჯერუ მანათ 11,23 'მკითხავთან მიაქვს ორი მანეთი';

ლნტ. ვედრავშ ლიც აგუღვა 20,25 'ვედროთი წყალი მოგვაქვს'; მა ლოქ აჯუა, ბედნიერ? 59,19 'რა მოგაქვსო, ბედნიერო'? ასუღვა 76,12 'მიაქვს'. ისკლეთი დვრეჭაჟი იკედ ი ასაავე (ასავა || ასღვა || ასუღვა) ქჳმხო 154,5 'შუაღამისას იღებს და მიაქვს გარეთ'; ასუა ქჳმხო 59,20 'მიაქვს გარეთ'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ. ამღვჳნ || ამღვჳნდა, ბქვ. ამღვჳნ || ამღვჳნდა || ამღვანდ, ლშხ. ემღვჳნ, ლნტ. ამუღვაჳნ || ამუღვჳნდა 'მომქონდა'; III პ., ბზ. ახღვჳნ || ახღვჳნდა, ბქვ. ახღვაჳნ || ახღვჳნდა || ახღვანდ, ლშხ. ოსღვჳნ, ლნტ. ახუღვაჳნ || ახუღვჳნდა 'მოჰქონდა' და სხვ.

ბზ., I პ. ემღვჳნ || ემღვჳნდა, ბქვ. ემღვჳნდა ||ემღვანდა, ლშხ. ემღვჳნდა, ლნტ. ამსუღვაჳნ || ამსუღვჳნდა 'მიმქონდა': III პ., ბზ. ესღვჳნ || ესღვჳნდა, ბქვ. ესღვჳნდა || ოსღვანდა, ლშხ. ოსღვჳნდა, ლნტ. ასუღვაჳნ || ასუღვჳნდა 'მიჰქონდა'.

ნიმუშები: ბზ. ნაბოზს ჰემ ამღვჳნ 'საღამოს თივა მომქონდა';

ბქვ. ...მეშხე ახღვანდა რიენს 82,12 'შავი მოჰქონდა რიონს (დიდ წყალს)';

ბზ. ესღვჳნ ყრრაღისგა 106,29 'შეჰქონდა კარებში'; ...მაგ ესღვჳნდა 300,85... 'ყველაფერი მიჰქონდა';

ბქვ. ...ღვარს ესღვანდა მაგ 60,19... 'ნიაღვარს მიჰქონდა ყველაფერი'; ქუნემ მგტხა ჩანგ ჰედ ჭინირ ესღვანდ... 301,8 'სულის დამბრუნებელს ჩანგი ან ჭიანური მიჰქონდა'.

ლნტ. გომიჯარშე გვეში კარიაჲლ ახოღვანდახ 55,11 'გომიჯით (პურია) სავსე გოდრები მოჰქონდათ'; არწივს კანი ბარჯ ასუღვჳნდა 'არწივს ხარის ბეჭი მიჰქონდა'.

კავშირებითი I: მხ. რ., ბზ., I პ. ამღვჳნდეს, ბქვ. ამღვანდეს, ლშხ. ემღვენდეს, ლნტ. ამუღვანდეს || ამღვანდეს || ამ-

ღვენს 'მომჭონდეს'; III პ., ბზ. ახღვჳნდღედს, ბქვ. ახღვანდეს, ლშხ. ოსღვენდეს, ლნტ. ახუღვანდეს || ახღვანდეს || ახუღვენს 'მოჭონდეს'.

ნიმუშები: ბზ., მი ეჯი მიცხა, გვეში ამღვჳნდენდს 'მე ის მირჩევნია, სავსე მომჭონდეს'; ეჩქა ესერ მიჩჳშთეჭა ლახ ახღვენდენდს, ქავ ესერ ოთღე 266,24 'მაშინ მასთან როცა მოჭქონდეს, წაართვიო'.

მყოფადი სრული: მხ. რ., ზსვ., I პ. ქვიდე || ბზ. ჳნქვდე || ონქვდე, ლშხ. ონქვდე, ლნტ. ანქვდე 'მოვიტან': ზსვ., II პ. ჯიდე || ბზ. ანქდე, ლშხ. ანქდე, ლნტ. ანქდე || ანქდე ხი 'მოიტან'; III პ., ზსვ. ჯიდე || ბზ. ჳნქდე || ანჯიდე, ქვსვ. ანქდე 'მოიტანს'.

ბზ., I პ. ოთხვინე || ხვაჳესგი, ბქვ. ოთხჳასგ || ხვჳასგ || ლხვ. ოთხვჳასგ, ლშხ. ოთჳეს, ლნტ. ათხვჳაეს[ქ] 'წავიღებ, წავიყვან', III პ., ბზ. ადინე || ჳაჳესგი, ბქვ. ადჳასგ || ჳაესგ, ლშხ. ადჳეს, ლნტ. ადჳაეს[ქ] 'წაიღებს, წაიყვანს'.

ნიმუშები: ბზ. ეჩუნლო ქა ქიდეხ ლეტერაჲლს 14,11 'იმის მერე გამოიტანენ სანთლებს'; მ'ანქვდე ლიცს 253,26 'მე მოვიტან წყალს'; ეჩას ლახე ხეხვდ ჳნქიდე... 145,26 'იმას თუ ცოლად მოიყვანს'...; ეჩასი ლახ ამეჩუ ჳნქდედ 145,12 'იმასაც თუ აქ მოიტანთ';

ბქვ. ... გვიშგე ლჳაჳხვას ნაქიმვს ოლქიდედ 62.6 'ჩვენს ცოლებს ნაშოვარს მივუტანთ';

ლშხ. ანქდეხ ჯიმს... 35,12 'მოიტანენ მარილს'.

ლნტ. ერჳა ეჩის ხუნქვი ანქდე... 'ვინც იმას პირველი მოიტანს'.

ბზ. ... ქანჳარს ოთხვინე 154,24... 'ხარებს წავიყვან'; ითქს ი ვეკს მ'ოთხვინე დარბაზზთე 432,16 'მარცვალსა და ბზეს მე წავიღებ დარბაზში (=საბძელში)'; პოეზ. ბაზი ლათვნად მი ოთხვიი 310,49 'ამაღამ წყლის დასალევინებლად მე წავიყვან'; ჳიხ ლჳმთილთე 6,28 'მიჰყავთ სამჳამთილოში'; ... დიჳრს ი ზედჳშს ჳჲი მჳგ 13,2 'პურსა და ზედაშს წაიღებს ყველა'.

ლშხ., პზ. მინე-მინე ნჳთის ადიესხ აგითე 378,29 'თავთავიანთ წილს შინ წაიღებენ'; ... ეჯი ადჲესხ სგა ქორთე 7,17 'ისე შეიტანენ სახლში'; ... ანჲეს ბაპა საროსტა ბაპა ქორთე 10,3 'მღვდლის სტაროსტა წაიღებს მღვდლის სახლში';

ლნტ. მგხჳრ ლოქ ჳჲესკ 180,14 'ხვალ წაიღებსო'.

უ ნ ა ხ ა ვ ი II: მხ. რ., ზსვ, ლშხ., I პ. ლჳმჯიდინ ხვი[150] 'მომქონდა თურმე'; III პ., ზსვ., ლშხ. ლჳმჯიდინ [ლი] 'მოჰქონდა თურმე, „მონაქონა"';

ბზ., I პ. ლჳმჲასგვინ ხვი || ლჳმჲასგუნელ ხვი, ბქვ. ლჳმჲასგვ ხვი || ლჳმჲასგვინ ხვი 'მიმქონდა, მიმყავდა თურმე'; III პ. ლჳმჲასგვინ || ლჳმჲასგუნელი, ბქვ. ლჳმჲასგვ ლი, ლშხ. ლჳმჲესგინ '„მინაქონა"'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ქორთე ლ ჳ მ ჯ ი დ ი ნ ხვი 'სახლში მომქონდა თურმე';

ლშხ. ღვინელს ხჳაჲს ლ ჳ მ ჯ ი დ ი ნ ხ 2,28 'ბევრ ღვინოს „მონაქონან"'.

ბზ. ეჩხავ სერ ლ ჳ მ ჲ ს გ ვ ი ნ ხეხვს ი ჰყინტგეზალს 372,11 'იქ მიჰყავდა ცოლი და ვაჟიშვილი'.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი მხ. რ., ბზ., I პ. ონკუ || ოხვაჲ, ბქვ. ონკუ, ლშხ. ონკვ, ლნტ. ანკვ 'მოვიტანე, მოვიყვანე'; II პ., ბზ. ანკჳ || ახაჲ, ბქვ., ქვსვ. ანკჳ 'მოიტანე, მოიყვანე'; III პ., ბზ. ანკიდ || ანაე, ბქვ., ქვსვ. ანკიდ 'მოიტანა, მოიყვანა'.

ბზ., I პ. ოთხვაჲ, ბქვ. ოთხაჲ || ლხმ. ოთხვა, ლშხ. ოთაჲ, ლნტ. ათხვა 'წავიღე, წავიყვანე'; II პ., ბზ. ათხაჲ, ბქვ., ლნტ. ათხა, ლშხ. ათაჲ 'წაიღე, წაიყვანე'; III პ., ბზ., ლშხ. ადიე, ბქვ. ადიე || ადაე || ადაე || ადაჲე, ლნტ. ადაე || ადაჲე 'წაიღო, წაიყვანა'...

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ეჩხანჭა ჯვეგ ო ნ კ უ 335,29... 'იქიდან ჯოგი მოვიყვანე';

ბქვ. ... მერმე ბელილდ ლექვაიჯ ა ნ კ ჳ 206,37... 'მეორე ბელიც ჩამოიყვანე-მეთქი';

ლშხ. ო ნ კ უ ეჯი ამეჩუ 75,7 'მოვიტანე ის აქ';

ლნტ. ლიც ლოქ ა ნ კ ჳ 'წყალი მოიტანეო'.

ბზ. ჲერუ ღვაშარ ქორთე ო თ ხ ვ ა ჲ 40,28 'ორი ჯიხვი სახლში წავიღე'; უშგ. ვოქვრ ი ვერცხლ ეჩავ ა თ ა ჲ 74,12 'ოქრო და ვერცხლი იქ წაიღე'; ეშხუ ფუთ ჯიმ ლ ა ჲ ე, მერმე ფუთ ლუსვემ ლ ა ე 211,15 'ერთი ფუთი მარილი წაიღო, მეორე ფუთი ლურსმანი წაიღო'; ეშხუ ვედრა ლჯვე ლ ა ე 111,33 'ერთი ვედრო რძე წაიღო';

ბქვ. ლცთე თვინგ ა დ ა ჲ ე 220,18 'წყალზე თუნგი წაიღო'; ა დ ა ე ო ღ ე (|| ა დ ჲ ე ო ღ ე), მადეჲ ბაზი ესერ ჩვასენი (ჩვაჲასენი) მიჩა დაჩვირს 192,28 'წაიყვანე, თორემ ამაღამ დავკლავო შენს

---

150 ნიშნავს კიდევ 'ვცემდი თურმე'.

დას'; ეშდორი თანღი ეჩხენჩუ ადჲე 192,36 'თორმეტი მთის იქით წაიყვანა'; ეჩქას ბესილაჲდდ დაკჳარ ადაე ლალდაღთე 199,34 'მაშინ ბესილამ თხები წაიყვანა სამწყემსავად';

ლშხ. ადიე 59,3 'წაიღო';

ლნტ. ადაე ლოქ 'წაიღოო'; ადაჲე ყაფლან ჟიბე სახენწიფოხო 147,13 'წაიყვანა ყაფლანი ზედა სახელმწიფოში'.

თურმეობითი I: მხ. რ., ბზ., I პ. მიჯ̄ილა || ამჯ̄ილა, ბქვ. ემჯ̄ილა || ამჯილა, ლშხ. მიჯ̄ილა || ემჯ̄ილა, ლნტ. მიჯილა || ამჯილა 'მომიტანია, მომიყვანია'; III პ., ბზ., ლშხ. ხოჯ̄ილა || ოხჯ̄ილა, ბქვ., ლნტ. ოხჯილა || ლნტ. ხოჯილა 'მოუტანია, მოუყვანია'.

ბზ., ლნტ., I პ. მია || ამია, ბქვ. ემია || ამია, ლშხ. მია || ემია 'წამიყვანია, წამიღია'; III პ., ბზ., ლნტ. ხოდა || ოთხვია, ბქვ. ოთხია || ოთხვადა, ლშხ. ხოდა || ოთდა 'წაუყვანია, წაუღია'.

ნიმუშები: ბზ., პზ. ჰაგაჳრ იმნაჳრ ჯიკიდახ 264,10 'ფეხშიშველა რად მოგიყვანიათ'...; მარ'ესერ მინე უჭვდიაჲლუნდ აგითე დეშ ოხკ̄იდა 330,17 'მაგრამ თქვენი უკითხავად შინ ვერ მოვიყვანეო';

ლშხ. ეჯის ოხკ̄იდა მინე ხენწიფიშდ 73,7 'იმას მოუტანია მათი ხელმწიფისათვის'.

ბზ. ხინ ამეჩუ ამჯ̄ილა, ჰირ ეჩხავ აგვია 103,25 'ლხინი აქა (მომიტანია), ჰირი იქა (წამიღია)'; ოთხვია ესერ 300,3 'წაუღიაო'; ჯ'ესერ ღერთაჲლს ოთხვდახ ლადი 150,19 'თვითონ ღმერთებს წაუყვანიათო დღეს'; დესამა მოშ ოთდახ თათრაჲლს 3,11 'ვერაფერი წაუღიათ თათრებს';

ბქვ. მიჩ ესერ ზუღვათ'ესერ ოთხია სემი დუმაჲ 'თვითონ ზღვამდე წაუღია სამი დუმაო'; ნაღვეურ ესერ ოთხვადა 217,2 'ბიჭუნა წაუყვანიაო';

ლშხ. დიკონს ნაქჯთერ ბობშ აგითე ოთდა 58,21 'დიაკვანს მოპარული ბავშვი შინისკენ წაუყვანია'; ქრთია ბობში აყბაჲ ნაფდიათე 58,25 'მიუტანია ბავშვის ლოყასთან ახლოს'.

ლნტ. აჩწივს ქევეზდ ეშტჲერბი უღვა კამბეჩ ათხოდა 147,15 'არწივის საგზლად თორმეტი უღელი კამეჩი წაუღია'.

თურმეობითი II'ის ნიმუში ლენტეხური კილოდან: მგჭხის ნებოზს ხეკვეს ახოკიდან გაკ კენცხალაჲლ 60,20 'მეკვლეს საღამოს უნდა მოეტანა ნივგზის ტოტები'.

ქართულის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მიმაქვს ზმნა იხმარება დრო-კილოთა „აწმყოს მწკრივში და რამდენადმე აგრეთვე III სერიის მწკრივებშიც

(მიმქონებია, მიმქონებოდა, მიმქონებოდეს), დანარჩენ მწკრივებში მას ენაცვლება ღ ე ბ ა და ტ ა ნ ა ფუძეები"[151]. იგივე ითქმის აქეთა მიმართულების მ ო მ ა ქ ვ ს ზმნაზეც: მიმაქვს-წავიღებ-წავიღე-წამიღია; მიმაქვს-მივიტან-მივიტანე-მიმიტანია; მომაქვს-წამოვიღებ-წამოვიღე-წამომიღია; მომაქვს-მოვიტან-მოვიტანე-მომიტანია. ძველ ქართულში ამ ზმნას მარტო პირველი სერიის ნაკვთები მოეპოვება, დრო-კილოთა II ჯგუფში გამოყენებულია ღ ე ბ || ხ უ ა მ. ნ. მარს აღნიშნული აქვს, რომ დრონაკლია „ღ 'брать', чередующийся в различных временах с მ"[152]. წაღების (მოტანის) ცნების გამომხატველი ზმნა ძირცვალებადია ჰანურშიც[153], მაგ.: მა მ ო ვ ი მ ე რ (|| მ ო ბ ი მ ე რ) 'მომაქვს', სი მ უ მ ე რ 'მოგაქვს', ჰემუქ მ უ მ ე რ ს 'მოაქვს' ... მა მ ე ვ ი მ ე რ (|| მ ე ბ ი მ ე რ) 'მიმაქვს', სი ნ ი მ ე რ 'მიგაქვს', ჰემუქ ნ ი მ ე რ ს 'მიაქვს'... წყვეტილში გვაქვს: მა მ ო ვ ი ღ ი (|| მ ო ბ ი ღ ი) 'მოვიტანე', სი მ უ ღ ი 'მოიტანე', ჰემუქ მ უ ღ უ 'მოიტანა' ... მა მ ე ვ ი ღ ი (|| მ ე ბ ი ღ ი) 'წავიღე', სი ნ ი ღ ი 'წაიღე', ჰემუქ ნ ი ღ უ 'წაიღო'...[154] მაშასადამე, ჰანურში დროთა I და II ჯგუფში დასტურდება მ ე რ და ღ'ს მონაცვლეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰანურის ათინურსა და ვიწურ-არქაბულ კილოკავებში შენიშნულია ღ ძირის გამოყენება დრო-კილოთა I ჯგუფში[155]. მეგრული მონათესავე ენებისაგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. საქმე ისაა, რომ მეგრულში ეს ზმნა არ ჩანს ძირცვალებადი: ღ ძირი, რომელიც საერთოა მონათესავე ენებთან, გაჰყვება დრო-კილოთა სამსავე ჯგუფში. მაგ.: მ ე უ ღ უ 'მიაქვს', მ ი დ ე ღ ა ნ 'წაიღებს', მ ი დ ე ღ უ 'წაიღო', მ ი დ უ ღ ა ლ უ 'წაუღია'... ასევე მ უ ღ უ 'მოაქვს', მ ი ღ ა ნ 'მოიტანს', მ ი ღ უ 'მოიტანა', მ უ ღ ა ლ უ 'მოუტანია'.

სვანურის ნაზმნარ სახელებში, ერთი მხრივ, გვაქვს ჰ ე დ ძირიანი წარმოება (ლ ი ჰ კ დ ე 'მოტანა', ლ ე ჰ კ დ ე 'მოსატანი'...), ხოლო, მეორე მხრივ, -ი-ძირიანი (ლ ი ი 'წაღება', ლ ე ზ ჲ ა || ლ ე ჲ ა ე ს გ ი 'წაღებული'...). ლ ი ჰ კ დ ე და ა. შ. ფორმებში ფუძე შეკუმ-

---

151 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 514.

152 Н. Я. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка... გვ. 62

153 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფილისი, 1936, გვ. 172.

154 ვუთითებთ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ას მიხედვით, იქვე.

155 იქვე.

შულია. ფუძისეული ხმოვანი დაცულია. ბზ. ნ ა ჯ ი დ ე 'მონატანი, მონაყვანი', უ კ ი დ ა 'მოუტანელი'...

ყურადღებას იქცევს ფუძის ფლექსია: შდრ. ლნტ ლ გ კ ი დ 'მოტანილი', მ ე-კ ე დ-ე 'მოსული'[156].

ბალსქვემოურის ლახამულურ თქმაში ბალსზემოურის -ე ს გ ფორმანტი წარმოდგენილია -ი ს გ'ის სახით, შდრ. ბზ. ლ ი ჲ ე ს გ ი და ლხმ. ლ ი ი ს გ. რაც შეეხება ქვემოსვანურს, აქ ფორმანტისეული გ (ლნტ.-ში კ) შეიძლება გვქონდეს და შეიძლება არა. სხვა ფორმებიდან აღვნიშნავთ უარყოფით მიმღეობას, რომელიც ბალსზემოურში წარმოდგენილია უჲა'ს, ხოლო ბალსქვემოურში — უა'ს სახით. პირველში უ ხმოვნის შემდეგ დასუსტებული ჩანს ძირეული ი, მეორეში კი იგი სულ გაჰქრალია.

აწმყოსეულ დროებში ჩვენი პარადიგმებით გვაქვს ა ხ ღ ვ ა 'მოაქვს', ე ს ღ ვ ა 'მიაქვს'. აწმყოში იხმარება აგრეთვე -ი'ძირიანი ა ი || ა ჲ ე ს გ ი, რომელსაც ორგვარი მნიშვნელობა აქვს: 'მიაქვს, წაიღებს, წაიყვანს'. ჩვენი დაკვირვებით გავრცელებულია ღ ძირიანი ფორმები.

ლენტეხურში ძირეულ ღ'ს სხვა კილოებისაგან განსხვავებით წინ უძღვის უ ხმოვანი, შდრ. ზსვ., ლშხ. უ მ ღ ვ ა და ლნტ. ა მ ს უ ღ ვ ა 'მიმაქვს'.

მყოფად სრულში, ერთი მხრივ, გვაქვს ბზ. ა ნ კ დ ე || კ ი დ ე 'მოიტანს', მეორე მხრივ, ადნე || ა ჲ ე ს გ ი 'წაიღებს, წაიყვანს'. წყვეტილში ეს უკანასკნელი ფორმები ან- ზმნისწინსაც ირთავენ და იღებენ „მოტანა, მოყვანის" მნიშვნელობას[157].

მაგ.: I პ. ო ხ ვ ა ჲ ა 'მოვიტანე, მოვიყვანე', II პ. ა ხ ა ჲ ა 'მოიტანე ,მოიყვანე'. რაც შეეხება III პ., ვ. თოფურიას აღნიშნული აქვს, რომ დასახელებული ზმნა იყენებს სხვა ზმნას, სახელდობრ, ა ნ კ ი დ'ს[158], თუმცა იქვე სქოლიოში მითითებულია, რომ „მოსალოდნელი ან-ჲ-ე-ც გვაქვს"[159].

რამდენადაც ა ნ კ ი დ'ს აქვს თავისი პირველი და მეორე პირის ფორმა (ო ნ კ უ 'მოვიტანე, მოვიყვანე', ა ნ კ გ 'მოიტანე, მოიყვანე'), ხოლო ო ხ ვ ა ჲ ა, ა ხ ა ჲ ა'ს თავისი მესამე პირის ფორმა ა ნ ჲ ე'ს სახით. ამდენად ჩვენს უღვლილების პარადიგმებში

---

156 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რ ა ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრ., XVIII, 1941.

157 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 255.

158 იქვე.

159 იქვე.

ისინი პარალელურ ფორმებად წარმოვადგინეთ. წყვეტილის ფორმები სხვა რამითაც იქცევს ყურადღებას: ბქვ.-სა და ლენტეხურში I და II პირში ძირეული ი (resp. ჲ) დაკარგულია, შდრ. ბზ. ო თ ხ ვ ა ჲ და ბქვ. ო თ ხ ვ ა, ლნტ. ა თ ხ ვ ა 'წაიღე, წაიყვანე'... ბალსქვემოურის ეცერულ თქმაში, ისევე როგორც ლაშხურში, არ ჩანს I პირის ვ ნიშანი. შდრ. ლხმ. ო თ ხ ვ ა და ეცერ. ო თ ხ ა, ლშხ. ო თ ა ჲ. უკანასკნელი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ აქ არ გვაქვს III ობიექტური პირის ნიშანი -ხ (შდრ. ლნტ. ა თ ხ ვ ა).

საილუსტრაციო ნიმუშების ანალიზისას ყურადღება მიიქცია ზოგმა მოვლენამ: ბალსზემოურში დადასტურდა ა ხ ღ ო ხ 'მოაქვთ' ფორმა. აქ ვ დაკარგულია და ა სუფიქსი ო'თია შეცვლილი? ბალსზემოურში დადასტურებულია აგრეთვე ე ს ღ ო (‖ ე ს ღ ვ ა) 59,33 'მიაქვს'. მაცდურად გამოიყურება ვა ბგერათა კომპლექსი: ო<ვა'სგან ხომ არ არის მიღებული? ბალსქვემოურში გვაქვს ო ს ღ ვ ა 242,2, რომელიც ლაშხურში გავრცელებულ ფორმებს მოგვაგონებს. ლენტეხურში აღსანიშნავია ა ს უ ა ფორმა, რომელშიც დაკარგულია ძირეული ღ.

ბალსზემოურში იქითა მიმართულების ზმნის ო თ ხ ვ ი ნ ე'ს 'წაიყვან' გვერდით გვაქვს ო თ ხ ი ნ ე, რომელშიც ი მოკლეა. მყოფადს გადმოსცემს აგრეთვე ო თ ხ ვ ი ი 'წაიყვან' ფორმა. მყოფადის მნიშვნელობითაა ნახმარი ა ჲ ი, რომელიც -ე ს გ ი ფორმანტის გარეშეა წარმოდგენილი. შდრ. ბზ. ა ჲ ე ს გ ი 'წაიღებს, წაიყვანს'. ლაშხურში ა დ ჲ ე ს ხ'ის გვერდით გვაქვს ა დ ი ე ს ხ, ასევე ლენტეხურში ა დ ა ჲ ე ს კ ნ უ ხ და ა ჲ ე ს კ, ა დ ა ჲ ე ხ და ა ჲ ე ხ...

წყვეტილში ყურადღებას იქცევს უშგულური ა თ ა ჲ 'წაიღე'. ეს უკანასკნელი მოგვაგონებს ლაშხურის ფორმას. ბალსზემოურშივე მესამე პირში ვხვდებით ლ ა ე ჲ, ლ ა ე, ლ ა ე 'წაიღო' ფორმებს, ასევე ბალსქვემოურში: ა დ ა ჲ ე, ა დ ა ე, ა დ ჲ ე 'წაიღო'ს. ლენტეხურის ა დ ა ჲ ე'ში პრევერბისეული ა დამსგავსებია მოძღვნო უმლაუტიან ა'ს[160].

9. ყ ე ლ ე 'ამბობს, იძახის; ყივის'

ნაზმნარ სახელებში ვხვდებით როგორც აწმყოს, ასევე ნამ-

---

160 მ. ჭ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლენტეხური კილოს ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურებანი, ქართვ. ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961.

ყოს ფუძეს. უფრო გავრცელებული ეს უკანასკნელი ჩანს. ნაზმნარი სახელები კილოთა მიხედვით:

ბზ. ლ̃ქვ || ლ̃ქვისგ, ბქვ. (ლხმ.) ლიქვისგ, ლშხ. ლ̃ქვის, ლნტ. ლიქვისკ 'თქმა'; ბზ. ლ̃ქვისგ, ბქვ. ლექვისგ, ლშხ. ლ̃ქვის, ლნტ. ლექვისკ 'სათქმელი'; ბზ., ლშხ. ლ̃ქვ[ე]; ბქვ. ლექვე, ლნტ. ლექვ[ე] 'თქმული'; ბზ. მ̃ქვისგ, ბქვ. მექვისგ, ლშხ. მ̃ქვის 'მთქმელი'; ბზ. ნ̃ქვ || ნ̃ქვისგე, ბქვ., ეც. ნაქვ || ლხმ. ნ̃ქვისგ, ლშხ. ნ̃ქვის, ლნტ. ნაქვ 'ნათქვამი'; ბზ. ̃ქვა || ̃ქვისგ, ბქვ., ლნტ. უქვა, ლშხ. ̃ქვა || ̃ქვის 'უთქმელი'.

ნიმუშები: ბზ. ჯგჯრაგი ლ̃ქვ... 60,16 'წმინდა გიორგის ნათქვამი (თქმა)'; ვარი ლ̃ქვისგ მ̃ზმა ხ̃ადდა 171,30 'უარის სათქმელი არა ჰქონდა'; მიშგვი ცოდუ ხ̃არ ამი მ̃ქვისგ 65,27 'ჩემი ცოდვა ჰქონდეს ამის მთქმელს'; ამი მ̃ქვისგ ჩვადწერ̃ალე 150,24 'ამის მთქმელი გალანძღა'; გეზლ̃ ნ̃ქვ ლესრულე ხ̃ად 132,27 'შვილის ნათქვამი შესასრულებელი შეექნა';

ბქვ. ხ̃ალინა ბესილ̃ად ვარგიშ ლიქვისგს 199,33 'ბესილადი უცდიდა აზნაურის თქმას'; ამჟი ამიშ ნაქვ (|| ნ̃ქვ) ქადსრულე 214,14 'ასე ამის ნათქვამი შეასრულა';

ლნტ. ეჩქა ისკვი ნაქვ სწვერ ირა 'მაშინ შენი ნათქვამი სწორი იქნება'; ჯე ლოქ თვითან ხამარჯვენა მიჩა ლიქვისკს 176,18 'მე თვითონ ვაპირებდი მისთვის თქმას'; ეჩანღო ქა ლექვის ხადა (ჩვ. ტ.) 'მერე სათქმელი შეექნა'; შვანისკა ეშხუ არაკ ლ̃ივ ლუქვ 7,37 'სვანეთში ერთი ანდაზა იყო თქმული'.

ბქვ. მეკედ მარე უყლად, მაგ დემისშალ კედნივ 299,23 'მომსვლელი კაცი უთქმელად, ყველა არ მოვიდოდა'.

აწმყო: მხ. რ., I პ., ზსვ., ლშხ. ყულე, ლნტ. ყულე [ხვი] 'ვამბობ'; II პ., ზსვ., ლშხ. ყგლე, ლნტ. ყგლე [ხი] 'ამბობ'; III პ., ზსვ., ქვსვ. ყგლე 'ამბობს'; მრ. რ. I პ. Si ზსვ., ლშხ. ლგულედ, Se ზსვ., ქვსვ. ყულედ 'ვამბობთ' და სხვ.

ნიმუშები: ბზ. მი ამჟი ყულე 'მე ასე ვამბობ'; ხოშ̃ალ ყგლეხ 11.16 'უფროსები ამბობენ'. ყვიჩ ყგლე 180,9 'მამალი ყივის';

ბქვ. ნ̃ა ლიყვნ̃ალს ლგყლედ 309,30 'ჩვენ დაწოლას ვამბობთ'; მამლ̃არ ყგლეხ 76,26 'მამლები ყივიან';

ლშხ. ზურ̃ალელ... ყგლეხ... 7,7 'ქალები... ამბობენ'...

ლნტ. სი ყგლეხი ამჟ̃ალი არაკს 309,3 'შენ ამბობ ამისთანა ზღაპარს'; ლ̃აშვენდებიჟინ ამჟი ყულედ 58,5 'შენდობისას ასე ვამბობთ'; ხოჩას ყგლე 164,38 'კარგს ამბობ'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ. ბზ., ლნტ. ყულას, ბქვ. ყულადას ‖ ყულ, ლშხ. ყულის 'ვამბობდი'; II პ., ბზ., ლნტ. ყგლას, ბქვ. ყგლადას ‖ ყგლ, ლშხ. ყგლის 'ამბობდი'; III პ., ბზ., ლნტ. ყგლა ‖ ლნტ. ყგლედა, ბქვ. ყგლადა ‖ ყგლა, ლშხ. ყგლდა ‖ ყგლა 'ამბობდა'; მრ. რ. I პ., ზსვ. Si ღგყლად, ლშხ. ღგყლდად; Se ზსვ. ყულად, ლშხ. ყულდად 'ვამბობდით'.

ნიმუშები: ბზ. ჯერხი ყულად 35,24 'ზოგნი ვამბობდით'. უშგულარ ერ ყგლახ 'უშგულელები რომ ამბობდნენ';

ლნტ. კვირიას ყგლახ 'კვირიას ამბობდნენ'; ხაშლხ ღერბეთს ხეკჯრალდაი ამჟი ყგლუდახ (‖ ყგლახ) 149,16 'ხალხი ღმერთს ეხვეწებოდა და ასე ამბობდა (ამბობდნენ)'.

კავშირებითი I: მხ. რ., ბზ., I პ. ყულედ, ბქვ. ყულადე, ქვსვ. ყულდე 'ვამბობდე'; III პ., ბზ. ყგლედას, ბქვ. ყგლადეს, ზსვ., ქვსვ. ყგლდეს 'ამბობდეს'.

უნახავი II: მხ. რ., I პ., ბზ. ლღმყგლენინ ხვი ‖ ლღმყულენ ხვი, ბქვ. ლღმყულინ ხვი, ლნტ. ლღმაყულენ ხვი ‖ ლღმაყლინ ხვი 'ვამბობდი თურმე'; III პ., ბზ. ლღმყგლენინ[ლი] ‖ ლღმყგლენ[ლი], ბქვ. ლღმყგლინ [ლი], ლნტ. ლღმაყულენ ლი ‖ ლღმაყულინ 'ამბობდა თურმე'.

ნიმუშები: ბზ. ლიღრაჭლს ლღმყგლრნხ 263,23 'სიმღერას ამბობდნენ თურმე'; შომვაჲ ლეთ ყეიჩ ლღმყგლრნ 180,14 'რომელ ღამესაც მამალი იყივლებდა';

ბქვ. ჯეშდჲარე ზავ ესერ... ლღმყგლინ მამვილ... 246,33 'თორმეტ წელიწადს ყიოდა თურმე მამალი';

ლნტ. ლღმაყლენლიხ 126,10 'ამბობდნენ თურმე': ლღმაყლინ: თფუ, ჯეშმაკს (ჩვ. ტ.) 'ამბობდა თურმე: ტფუ, ეშმაკს'; ეჯმინ ლღმაყლენლიხ (ჩვ. ტ) 'ისინი ამბობდნენ თურმე'.

მყოფადი სრული: მხ. რ., ბზ., I პ. რვაქვინნე ‖ ლაქვინნე ‖ ლაქვნინე, ბქვ. როქინე, ლშხ. ლრქვნე, ლნტ. ლყქნე ხვი 'ვიტყვი'; III პ., ბზ. რაქვინნე ‖ ლაქვინნე ‖ ლაქვნინე, ბქვ. რექინე, ლშხ. ლექვნე, ლნტ. ლექნე [ლი] 'იტყვის'.

ნიმუშები: ბზ. ჩუ ლახე ამთერნე ხოჩამდ, ეჩქა ამჟინ დეშის ლაქვნინე 170,25 'როცა გამიცნობ კარგად, მაშინ ასე არ იტყვი'; ჯაღო მი ლაქვნი 149,14 'აბა მე ვიტყვი';

ბქვ. ალ ლერქვაროლა როქვი რეჭინე 132,27 'ამ ტანსაცმელზედაც იტყვისო';

ლშხ. ალ ლიმზჩრს სუმინ ჯედ ხოფშირაშინ ლ ე ქ ჳ ნ ე ხ 88,17 'ამ ლოცვას სამჯერ ან უფრო მეტჯერ იტყვიან';

ლნტ. ეჯაჯლი ლოქ ლი, ერე ხოჩიღს დეშ ლოქ ლ ე ქ ნ ე ხ ი 302,20 'ისეთი არისო, რომ უკეთესს ვერ იტყვიო'; ლ ე ქ ნ ე, ისკუ ლოქ მიცხა 'იტყვის, შენი მირჩევნიაო'.

წ უ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ., ბზ., I პ. რვეჭა[რ] || ლრჭა, ბქვ. როქარ || რვექარ, ლშხ. რრქვარ, ლნტ. ლექარ ხვეს 'ვთქვი'; III პ., ბზ. რაჭვე || რაჭვ || ლაჭვე || ლაჭვ || ლაჭვინ, ბქვ. რაჭვე, ლშხ. ლექვ, ლნტ. ლაქვ 'თქვა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ეჩქა მი რ ვ ე ქ ა 153,38 'მაშინ მე ვთქვი'; მი ამჟი მაშ ლ რ ქ ა 87,23 'მე ასე არ ვთქვი'; მახვშიდ ლ ა ქ ვ 88,25 'უფროსმა თქვა'; ჯგვრაგდ ლ ა ქ ვ ი ნ 91,30 'წმინდა გიორგიმ თქვა'; სამ ქაჯდ ლ ე ქ ვ ე 61,25 'სამმა ეშმაკმა თქვა'; ... რ ე ქ ვ დ 35,20 ...'ვთქვით'; ხოხვრა უდილოდ ლ ე ქ ვ ი ნ... 206,33 'უმცროსმა დამ თქვა'; ეჩქას რ რ ქ ვ დ 35,23 'მაშინ ვთქვით';

ბქვ. ჯერდვალემ რ ა ქ ვ 250,11 'ვიღაცამ თქვა'; მუხვბედ (|| მუხვბემ) რ ა ქ ვ ე 57,6 'ძმამ თქვა'; რ ე ქ ე 33,30 'თქვა';

ლშხ. ალ ჳ შამშე ჯრნჲანდ ლ ე ქ ჳ 59,15 'ესეც შამშე ონიანმა თქვა';

ლნტ. გულდარს ხ ვ ე ქ ა რ, ერე... 73,17 'გულდარს ვუთხარი, რომ'...; ეჩქა სი ხ ე ქ ა რ, ერე... 238,1 'მაშინ შენ უთხარი, რომ'... ეჩქა ლ ა ქ ვ 131,29 'მაშინ თქვა'; სი ხოჩოლ ლ ე ქ ა რ ხ ე ს (ჩვ. ტ.) 'შენ უკეთესი თქვიო'.

კავშ. II: მხ. რ. III პ., ბზ. რაჭვეს || რაჭვეს || ლაჭვას || ლაჭვეს, ბქვ. რექეს, ლშხ. ლეჭვას, ლნტ. ლექეს 'თქვას'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ხედვაჲდ ლოქ ხოჩა ჰარკჲლ ლ ა ქ ვ ა ს 159,34 'რომელმაც უკეთესი ანდაზები თქვას'; ჲარდვალე ქა ლ ე ქ ვ ე ს 61,28 'ვინც გამთქვას';

ბქვ. მი ამჟი ხეკვეს რ ო ქ ე 'მე ასე უნდა ვთქვა';

ლნტ. აშხუმდ ხ ე კ ვ ე ს ლ ე ქ ვ ე ხ: ვაი-ვაი 52,8 'ერთად უნდა თქვან: ვაი-ვაი'.

ლშხ. ჲერჳაჲ ლჲდგარ ლი, ეჩა ჟახე ხეკვეს ლ ე ქ ჳ ა ს 36,24 'ვინც მკვდარია, იმისი სახელი უნდა თქვას'.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: მხ. რ., ბზ., ლშხ., I პ. მიქვა, ბქვ., ლნტ. მიქვა 'მითქვამს'; III პ., ლშხ. ხრქვა, ბქვ., ლნტ. ხოქვა 'უთქვამს'.

ნიმუშები: ბზ. მაჲ როქვ ხრქვა? 147.17 'რა უთქვამსო'?

ბქვ. ალი ესერ მასჲრდ ტკიც ხოქვა 81,25 'ეს ძალიან მართალი უთქვამსო';

ლნტ. აჯაღ ამჟი ხოქვა 111,14 'ისევ ასე უთქვამს'; ეჩქა ეჯის ხუქვა (ჩვ. ტ.) 'მაშინ იმას უთქვამს'.

თურმეობითი II: ნიმუშები ლენტეხური კილოდან: იძულებილ ლას ქა ხოქვან მიჩა ჟაბე 241,22 'იძულებული იყო, ეთქვა თავისი სახელი'; ეჯი ხეკვეს გვიქვან 73.25 'ასე უნდა გვეთქვა';

კავშირებითი III ნიმუში ლენტეხური კილოდან: მიჩა ლოქუ ცოდ ხაცვ, ჲერვაჲს ლოქ ალე ხოქვენს 156,6 'ჩემი ცოდვა ჰქონდეს, ვისაც ეს ეთქვას'.

რელატიურ ფორმებში გამოყენებულია იგივე ძირები, რომლებიც გვაქვს ყღლე 'ამბობს' ზმნასთან. მაგ.: ლნტ. ალეს ხვაყლედ... 37,20 'ამას ვეძახით'...

აწმყო: ყველა კილოსათვის ხაყლე 'ეუბნება'; მაგ.·

ლშხ. მინე მუ იმედს ხაყლე ლიჩრჟალეშ 10,33 'თავიანთი მამა ცოლის მოყვანის იმედს ეუბნება'.

უწყვეტლის ნიმუში ბაღსქვემოურსა და ლენტეხურ კილოებზე:

ბზ. ... აშჰურ ჯაყღლ, ბუაჯ ღვარა 164,51 'თითქოს გეუბნებოდი, მამილამ', შდრ. ბეჩ. ჯაყლაშგვ.

ლნტ. ამჟი ხაყლა 59,34 'ასე ეუბნებოდა'.

კავშირებითი I'ის ნიმუში ლენტეხური კილოდან: ჯე ლოქ ერ ჟი ლიტხეს ხაყლედეს, ეჩქა ჩუე აფიშტეხ ჩუბავ! 139,3 'მე რომ ზევით აყვანას გეუბნებოდე, მაშინ ჩამიშვით ქვევით'.

მყოფადი სრული: მხ. რ., III პ. (ქა) ხჭქვინნე || ხჭქვნინე, ბქვ. (ქა) ხექინე, ლშხ. ხექვნე, ლნტ. (ქა) ხექნე 'ეტყვის'.

ნიმუშები: ბზ. ეჩქა ესერ მინე ლაბხვა ხჭქვინნეხ 22,26 'მაშინ თავისი ცოლები ეტყვიანო'; ჲაღო ქა ჯექვნი 61,27 'აბა გეტყვი'; ალახ მიშგვა მუს იმჟი ხვჭქვნი 115,32 'ამას მამაჩემს როგორ ვეტყვი'; მი ჯჭქვნინე, ეჯი ჩვემნ 113,27 'მე რომ გეტყვი, ისე ქენი';

ბქვ. ამის ქა ხვექინე 42,32 'ამას ვეტყვი'; ხოშა ლემბაჭს ჯექვნე 158,7 'უფრო გასაოცარს გეტყვი';

ლშხ. ამგნ ხოშა საკჳრელს ჯ ე ქ ჳ ნ ე 84,3 'ამაზე მეტ საკვირველს გეტყვი'; ხ ე ქ ჳ ნ ი ნ ე 16,29 'ეტყვის'.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. ხვე̄ქა[რ], ბქვ. (ქა) ხვექა[რ], ლშხ. ხვე̄ქვარ, ლნტ. ხვექარ 'ვუთხარი'; II პ., ბზ. ხე̄ქა[რ], ბქვ. (ქა) ხექა[რ], ლშხ. ხე̄ქვარ, ლნტ. ხექარ 'უთხარი'; III პ., ბზ. ხაქვე || ხაქვ, ბქვ. (ქა) ხაქვე, ლშხ. ხე̄ქვ, ლნტ. (ქა) ხაქვ 'უთხრა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. მი ხ ვ ე̄ ქ ა რ... 206,38 'მე ვუთხარი'; ნაჲ მაკვამ ხ ვ ა̄ ქ ვ დ მასპრდ 28,6 'ჩვენ დიდი მადლობა ვუთხარით'; ხ ე̄ ქ ვ ამნემ 80,2 'უთხრა ამან'; ლახვბას ხ ე̄ ქ ვ ე 72,27 'ძმებს უთხრა'; ხ ა̄ ქ ვ ეჯნემ 100,2 'იმან უთხრა'; ათხე ა̄მირანდ ხ ა̄ ქ ვ ი ნ 90,16 'ახლა ამირანმა უთხრა'; ხ ვ ე̄ ქ ა ხოშამ ღერბათვ 40,6 'ვუთხარი დიდ ღმერთს'; ხ ე̄ ქ ვ ე ხ (|| ხ ა̄ ქ ვ ე ხ) ამშა ლათლაღრად 72,36 'უთხრეს ამის რძლებმა'; ხაქუ ოთზეზევ ესერ 239,20 'უთხარი: გამომიგზავნოსო';

ბქვ. ამნემ ხ ა̄ ქ ვ ე გვილბიდს 275,33 'ამან უთხრა გვილბიდს'; მიჩა დიდ ხ ე ქ ე... 27,33 'იმისმა დედამ უთხრა'...

ლშხ. რაშემ ხ ე̄ ქ ჳ 61,1 'რაშმა უთხრა';

ლნტ. მი ხ ვ ე ქ ა რ 'მე ვუთხარი' (ჩვ. ტ.);

მი ხ ვ ე ქ ა 'მე ვუთხარი'; კოჯ ლექვა ლიკვანე შომა ჯ ე ქ ა რ ხ ვ უ ს? 'კლდეზე გადაგდება როდის გითხარი'?

დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ემთხვევა ყ ე ლ ე ზმნის შესაბამის დროთა ფორმებს. გარჩევა ხერხდება კონტექსტის საშუალებით. უღვლილების პარადიგმებს ადგილის ეკონომიის მიზნით აქ არ წარმოვადგენთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ აქაც გამოყენებულია -ჭვ ძირი. ვასახელებთ რამდენიმე ნიმუშს.

ბზ. ამეჟი ისგოვ ხვაჲნ მ ი̄ ქ ვ ა 'ამაზე შენთვის ბევრჯერ მითქვამს'; ბქვ. ჯგერაგს ხ ო ქ ვ ა ი დ 246,12 'წმინდა გიორგის უთქვამს ისევე'; ლშხ. ამენ ამჟი ლოქ ხ ო ქ ჳ ა ხ ეჯაარს მიჩაშჳდ 121,20 'ასე და ასე უთქვამთ იმათ მისთვის'; ლნტ. ლადაჩურაჲშდ ხ ო ქ ვ ა 'დებისათვის უთქვამს'.

ყ ე ლ ე 'ამბობს, იძახის' „... იუღლება აწმყოს ჯგუფში..., მყოფადსა და დროთა II'სა და III ჯგუფში კი აღებულია *ე̄ქტ ძირი"[161]. მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო ზმნას დრო-კილოთა სუპლეტური წარმოება ახასიათებს: ყ ე ლ ამოსავალია აწმყოსა და

---

161 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა... გვ. 254.

აქედან ნაწარმოებ ნაკეთებში. სხვა დროებში ეს ძირი თითქოს არ დასტურდება[162]. არ დასტურდება იგი მონათესავე ენებშიც.

სვანურში ეგეგე ზმნა იხმარება მამლის ყივილის გადმოსაცემად ტ უ ლ ი 'იძახის' ზმნასთან ერთად: ყვიჩ ყ გ ლ ე 'მამალი ყივის, იძახის'. ამ შემთხვევაში იგი პირნაკლიც გამოდის, მსგავსი შინაარსის ზმნა ქართულშიც დრონაკლი და პირნაკლია.

უკვე აღინიშნა, რომ დრო-კილოთა II—III ჯგუფებსა და აგრეთვე მყოფად სრულში გამოყენებულია ე ქ უ ძირი. გარდაუვალ ზმნასთან ეგეგე ძირი აწმყოშიც გვაქვს. მაგ.: ლშხ. ... ე ქ ვ ი 91,17 ... 'ითქმის'. ამ თვალსაზრისით ანალოგიური ვითარებაა მონათესავე ენებში. შდრ. ძვ. ქართ.: ხრქუა მათ ჰებრაელებრ: რაბუნი! რომელი ხ ი თ ქ უ მ ი ს: მოძღუარ[163]; მეგრ.: ენა ნინათ ე ე თ ქ ვ ე 'ეს ენით არ ითქმის'; ჰან.: ჰეთი ი თ ქ ვ ე ნ 'ისიც ითქმის'[164].

როგორც მონათესავე ენებთან შედარებით ირკვევა, ამ ზმნის ძირია -ქვ, რომელიც ამავე სახით გვაქვს სვანურის ნაზმნარ სახელებში, შდრ. ლ ე-ქ ვ || ლ ე ქ ვ ე ს გ 'თქმა' და სხვა.

-ქვ- ძირი გვაქვს ძველი ქართულის თ ქ უ ა'სა და ჰ რ ქ უ ა'ში: თ ქ უ ა უფალმან მის ვენაკისამან ლ. 20,13.

ჰ რ ქ უ ა დედამან მისმან მსახურთა მათ ი. 2,5[165].

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ თ ქ უ ა'ში თ არ წარმოადგენს ძირის კუთვნილებას. იგი წარმოშობით უნდა იყოს ნივთის კატეგორიის ნიშანი და უნდა მომდინარეობდეს დ'საგან[166].

ძველ ქართულში თ ქ უ ა ორპირიანია, ჰ რ ქ უ ა — სამპირიანი. გამოთქმულია ვარაუდი, რომ თ ქ უ ა'სა და რ ქ უ ა'ს შორის პირიანობის მიხედვით სხვაობა მეორეული უნდა იყოს. ისტორიულად ორივე უნდა ყოფილიყო ორპირიანი, აქაც იგივე ვითარება

---

162 თუმცა დავადასტურეთ ბზ., ლტ. ხ ა ყ ლ ე ნ ა 'ეუბნებოდა თურმე' III სერიის ფორმაა!

163 ნიმუში ამოღებულია ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ი ს ნაშრომიდან: ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში... გვ. 38.

164 ნიმუში ამოღებულია არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ნაშრომიდან: ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 282.

165 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბილისი, 1945.

166 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დ- თავსართიანი ზმნები ქართულში, უნ. შრ. XX, 1942; ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დ და რ თავსართები ქართულ ზმნებში უნ. შრ., XXX—XXXI, 1947.

უნდა ყოფილიყო, რაც სვანურში გვაქვს: რ ჯ ქ ვ || ლ ჯ ქ ვ[167] 'თქვა'-რ'ს შესახებ (რ ჯ ქ ვ'ში) ნათქვამია, რომ იგი უნდა იყოს კაუზატივის მაწარმოებელი, როგორც ეს დადასტურებულია აფხაზურისათვის[168]. არნ. ჩიქობავას რ- მიაჩნია ნივთის კატეგორიის ნიშნად[169]. მეგრულში თქუ 'თქვა' ორპირიანია, სამპირიანისათვის სულ სხვა ზმნაა გამოყენებული: უწუ 'უთხრა'. იგი ქართულისათვის ამ მნიშვნელობით უცხოა (წ ძირი უნდა იყოს დაცული უწოდა ზმნაში). თქუ'ში ძირეული ვ დაკარგულია მომდევნო უ'ს წყალობით, შდრ. I პ. მა ფ თქვი 'ვთქვი', II პ. სი თქვი 'თქვი', III პ. თიქ თქუ 'თქვა' ე. ი. თქუ < თქვუ[170].

მონათესავე ენებთან დაკავშირებით სხვაც ჩანს საინტერესო: ძველი ქართული და სვანური ერთსა და იმავე -ქვ ძირს იყენებს თქუა — რ ჯ ქ ვ, ჰრქუა — ხ ჯ ქ ვ'ის გადმოსაცემად, მეგრულსა და ჭანურში წვ<წუ[171] ძირია გამოყენებული შესაბამის სამპირიან ფორმაში: მეგრ. თქუ 'თქვა' და უწუ 'ჰრქვა (უთხრა)'.

სამპირიანი ზმნა დრონაკლია ძვ. ქართულში: ეტყჳს და ჰრქუა, თუმცა ძვ. ქართულშივე დადასტურებულია ჰრქჳს პერმანსივის აწმყოს მნიშვნელობით ხმარება.

ამავე შინაარსის გადმომცემი ზმნა ძირმონაცვლეა ახალ ქართულში: ეუბნება-უთხრა, მეგრულში: ურაგადუ-უწუ და სვანურში: ხაყლე და ხჯქვ. ჭანურში კი ეითარება ასე გვესახება: წუ ძირი, რომელიც გვაქვს წყვეტილში, გვხვდება აწმყოშიც იმ განსხვავებით, რომ აქ იგი გართულებულია -ე რ || -მ ე ლ სუფიქსით. მაგ.: თერზიქ უწუ 'თერძმა უთხრა'; ვა მიჩქინან-ჲა, უწვეს 'არ ვიცითო, უთხრეს'..., მეორე მხრივ: „ოწკედი"-ა, კადის უწუმერს 'შეხედეო, ყადს ეუბნება': ჩხომი ყონას პჭოფია-უწუმელს 'თევზი ყანაში დავიჭირეო, ეუბნება'[172]. ჭანური თითქოს აქ განცალკევებით დგას. მაგრამ საგულისხმოა, რომ არნ. ჩიქობავა ასახელებს გიწოლემ 'გეუბნები' ფორმას

---

167 გ. თოფურია, რ-თავსართიანი ზმნები ქართულში, სტ. სამეცნიერო შრომების კრებული, № 7, თბილისი, 1955.

168 ვ. თოფურია, დ-თავსართიანი ზმნები ქართულში... გვ. 105.

169 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942; მისივე, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღლების ზოგი საკითხი ძვ. ქართულში, იკე, V, 1954. გვ. 58.

170 არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 282.

171 იქვე, გვ. 393.

172 იქვე.

მეგრულის ჯვარული თქმისათვის[173]. როგორც ავტორს აქვს მითითებული, მსგავსი ფორმები გვხვდება ჭანურის ათინურ თქმაში, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით ჯვარულში აწმყოს ფუძისათვის დამახასიათებელი სუფიქსი ნ. წყვეტილშიც გადაჰყვება, მაგ. გიწოლემ 'გეუბნები', გიწოლეი 'გითხარი'[174].

დასასრულ, -ჭვ ძირთან დაკავშირებით მითითებულია, რომ აქუს, თქუა და ჰრქუა ერთი ძირის ნაყარია, მიუხედავად მათი სემასიოლოგიური დაშორებისა[175]. მსგავსი რამ სვანურშიც დადასტურდა. აქ ქონებას გადმოსცემს ხუღა და ხარ 'აქვს' ზმნები. აქედან ხად || ხადდა 'ჰქონდა', ად- წინდებულით: ათხად 'ჰქონდა, შეექმნა'. აღსანიშნავია, რომ ეგეთ ზმნა თქმა'საც ნიშნავს, მაგ.: ხოჩამ ყიფჲანს ადაჯადა 12,10 'კარგ ყიფიანს წარმოგითქვამს'.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალა შემდეგის თქმის უფლებას იძლევა: ნაზმნარ სახელებში გამოყენებულია ნამყოს ფუძე: ბზ. ლ̄ქვ თქმა, მე̄ქვისგ 'მთქმელი' და ა. შ. გვხვდება აწმყოს ფუძის გამოყენების შემთხვევებშიც: ბზ. (ქა) ლიყლე 'თქმა', ბქვ. უყლა 'უთქმელი', ლშხ. მგყგლე 'მთქმელი' და ა. შ. ლ̄ქვ̄სგ 'თქმა' და ა. შ. ფორმებში გვაქვს -ისგ სუფიქსი. ლაშხურის ლ̄ქვ̄ნ, ნ̄ქვ̄ნ და ა. შ. ფორმებში -ისგ ფორმანტი გამარტივებულია. საილუსტრაციო მასალებიდან ყურადღებას იქცევს ბალსზემოური მუ̄ქვ̄ნსგ და მე̄ქვ̄ნსგ ფორმების მონაცვლეობა. მიმდეობის მაწარმოებელთა მონაცვლეობა სხვაგანაცაა დადასტურებული, მაგ.: ლშხ. მეკჳრაშლ და მგკჳრაშლ. ლნტ. მეკჳრაშლ || მგკჳრაშლ 'მხვეწნელი' და ა. შ.[176] ბალსზემოურში უუმლაუტო ნაქვ'ის გვერდით დასტურდება ნ̄ქვ. ლენტეხურში ლექვისკ 'სათქმელის' გვერდით გვაქვს კ დაკარგული ლექვის, ლენტეხურისათვის მსგავსი რამ სხვაგანაც იყო შენიშნული[177].

აწმყოს ნაკვთის ფორმებიდან (უწყვეტელსაც ეხება) საინტერესოა პირველი პირის ყულე (უწყ. ყულას...) ფორმა, სადაც

---

173 არნ. ჩიქობავა, შედრ. ლექსიკონი..., გვ. 394.

174 იქვე.

175 ვ. თოფურია, დ- თავსართიანი ზმნები ქართულში, უნივერსიტეტის შრომები, XXV, თბილისი, 1943.

176 ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 219. შნშ.

177 მ. ქალდანი, სვანური ენის ლენტეხური კილოს ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება, ქართვ. ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961.

პირისნიშნისეული ვ ელემენტი ერწყმის ფუძისეულ ჭ'ს და გვაძლევს უ'ს:[178] (ყ უ ლ ე < ყ ვ ჭ ლ ე). ლენტეხური აწმყოში ზოგჯერ მეშველზმნიან წარმოებას მიმართავს: ყ უ ლ ე [ხვი] 'ვამბობ'...

უწყვეტელში ერთმანეთს ემთხვევა ბალსზემოურისა და ლენტეხურის ჩვენება. ბალსქვემოურში, რომელიც აქ წარმოდგენილია ეცერული თქმით, გვხვდება I პ. ყ უ ლ ა დ ა ს ვ, II პ. ყ ჭ ლ ა დ ა ს ვ, III პ. ყ ჭ ლ ა დ ა. ეს ფორმები გავრცელებული ჩანს როგორც ახალგაზრდების, ასევე მოხუცების მეტყველებაში. ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ორი მომენტი. ჯერ ერთი, -დასვ სუფიქსიანი წარმოება, რომელიც ბეჩოურისათვის დამახასიათებლადაა მიჩნეული, თავს იჩენს ეცერულშიც, მეორეც, რა არის -დ ა ს ვ სუფიქსის წინამავალი ა?

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ეცერულში „-ე სუფიქსიანი ზმნები I და II პირში მხოლოდ ფუძით არიან წარმოდგენილი: a. მათ ნამყოსურულის მაწარმოებელი ფორმანტი არ მოეპოვებათ, b. თემისეული -ე არ ჩანს და მას ვერც დაკარგულად ჩავთვლით, რადგანაც წინამავალი ხმოვანი არ უმლაუტდება"...[179] სხვა ნიმუშებთან ერთად ჩვეულებრივ დასახელებულია ყ უ ლ 'ვამბობდი', ყ ჭ ლ 'ამბობდი', ყ ჭ ლ ა 'ამბობდა'. ჩვენი დაკვირვებით თანამედროვე სვანურში ეს ფორმები მეტად იშვიათად იხმარება, ისიც ძირითადად მოხუცების მეტყველებაში. ამჟამად გავრცელებულია მაწარმოებლიანი უწყვეტელი. საერთოდ კი შეიმჩნევა, ბოლო დროს შეგნებულად გაურბიან ამ სიტყვის ხმარებას.

უწყვეტელთან დაკავშირებით აღვნიშნავთ ლენტეხურის ყ ჭ ლ ე დ ა ხ 'ამბობდნენ' ფორმას, რომელშიაც დაცულია -ე სუფიქსი.

დასახელებული ნიმუში იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ ირღვევა უწყვეტლის წარმოების ძველი ნორმა ახალი ფორმანტების, კერძოდ, დ ა'ს დართვისა და გაბატონების შემდეგ.

ვინაიდან კავშირებითი I უწყვეტელს ემყარება, ბუნებრივია, ბქვ.-ის ყ უ ლ ა დ ე 'ვამბობდე' და ა. შ. ფორმებში ა სუფიქსი აქ უწყვეტლიდან გადმოყოლილად მივიჩნიოთ.

უნახავ II"ში ისევ აწმყოს ფუძეა გამოყენებული. ყურადღე-

178 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

179 იქვე, გვ. 89.

ბას იქცევს ფორმათა მრავალფეროვნება: ბალსზემოურში გვაქვს ლგმყგლენინ ხვი‖ლგმყულენ ხვი 'ვამბობდი თურმე', ლგმყგლრნხ 'ამბობდნენ თურმე', ბალსქვემოურშია ლგმყგლინ, ლენტეხურში კი ლგმაყულენ ლი‖ლგმაყლინ...

მყოფადისეულ დროებსა, აგრეთვე დრო-კილოთა II და III ჯგუფში გამოყენებულია -ქვ ძირიანი ფორმები.

რაქვინნე‖ლაქვინნე 'იტყვის', რაქვე‖ლაქვე 'თქვა' ფორმებში აღნიშნის ღირსია რ და ლ ბგერების მონაცვლეობა. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „რ/ლ'ც ნიშანია, ოღონდ ამჟამად გაურკვეველი ფუნქციისა. ყოველ შემთხვევაში იგი ძირს არ განეკუთვნება"[180]. იქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ რ'აეანი ფორმები ქართულიდან არ არის შესული (ჰრქუა), მაშინ რ'ს პირვანდელი სახე შეიძლება იყოს ლ, რომელიც დაცულია ცნობილ ხუთ ზმნაში. ის ფაქტი, რომ ლ (>რ) სამსავე პირში გვაქვს, დაბრკოლებას ვერ უქმნის პირის ნიშნად მის აღიარებას. მსგავსი ვითარებაა ლგგ 'დგას' ზმნასთან. ლაშხ. -ში გვაქვს: ლუგ ხვი 'ვდგავარ', ლგგ ხი 'დგახარ', ლგგ 'დგას'...

ბალსქვემოურის როქინე და ა. შ. ფორმებში დაკარგული ჩანს ძირეული -ვ. მსგავსი ვითარებაა ლენტეხურში (ლექნე). ლენტეხური იმითაცაა საინტერესო, რომ აქ ადგილი აქვს რედუქციას. შდრ. ლნტ. ლექნე და ბქვ. რექინე 'იტყვის'.

წყვეტილში ბალსზემოურის I და II პირში მოკვეცილია რ თანხმოვანი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. ზემოსვანურსა და ლენტეხურში ძირეული ვ დაკარგული ჩანს. შდრ. ბზ. რევექა [რ] და ლშხ. ლრქვარ 'ვთქვი'... საინტერესოა უშგულურის ლექვე ფორმა, შდრ. ლშხ. ლექვ, ბზ. რექვ. კითხვას ბადებს ლაქვინ/ლექვინ ფორმები, რა არის ბოლოკიდური -ინ? ჩვენი აზრით, იგი მასალობრივ იგივე უნდა იყოს, რაც დასტურდება ჩვემ-ინ 'ქნა', იშგვმინ 'ითხოვა' და ა. შ. ფორმებში.

კავშირებითი მეორის ფორმები ორგვარადაა ნაწარმოები: -ა და -ე სუფიქსებით. საინტერესოა უშგულურის ლექვეს 'თქვას' ჩვეულებრივი ლაქვეს გვერდით. ლექვეს რადგანაც უშგულურშია დადასტურებული, მას ლაშხურთან მეზობლობა უნდა განაპირობებდეს (ლშხ. ლექვა ს).

საზედაო ქცევის ფორმებიდან საინტერესოდ გვეჩვენება

---

180 ვ. თოფურია, დ- თავსართიანი ზმნები ქართულში, უნივერსიტეტის შრომები, XXV, თბილისი, 1943.

ბალსქვემოურისათვის დადასტურებული ჯაყელ 164,51, რომელიც უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე -დასვ სუფიქსიანი წარმოება. წყვეტილში ერთი და იმავე პირის მეტყველებაში დადასტურებულია როგორც ხენქვეხ ისე ხაქვეხ 'უთხრეს'.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რაქვ და ა. შ. ზმნები განეკუთვნებიან ზმნათა ისეთ რიცხვს, რომლებიც პრევერბს არ მიიღებენ და მაინც სრული ასპექტისა არიან. მსგავსი ვითარებაა ქართულსა და მეგრულში.

10. ხაჩო 'უშვრება, უზამს'

ნაზმნარი სახელები იწარმოება როგორც აწმყოს, ისე ნამყოს ფუძისაგან. ბზ. აწმყოს ფუძეა გამოყენებული: ლიჩვმუ 'ქმნა', ლეჩვმე 'საქნელი', ლჩვმე 'ქმნილი', მუჩვმე 'მქნელი', ნაჩომ 'ნაქნარი', უჩვმა 'უქნელი'.

ნამყოს ფუძეა გამოყენებული: ლიყრინე 'ქმნა', ლეყრინე 'საქნელი', ლჯყრინე 'ქმნილი', მჯყრინე 'მქმნელი', ნაჯყრინჯ 'ნაქნარი', უყრა 'უქნელი'.

ნიმუშები: ბზ. მუშვან მარენი ხოლენი ლიყრინეს თათრიანობს ხვაყლედ შვანარ 1,7 'სვანი კაცისათვის ცუდის ქნას თათრიანობას ვეძახით სვანები';

ლშხ. წესარ ჩუ ლჯჩომ ლი 42,4. 'წესები ქმნილია'; ამჯნქა დენსამა ლი სერ ლაშხისა ლჯდგარენა ლეჩომ 43,10 'ამის მეტი არაფერია გასაკეთებელი მიცვალებულისათვის ლაშხეთში'.

აწმყო: მხ. რ., I პ., ბზ. ხვაჩო, ბქვ., ქვ სვ. ხვეჩო 'ვუშვრები', III პ., ბზ. ხაჩო, ბქვ., ქვსვ. ხეჩო 'უშვრება' და სხვ.

ნიმუშები: ბზ. ეჩქას კათტაბაგს ხაჩომ 8,24 'მაშინ საკურთხს უკეთებს'; კათტაბაგუნღო სერ ერხი დემგვაშ ხაჩო ლჯდგარს, ერხი თამფა სახს ი ლაგვანს ხაჩომ 8,27 'საკურთხის მერე ზოგი არაფერს უკეთებს მიცვალებულს, ზოგი კი აღდგომას და ტირილს უკეთებს';

ბქვ. ... მარე ძჯძს დემთემოშ ხეჩო 267,19... 'მაგრამ ძვრას ვერსად უშვრება';

ლშხ. ჟეზისა ხეჩოხ ბაპარ წეს-აგებას 37,20 'ეზოში უგებენ (უშვრებიან) მღვდლები წესს'; ჟერუ, სემი დეშსამამ ლოქ ხეჩოხ მარას 14,23 'ორი, სამი ვერაფერს ვერ უშვრებაო კაცს';

ლნტ. ამჟი ხეჩო 'ასე უშვრება';

უწყვეტელი: მხ. რ., ბზ., I პ. ხვაჩოდას, ბქვ. ხვეჩმუდდასვ || ხვეჩვმ, ლშხ. ხვეჩმის, ლნტ. ხვეჩომდას 'ვუშვრებოდი';

III პ., ბზ. ხაჩოდა, ბქვ. ხეჩმუდა || ხეჩმუდ, ლშხ. ხეჩმჷდა, ლნტ. ხეჩომდა 'უშვრებოდა'.

ნიმუშები: ბზ. სერ ღვაშპრს იმ ხაჩომდა 54,28 'მეტს ჯიხვებს რას უშვრებოდა'; ლეჟა მუხვირს ლექვაე ხაჩოდა 93,32 'ზევითა კუთხეს ქვევით უშვრებოდა';

ბქვ. თხუმ ჩუბოვ ხვეჩმუდად 1,18 'თავს ქვევით ვუშვრებოდით';

კავშირებითი I: მხ. რ., ბზ. ხვაჩოდენდ; ბქვ. ხვეჩმუდდე || ხვეჩმუდე, ლშხ. ხვეჩმჷდე, ლნტ. ხვეჩომდე 'ვუშვრებოდე'; III პ., ბზ. ხაჩოდენდს, ბქვ. ხეჩმუდდეს || ხეჩმუდეს, ლშხ. ხეჩმჷდეს, ლნტ. ხეჩომდეს 'უშვრებოდეს'.

ნიშანი ბალსზემოური კილოდან: ეშხუ მაპრე იმ ხაჩოდენდს ალამაგ გვეშს? 'ერთი კაცი რას უშვრებოდეს იქნება (უზამს) ამდენ საქმეს'?

მყოფად სრულში ბალსზემოურის პარადიგმებში გვაქვს ყერ ძირიანი ფორმები, მაგრამ საილუსტრაციო მასალის ანალიზისას თითქმის ყველგან დადასტურდა ჩომ ძირიანი წარმოება. ჩვენ ერთიც წარმოვადგინეთ და მეორეც[181].

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ბზ. ხვაყრინე || ოთყერნე || ორყერე 'ვუზამ'; III პ. ხაყრინე || ათყერნე || ათყერე 'უზამს'.

ნიმუშები: ბზ. ამჟი ჯეჩო 'ასე გიზამ'; ეჯას ჯაჩო 139,4 'იმას გიზამ'; ბქვ. ნენსგაშ ესერ ჯიმილ ირდი, ეჯის ესერ იმ ხეჩო 64,35 'საშუალო ძმა რომ იქნება, იმას რას უზამო'?; ლშხ. პოეზ. აშ ლერსკვანთე ჯგგრაგ გვეჩო 382,51 'ასე სამარჯვოს გიზამს წმინდა გიორგი';

ლნტ. იმ ლოქ ხეჩო? 'რას უზამსო?' აღვე ეჯ ლინგზარს ჯე ლოქ ხეჩო 168,32 'აბა იმ მგზავრობას მე გიზამთ (გაგაკეთებინებთ)'.

წყვეტილი: მხ. რ., I პ., ბზ. ხვაყრ, ბქვ. ხვაყრ, ლშხ. ხვაყ, ლნტ. ხვაე 'ვუქენი'; III პ., ბზ., ქვსვ, ხაყერ, ბქვ. ხაყერ || ხაყერ 'უქნა'; მრ. რ., I პ., Si ბზ., ქვსვ. ლაყერდ, ბქვ. ლაყერდ; Se ბზ., ქვსვ. ხვაყერდ, ბქვ. ხვაყერდ 'ვუქენით'.

---

181 დანარჩენ კილოებში ჩომ ძირიდან ნაწარმოები მყოფადი თითქოს ერთადერთი ჩანს, მაგ. ბქვ. ხვეჩო, ლშხ. ხვეჩო, ლნტ. ჩუ ხვეჩო 'ვუზამ'. ... თუმცა ლენტეხურში დადასტურდა შემდეგი ნიმუშები: მაღმა ხვყერენი 166,31 'არაფერი მოუვა'; მა ლოქ ხვყერენხ... 225,34 'რა დაეშართათ'_

ნიმუშები: ბზ. ეჯას ლაბი ხოლა გეეშ ხვაყრ 434,19 'იმას დღეს ცუდი საქმე ვუქენი'; მაჲ ჯინდეშდხ, ეჯა მაყერდ აშხვ გვეშჳნქა 158,21 'რაც გინდოდეთ, ის მიქენით ერთი საქმის გარდა'; ალას ამჟი ხაყერ, მი ჰაშდურდ იმ დომ მაჩო 67,12 'ამას ასე უქნა, მე მთლად რას მიზამს'; ამჟი ხაყრ 67,26 'ასე უქენი';

ბქვ. ეშხუ მინს გარ როქ ხეჩო პატივს, მიჩა თხუმ როქოღვი ხაყერ პატივ 142,21 'ერთი მათ მარტო რომ სცემ პატივს, შენს თავსაც პატივი ეცით'; მაჲ ხაყრ 107,35 'რა უქენი';

ლშხ. ეჩჟი მერმა ლადეღუდ ხაყერ 62,30 'ასეევ მეორე დღეს უქნა';

ლნტ. ალე მაგ ხუთკუნჳულად ხაყერ 'ეს ყველაფერი ხუთკუნჳულამ უქნა'; ქვერწილ ხაყერ 206,15 'ქორწილი გაუკეთა';

კავშირებითი II: მხ. რ., I პ., ზსვ. ხვაყრი, ლშხ. ხვაყრა || ხვაყრა ხვი, ლნტ. ხვაყერი 'უქნა'; III პ., ზსვ. ხაყრის, ლშხ. ხაყრას || ხაყრის, ლნტ. ხაყერის 'უქნას'.

ნიმუშები: ბზ. მიშგვა წევარ-მეძბარაღს მაჲ ხვაყრი? 244,29 'ჩემს მწევარ-მეძებრებს რა ვუქნა?'; ოხტაბენხ კიბდევნ ეჯაღლი, ერე ჩუ დოშ მა ხაყრიხ 286,30 'უნდა გაეთალათ ისეთი კიდობანი, რომ ვერაფერი ვერ უქნან'. ჩუ დოშ მა ხაყრიხ 266,30 'ვერაფერი ვერ უქნან';

ბქვ. ნომაგვეშ ესერ ხაყრის დაშდედ 17,8 'არაფერი გიქნას დათვმა';

ლშხ. ჲაკოფდ ხენქჳ, ერე მაჲ ლოქ ხაყრის ღო? 62,34 'იაკობმა უთხრა, რა ვუქნაო მერე?'; ჲაღო ლოქ მაჲ ხაყრის წევარ-მეძბარს? 56,23 'აბა რა უქნასო მწევარ-მეძებრებს?'

ლნტ. ალმაგ კეთილს მა ხაყერის 177,10 'ამდენ სიმდიდრეს რა უქნას'.

თურმეობითი I: მხ. რ., ზსვ., ლშხ. I პ. მიყრა[182], ლნტ. მიყერა 'მიქნია'; III პ., ზსვ., ლშხ. ხოყრა, ლნტ. ხოყერა 'უქნია'.

ნიმუშები: ბზ. ეჩჟი ხოყრა, იმჟი ღერთალს ხოთრნახ 57,20 'ისე უქნია, როგორც ღმერთებს უსწავლებიათ';

ბქვ. ჰე, ალა როქ ხოყრა მიჩ 218,3 'ჰე, ეს მიქნია მეო';

ლშხ. ... დეშსამა ლოქ ხოყრახ 65,23 ... 'ვერაფერი ვერ უქნიათო';

---

182 ნიშნავს აგრეთვე გამირტყამს.

ლნტ. მა ლოქ ხოყერა დენაჲშდ? 71,15 'რა უქნია გოგოსათვის'?

სანამ ზმნის ანალიზს წარმოვადგენდეთ, აღვნიშნავთ, რომ ნაშრომის ამ ნაწილში ლაპარაკი იქნება მხოლოდ იმ თავისებურებებზე, რასაც აქ წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს. რაც შეეხება ძირსა და ზოგ სხვა საკითხს, მათ შესახებ ვიმსჯელებთ იჩო 'შვრება, იზამს' ზმნასთან.

„ხაჩო (<ლშხ. ხეჩო) 'უშვრება, უზამს' იუღვლება აწმყოს ჯგუფში.., ხოლო დროთა II და III ჯგუფში და მყოფადსრულშიც ძირს იცვლის"[183]. ცნობილი ეს დებულება ჩვენი პარადიგმებითაც დასტურდება: მონაცვლეობენ ჩომ/ყერ ძირები. მივყვეთ თანმიმდევრულად: ნაზმნარ სახელებში ამოსავალია როგორც ჩომ, ისე ყერ. ამ უკანასკნელს ნაზმნარ სახელებში მხარს უჭერს ბალსზემოური: ლიყრინე, თუმცა ლიჩვმე'ც გვაქვს. სხვა კილოებში თითქმის გაბატონებული ჩანს ჩომ ძირიანი სახელები (იხ. ნიმუშები). აწმყოში ბალსზემოური ხაჩო'ს გვიჩვენებს, დანარჩენი კილოები კი — ხეჩო'ს. ამოსავალი ეს უკანასკნელი უნდა იყოს. ხაჩო'ში ე'ს ა'დ გაფართოვების შემთხვევასთან გვაქვს საქმე. რომ ხვაჩო და ა. შ. ფორმებს დაკარგული აქვთ ბოლოკიდური მ'ანი, ამაზე ბალსზემოურის ხაჩომ 8,24 'უკეთებს' მიგვითითებს.

უწყვეტელში ბალსზემოური დანარჩენ კილოებს იმით უპირისპირდება, რომ ძირეული მ'ანი აქაც გაუჩინარებულია: შდრ. ბზ. ხაჩოდა, ბქვ. ხეჩმუდა || ხეჩმუდ, ლშხ. ხეჩმგდა, ლნტ. ხეჩომდა 'უშვრებოდა'. საილუსტრაციო მასალებიდან აღვნიშნავთ ბალსზემოურის ლენჯერული თქმის ხაჩომდა 54,28 'უშვრებოდა' ფორმას, რომელშიც ბოლოკიდური მ'ანი დაცულია.

ბალსქვემოურის ხეჩმუდა || ხეჩმუდ, ლშხ. ხეჩმგდა 'უშვრებოდა' ფორმებში ძირეული ო ხმოვანი რედუქციას განიცდის, შდრ. ხაჩოდა და ლნტ. ხეჩომდა... ბალსქვემოური იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ უწყვეტლის მაწარმოებლად -უდა სუფიქსი გვევლინება[184] იზბუდა 'ჰამდა'ს მსგავსად,

---

183 ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 255.

184 თ. შარაძენიძე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იკე, IX—X, 1958, გვ. 243.

თუმცა ოდენ -უდ სუფიქსიანი წარმოებაც არ არის უცხო: ხ ე ჩ-მ უ დ 244,11.

ბალსზემოურის მყოფად სრულში გვაქვს როგორც ყ ე რ ძირიანი წარმოება, ისე ჩ ო მ'იანი. გამოქვეყნებულ ტექსტებში ეს უკანასკნელია გავრცელებული. დანარჩენ კილოებში პარადიგმების შედგენისას მხოლოდ ჩ ო მ ძირიანი ფორმები დაგვისახელეს. ტექსტებიც თითქოს ამას უჭერს მხარს. ბალსზემოური ფორმათა მრავალფეროვნებას ავლენს: ერთ შემთხვევაში რომ ძირეული ხმოვანია ამოვარდნილი: ხ ა ყ რ ი ნ ე 'უზამს', მეორე შემთხვევაში იგი დაცულია, სამაგიეროდ სუფიქსისეული ხმოვანი იკარგვის: ა თ ყ ე რ ნ ე, თუმცა უსუფიქსო ა თ ყ ე რ ე'ც გვხვდება. აქ წარმოდგენილი ნიმუშებიდან აღვნიშნავთ ჯ ე ჩ ო ფორმას, რომელიც ბალსზემოურ პოეზიაშია დამოწმებული, შდრ. სხვა კილოები.

წყვეტილში მხ. I და II პირის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება ზემოსვანური და ქვემოსვანური: ამ უკანასკნელის ფორმებში ფუძის აბსოლუტურ ბოლოში რ'აე დაკარგულია, რაც, რასაკვირველია, მეორეული მოვლენაა.

კავშირებით მეორეში ყურადღებას იპყრობს ლაშხურის ხ ვ ა ყ რ ა ხ ვ ი 'ვუქნა', სადაც მეშველხმნიანი წარმოება გვაქვს. გარდა ამისა, როგორც III პირის ფორმით დასტურდება, მონაცვლეობენ კავშირებითის მაწარმოებელი -ა და -ი სუფიქსები. ზემოსვანურსა და ლაშხურში ფუძე შეკუმშულია, ლენტეხურში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, გვაქვს ხ ა ყ ე რ ი ს 'უქნას' შეუკუმშავი ფუძე.

დრო-კილოთა III ჯგუფი აქ წარმოდგენილია თურმეობითი I'ის სახით. ამოსავალია ყ ე რ ძირი.

11. ი ჩ ო 'შვრება, იქმს', როგორც ცნობილია, დროთა მიხედვით ფუძემონაცვლეა და არა ძირმონაცვლე. ფუძემონაცვლე ზმნები ჩვენ შევიტანეთ შრომის მეორე და მესამე თავებში, მაგრამ იქ გავაერთიანეთ სულ სხვა პრინციპზე ფუძემონაცვლე ზმნები. ი ჩ ო 'შვრება, იქმს' ვერ მოხვდა ზემოთ დასახელებულ თავებში გარკვეული მიზეზების გამო. ვინაიდან იგი ძირის მიხედვით მჭიდრო კავშირშია ხ ვ ჩ ო 'უშვრება, უზამს' ძირმონაცვლე ზმნასთან, ამდენად ხ ვ ჩ ო'ს შემდეგ წარმოვადგინეთ.

ნაზმნარი სახელები კილოთა მიხედვით:

ბზ., ლნტ. ლიჩვმე, ბქვ. ლიჩემ, ლშხ. ლიჩომ 'ქმნა'; ბზ. ლეჩვჱე, ბქვ. ლეჩემ || ლეჩომ, ლშხ. ლეჩომ, ლნტ. ლეჩვემ 'საქმნელი';

ბზ. მუჩვმე, ბქვ. მჷჩემ, ლშხ. მჷჩომ, ლნტ. მუჩვემ 'მქნელი'; ყველა კილო: ნაჩომ 'ნაქნარი', ბზ. უჩვმინა || უჩვმა 'უქნელი'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ლიმპარ̈ი ლ ი ჩ ვ მ ე ამჟი ხაზნახ ნიშ-გვეამჷყ 15,22 'ლამპრობის მოწყობა (კეთება) ასე სჩვევიათ ჩვენთან'; ჲას როქ ესეთრნა ამი ლ ი ჩ ე ე მ? 442,21 'ვინ გასწავლაო ამის კეთება?' ქვერწილ ლი ლ ე ჩ ვ მ ე 6,17 'ქორწილია გადასახდელი'; ჩუ ლ ე ჩ მ ე ხ̌ადა 64,27 'გასაკეთებელი შეექმნა'; ცოდჲ მ უ ჩ ვ მ ე ხენწიფე 84,32 'ცოდვების მქმნელი ხელმწიფე'; ხოლემი მ უ ჩ ვ მ ი ნ ჭ ლ ა 23,27 'ცუდის მქმნელები'; ნ ა ჩ ო მ 23,27 'ნაქნარი'; ბზ. ლეჩვმე-უ ჩ ვ მ ა მაგ ჯიჩვმინა 6,13 'საქნელი-უქნელი ყველაფერი გაგიკეთებია';

ბქვ. გარჯ ირი ჲმიშ ლ ი ჩ ე მ ი 276,11 'ძნელი იქნება ამის კეთებაც'; ეჯრე ლ ი ჩ ე ე მ 35,37 'იმათი გაკეთება'; იმჟი ესერ ლ ე ლ ე ჩ ე მ 159,13 'როგორ არის გასაკეთებელიო'; ეჯ მეკროშვ გვჲმი ლ ე ჩ ო მ ეჯღჲი დემგვაშვმოშ იჩმუდ 291,27 'იმ ხელით (მკლავით) მძიმე საქმეს მაინც ვერაფერს აკეთებდა'; კონჩხრიშ ლ ა ჩ ო მ ს... ხოშა ლაღჲლ მაგ ქ̌ჲთყაჩ 304,25 'წლის თავის გადახდას... მეტ წილად ყველამ უშვა ხელი'; ეჯი ტსერ ირი ამიშ მ ჷ ჩ ე მ 135,2 'ის იქნებაო ამის გამკეთებელი'; ამიშ მ უ ჩ ვ ე მ სოფლჲრ ხოხალდ 67,32 'ამის მქმნელები სოფლელები ეგონა';

ლშხ. ამჟი ლ ი ჩ ო მ (ლილგენი) წეს ლი ლეგმერდჱმიშ 89,7 'ასე კეთება (ღამის თევა) წესია ავადმყოფთან'; მიშგჯამჷყ ლოქ ამჟი მჱრი ლ უ ჩ ო მ 40,30 'ჩემთანაც ასე მექნებაო გასაკეთებელი'; პოეზ. ლ ე ჩ მ ე-ჲ-უ ჩ მ ი ნ მაგ ხოჩმინა 150,50 'საქნელი და უქნელი ყველაფერი უქნია';

ლნტ. მაგ ისკვი ხოჩემი მ უ ჩ ვ ე მ უ ლი 57,19 'ყველა შენი კარგის გამკეთებელი ყოფილიყოს'; ხვაჲ ხოლა გვეშ ლოქ ხარ მიჩ ნ ა ჩ ო მ 71,35 'ბევრი ცუდი საქმე მაქვსო გაკეთებული'; აშ ჩუ ხოჩა სკვებნავ ჯიმი ლ ი ჩ ვ ე მ 36.30 'ისე კი ჯობია მარილის წინასწარ ქნა (გაკეთება)'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ. ყველა კილოსათვის: ხვიჩო 'ვშვრები'; III პ. იჩო 'შვრება'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ამჟი ნომ ლ ი ჩ ო დ 58,14 'ასე ნუ ვშვრებით': დეშ ხ ი ჩ ო დ ეჩი ნჭქვისგვს 129,12 'ვერ გააკეთებთ იმის ნათქვამს'; აჯაღ ი ჩ ო ვრბა ცოდვას 72,15 'კიდევ აკეთებს ბევრ ცოდვას';

ბქვ. მიშგვა დი ლუშნუ საპენსი იჩო ამჟი 7,18 'დედაჩემი სვანურ საპონსაც აკეთებს ასე';

ლშხ. ლიმზურაშლს ი ლიშგნდობის მუნწჯარაჯ იჩოხ ეჩჟი, იმგი.. 37,15 'სალოცავებსა და შესანდობარს შემწირავნიც აკეთებენ ისე, როგორც...;

ლნტ. ხაშლხ იჩოხ კრებას 167,23 'ხალხი შვრება (აკეთებს) კრებას'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ. ხვიჩოდას, ბქვ. ხვიჩმუდასე || ხვიჩვმ, ლშხ. ხვიჩმის, ლნტ. ხვიჩომდას 'ვშვრებოდი'; III პ., ბზ. იჩოდა, ბქვ. იჩმუდა || იჩმუდდან || იჩმუდ, ლშხ. იჩმგდა, ლნტ. იჩომდა 'შვრებოდა'.

ნიმუშები: ბზ. ეჩანღო ალა ლიყულის იჩოდა გუნ 378,14 'მერე ეს ყვირილს ატეხდა (შვრებოდა) ძალიან'; ამჟი იჩომდახ 440,9 'ასე შვრებოდნენ'; პოეზ. ლატლაშრ ტუნვაშრს იჩომდახ 230,71 'ლატალელები ქოთნებს აკეთებდნენ'.

ბქვ. ... დემგვაშვმოშ იჩმუდ 291,27 'ვერაფერს ვერ აკეთებდა'; ალ მარე დემ იჩმუდა ჩიქი ლიზის 26,16 'ეს კაცი არ შვრებოდა ჯერ წასვლას';

ლშხ. იმჟი მესჯფელ იჩმგდა ხეჯსობჟინ... 37,15 'როგორც სოფლელები აკეთებდნენ საუზმისას...';

ლნტ. ალექსანდრე დემ იჩომდა 143.38 'ალექსანდრე არ შვრებოდა'.

კავშირებითი I: მხ. რ., ბზ., I პ. ხვიჩოდედ, ბქვ. ხვიჩმუდე, ლშხ. ხვიჩმგდე, ლნტ. ხვიჩომდე 'ვშვრებოდე'... III პ., ბზ. იჩოდედს, ბქვ. იჩმუდეს, ლშხ. იჩმგდეს, ლნტ. იჩომდეს 'შვრებოდეს'.

ნიმუში ბალსზემოური კილოდან: ამჟი ერ იჩოდედს 'ასე რომ შვრებოდეს'.

მყოფადი სრული: მხ. რ., ზსვ., I პ. ათჩო || ხვიჩო, ქვსვ. ხვიჩო 'ვიზამ': III პ., ზსვ. ადჩო || იჩო, ქვსვ. იჩო 'იზამს';

ნიმუშები: ბზ. ისგვაურ იმ მოშ ათჩო? 'უშენოდ აბა რას ვიზამ'?; ... ეჩუნღო მი ხვიჩო 364,26 ... 'მერე მე ვიზამ'; იმ როქვ ხვიჩოდ შვანჯრ 39,3 'რას ვიზამთო სვანები';

ბქვ. იმ ლოქ ლჟმჩვემინ ეჯგვაშრს მიჩა მუ, ერე ჯი დეშ ადჩო? 53,13 'ისეთს რას აკეთებს მამამისი, რომ ის ვერ გააკეთებს'?

ლშხ. ეშთანშ სკარხალს ლოქ იჩო, ერე... 54,14. 'ისეთ სეტყვას იზამს, რომ...'

ლნტ. ხიჩო ხი? 'იზამ'?

უნახავი II: მხ. რ., I პ., ბზ. ლუმჩვემინ ხვი, ბქვ. ლჳმჩომინ ხვი || ლჳმჩემინ ხვი, ლშხ. ლჳმჩომნწელ ხვი, ლნტ. ლჳმაჩვემ ხვი 'ვაკეთებდი თურმე, „ნაკეთებვარ“'; III პ.. ბზ. ლუმჩვემინ [ლი], ბქვ. ლჳმჩომინ ლი || ლჳმჩემინ [ლი]; ლშხ. ლჳმჩომნწელი, ლნტ. ლჳმაჩვემ ლი 'აკეთებდა თურმე, „ნაკეთება“'.

ნიმუშები: ბზ. ჩი ეჯას ლჳმჩვემ დაჳი 30,11 'ყველაფერ იმას აკეთებდა დევიც'; ... მარე გაწრგლას ესერ მაშად ლჳჩომინ 346,21 'მაგრამ ლაპარაკს კიდევ არ აკეთებდაო';

ბქვ. იმლ'ესერ ლუმჩომინ ალის? 45,7 'რატომ აკეთებდიო ამას?'; იმ როქ ლჳმჩვემინ ეჯგვაწს მიჩა მუ? 53,13 'რას აკეთებდაო ისეთს მამამისი?'; ეჯღაჲ ამჟიად ლჳმჩომნელიხ 199,18 'მაინც ასე აკეთებდნენო'; მუშვნი ჩიგარ ლჳმჩემ ხოჩამ ი ხოლამ 285,4 'მუშვნი ყოველთვის „ნაკეთება“ კარგსაც და ცუდსაც';

ლშხ. იშგენს დესამამ ლჳმჩომინ 80,3 'სხვას არაფერს აკეთებდაო'.

წყვეტილი: მხ. რ., I პ., ბზ., ჩვემ, ბქვ. ჩვემ || ჩვემნ, ლშხ. ჩომ, ლნტ. ჩვემ 'ვქენი'; III პ., ბზ. ჩვემინ, ბქვ. ჩემინ, ლშხ. ჩომინ, ლნტ. ჩემ || ჩვემინ 'ქნა'; მრ. რ., I პ., Si ბზ. ლუჩმინდ, ბქვ. ლუჩმინდ || ლუჩემინდ, ლშხ. ლჳჩმინდ, ლნტ. ლუჩვემინდ; Se ზსვ., ლნტ. ჩვემინდ, ლშხ. ჩომინდ 'ვქმენით'.

ნიმუშები: ბზ. ალა ჯეკვაწ ი ალა ჩემნ 64,25 'ეს გინდოდა და ეს ქენი'; სი ცოდ მაგ ჯიჩვმინა, აჯაღ ჩვემდ მიშგვაურ 68,11 'შენ ცოდვა ბევრი ჩაგიდენია, კიდევ გააკეთე უჩემოდ'; ალა ამჟინ ჩვემინხ 10,11 'ეს ასე გააკეთეს'; დინად მად ჩუმინ 444,32 'გოგომ არ ქნა'; ჩუ ჩრმინხ ალდაწრდ ამჟინ 146,16 'ამათ ასე გააკეთეს': ჩომინხ 148,13 'ქნეს':

ბქვ. ეჯი მი მადუ ჩვემნ 140,26 'ის მე არ ვქენი'; მი იმჟი ჯქინე, ეჯი ჩემინდ 257,1 'მე როგორც გეტყვი, ისე გააკეთეთ'; ქვერწილ ეჯღაი ჩვაჩვმინხ 109,17 'ქორწილი მაინც გადაიხადეს (ქნეს)';

ლშხ. ... დეშ ჩომინხ შუშპარ ხანჯარალე კეცხჟი 53,9 ... 'ვერ იცეკვეს ხანჯლების წვერზე'.

ალე დეშერდ ჩომინ იშგენდ 52,27 'ეს სხვამ ვერავინ ვერ გააკეთა';

ლნტ. ეჩქად მად ჩვემნ 56,24 'მანამდე არ ვქენი'; სოფელდ... ჩვემინ 72,18 'სოფელმა... ქნა'.

კავშირებითი II: მხ. რ., I პ., ბზ. ჩვემინა, ბქვ. ჩვემნე, ლშხ. ჩომნა [ხვი]; ლნტ. ჩვემნე 'ვქნა'; III პ., ბზ. ჩვემინას, ბქვ. ჩემნეს, ლშხ. ჩომნას, ლნტ. ჩვემნეს 'ქნას'.

ნიმუშები: ბზ. მაჲ დო ჩვემინა? 155,36 'რა უნდა ვქნა'; მაჲ ჩომინა? 64,19 'რა ვქნა'? მაჲ ჩვემინე? 'რა ვქნა'?; სერ მაჲ ლუჩვმინად 118,1 'მეტი რა გავაკეთოთ'? მაჲ ლუჩმინედ 60,21 'რა ვქნათ'; ადრო, მაჲ ლუჩმინედ (|| ლუჩმინიდ) 58,15 'აბა რა ვქნათ'?

ბქვ. მაჲ ჩვემნე 174,15 'რა ვქნა'; ათხე მაჲ ჩვემინახ 17,6 'ახლა რა ქნან'; ათხე მაჲ ჩვემინეხ 23,7 'ახლა რა ქნან'; მაჲ ჩემნეხ 93,5 'რა ქნან'; პოეზ. ... ჩემნა... 108.62 'ჰქნა'..

ლშხ. დერჯაჲდ ხანჯრალუ კეცხეი ჩომნას შუშბარ... 53,7 'ვინც ხანჯლების წვერზე იცეკვოს (ქნას ცეკვა)'...;

ლნტ. მა ჩვემნეს ათხე 275,14 'რა ქნას ახლა'; მა ჩომინეს ათხე შუხბედ 188,5 'რა ქნას ახლა ძმამ'; მა ჩვემინას (|| ჩვემინეს), მაჲდ ხოხალ 182,7 'რა ქნას, არ იცის'.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ. მიჩვმინა, ბქვ. მიჩმინა || მიჩვმინა, ლშხ. მიჩმინა, ლნტ. მიჩომნა 'მიქნია'; III პ., ბზ. ხოჩვმინა, ბქვ. ხოჩმინა || ხოჩვმინა, ლშხ. ხოჩმინა, ლნტ. ხოჩომნა 'უქნია';

ნიმუშები: ბზ. ჯიჩვმინა 66,21 'გიქნია'; ათხად როქვ დაჲს ხოჩვმინა ალა 144,22 'აქამდე არავის გაუკეთებიაო ეს';

ბქვ. მინ'ესერ ნაქვ იმღა დემ ხოჩვმინა 96,21 'თავიანთი ნათქვამი რატომ არ გაუკეთებიაო'.

აქვე წარმოვადგენთ ნაბეჭდ ტექსტებში დადასტურებულ თურმეობითი II'ის ნიმუშებს:

ბზ. ბაჰს ლახლრნ, მარე მაჲდუ ხოჩვმინაჲნ 357,30 'მღვდელს ეწყინა, მაგრამ რა უნდა ექნა';

ბქვ. მაჲ ხეკვეს ხოჩვმინაჲნ 263,12 'რა უნდა ექნა';

ლშხ. მაჲმა გიმჟი ედ ჩომნაჲნ, ეჯი ენმეკრე 75,5 'რაც მიწაზე უნდა ექნათ, ის გაიგო';

ლნტ. მა ხოჩომნაჲნ 73,32 'რა უნდა ექნა'.

იჩო 'შვრება, იქმს' ზმნა განიხილება როგორც ნაკვთთა მიხედვით ფუძემონაცვლე, „ჩანს, ორი ფუძე გვაქვს: იჩო და ჩომინ"[185]. პირველი გვხვდება აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დრო-

185 ე. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, გვ. 259.

ებში. მეორე — ჩომინ გამოყენებულია დრო-კილოთა II და III ჯგუფის ფორმებში.

ამოსავალია ჩომ, რაც გვაქვს აგრეთვე ხაჩო < ხაჩომ 'უშვრება, უზამს' ფორმაში. ჩომ ბგერით შესატყვისს პოულობს მონათესავე ენებში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სვანურ ჩომ'ს ქართულში შეესატყვისება *ქამ (ქამ-ენ-ა), მეგრ. ქომ[186] და ჰანური ქომ || ქუმ || ქიფ[187]. ცნობილია, რომ ქართული ქ აფრიკატიზაციის შედეგად გვაძლევს ჩ'ს[188]. ვინაიდან ქართული და სვანური ვოკალიზმი ერთი წარმოების ფუძეებში ერთმანეთს ემთხვევა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული ქამ'ის შესაბამისად სვანურში უნდა გვქონოდა *ჩამ, ხოლო თუ ო გვაქვს (უნდა ყოფილიყო უ, შდრ. მუ 'მამა'...), ეს იმიტომ, რომ ა ხმოვანს მომდევნო მ'ანის გავლენით ლაბიალიზაცია განუცდია, რის შედეგიცაა ჩომ ერთეული[189].

კილოთა ჩვენებების ურთიერთშეჯერებამ შემდეგი გამოავლინა: სახელებში ამოსავალია როგორც ჩომ (დაცულია ლაშხურის ნაზმნარ სახელებში, აგრეთვე ყველა კილოს წარსული დროის მიმღეობაში — ნაჩომ), ისე ჩომინ, შდრ. ლუჩვმინ 'ქმნილი'. საილუსტრაციო მასალებიდან ყურადღებას იქცევს პარალელურ ფორმათა ხმარება, როგორიცაა ბზ.-ი ლიჩვემ, ლიჩვმე 'ქმნა'; ლეჩვმე, ლეჩუმ 'საქნარი'; ბქვ.-დან: ლიჩემ, ლიჩვემ 'ქმნა'; მგჩემ, მუჩვემ 'მქნელი'...

აწმყოს ნაკვთში ყველა კილო ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებს: ხვიჩო 'ვშვრები', ხიჩო 'შვრები', იჩო 'შვრება' და ა. შ. დასახელებულ ფორმებს მოკვეცილი აქვთ ბოლოკიდური მ'ანი. ეს რომ ასეა, ამას სპორადულად გამოვლენილი მ'ანიანი ფორმებიც ადასტურებს: ბზ. იჩომხ 7,14 'შვრებიან'; ასევე უწყვეტელში გავრცელებულია უმანო ფორმები, მაგრამ ტექსტებში აქა-იქ გვხვდება მ'ანიანიც: ბზ. იჩომდახ 'შვრებოდნენ'. რაც

---

186 იქვე.

187 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 337.

188 ვ. თოფურია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იკე, XII, 1961, გვ. 152.

189 გ. მაჭავარიანი, ა ხმოვნის ლაბიალიზაციის შემთხვევები სვანურში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XVII, № 4, 1956.

შეეხება ლენტეხურს, აქ პარადიგმებზე ადგილობრივ მუშაობისას მხოლოდ მ'ანიანი ფორმები დადასტურდა.

ბალსქვემოურის ეცერულ თქმაში ამ ზმნის უწყვეტლის ფორმებად გვხვდება ხვიჩმუდასვ 'ვშვრებოდი', ხიჩმუდასვ 'შვრებოდი' და იჩმუდა 'შვრებოდა', რომლებიც ბეჩოურის ხვიზბუდასგვ 'ვამდა' და ა. შ. ფორმებს მოგვაგონებს. პარალელურად იხმარება აგრეთვე ხვიჩვმ, ხიჩვმ, იჩმუდ, რომლებიც უფრო ხანშიშესულთა მეტყველებისათვის ჩანს დამახასიათებელი. III პირში გვხვდება როგორც იჩმუდა ასევე იჩმუდდან.

მყოფად სრულში იხმარება როგორც უზმნისწინო ხვიჩო და ა. შ. ფორმები (აწმყო და მყოფადი აქ ერთმანეთს ემთხვევა), ისე პრევერბიანი ადჩო 'იზამს'... ლენტეხურისათვის, როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც გამორიცხული არ არის მეშველზმნიანი ფორმების ხმარება: ხიჩო ხი.

უნახავ II'შიც ფორმათა სიჭრელე შეინიშნება. ბალსზემოურში ლუმჩვემინ [ლი], ლგმჩომინ'ის გვერდით გვაქვს ლგმჩვემ 'აკეთებდა თურმე, „ნაქნავა“', რომელშიც (უნ>უნ>ვინ>) -ინ სუფიქსი არა გვაქვს ლენტეხურის მსგავსად. ასეთივე ვითარებაა ბალსქვემოურშიც: ლუმჩომინ || ლგმჩვემინ || ლგმჩომნელიხ და ლგმჩემ 'აკეთებდა თურმე'.

ნ. წყვეტილსა და მისგან ნაწარმოებ კავშირებით მეორეში უკვე ჩომინ ფუძე შეიმოდის. ჩვენს პარადიგმებში ნ. წყვეტილის I და II პირში ბალსზემოურში ნ'არი არ ჩანს (შდრ. „სვანურ ენაში“ შეტანილი ფორმები: I პ. ჩვემნ || ოჩვემნ, II პ. ჩვემნ || აჩვემნ, III პ. ჩვემინ || აჩვმინ...)[190].

არ შევიტანეთ იმიტომ, რომ ჩვეულებრივ მეტყველებაში დღეს უკვე გამარტივებული მი ჩვემ 'მე ვქენი', სი ჩვემ 'შენ ჰქენი' იხმარება. ამ ფორმებში რომ ბოლოკიდური ნ'არი ჩამოკვეცილია, ამას სხვა კილოების ჩვენება და თვით ბალსზემოურში არსებული ნ'არიანი ფორმები ადასტურებენ: ბზ. ალა ჩემნ 64,25 'ეს ქენი'. რაც შეეხება ნ. წყვეტილის III პირსა და მრავლობითის ყველა პირს (ამ უკანასკნელში მხოლოობითის III პირის ფუძეა გამოყენებული), აქ ყველგან -ინ სუფიქსი გვაქვს. მაშასადამე, დრო-კილოთა I ჯგუფში ამოსავალია ჩომ, II'შიკი — -ინ სუფიქსით გართულებული ჩომინ: აქ უნებლიეთ გვა-

[190] ვ. თოფურია, სვანური ენა, I, გვ. 259.

გონდება ძველი ქართულის ვითარება. როგორც ცნობილია, ძვ. ქართულში ვიქმ იხმარებოდა მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ნაკვთებში. აორისტსა და მისგან ნაწარმოებ ნაკვთებში კი გამოყენებული იყო -ენ სუფიქსით გართულებული ფუძე: ვქმენ[191].

ბზ.-ის ნიმუშებიდან აღსანიშნავია, რომ ზოგან დაცულია ძირეული ო (ჩომინს 148,13 'ქნეს'); სხვაგან ო'ს უმლაუტით მიღებული -ვე კომპლექსი გვაქვს, რაც შეეხება ჩემნ, ჩემინ ფორმებს, აქ -ვე კომპლექსი დელაბიალიზებულია.

საინტერესოდ გვეჩვენება უშგულურისათვის დადასტურებული ჩვემდ 68,11 'გააკეთე'. შინაარსი ასეთია: ვაჟი მიდის სასკოლის საძებნელად. კოშკიდან მზეთუნახავი იყურება. შეუყვარდება ვაჟი და მამას ეტყვის: თუ მათხოვებ, ახლა გამათხოვე, სასიძო მოვიდა კარგი. მამა უპასუხებს: — დეშ ჯაწვილე, ცოდვას დეშ ხვიჩო. სი ცოდ მაგ ჯიჩვმინა, აჯაღ ჩვემდ მიშგვაურ! 68,11 'ვერ გაგათხოვებ, ცოდვას ვერ ვიზამ. შენ ცოდვა ბევრი ჩაგიდენია (გიქნია), კიდეე ქმენ უჩემოდ'. კონტექსტით მხოლოობითი იგულისხმება.

მაშ რა უნდა იყოს ბოლოკიდური დ'ონი? მოსალოდნელი იყო, გვქონოდა -ნ, შდრ. იქვე ნიმუშებიდან: ალა ჯეკვად და ალა ჩემნ 64,25 'ეს გინდოდა და ეს ქენი'. ნ და დ'ს მონაცვლეობა ქართული სინამდვილისათვისაც არ არის უცხო.

მოცემულ შემთხვევაში ჩვემნ და ჩვემდ 'გააკეთე' ფორმებში ნ და დ'ს მონაცვლეობა რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, ამას თითქოს ადასტურებს იმავე ბალსზემოურში, ოღონდ სხვა ზმნასთან შენიშნული პარალელური ფორმები:

შდრ. ბზ. ნუღვან 35,27 და მუღვად 155,35.

ხუღვან და ხუღვად 218,17.

ნ და დ ფორმანტების მონაცვლეობა შენიშნული აქვს ვ. თოფურიას („სვანური ენა", გვ. 161).

კაუშირებით II'ში მაწარმოებლად გვხვდება როგორც -ა, ისე -ე სუფიქსები. ერთგან -ი სუფიქსიანი წარმოებაც გვაქვს დადასტურებული: ლუჩმინედ (‖ ლუჩმინიდ) 58,15 'ვქნათ'.

დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები კილოთა მიხედვით ერთნაირად ჩანს ნაწარმოები. მხოლოდ ესაა, ლაშხურში -ინ სუფიქ-

---

191 ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 54.

სისეული ხმოვანი გრძელია, ხოლო ლენტეხურში, უცვლელადაარა დაცული ჩ ო მ, რედუქცია სუფიქსისეულ ხმოვანს განუცდია. შდრ. ბზ. ხ ო ჩ ვ მ ი ნ ა და ლნტ. ხ ო ჩ ო მ ნ ა 'უქნია'.

12. ხ ა ჰ ვ დ ი 'აძლევს'.

ნაზმნარი სახელები კილოთა მიხედვით, ნიმუშები:

ბზ. ეჩას ხეკჳრაწლხ მიჩ (ღერბათვ)-ე, გეზლაჳ ლ ი ჰ ვ დ ი ს 329,27 'იმას უეედრებიან მას (ღმერთს), რომ შვილი მისცეს (შვილის მიცემას)'; ეჩშელდინ მაჳდხ ეჯ გეზლერ ლ ე ჰ ვ დ ი (|| ლ ე ხ ვ დ ი) 106,17 'იმდენჯერ მყავდა ის შვილები მისაცემი'; ოხურშვენ ჯგგრაწგ-სვეეი მ უ ჰ ვ დ ი 40,6 'ვახსენე სვის მომცემი წმინდა გიორგი'; ლაჳრ ქა ლახწვენე მიჩა მუე ნ ა ჰ ო დ 210,13 'წერილი აჩვენა მამამისის მიცემული';

ბქვ. ჩი ლადეღ ესერ თვით სიმაქ ხარხ ქა ლ ე ჰ ვ დ ი 40.28 'ყოველ დღე თითო ქალიშვილი ჰყავთო მისაცემი';

ისგვა მ უ ჰ ვ დ ი ა შ თერაჯო, ალი მაყრ 28,28 'შენი მომცემის თვალებს გაფიცებ (მზეს გაფიცებ), ეს გამიკეთე'; ეჯის ესერ ხაკუჩ, ერე ღერთემ ნ ა ჰ ო დ ვარჩხილ ჯინემ ლაჸსგრგებას 132,20 'იმას უნდაო, რომ ღმერთის მოცემული ფული თვითონ მოიხმაროს'; ლშხ. მეცარი ლ ე ჳ დ ი დ 11,17 'მკითხაკის მისაცემად'. ლნტ. კუმაშ ხარახ ლ ე ვ ე დ ი 5,5 'საქონელი ჰქონდათ მისაცემი'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ., ზსვ. ხვაჰვდი, ლშხ. ხვაჳვდი, ლნტ. ხვაევდი 'ვაძლევ'; III პ., ზსვ. ხაჰვდი, ლშხ. ხაჳდი, ლნტ. ხავედი || ხავდი 'აძლევს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ტრტს დეშ ხ ვ ა ჰ ვ დ ი 67,12 'ხელს ვერ მივცემ'; ციცულდს დემ ხ [ვ] ა ჰ ვ დ ი 221,9 'კატუნას ვერ მივცემ'; დეშა მ ა ჰ ვ დ ი 225,11. 'არ მაძლევს'; ლითი-ლიჭმეს ლახ იბნეხ, ეჯ ლადეღ საციქვს დემ ხ ა ხ ვ დ ი ხ 19,20 'თესვა-მკას რომ იწყებენ, იმ დღეს ოჯახიდან საციქველს არ გასცემენ'; იმ ესერ ხ ა ჰ ვ დ ი (|| ჰაჰვდი)? 223,10 'რას აძლევსო'?; პოეზ. დაჩვირს ჯ ა ჰ ვ დ ი ხ სოზარიშდა 120,9 'დას გაძლევენ სოზარისთვის';

ბქვ. ბეჩოჰეს ნარჰის ხ ა ჰ ვ დ ი ბეჩვის, ლატალის 2,16 ბეჩოჰესი სინათლეს აძლევს ბეჩოს, ლატალს; ვარჩხილს ხ ვ ა ჰ ვ დ ი 110,2 'ფულს ვაძლევ'; აშხვ დინაგეზალს ამის ესერ ხ ა ხ ვ დ ი (|| ხ ა ჰ ვ დ ი) 167,23 'ერთ ქალიშვილს ამას აძლევსო';

ლშხ. ნაგვირგვინალუნ ბაპს ჲერხი სემი მანათს ხ ა ვ ვ დ ი ხ 33,12 'ჯვრის დაწერისათვის მღვდელს ზოგი სამ მანეთს აძლევს'; შჳანს ლერქჳს ჩრს ბაპს ხ ა ვ დ ი ხ..., მარა ლაშხს დემ ხ ა ვ დ ი ხ 41,32 'სვანეთში ტანსაცმელს ყველას მღვდელს აძლევენ.., მაგრამ ლაშხეთში არ აძლევენ';

ლნტ. სემი ზაუნღო მახე მამილ ხოჩა მაშანს გ ვ ა ვ ე დ ი 27,9 'სამი წლის შემდეგ ახალი ვენახი კარგ მოსავალს (მოსხმას) გვაძლევს'; ქ ა ხ ა ვ ე დ ი ლემესკს 'აძლევს ცეცხლს'; თეთრს მევარ ხ ა ვ დ ი ხ 127,4 'ფულს ბევრს აძლევენ'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. ხვაჰვედდას, ბქვ. ხვაჰვედდასე || ხვაჰოდ, ლშხ. ხვავდის, ლნტ. ხვავედდას 'ვაძლევდი'; III პ., ბზ. ხაჰვედდა, ბქვ. ხაჰედიდა || ხაჰვდივ, ლშხ. ხვდიდა || ხვდჳდ, ლნტ. ხავედდა 'აძლევდა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. მაგ მ ა ჰ ე დ დ ა დიარს..., მი აჯალ საბრალსჳდ ხ ვ ა ჰ ვ ე დ დ ა ს 230,22 'ყველა მაძლევდა პურს..., მე კიდევ საწყალს ვაძლევდი'; დემ ხ ა ჰ რ დ დ ა 378,23 'არ აძლევდა';

ბქვ. სემი დიარს ხ ა ჰ ვ დ ი დ ა ლანგავღა 39,17 'სამ პურს აძლევდა ცოცხში'; ეჯ ნაღვეჟურს ფექს ხ ა ჰ ვ დ ი დ ა ნ 44,26 'იმ ბიჭუნას ფქვილს აძლევდა'. ვოხუშდ თვიმენს ნ ა ჰ ვ დ ი დ ა ხ 17,21 'ხუთ თუმანს გვაძლევდნენ'; მექნოვალს შილისგა ლუტვრა ხ ა ჰ ვ დ ი ვ ხ 296,30 'მომაკვდავს ხელში სანთელს აძლევდნენ';

ლნტ. ხ ა ვ ე დ დ ა საროსტას 'აძლევდა „სტაროსტას"'.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. ლოხჰვედნე, ბქვ. ლოჰედნე, ლშხ. ლოხრდნე, ლნტ. ლახვიდნე 'მივცემ'; III პ., ბზ. ლახჰვედნე, ბქვ. ლაჰედნე, ლშხ. ლახრდნე, ლნტ. ლახიდნე 'მისცემს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ეჩას ლ ო ხ ჰ ვ ე დ ნ ე დ საჩქვარს 149,29 'იმას მივცემთ საჩუქარს'; ეშხუ ლაცხნარს ლ ო ჰ ვ ე დ ნ ე 203,19 'ერთ სავარცხელს მივცემ'; ჲაღო, თჳრქვადს ლ ო ხ (ჰ) ვ ე დ ნ ე 203,23 'აბა, მაკრატელს მივცემ'; ქ'ესერ ლ ა ე დ ნ ე 221,6 'კი მივცემო'; აშხვ ბამბი კალს ლახ (ჲ)არ ლ ა მ ე დ ნ ე (|| ლ ა მ ჰ რ დ ნ ე)... 143,8 'ერთ ბამბის ფთილას რომ ვინმე მომცემდეს'...; მადრაჯს ქა ლ ა ჯ ო დ ნ ე 154,16 'მათრახს ქე მოგცემ'; ეჯას როქვ ლ ა ჯ [ჰ] ვ ე დ ი დ 38.23 'იმას მოგცემთო'; იმ ლ ა მ ე დ ი? 197,24 'რას მომცემ?'

ბქვ. მი მიშგვა გეზალს ხახვდ ლ ო ჰ ე დ ნ ე 125,34 'მე ჩემს შვილს ცოლად მივცემ'; ნაჲ ლაირს ლ ო ჰ ვ ე დ ნ ე დ 62,32

'ჩვენ წერილს მივცემთ'; ვარჩხილს ესერ ქა ლახედნეხ 324,14 'ფულს მივცემთო'; მიჩ ესერ მეტრ ბარდანს ლაჰედნეხ 340,19 'მას ერთ მეტრ ფართალს მივცემთო'.

ლშხ. ნაჯდუნს ჯოდ სგობნაჯ დო ლახრდნეხ 47,20 'მისაცემს (ქრთამს) სანამ წინასწარ არ მისცემენ'.

ლნტ. ბოფშარს ჯე ლოქ ლახავოდნე (ჩვ. ტ.) 'ბავშვებს მე მოგცემო'; თეთრს ლაჯიდნე 'ფულს მოგცემს'; ეჩქა ჯე ლოქ თეთრს ლოქ ლახოდნე 'მაშინ თვითონ ფულს მოგცემსო';

წყვეტილი: მხ. რ., I პ., ბზ. ლრხო, ბქვ., ლშხ. (ქა)ლოხო, ლნტ. ლახო(ხვეს) 'მივეცი'; II პ., ბზ. ლჳხო, ბქვ., ლშხ. ლახო, ლნტ. ლახო(ხეს) 'მიეცი'; III პ., ბზ. ლახვემ, ბქვ. ლახემ, ლშხ. ლახრმ, ლნტ. ლახვემ 'მისცა'.

ნიმუშები: ბზ. ისგვეჲ თხვიმ დეშ ლრხო 89,12 'თქვენი თავი ვერ მივეცი'; ეშხუ მიჩა დაჩვირ ქჳვ როქ ლახვემ ხეხვდ 108,9 'ერთი მისი და ცოლად მისცესო'; მიჩა ლალსგურა რაშ ქა ლახვემ 130,31 'თავისი საჯდომი რაში მისცა'; ისგვი ღღლაბ ჩაჯ აჯჲაშს ლახომ 74,12 'შენი დატვირთული ცხენი იმათ მიეცი'; მანკვი კარტოჩკა თეთრ ქა ლანრმ 38,26 'პირველად „კარტოჩკის" ფული მოგვცა';

ბქვ. ალი მიშგუ სახარჯოთ ქა ლამო 107,24 'ეს ჩემს სახარჯოდ მომეცი'; ალი ლაჰვდითე როქ ლანემ 14,1 'ეს გასაყიდად მოგვცაო'; კესარდ მეტ ლახემ (|| ლახვემ) 'კეისარმა მეტი მისცა';

ლშხ. მიჩა ნათი ლოხო 86,39 'თავისი წილი მივეცი'; ნაგმურ გარ ლახრმ ჯრშთხჯ ათას მანათ ჭელჯანარს... 4,25 'აშენების საფასურად მარტო ოთხი ათასი მანეთი მისცა მშენებლებს';

ლნტ. ქა ლამო აშირ მანათ 161,23 'მომეცი ასი მანეთი'; ქა ლამუ ეშხუ ტევან (ჩვ. ტ) 'მომეცი ერთი მტევანი'; ლახვემ 8.37 'მისცა'.

კავშირებითი II: მხ. რ., I პ., ბზ. ლოხრმა || ლოხრმე, ბქვ. ლოხომე, ლშხ. ლოხრმა, ლნტ. ლახომე 'მივცე'; III პ., ბზ. ლახრმას || ლახრმეს; ბქვ. ლახომეს, ლშხ. ლახრმას, ლნტ. ლახომეს 'მისცეს'.

ნიმუშები: ბზ. პოეზ. ეჯ'ეჯგვაჯრ მარა ლახომეს 324,78 'ის იმგვარ კაცს მისცეს'; ამის დრჯვი ლახრმას გვი 'ამას დროზე დაუკვირდეს';

ბქვ. ეჯი ქა ლაჯომეხ 62,32 'ის ქე მოგცენ'; პზ. ო, წარმათი კუთხვა მიშგუ, სამწვინ ნაქვლაშ ნა ლოლომედ 140,45 'ო, „წარმართო“ ჩემო კუთხვავ, სათანადო „ნაქვლაში“ ჩვენ მივსცეთ';

ლშხ. მაჲ ლოქ ჯაკუჩ ღერბათხენქა, ერ ლოქ ლაჯრმას? 52,14 'რა გინდა ღვთისაგან, რომ მოგვცესო?'; ნოთი ლოქ ღერთემ გეზალ ლახრმეხ 58,4 'ვინძლო ღმერთმა შვილი მისცეთო';

ლნტ. მა ლოქ ხოცხა ათხე, მიჩ ლოქ ერ ლახომეხ? (ჩვ. ტ.) 'რა გირჩევნია ახლა, შენ რომ მოგცეთო'?

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ. მიჰვდა || ლამჰოდა, ბქვ. მიჰვდა || ლემჰოდა, ლშხ. მივდა || ლემვოდა, ლნტ. მიოდა || ლამოვოდა 'მიმიცია'; III პ., ბზ. ხოჰვდა || ლოხჰოდა, ბქვ. ხოჰვდა || ლოხოდა, ლშხ. ხოვდა || ლოხვოდა, ლნტ. ხოოდა || ლახოვოდა 'მიუცია'.

ნიმუშები: ბზ. მინს ესერ მანჯთი დჯს ხოჰვდახ 263,24 'მათ მანეთიც არავის მიუციათო'; პზ. ალჲჯრ საჩქვჯრდ ქჯვ ხოჰოდა 74,35 'ესენი საჩუქრად მიუცია'; ციცვი ფჯკვნა ქა ლოხრდახ ამი მჷქაფ... 76,22 'კატა და ლეკვი მიუციათ ამის ნაცვლად'...;

ბქვ. ხჯრჯ როქ იმლა მადე ლოჰოდა მინე დაჩვირდ 113,8 'ხარჯი რატომ არ მიუციაო თავიანთი დისათვის'?; ფსჯტლჯნ ქა ლოჰოდა 12.23 'ბეჯი მიუცია'

ლშხ. ქა ლოხვოდახ ჲაჷუნდი ქიჰ 57,17 'მიუციათ იაგუნდის ძაფი'; ღერთალს ლოქ ალე ლოხვოდახ მინეშჯდ გეზალდ 59,7 'ღმერთებს ეს მოუციათო ჩვენთვის შვილად';

ლნტ. ქა ლოხოვოდა ჯჯხე ლერექვჯლ 'ქე მიუცია ახალი ტანსაცმელი'; ღვაჯარს სემი თუმან ლახოეოდა 'ვაჯარს სამი თუმანი მიუცია'.

თურმეობითი II'ის ნიმუშები კილოთა მიხედვით:

ბზ. შიშდ ქა ლჯჰოდჯნ 409,17 'ხელად მიეცა'; ეჯზუმ ნაკლჯთხვჩ ლჯხჰოდჯნ... 328,32 'ისეთი სიმაღლე მიეცეს (მისცემოდეს)'...;

ბქვ. სჯიშმილს ციცვცჯლ გარ ჯამშა ლჯჰოდჯნ 149,10 'საიშმილს კატის ოდენა ძალაღა მიეცა';

ლშხ. ეჯჲარ ღჷრიხ მეცართე, ეჩა ლამკერდ. ერე იმშჯჲღენ ტარშჯ ი ბრალშვ გეზალ მრ ლეხვოდჯნ მინს 12,9 'ისინი მიდიან მარჩიელთან იმის გასაგებად, თუ რისი მიზეზით შვილი არ მიეცათ მათ';

ლნტ. ხეკვეს ერე ბაჟ (ჯიმ) ლ ა ხ ო ვ ო დ ა ნ ხ კელედარეშვ 14,28 'უნდა ბაჟი (მარილი) მიეცათ ხელედელებისათვის'.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი III'ის ნიმუში ბალსზემოურ კილოზე: ... ვერცხლ მი ლ ა მ ჰ ო დ ე ნ ს... 74,18 'ვერცხლი შე მომეცეს'; ღერთა თავდებ ლ ა გ ო დ ე ნ ს 84,5 'ღვთის თავდებობა მოგვეცეს'.

ხ ა ჰ ვ დ ი 'აძლევს' ძირმონაცვლეა. დრო-კილოთა მიხედვით ერთმანეთს სცვლიან ჰ ო დ / ო მ ძირები. პირველი გვხვდება დროთა III ჯგუფშიც: თურმ. I ხო-ჰვდ-ა || ლო-ხვ-ჰოდა (<*ლა-ხო-ჰოდ-ა) 'მიუცია'. ნავარაუდევია, რომ ჰ ო დ-ი 'ჰყიდის' და ხ ა ჰ ვ დ ი 'აძლევს' შეიცავს ერთ ჰ ო დ ძირს, „რომელსაც უნდა შეესატყვისებოდეს ქართ. წ ო დ: ა-წვდ-ის, მი-ა-წოდ-ა. სვანურის მნიშვნელობა ყ ი დ ი ს და ა ძ ლ ე ვ ს ამის კავშირს ხელს არ უშლის“[192].

ლ ა ხ ვ ე მ 'მისცა' დრო-კილოთა II ჯგუფში გვაქვს. „... აქ არა მარტო სუპლეტურობაა საყურადღებო, არამედ თვით ზმნის ძირი, რომელიც კარგად ჩანს კავშირებით II'ში: ლახ-ომ-ას 'მისცეს'. ძირია რ მ და შეესატყვისება ქართ. ც ე მ ფუძეს (მის-ცემს) უნდა ვივარაუდოთ, რომ ც>ჰ და უკანასკნელის დაკარგვის კომპენსაციას წარმოადგენს ო'ს დაგრძელება, რაც შენიშნულია სვანურში (ბქვ. კ ა ჰ დ ა > ბზ. კ ა დ ა 'ნაჯახი', ა. შანიძე)“[193].

მაშასადამე, სვანურ ო მ'ს ქართულში შესატყვისი აღმოუჩნდა ც ე მ ფუძის სახით. ამ უკანასკნელთან კი ფონეტიკურად კავშირშია მეგრული (აგრეთვე ჭანურიც) ჩ ა მ ფუძე, მაგ.: მ ე ჩ ა მ ა ოკუდუ 'მიცემა უნდოდა'.

აქ წარმოდგენილი მასალის შესახებ აღვნიშნავთ ზოგ რამეს: ნაზმნარ სახელებში საყურადღებოა ზემოსვანურსა და ქვემოსვანურს შორის არსებული დაპირისპირება ფუძისეულ ჰ'აესთან დაკავშირებით. როგორც პარადიგმები გვიჩვენებენ ლენტეხურსა და ლამხურში ფუძისეული ჰ'აე დაკარგული ჩანს. მაგ.: ზსვ. ლ ი ჰ ვ დ ი და ლშხ. ლ ი ვ დ ი, ლნტ. ლ ი ვ ე დ ი 'მიცემა; გაყიდვა'...;

ზემოსვანურსა და ლამხურში ძირეულ ო ხმოვანს განუცდია ნაწილობრივი რედუქცია, რაც შეეხება ლენტეხურს, რომლისთვისაც უცხოა რედუქცია, ურედუქციო ო მეუმლაუტე ი'ს წინ უმლა-

192 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იკე, XII, თბილისი, 1961, გვ. 155.

193 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 156.

უტს განიცდის და ვე კომპლექსს გვაძლევს. შდრ. ზსვ. ლ ი ჰ ვ დ ი, ლშხ. ლ ი ვ დ ი და ლნტ. ლ ი ვ ე დ ი.

ო ხმოვანი უცვლელადაა დაცული ნამყოს მიმღეობაში: ზსვ. ნ ა ჰ ო დ, ლნტ. ნ ა ო დ 'მინაცემი'; ნიმუშებში ერთმანეთის პარალელურად გვხვდება ლ ე ჰ ვ დ ი || ლ ე ხ ვ დ ი.

აწმყოში ჰ'აეს პოზიციის მიხედვით ზმნებთან იგივე მდგომარეობაა, რაც სახელებში: ქვემოსვანურში იგი იკარგვის, ლაშხურში დაკარგული ჰ'აეს წინამავალი ხმოვანი გრძელია: შდრ. ბზ. ხ ვ ა ჰ ვ დ ი, ლშხ. ხ ვ ე ვ დ ი 'ვაძლევ'. ბალსზემოურში ნიმუშებით გვაქვს ხ ა ჰ ვ დ ი და ჰ ა ჰ ვ დ ი 223,10 'აძლევს'; უკანასკნელი ფორმა დადასტურებული აქვს თ. შარაძენიძეს ბალსქვემოურშიც და იგი გაანალიზებულია, როგორც ასიმილაციის მოვლენა[194].

ჩვენს ნიმუშებში შეგვხვდა მ ა ჰ ვ დ ი 'მაძლევს' ფორმა, სადაც ა ხმოვანი მოკლეა და ეს ნორმაა ბალსზემოურისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ბალსზემოურის უშგულურ თქმაში უნდა იხმარებოდეს მ ა ჰ ვ დ ი გრძელი ა'თი: იმ საჩუქარს მ ა ჰ ვ დ ი დ 'რა საჩუქარს მაძლევთ'[195].

ბალსქვემოურში ჩვეულებრივი ხ ა ჰ ვ დ ი'ს გვერდით გვხვდება ხ ა ხ ვ დ ი'ც. აქაც ასიმილაციასთან უნდა გვქონდეს საქმე, როგორც ეს აღინიშნა ხსვაგან. მაგრამ თუ ჰ ა ჰ ვ დ ი'ში ფუძისეული თანხმოვანი იმსგავსებდა პრეფიქსისეულს, ხ ა ხ ვ დ ი'ში პირიქით მომხდარა: აქ მაასიმილირებელ ძალას პრეფიქსისეული თანხმოვანი ავლენს.

უწყვეტელში ბალსზემოური და ლენტეხური მსგავს ვითარებას გვიჩვენებენ იმ თვალსაზრისით, რომ ორივეგან დაცულია -ეხმოვანი: მაგ.: ბზ. ხ ა ჰ ვ ე დ ა, ლნტ. ხ ა ვ ე დ ა 'აძლევდა'. ბალსქვემოურისათვის აღვნიშნავთ ხ ა ჰ ვ დ ი დ ა ნ 44,26 ფორმას, რომელშიც -ნ გვაქვს ა რ დ ა ნ 'იყო' და ი ზ ბ უ დ ა ნ 'ჭამდა' ფორმების მსგავსად. უწყვეტლის III პირში მაწარმოებლად -და'ს პარალელურად ვ'ც გვაქვს: შდრ. ხ ა ხ ვ დ ი დ ა ნ და ხ ა ჰ ვ დ ი ვ. ლაშხურის ხ ვ ე დ უ დ ა -უ დ ა დაბოლოებით უნებლიეთ ბეჩოურის ი ზ ბ უ დ ა 'ჭამდა'ს მოგვაგონებს. როგორც პარადიგმებიდან ჩანს, ლაშხურისათვის -ედ სუფიქსიანი წარმოებაც დამახასიათებელია.

---

194 თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იქე, IX—X, 1958, გვ. 237.

195 ლ. მ ა რ გ ვ ე ლ ა ნ ი, უშგულურის ფონეტიკური თავისებურებანი, სტ. სამეცნ. შრომების კრებული, № 7, 1955.

მყოფად სრულში იგივე ჰოდ ძირია ამოსავალი. კილოებს შორის შეინიშნება ზოგი რამ სხვაობა: ბალსზემოურში პარადიგმებისა და ნიმუშების ურთიერთშეჯერება გვიჩვენებს, რომ აქ ერთმანეთს ენაცვლებიან -ინ-ე და -ი ბოლოსართები, მაგ.: ლოჰვედნე და ლამედი. ... ბალსქვემოურში იყარგვის -ვე- კომპლექსის თანხმოვნითი ელემენტი: ლოჰედნე 'მივცემ'. ლაშხურში ძირეული ხმოვანი დაცულია, მაგრამ იგი გრძელია: ლახრდნეხ 47,20 'მისცემენ'. ლენტეხურში გვაქვს როგორც ლახოდნე ისე ლახიდნე 'მისცემს'. ბალსზემოურში პარალელურად გვხვდება ლაჰვედნე, ლახვედნე, ნიმუშებში ლოხ(ჰ)ვედნე'ც დასტურდება. ეს უკანასკნელი გვავარაუდებინებს, რომ ლაჰვედნე || ლახვედნე'ში ხ და ჰ ბგერების მონაცვლეობა კი არ უნდა გვქონდეს, არამედ პირველ შემთხვევაში იყარგვის პრეფიქსისეული თანხმოვანი, მეორე შემთხვევაში — ფუძისეული.

ამ ზმნის ობიექტური წყობის პირველი პირის ფორმა ერთსა და იმავე ფრაზაში ნახმარია ლამედნე (|| ლაჰრდნე)'ს სახით. პირველში დაკარგულია ფუძისეული ჰ'აე და -ვე- კომპლექსის -ვ- თანხმოვანი. აქვე აღვნიშნავთ იფარულის ლაჯოდნე 38,23 'მოგცემ'ს, რომელშიც ო ხმოვანი დაცულია, მაშ რა არის ვ'ინი ლაჯვოდნე'ში? ანალოგიურია ლენტეხური ლახავოდნე.

ლაშხური კილო წყვეტილის პირველ და მეორე პირში ბალსქვემოურის მსგავსად პრევერბისეულ ხმოვანს მოკლეს გვიჩვენებს: შდრ. ლშხ. ლოხო 'მიეცი', ლახო 'მიეცი' და ბზ. ლრხო, ლჳხო. მესამე პირისათვის, როგორც ამის შესახებ მითითებულია[196], ამოსავალი უნდა იყოს *ლახრმე ფორმა, რომლისგანაც, ერთი მხრივ, მიღებულია ბალსზემოურის ლახვემ, ხოლო, მეორე მხრივ, ლაშხურის ლახრმ 'მისცა'.

აქ წარმოდგენილი ნიმუშებიდან აღვნიშნავთ II პირის ლჳხომ ფორმას, სადაც ძირეული მ'ანი დაცულია. ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: ყველა კილოში I და II პირში მ'ანი დაკარგულია აბსოლუტურ ბოლოში, მესამე პირში კი იგი ჩვეულებრივ დაცულია, შდრ. ბზ. ლახვემ, ბქვ. ლახემ, ლშხ. ლახრმ, ლნტ. ლახვემ. რამ იპატია აქ ბოლოკიდური მ'ანი დაკარგვისაგან, იქნებ შემდგომ დაკარგულმა -ე სუფიქსმა: ლახომე?!

დრო-კილოთა III ჯგუფში ბალსზემოურში გვაქვს ლოხო-

196 ვ. თოფურია, სვანური ენა, I, გვ. 254.

დ ა და ლ ო ხ ჰ ო დ ა 'მიუცია'. პირველში ძირისეული ჰ'აე დაკარგულია, მეორეში კი დაცული. უშგულურში დადასტურდა ლ ო ხ ო̄ დ ა ხ 'მიუციათ', რომელშიც ო ხმოვანი გრძელია, შდრ. ბზ. ლ ო ხ ო დ ა.

13. ხ ე წ ა დ 'ნახა, დაინახა'

ძირმონაცვლე ზმნაა. ამ სახით იხმარება დრო-კილოთა II და III ჯგუფში. აწმყოსა და აქედან ნაწარმოებ დროებში მას ენაცვლება ხ ო ს გ დ ი 'ხედავს, უკურებს, უცქერის' ზმნა, რომელსაც თავის მხრივ ყველა დრო-კილოს ფორმა გააჩნია.

ხ ე წ ა დ 'ნახა' ზმნის შესაბამისი ნაზმნარი სახელები კილოთა მიხედვით: ყველა კილოსათვის — ლიწედ 'ნახვა', მეწედ 'მნახველი', ლეწედ 'სანახავი', ბზ., ლნტ. ლაწად, ბქვ. ლაწად || ლაწედ, ლშხ. ლაწედ 'სანახავი (ადგილი)', ბზ. ნაწადვ, ბქვ. (ცარ.) ნაწედვ, ლნტ. ნაწადვ 'ნანახი', ბზ., ლნტ. უწდუნა 'უნახავი'...

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ., პზ. ეჩა მ ე წ ე დ ს... 342,4 'იმის მნახველს'...; ეჩ̄ჳარე ლ ა წ ა დ თ ე მრდე აჩეხ 'მათ სანახავად არ წავიდნენ'; იმვა̄ლე მჟეშ ი დოშდლა უ წ დ უ ნ ა ნანულ ა̄რი... 265,10 'სადღაც მზისა და მთვარის უნახავი ქალიშვილი არის'...

ლშხ. ისგჳა ლ ა წ ე დ თ ე ლოქ ონჯჳადდ 75,3 'შენს სანახავად მოვედითო'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ., ზსვ., ლშხ. ხოსგდი, ლნტ. ხუსკიდი || ხოსკიდე 'ვხედავ'; III პ., ზსვ., ლშხ. ხოსგდი, ლნტ. ხოსკიდი || ხოსკიდე 'ხედავს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ათხე ცა და ქვეყნიერობას ხ ო ს გ დ ი... 230,3 'ახლა ცასა და ქვეყნიერებას ხედავს'...;

ბქვ. ალის ხ ო ს გ დ ი... 19,10 'ამას ხედავს';

ლნტ. მი ეჯის ჯოდიანეშ ხ ო ს კ ი დ ი 'მე იმას შორიდან ვხედავ'.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ., I პ., ზსვ. ხვეწდენი, ლშხ. ხვეწდენი, ლნტ. ხვეწედენი || ხვეწედენი ხვი 'ვნახავ'; III პ., ზსვ. ხეწდენი, ლშხ. ხეწდენი, ლნტ. ხეწედენი 'ნახავს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ეჩანღო სი მიშგვა თხვიმს დესა ხ ე წ დ ე ნ ი 115,26 'მას შემდეგ შენ ჩემს თავს ვეღარ ნახავ'; ალას ლაღმა̄რ ხ ე წ დ ე ნ ი ხ 18,12 'ამას ლაღამელები ნახავენ';

ლნტ. ეჩჭა ლოქ ხ ე წ ე დ ე ნ ი ხ ი (ჩვ. ტ.) 'მაშინ ნახავო'; ალეს ე ხ ე წ ე დ ე ნ ი 'ამას რომ ნახავს'.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ., I პ. ყველა კილო: ხვეწდ 'ვნახე'; III პ., ბზ. ხეწად, ბქვ., ქვსვ. ხეწად 'ნახა'...

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ალ დინას ფუთა ხ ე წ ა დ 26,9 'ეს გოგო ფუთამ ნახა';

ბქვ. ხ ე წ ა დ მიჩა ჯიმილს 53,28 'დაინახა თავისი ძმა';

ლშხ. ქა ხ ე წ ა დ ზითუნახაჯ 61,17 'ქე დაინახა მზეთუნახავმა';

ლნტ. ეჯი ხ ე წ ა დ ბეფშს 'მან ნახა ბავშვი („ის ნახა ბავშვს")'.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II: მხ. რ., I პ., ზსვ., ლნტ. ხვეწე, ლშხ. ხვეწუ ხვი 'ვნახო'; III პ., ზსვ., ქვსვ. ხეწეს 'ნახოს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ამზე თვეს დეცე ნარჰა დრსა ხ ე წ ე ს 114,3 'ერთ თვეს ცის ნათელი ვერ ნახოს';

ლნტ. ხოჩა ირა, ერე (ქა) ხ ე წ ე ს 'კარგი იქნება, რომ ნახოს'.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: მხ. რ., I პ., ზსვ., ქვსვ. მიწვა 'მინახავს'; III პ., ზსვ., ქვსვ. ხოწვა 'უნახავს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ამჯნ ხოჩა ლესგდი მაშაგვეშ ხ ო წ ვ ა 230,4 'ამაზე კარგი სანახაო არაფერი უნახავს'; მაჯ ესერ საკვრელ გვეშ ხ უ წ ვ ა ხ ლადი 257,14 'რა გასაკვირი საქმე უნახავთ დღეს';

ბქვ. მაგ მ ი წ ვ ა 174,34 'ყველაფერი მინახავს';

ლშხ. დე ლოქ გ ვ ი წ ვ ა 77,1 'არც გვინახავსო';

ლნტ. მი ეჯ მარე ჩუ მ ი წ ვ ა 'მე ის კაცი მინახავს'; მიჩა ჩაჯ ხ ო წ ვ ა ლოქ ესა? 168,27 'ჩემი ცხენი ხომ არ გინახავსო';

როგორც აქ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, ხ ე წ ა დ 'ნახა' ზმნა დროთა მიხედვით სუპლეტურ წარმოებას გვიჩვენებს; აწმყოსა და აქედან ნაწარმოებ ნაკვეთებში იხმარება ხ ო ს გ დ ი 'ხედავ, უყურებს, უცქერის' ზმნა (როგორც აღვნიშნეთ, ხ ო ს გ დ ი თავის მხრივ წესიერია), მყოფადისეულ დროებში, აგრეთვე დროკილოთა II და III ჯგუფებში შესაბამისად გამოყენებულია ხ ე წ დ ე ნ ი 'ნახავს', ხ ე წ ა დ 'ნახა', ხ ო წ ვ ა 'უნახავს' ზმნები. აქედან ხ ე წ დ უ ნ ი წარმოშობით ვნებითის აწმყოს ფორმაა, მაგრამ შემდგომ მან მიიღო მყოფადის გაგება, აწმყოში კი, როგორც უკვე ითქვა, ხ ო ს გ დ ი იხმარება.

ხ ე წ ა დ ზმნა, როგორც ძირმონაცვლე, არ არის შეტანილი ვ. თოფურიას მონოგრაფიაში. მაგრამ ამავე ნაშრომში ერთგან, როდესაც ლაპარაკია ვნებითის აწმყოს ფორმების მყოფადის მნი-

შენელობით ხმარებაზე, სხვა ნიმუშთან ერთად დასახელებულია ხ ე წ დ ე ნ ი 'ნახავს' და აღნიშნულია, რომ:

„მყოფადის მნიშვნელობა აქვსთ ვნებითის აწმყოს ფორმებს იმ შემთხვევაში, თუ მათ ნაცვლად აწმყოში სხვა ზმნა იხმარება, მაგ.: ხ ო ს გ დ ი, ლნტ. ხ ო ს კ ი დ ი უ ყ უ რ ე ბ ს — ხ ე წ დ ე ნ ი, ლნტ. ხ ე წ დ ე ნ 'ნახავს', Არი/არი 'არის' — ირდი 'იქნება', ლი 'არის' — ი/ირი 'იქნება' (ხაზი ჩვენია — კ. გ.)"[197].

ხ ე წ ა / ა დ ზმნის ძირი ისტორიულად არის წ, -ად/-ად სუფიქსი მომდინარეობს -ედ'ისაგან. შდრ. ლ ი-წ ე დ 'ნახვა', მე-წედ 'მნახველი' და ა. შ. ე>ა/ა'ს იწვევს მომდევნო მარცვლისეული ა: ბქვ. ლა-წად<ბზ. ლაწად<ლშხ. ლა-წედ<*ლა-წედ-ა. ეს მოვლენა უკანა მიმართულების უმლაუტების რიგს განეკუთვნება[198].

წ ძირი საერთო ჩანს ქართველურ ენებში: შდრ.

ჭან.: ხოჯა მიკულუნ-მოკულუნ, გიინის ო წ კ ე ნ $1,30_{30}$ 'ხოჯა გაივლ-გამოივლის, ვირს უყურებს'; ბიდი, ბ ო წ ე დ ი II, 11_{68} 'წავედი, ვნახე'[199].

მეგრ.: ბაღანა ო რ წ უ ე 'ბავშვი ხედავს'.

მეგრულში წინამავალი რ ფონეტიკურადაა განვითარებული[200], ასევე განვითარებულია ჭან. წკ, მეგრ. წუ კომპლექსებში ბოლოკიდური კ და უ თანხმოვნები. წუ (<წ) კომპლექსით ზანურს ქართულიც უკავშირდება. შდრ. ქართული მ-წუ-ემ-სი[201], რომლის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა იყოს მ ა უ უ რ ე ბ ე ლ ი, მ ა ც ქ ე რ ა ლ ი, კავშირშია აგრეთვე უ წ უ ი ს ზმნა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ უ წ უ ი ს ზმნის პირვანდელი მნიშვნელობაა უ უ რ ე ბ ს, ხ ე დ ა ვ ს[202].

მაშასადამე, ქართ. მ წ უ ე მ ს ი; უ წ უ ი ს, ჭან. ო წ კ ე ნ, მეგრ. ო რ წ უ ე 'უყურებს, ხედავს', სვ. ლ ი წ ე დ 'ნახვა' ... ფორმებში

---

197 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, ზმნა, გვ. 193.

198 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, უმლაუტების სისტემა სვანურში, მაცნე, 2, 1967. გვ. 210.

199 ნიმუშები მოგვყავს არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონიდან, გვ. 398.

200 იქვე.

201 იქვე.

202 დ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, უ წ უ ი ს ზმნის ეტიმოლოგიისათვის, ქუთ. პედ. ინსტ. შრ., XI, ქუთაისი, 1953.

ისტორიულად ძირეულ მასალას წარმოადგენს წ. სვანურ ლი-წ-ედ'ში -ედ ვნებითის სუფიქსად არის მიჩნეული[203].

როგორც ირკვევა, ქართველური ენები წ ძირით კავშირშია მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან. ანდიურში დადასტურებულია წ ი ნ, რაც ნიშნავს 'ცოდნა'ს. ამ უკანასკნელისათვის ამოსავალი უნდა იყოს ც ქ ე რ ი ს, ყ უ რ ე ბ ი ს მნიშვნელობა. წ ძირი ცქერის მნიშვნელობით ცნობილია ჰამალურ ენაში: ბა-წ-ნა[204].

აქ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალის შესახებ თანმიმდევრულად აღვნიშნავთ ზოგ რამეს:

მყოფად სრულის I და II პირში ლენტეხური გვიჩვენებს როგორც ორგანულ, ისე აღწერით წარმოებას: ხ ვ ე წ ე დ ე ნ ი || ხ ვ ე წ ე დ ე ნ ი ხ ი 'ვნახავ', ხ ე წ ე დ ე ნ ი || ხ ე წ ე დ ე ნ ი ხ ი 'ნახავ'. ლაშხურში -ენ სუფიქსისეული ხმოვანი გრძელია: ხ ვ ე წ დ ე ნ ი, შდრ. ბზ. ხ ვ ე წ დ ე ნ. ზემოსვანურსა და ლაშხურში -ედ სუფიქსისეული -ე ხმოვანი რედუცირებულია. შდრ. ზსვ. ხ ე წ დ ე ნ ი, ლშხ. ხ ე წ დ ე ნ ი და ლნტ. ხ ე წ ე დ ე ნ ი 'ნახავს'.

კავშირებით II'ში დაკარგულია წ ე დ'ის ბოლოკიდური -დ, მაგ.: ზსვ., ლნტ. ხ ვ ე წ ე, ლშხ. ხ ვ ე წ ე ხ ვ ი 'ვნახო'... უკანასკნელში აღწერითი წარმოებაც გვაქვს.

დრო-კილოთა III ჯგუფში მ ი ნ ა ხ ა ვ ს და ა. შ. გაგებით ჩვეულებრივ იხმარება მ ი წ ვ ა, ჯ ი წ ვ ა, ხ ო წ ვ ა... აქ დ'ონი აღარ ჩანს და ამოსავალია წვ, რაც გვაქვს ქ ა წ ვ ა 'ჩანს' ზმნაში. დრო-კილოთა III ჯგუფში ფუძისეული დ'ონი ჩანს ამ ზმნის ე. წ. საზედაო ქცევის ფორმებში:

	ზსვ.	ლშხ.	ლნტ.	
1.	პ. ხვაწდა	ხვაწდა	ხვაწედა	„ვნახვივარ", მინახავს
2.	პ. ხაწდა	ხაწდა	ხაწედა	გინახავს
3.	პ. (ქა) ხაწდა	ხაწდა	ხაწედა	უნახავს

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხ ვ ა წ დ ა, ხ ა წ დ ა, ხ ა წ დ ა ფორმები თავისი მნიშვნელობით ფარავენ მ ი წ ვ ა, ჯ ი წ ვ ა,

---

203 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. II, სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალი, ენიმკის მოამბე, V-VI, 1940.

204 ი. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ცოდნის აღმნიშვნელი ორი ფუძე: 1. სვან. მახალ, 2. ანდ. წინუ;' სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 37 წლისთავისადმი, 1954, თეზისები.

ხოწვა ფორმებს და მიუგებენ კითხვებზე — რა მიქნია? რა გიქნია? რა უქნია?

— მოშგუ კუმაშ ჯიწვა იმე? 'ჩემი საქონელი გინახავს სადმე'?

— დემა ხვაწდა, ჲაღო 'არსად მინახავს, აბა'.

დასასრულ, ხენწად 'ნახა' სინტაქსური კონსტრუქციის თვალსაზრისით განსხვავდება შესაბამისი შინაარსის ზმნისაგან ქართულში: შდრ. ლნტ. ეჯი ხენწად ბეფშს „ის ნახა ბავშვს" და ქართული: მან ნახა ბავშვი.

14. „ხედა უვლის, შეუპოვრად გადის (მაგ., წყალში) — ვნებითის აწმყოს ფორმაა"[205].

ხედა ზმნის უღვლილების ძირითადი ფორმები ბალსზემოური კილოს მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

აწმყო: მხ. რ., I პ. მი ხვედა 'ვუვლი, შეუპოვრად გავდივარ'... II პ. სი ხედა 'უვლი, შეუპოვრად გადიხარ'... III პ. ეჯა ხედა 'უვლის, შეუპოვრად გადის'.

ნიმუში ბალსზემოური კილოდან: ლჟღეზა ჭალაშს დეშ ხვედა 'ადიდებულ მდინარეს ვერ გავდივარ (ვერ ვბედავ გასვლას)'.

უწყვეტელი: მხ. რ. I პ. მი ხვედრლ[დას] 'ვუვლიდი'..., II პ. ხედრლ[დას] 'უვლიდი'...; III პ. ეჯა ხედრლ[და] 'უვლიდა'...

ნიმუში ბალსზემოური კილოდან: ლილცვზე იმედშე ჩინუკვი ჭალაშს (ქა) ხედრლდა 'ცურვის იმედით ყოველგვარ მდინარეზე ბედავდა გასვლას'.

კავშირებითი I: მხ. რ. I პ. მი ხვედრლდედ 'ვუვლიდე'..., II პ. სი ხედრლდედ 'უვლიდე'... III პ. ეჯა ხედრლდედს 'უვლიდეს'...

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ. მი ლაბვდრლი/ა || ლაბვდი 'გავუვლი, გავალ', II პ. სი ლაბდრლი/ა || ლაბდი 'გაუვლი, გახვალ', III პ. ეჯა ლაბდრლი/ა || ეჯა ლაბდი 'გაუვლის, გავა'.

მაგალითი ბალსზემოური კილოდან: სი გარ ლაბდი მოშ? 'შენ მარტო გახვალ? (შესაძლებ გასვლას?)'.

ნ. წყვეტილი: I პ. ლრბვასდ 'გავედი'... II პ. ლაბასდ 'გახვედი'... III პ. ლახბასდ 'გავიდა'...

---

[205] ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 251.

კავშირებითი II: I პ. ლოხვასდდედ || ლოხვასდ 'გავიდე'... II პ. ლახვასდდედ || ლახვასდ 'გახვიდე'... III პ. ლახვასდდედს || ლახვასდს 'გავიდეს'...

თურმეობითი I: I პ. ლოხდენა 'შეუპოვრად გავსულვარ'... II პ. ლახდენა 'შეუპოვრად გასულხარ'... III პ. ეჯა ლახდენა 'შეუპოვრად გასულა'.

ნიმუში ბალსზემოური კილოდან: ესნარ ლჲც ლახდენა 'თურმე წყალში შეუპოვრად გასულა'.

როგორც ვ. თოფურია აღნიშნავს, ერთმანეთს უპირისპირდება ხედა და ლახასდ ფორმები ძირის თვალსაზრისით. თავისთავად ძირი საკვლევია[206].

მოკლედ ერთი ტიპის დრონაკლ ზმნებზე

სვანურში დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია აგრეთვე ზმნათა ერთი ჯგუფი. ამჟამად ჩვენს ხელთაა ერთობ მცირე რაოდენობა ამ ზმნებისა, ამდენად იქნებ უხერხულიც იყოს მათი ცალკე გამოყოფა. და ჩვენ თუ მაინც ცალკე განვიხილავთ ამ ზმნებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რამდენადმე განსხვავებული არიან ძირითად თავებში განხილულ სხვა ზმნათაგან. საქმე იმაშია, რომ მათ არ გააჩნიათ სხვადასხვა დროის ფორმები და შთაბეჭდილება ისეთია, რომ არც იგრძნობა ნაკლული ფორმების რითიმე შევსების საჭიროება.

ჩვენი ნათქვამი უფრო ნათელი რომ იყოს, წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს ანალიზითურთ.

1. ერთ-ერთი ასეთი ზმნა გვხვდება მხოლოდ კითხვითსიტყვიან წინადადებაში. ჩვეულებრივ იხმარება III პირის ფორმით, თუმცა გამორიცხული არც პირველი და მეორე პირის ფორმებია.

წყვეტილი: ბზ. მ̇ად ვნ ი ამჩუ ხვარი-ლახტიხ ბეფშვდ 'რა ვიქენი და აქა ვარ — უპასუხა ბავშვმა'; ალამაგ მარაშგა მ̇ადო ად გნ სი, დეშმა ახვმეკერ 'ამდენ კაცში (ხალხში) რა იქენი შენ, ვერაფერი ვერ გავიგე'; ამეჩუ არდა, მ̇ად ან? აქ იყო და რა იქნა? მ̇ად ად ან ხ? 402,14 'რა იქნენ'?

პოეზ.: ნეზვ მ̇ად ან? 256,2 'ნეზვი რა იქნა'?

---

206 ვ. თოფურია, სვანური ენა, I, გვ. 251.

ბქვ. ხარაზ მ ა დ ა ნ? 89,4 'ხარაზი რა იქნა'? ჩბხ. მ'ა დ ა ნ?; ლხმ. მ'ო დ ა ნ?;

პზ., ლშხ. გიცარ მ ა დ ა ნ? 258,4 'ყოჩი რა იქნა'?

ლნტ. გაჩ მ'ა დ ა ნ 'დანა რა იქნა'?

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: ბზ. ხოხვრა მუხვბე ესერ მა ა მ დ ე ნ? 189,21 'პატარა ძმა რა „ქმნილაო"'?; პოეზ.: მა როქ ო მ დ ე ნ ეჯი მეთხვიარ? 238,32 'რა „ქმნილაო" ის მონადირე'?; ბეჟან ესერ მა ა მ დ ე ნ ლ ი? 238,32 'ბეჟანი რა „ქმნილაო"'; ქვერწლარ ესერ მ ა მ დ ე ნ ე ლ ი ხ 221,23 'მექორწილენი რა „ქმნილანო"'?

ბქვ. სოფლიშ ღვაჟმარე მ'ესერ ო მ დ ე ნ? 313,30 'სოფლის ვაჟკაცი (მამრი) რა „ქმნილაო"'?; ბეჟან როქ მ'ო მ დ ე ნ ე ლ ი? 164,21 'ბეჟანი რა „ქმნილაო"'?...; მიჩა ლახვბა მ'ო მ დ უ ნ ლ ი ხ 327,8 'მისი ძმები რა „ქმნილან"'?

ლნტ. მა ლოქ ა მ ე დ ე ნ დავ? (ჩვ. ტ.) 'რა „ქმნილაო" დეჟი'?

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი II: ბზ. მა ა მ დ ე ნ ე ლ ა ს ვ? 'რა „ქმნილიყო"'?; ბქვ. მ'ესეროვ ო მ დ ე ნ ლ ა ს ვ მიჩა ჰაშ? 338,35 'რა „ქმნილიყო" მისი ქმარი'?

გვხვდება დასახელებული ზმნის რელატიური ფორმებიც, მაგ.: ბზ. აშიკ ესერ მ'ო თ დ ე გ ნ ა? 'ყუთი რა უყავიო'? ჩაჟ ესერ მა ა ო თ დ ე გ ნ ა? 'ცხენი რა უყავიო'?; ბქვ.: მ'ესერ ო თ დ უ ნ ა სგიმ? 'ვეძა რა უყავიო'?; ლნტ. მა ლოქ ა მ ე დ ე გ ნ? 'რა „მექენიო"'?

მაშასადამე, როგორც აქ წარმოდგენილი ნიმუშებიდან ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ზმნას სულ რამდენიმე ფორმა გააჩნია, სახელდობრ, დრო-კილოთა II ჯგუფიდან დადასტურებული გვაქვს წყვეტილის ფორმები (მოსალოდნელია კავშირებითი II'ც), ხოლო დრო-კილოთა III ჯგუფიდან I და II თურმეობითის ფორმები. დასახელებულ ზმნას გააჩნია შესაბამისი რელატიური ფორმებიც, რასაც აქ წარმოდგენილი რამდენიმე ნიმუში ადასტურებს.

რა უნდა იყოს ძირეული მასალა? თუ შევადარებთ ჩვენს ხელთ არსებულ ფორმებს ერთმანეთს: ბზ. მ'ა დ ა ნ, ბქვ., ლნტ. მ'ა დ ა ნ, ლშხ. მ'ა დ ა ნ 'რა იქნა'; ბზ. მა ა მ დ ე ნ; ბქვ. მ'ო მ დ ე ნ 'რა ქმნილა'; ბზ. ა მ დ ე ნ ე ლ ა ს ვ, ბქვ. ო მ დ ე ნ ლ ა ს ვ '„ქმნილიყო"', აგრეთვე რელატიურ ფორმებს, ერთი რამ ცხადი ხდება, საერთო, რაც ამ ფორმებს აკავშირებს, არის დ ელემენტი: მ'ა დ ა ნ?

ძირი სწორედ იგი უნდა იყოს, რაც შეეხება **-ენ, -ან || -ან...** ელემენტებს, ისინი სუფიქსებია.

დ ძირი ამ შემთხვევაში მ ყ ო ფ ო ბ ა ს უნდა გამოხატავდეს, ამდენად იგი ხომ არ დაუკავშირდება **ზ**ე 'ძევს' ზმნის ძირეულ მასალას **ზ<დ**'ს? (იდი 'იდება'...), როგორც სათანადო ადგილას არის მითითებული, მყოფობის შინაარსი არც ამ უკანასკნელისთვისაა უცხო[207]. მაგ.: ბჭვ. დოლაშ კვეცენ ჰარაკდ **ზ**ე 1,3 'დოლის პური საარაკოა'...

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ეს ზმნა დავადასტურეთ ზემოსვანურსა და ლენტეხურში როგორც გამოქვეყნებულ ტექსტებზე მუშაობისას, ისე ცოცხალ მეტყველებაზე ადგილობრივ დაკვირვებისას. რაც შეეხება ლაშხურს, აქ ეს ზმნა არ გვხვდება, ჩვენს ხელთაა მხოლოდ ერთადერთი ნიმუში ლაშხურისათვის, ისიც პოეზიიდან დადასტურებული: მ ა დ ა ნ? 'რა იქნა'? ამასთან დაკავშირებით ორი რამ შეიძლება ვივარაუდოთ:

ა. არ არის გამორიცხული, რომ ის ლექსი, რომელშიც ეს ფორმაა აღნიშნული, ბალსზემოურ კილოზე შექმნილიყო და შემდგომ გადასულიყო სხვა კილოში, სახელდობრ ლაშხურში. ბ. არც ისაა გამორიცხული, რომ ჩვენთვის საინტერესო ზმნა ჰქონოდა ლაშხურსაც. ამას მხარს დაუჭერდა დანარჩენი სამი კილოს ჩვენება და ზემომოხსენებული ერთადერთი ნიმუშიც.

2. მეორე ზმნა, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, არის აგრეთვე მ ყ ო ფ ო ბ ი ს გამომხატველი ზმნა მ ი ჩ დ ა 'ვყოფილვარ', ჯ ი ჩ დ ა 'ყოფილხარ', ხ ო ჩ დ ა 'ყოფილა'[208]. იგი მხოლოდ დრო-კილოთა III სერიის ფორმებითაა წარმოდგენილი. ბალსქვემოურში ვერც ნაბეჭდ ტექსტებში და ვერც ადგილობრივ მუშაობისას ვერ დავადასტურეთ. სხვა კილოები კი გავრცელების თვალსაზრისით ასეთ სურათს გვიჩვენებენ:

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. მიჩდა, ლნტ. მიჩედა 'ვყოფილვარ'; II პ., ბზ., ლშხ. ჯიჩდა, ლნტ. ჯიჩედა 'ყოფილხარ'; III პ., ბზ., ლშხ. ხოჩდა, ლნტ. ხოჩედა 'ყოფილა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ლეგ ბაგის მ ი ჩ დ ა 82,14 'ცუდ ადვილას ვყოფილვარ'; ჯეხვმი ქორწილს მ ი ჩ დ ა 59,18 'ცოლის ქორ-

---

207 იხ. აქვე, გვ. 120.

208 ნიშნავს აგრეთვე მ ი რ ე ვ ი ა, გ ი რ ე ვ ი ა, უ რ ე ვ ი ა'ს. გარდა ამისა, როგორც პროფ. თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე მ მიგვითითა, ეს ფორმები ლ ი ჩ ე დ 'წასვლა' ზმნის ფუძიდან ნაწარმოები უნდა იყოს.

წილში ვყოფილვარ'; უმეჯჲ ესერ ამ მუშ ხოჩდა, ეჩხვეუ ესერ აჩად... 355,7 'სადაც ამ კვირაში ყოფილხარ, იქ წადიო';

პოეზ. ლშხ. ლეთი იმე ჯიჩედა? — ლეთი გაგას მიჩედა 254,2 'წუხელ სად ყოფილხარ? — წუხელ გაგას ვყოფილვარ'.

თურმეობითი II: მხ. რ. I პ., ბზ. მიჩდან, ლშხ. მიჩდან, ლნტ. მიჩედან 'ვყოფილიყავ'; II პ., ბზ. ჯიჩდან, ლშხ. ჯიჩდან, ლნტ. ჯიჩედან 'ყოფილიყავ'; III პ., ბზ. ხოჩდან, ლშხ. ხოჩდან, ლნტ. ხოჩედან 'ყოფილიყო'.

კავშირებითი III: მხ. რ. I პ., ბზ., ლშხ. მიჩდენს[209], ლნტ. მიჩედენს ვყოფილიყო, II პ., ბზ., ლშხ. ჯიჩდენს, ლნტ. ჯიჩედენს 'ყოფილიყო'; III პ., ბზ., ლშხ. ხოჩდენს, ლნტ. ხოჩედენს 'ყოფილიყოს'.

ნიმუში: ბზ. ცვიდდ დოსა მიჩდენს... 'ტყვილად არ ვყოფილიყო'.

3. განხილულ ზმნათა შორის მოვიხსენიებთ აგრეთვე ათხად ზმნას, რომელიც წყვეტილის ფორმას წარმოადგენს და ნიშნავს: 'თქვა'.

ბალსზემოურში გვაქვს აგრეთვე ათხადდა, ბალსქვემოურში (ბეჩოურში) დასტურდება ათხად [დ], ლენტეხურში ათხადა || ათადა, ლაშხურში — ათად 'თქვა'.

თურმეობითი I'ის ფორმებია: ბზ. ათხარა, ლნტ.. ბქვ. ათხარა, ლშხ. ათრა || ათრენა 'უთქვამს'.

ვ. თოფურიას თავის მონოგრაფიაში სვანური ზმნის შესახებ აღნიშნული აქვს, რომ ათხრა წარმოადგენს არი 'არის' ზმნის საზედაო ქცევის ფორმას. მისი მეორე მნიშვნელობაა: ჰქონია, ჰყოლია[210]. ამავე ავტორს მითითებული აქვს, რომ თქმის მნიშვნელობა ათხად ზმნისათვის მეორეულია.

ზმნის ფორმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1. ზემოსვანური წყვეტილში გვიჩვენებს პარალელურ ფორმებს: ბზ. ათხად || ათხადდა, ბქვ. ათხად || ათხადდა 'თქვა'.

2. ზემოსვანურში დაცულია მესამე ობიექტური პირის ნიშანი ხ: ბზ. ათხად, ბქვ. ათხად, ლაშხურში იგი არ არის წარმოდგენილი: ათად. რაც შეეხება ლენტეხურს, აქ ორივე ვითარებაა დაცული: ათხადა || ათადა 'თქვა'.

---

209 ლაშხურისათვის აგრეთვე დაგვისახელეს მიჩდგნდეს 'ვყოფილიყავ', ჯიჩდგნდეს 'ყოფილიყავ', ხოჩდგნდეს 'ყოფილიყოს'.

210 ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 20.

თავი მეოთხე

სვანური მედიოპასიური ზმნები

სვანურში, ქართულის მსგავსად, გამოიყოფა ე. წ. მედიოპასიური ზმნები. დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით ეს ზმნები თავისებურებას ავლენენ იმით, რომ მათ არ შეუძლიათ ყველა ნაკვთის საკუთრივ წარმოება: „უღვლილების თვალსაზრისით სა-შუალი ზმნები იწარმოებიან მხოლოდ დროთა I ჯგუფში"[1].

სვანური მედიოპასიური (საერთოდ სტატიკური) ზმნების გა-მოწვლილვით შესწავლამ ცხადყო, რომ დროის მიხედვით ნაკლუ-ლი ეს ზმნები მონათესავე ქართულის მსგავსად, დანაკლისის შე-სავსებად იყენებენ იმავე ძირისაგან ნაწარმოებ ერთპირიან ან ორპირიან ვნებითი გვარის ზმნებს.

წინამდებარე ნაშრომში ეს ზმნები ორ ჯგუფად დავყავით და მათი ანალიზი ორ პარაგრაფად წარმოვადგინეთ. პირველ პარა-გრაფში ძირითადად განვიხილეთ მდგომარეობის გამომხატველი სტატიკური ზმნები: ლ ე გ 'დგას', ს გ უ რ 'ზის' და ა. შ. ამ ტიპის ზმნებს საკუთარი გააჩნიათ მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვეთები, სხვაგან სათანადო ი'ნიანი ვნებითის ფორმებია წარმოდგენილი.

მეორე პარაგრაფი დაეთმო ფუძემონაცვლე რელატიურ-გარ-დაუვალ (სტატიკურ) ზმნებს: ხ ა ყ ა 'ჰყავს'. ხ ა ლ ა ტ 'უყვარს'. ხ ო ნ ი 'სურს' და ა. შ., რომლებიც აგრეთვე დრონაკლი არიან და დანაკლისს ივსებენ ე'ნიანი ვნებითის ფორმებით.

ორივე შემთხვევაში ნაკლულ ფორმათა შევსების პრინციპის თვალსაზრისით სრული ანალოგიაა მონათესავე ქართულთან.

დგება დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმათა საკითხი.

ვ. თოფურია „სვანურ ენაში" იხილავს რა აორისტის წარმო-ებას. აღნიშნავს, რომ „ნამყო უსრულში -ე სუფიქსით ნაწარ-

---

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, თბ., 1931, გვ. 214.

მოები გარდაუვალ-რელატიური ზმნები აორისტში პრეეერბსლა დაირთავენ[2]. საილუსტრაციოდ მოხმობილია შემდეგი მასალა:

ნ. უსრული		აორისტი
ბზ. ხატკლაბ-ენ[და]	'ენანებოდა'	ათ-ტკალბ-ენ[და] 'დაენანა'
ლნტ. ხასსკ-ენ-[და]	'სძულდა'	ლა-ხასისკ-ენ[და] 'შესძულდა'
ლშხ. ხასკვრელ-ენ[და]	'უკვირდა'	ათ-საკვრელ-ენ(59$_{28}$) 'გაუკვირდა'
ბქვ. ხალტენ	'უყვარდა'	ლა-ხლატ-ენ 'შეუყვარდა'

და ა. შ.[3]

ასეთივე წარმოებისადაა მიჩნეული ნამყო უწყვეტლის ფუძეში **რ** და **ნ** მონაცვლე, აგრეთვე **-რ̄ნ/-ონ** ელემენტიანი ზმნები[4] და სხვ.

დასახელებულ სვანურ ფორმებს თითქოს ანალოგია მოეძებნებათო ქართულში: ხალტენ — ლა-ხლატ-ენ, ერთი მხრივ, და უყვარ-დ-ა — შეუყვარ-დ-ა, მეორე მხრივ, და ა. შ. მაგრამ, როგორც ვ. თოფურია სამართლიანად აღნიშნავს, ქართული უყვარ-დ-ა და შე-უყვარ-დ-ა სულ სხვადასხვა ფორმებია — ერთია ნ. უწყვეტელი უ ყ ვ ა რ ს სტატიკური ზმნისა; ხოლო მეორე — შ ე უ ყ ვ ა რ დ ე ბ ა დინამიკური ზმნის წყვეტილია. მიუხედავად ამისა, აქვე წარმოდგენილია რა ქართული ფორმების სვანურთან შეპირისპირება, აღნიშნულია, რომ „სვანურში... აორისტი წინდებულითღა განირჩევა ნამყოუსრულისაგან. ამდენად ასეთ ზმნათა სრულ და უსრულ სახეზე ვილაპარაკებთ და არა თავისებურ ფორმაზე აორისტში"[5].

მაშასადამე, აქ მიჩნეულია, რომ დასახელებულ ზმნებს გ ა ა ჩ ნ ი ა თ აორისტის ფორმები; რომ რომელიმე ხ ა ლ ტ ე ნ უსრული ას პ ე ქ ტ ი ს ა ა, ხოლო ლ ა ხ ლ ა ტ ე ნ ი მ ა ვ ე ზ მ ნ ი ს სრული ასპექტია. ცოტა ქვემოთ კი კვლავ ნათქვამია: „ამგვარად, **-ენ**'სუფიქსიანი, **-რ̄ნ/-ონ** გამოვლენილი და ზოგიერთი **-და** ბოლოსართიანი ზმნების ნამყოუსრულის ფორმები აორისტში პრეეერბით რთულდებიან"[6]. აქვე მითითებულია, რომ აორისტის ეს

---

[2] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

[3] იქვე, გვ. 162 (ადგილის ეკონომიის მიზნით ვასახელებთ მხოლოდ III პ. ფორმებს).

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 163.

[6] იქვე, გვ. 165.

ფორმები დროის წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ ფორმებს არ წარმოადგენს და ამდენად აორისტის ფორმათა ტაბულაში არ იქნა შეტანილი[7].

ზ. ჭუმბურიძე იმოწმებს რა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზოგ ზმნასთან ძველ ქართულში (ახალშიც) წყვეტილის ფორმა ზმნისწინითღა განსხვავდება უწყვეტლისაგან, დასძენს, რომ „ეს ეხება კვლავ ვნებითი გვარის ზმნებს, როგორიცაა: ჩნდა — გამო-ჩნდა... უყვარდა — შე-უყვარდა, ეპუდა — შე-ეპუდა, ჰშურდა — შე-შურდა"...[8], ხოლო შემდგომ: „ასეთი დამთხვევა თითქოს მხოლოდ გარეგნულია და მაწარმოებელი ფორმანტი დ ერთ შემთხვევაში უწყვეტლის ნიშანია (დუღ-ს — დუღ-დ-ა), მეორე შემთხვევაში კი — დ'ონიანი ვნებითისა (და-დუღ-დ-ებ-ა — და-დუღ-დ-ა). მაგრამ უწყვეტლისაგან წყვეტილის წარმოება ზმნის წინის მეშვეობით სვანურშიც დასტურდება (ხაზი ჩვენია — კ. გ.), სადაც ასეთი გარეგნული დამთხვევა არ ხდება"[9].

ზ. ჭუმბურიძე იზიარებს რა ფ. ერთელიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გენეტურად უწყვეტლის დ მაწარმოებელი და ვნებითის დ სუფიქსი ერთი და იგივეა (პირველადია უწყვეტლის დ, რომელმაც შემდგომ იტვირთა ვნებითობის გამოსახვაც)[10], ცხადია, ერთმანეთის გაგრძელებად მიიჩნევს შემდეგ ფორმებს: ჩნდა — გამოჩნდა... უყვარდა — შე-უყვარ-და... ა. შ. მაშასადამე, ჩ ნ დ ა ნამყოა, ოღონდ უსრული ასპექტისა, გ ა მ ო-ჩ ნ დ ა'ც ნამყოა ი მ ა ვ ე ზმნისა, მაგრამ სრული ასპექტისა, ასევე უ ყ ვ ა რ დ ა ნამყოა, მაგრამ უსრული ასპექტისა, შ ე-უ ყ ვ ა რ დ ა ნამყოა, მაგრამ სრული ასპექტისა. ამ მსჯელობიდან გამომდინარე ჩანს, რომ ავტორი იმავე კვალიფიკაციას აძლევს შესაბამის სვანურ ფორმებსაც.

თითქოს ყველაფერი ნათელია. უწყვეტლისაგან წყვეტილის წარმოება ოდენ ზმნისწინის საშუალებით სვანურშიც დადასტურ-

---

[7] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი.

[8] ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში, ორიონი, თბილისი, 1967, გვ. 342.

[9] იქვე.

[10] ფ. ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, -დ//-ნ (-ენ) ვნებითობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 93, თბილისი, 1960, გვ. 85.

და, თუმცა იქ, ზ. ჰუმბურიძის აღნიშვნით, გარეგნულ დამთხვევას ადგილი არა აქვს: შდრ. ქართული უ ყ ვ ა რ დ ა — შ ე უ ყ ვ ა რ დ ა და სვანური ხ ა ლ ტ ჳ ნ — ლ ა ხ ლ ა ტ-ჳ ნ [დ] ა. შ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ორიეგან უწყვეტლის ფორმაა წარმოდგენილი თავისი მაწარმოებლით, ოღონდ უწყვეტელში — უპრეევერბო, წყვეტილში — პრეევერბიანი.

თვალსაზრისი უწყვეტლის დ ფორმანტისა და ვნებითობის დ ნიშნის ერთი და იმავე წარმომავლობის შესახებ ძალზე საინტერესოა, მაგრამ მაინც ვარაუდია, როგორ დაუჭერს ამ ვარაუდს მხარს სვანური და, საერთოდ, როგორ დადგება დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ნაკვთთა საკითხი სვანურში ამგვარ ზმნებთან?

ჩვენთვის ამოსავალია თვალსაზრისი, რომ ქართულში ყოლა-ქონების, გრძნობის... გამომხატველ სტატიკურ ზმნებს „აკლია II სერიის მწკრივები (ხაზი ჩვენია — კ. გ.), სამაგიეროდ, მოეპოვება უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი“[11]. ანალოგიური ვითარება წარმოგვიდგება სვანურშიც. აქაც ამ ტიპის ზმნებს არ უნდა ჰქონდეთ დრო-კილოთა II ჯგუფის ნაკვთები — ხ ა ლ ა ტ 'უყვარს' — ხ ა ლ ტ ჳ ნ [დ ა] 'უყვარდა' სტატიკური ზმნაა, „ხოლო ლ ა ხ ლ ა ტ ჳ ნ [დ ა] 'შეუყვარდა' დინამიკურია, მართალია, ერთი და იმავე ძირისაგან ნაწარმოები, მაგრამ მაინც სხვადასხვა ზმნაა! ამდენად, ხ ა ლ ტ ჳ ნ [დ ა] და ლ ა ხ ლ ა ტ ჳ ნ [დ ა] ჩვენ ერთმანეთის გაგრძელებად არ გვეჩვენება ნაკვთთა წარმოების სისტემაში.

მაშ როგორ მოევლება -ჳნ სუფიქსს ლ ა ხ ლ ა ტ ჳ ნ [დ ა] ხ ამის მსგავს ფორმებში, იგი ხომ, საერთოდ, უწყვეტლის ერთ-ერთ ძირითად ფორმანტად ითვლება? (რაც შეეხება დ'ს III პირში და დ'ს I და II პ. ამ ტიპის ზმნებთან, მეორეულადაა მიჩნეული[12] და ჩვენს საკითხთან დაკავშირებით არსებითი მნიშვნელობა არა აქვს).

სანამ პრეევერბიან ფორმებში წარმოდგენილი -ჳნ სუფიქსის ჩვენეულ კვალიფიკაციას წარმოვადგენდეთ, აღვნიშნავთ ერთ ფაქტს. რომელიც ცნობილია სვანური ზმნის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში — სვანურში ვნებითი კონსტრუქციითა და ხშირად წარმოებითაც ქართულისას ჰგავს... ორსახელიანთა (ერთობიექტიანთა) მავნებითებელია ი-, ხოლო სამსახე-

11 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 500.

12 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა... გვ. 85.

ლიანთა (ორობიექტიანთა) — ე. პირველ შემთხვევაში აბსოლუტური ფორმები გვაქვს, მეორეში კი — რელატიური (ვ. თოფურია).

როცა ვმსჯელობთ სვანური ვნებითების შესახებ ქართულთან შეპირისპირებით, ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი — სვანურში არა გვაქვს ქართული დ'ონიანი ვნებითის ფარდი (დ ვნებითის ნიშნად გვაქვს მონათესავე მეგრულშიც, თუმცა იგი ამ უკანასკნელში ქართულიდან შესულადაა მიჩნეული).

ვინაიდან ვნებითი გვარის წარმოების თვალსაზრისით სვანური ძირითადად ქართულს მიჰყვება, მოსალოდნელი იყო (თუმცა არა აუცილებელი) აქაც გვქონოდა ქართული დ სუფიქსის ფარდი მაწარმოებელი. ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი, მართლაც, უნდა გვქონდეს და ეს უნდა იყოს სწორედ ის -ჳნ სუფიქსი, რომელიც თავს იჩენს ლახლატჳნ 'შეუყვარდა' და ა. შ. ფორმებში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ უწყვეტლის -ჳნ სუფიქსის გვერდით უნდა გვქონოდა -ჳნ ვნებითის მაწარმოებელი (ანალოგიური ვითარებაა ქართულში, სადაც დ გვხვდება როგორც ვნებითის მაწარმოებლად, ასევე უწყვეტლის ნიშნად).

მაშასადამე, სვანურშიც მასალობრივ ერთი და იგივე ფორმანტი გამოყენებულ უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, უწყვეტლის მაწარმოებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ვნებითის ნიშნად, შდრ.:

ქართ. სძულს — სძულ-დ-ა და შე-სძულ-დ-ა;

სვან. ხჳსსგ — ხჳსსგ-ჳნ[და] და ლა-ხსისგ-ჳნ-[და]...

ანალოგიური მდგომარეობა უნდა გვქონდეს ამ ტიპის სხვა ზმნებთანაც.

ნ. წყვეტილის საკითხთან დაკავშირებით ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ზოგიერთ მდგომარეობის გამომხატველ ზმნაზე: სგურ 'ზის', აყვრე 'წევს' და ა. შ., ჩვენ არც მათი დროთა მეორე ჯგუფის ფორმები წარმოვადგინეთ...

ვ. თოფურია აორისტზე მსჯელობისას ასახელებს რა ამ ზმნათა შესაბამის ფორმებს, მიუთითებს ჩვენთვის მეტად საინტერესო თავისებურებებზე, სახელდობრ:

„ა. 1. ბზ. ჩვეს-სგუ ბქვ. ჩოს-გუ ლშხ. ჩოს-სგუ ღნტ. ჩვას[ვ]ს კუ
2. ზსვ. ჩვეს-სგუ ჩვეს-სგუ ჩვას-სკუ
3. „ ჩვეს-სგურ-და ჩვეს-სჷურ-და ჩ̣ას-სკურ[და] 'დაჯდა'.

1 ზსვ., ლშხ. ჩოთ-უუ, ლნტ. ჩვათ-უუ
2 ჩვათ-უუ
3 ჩვად-უურ-და ლშხ. ჩჳად-უურ-და (62_{99}) 'დაწვა'"[13].

როგორც ამას ვ. თოფურია აღნიშნავს, დასახელებულ ზმნებს I და II პირში ჩამოკვეცილი აქვთ „როგორც დროის დ ფორმანტი, ისე ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი"[14], მოცემულ შემთხვევაში რ. რ'აენი ფორმები დასტურდება ლენტეხურსა და ძველ ტექსტებში...

„b. ეს ზმნებიც... ნამყოუსრულის ფორმისაგან აორისტს წინდებულითღა განარჩევენ: სგურ-და (ჯდა) — ჩვეს-სგურ-და (დაჯდა) და სხვა, მაგრამ (ხაზი ჩვენია — კ. გ.): 1. რიგი ზმნებისა ნამყოუსრულში მდგომარეობას (ხაზი ავტორისაა) გამოხატავს (ბზ. სგურ-და 'ჯდა', ლჳგან[და], ლშხ. ლჳგან 'დგა' და სხვა), ხოლო აორისტში — მოქმედებას (ხაზი ავტორისაა), აქტიობას (ჩვესსგურ-და 'დაჯდა', ესჳგან, ესჳგან 'დადგა' და სხვა). ეს კი იმგვარივე პარალელური ფორმების გამონახვას გვავალებს სვანურშიც, როგორსაც ადგილი აქვს ქართულში: წვების — და-წვ-ა, დგ-ების — ა-დგ-ა, ჯდ-ებ-ის — და-ჯდ-ა და სხვა; ერთის მხრით, და წევ-ს — წვ-ა, დგ-ას — დგ-ა (ზ-ის [*ჯდ-ის] — ჯდ-ა...) მეორის მხრით"[15]. იმავე ნაშრომში ცოტა ქვემოთ ბრძანებითზე მსჯელობისას შენიშვნაში ნათქვამია: „ვინიცობაა ზმნა დროთა II ჯგუფში არ იწარმოება (ხაზი ჩვენია — კ. გ.), მაშინ ბრძანებითი ამ ზმნის დროთა I ჯგუფის ფორმებს მიმართავს: ხარდ, ბზ., ლნტ. ხარდშ 'იყავი', ხარდად, ლშხ. ხშრდად 'იყავით'; ბზ. სგურდშს, ლნტ. სკურდშს, ბქვ., ლშხ. სგურდ 'იჯედი', სგურდად, სკურდად, ლშხ. სგურდად 'ისხედით'... III პირისათვის... ბზ. სგურდედხ; ლნტ. სკურდეხ, ლშხ. სგურდეხ, ბქვ., ლხმ. სგურდეხ 'ისხდნენ' და სხვა"[16].

შეიძლება დავუშვათ, რომ ჩვესსგურდა და ა. შ. ფორმები არ წარმოადგენს ზმნისწინით გართულებულ ნ. უწყვეტელს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამ დინამიკურ ზმნებში გამოვლენილი დ სუფიქსი ვნებითის ისეთივე მაწარმოებელი უნდა იყოს, როგორადაც მივიჩნიეთ -ჳნ სუფიქსი (უკანასკნელში გასარკვევია ჳ'ს

---

13 ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი... გვ. 164.
14 იქვე.
15 იქვე, გვ. 165.
16 ვ. თოფურია, იქვე, გვ. 173.

წარმომავლობა. იგი თანხმოვანთგამყარია თუ ფორმანტისეული...). ისმის საკითხი, თუ, მართლაც, ეს სუფიქსები ვნებითის ნიშნებია, მაშინ რა მიმართებაში იქნებიან ისინი ერთმანეთთან (ქართულში, მაგალითად, პირველადად მიჩნეულია ნ (<ენ), ხოლო მისგან ნარნარა ლ, რ, ნ ბგერების მეზობლობაში დისიმილაციით დ გვაქვს (თუმცა ამ თავლსაზრისს ყველა არ იზიარებს...).

დასმულ საკითხთან დაკავშირებით სვანურში მაცდურად გამოიყურება ერთი გარემოება: აორისტად მიჩნეული ფორმების ნაწილში, როგორც აღინიშნა, გვაქვს -ენ სუფიქსიანი და პრევერბით გართულებული ნამყო უწყვეტელი (ჩვენთვის -ენ ვნებითის ნიშანია ნ. წყვეტილის ფორმებში), ხოლო ნაწილი ზმნებისა -ენ სუფიქსის ნაცვლად წარმოგვიდგენს დ-ა სუფიქსს, მაგალითად, ბზ. ხოსტევნ-და 'სტკიოდა' — ოხვსტევნ-და 'ასტკივდა'; ზსვ., ლნტ. ხაფჳნ-და, ლშხ. ხაფჳნ-და 'წყუროდა' — ზსვ. ა-ხფჳნ-და, ლშხ. ა-ხფჳნ-და < ლნტ. ა-ხაფჳნ-და 'მოწყუროდა'.

ზსვ., ლნტ. ხოხალ-და, ლშხ. ხოხჳლ-და 'იცოდა' — ზსვ. ლო-ხხალ-და.

ლშხ. ლო-ხხჳლ-და<ლნტ. ლა-ხოხალ-და 'ეგონა'.

ბზ. ხონკერ-[და], ლნტ. ხორკენ-და — ბზ. ოთ-ჯერ-და, ლნტ. ათ-ორკენ-და... 'ახლდა, გაჰყვა'.

ბზ. ხოღელ-და 'ელოდა' — ბზ. ო-ხღელ-და... 'მოელოდა' და სხვა მრავალი, აქვე დავასახელებთ:

ჩვესსგურ-და, ჩვადყურ-და ფორმებსაც[17].

როგორც აქ წარმოდგენილი ნიმუშები გვიჩვენებენ, თითოეული ზმნის ფუძე ბოლოვდება სწორედ იმ ნარნარა ბგერებზე, რომლებთან შეზობლობაშიც ქართულში ნ (<ენ) ვნებითის ნიშანმა დისიმილაციით მოგვცა დ ვნებითის ფორმანტი. ჯერჯერობით ეს მხოლოდ შთაბეჭდილებაა. ჩვენთვის ცხადია, რომ აქ წარმოდგენილი ჩვენი რამდენიმე ვარაუდი ბევრი რამის დაზუსტებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვეკლოს საკითხს, რატომ არ გვაქვს -ენ/-დ სუფიქსიანი (თუ ვნებითის ნიშნებია) აწმყოს ფორმები საერთოდ და რატომ იჩენენ თავს მხოლოდ პრევერბიანი დინამიკური ზმნის აორისტად მიჩნეულ ფორმებში და ა. შ., ვნებითობის შემთხვევაში რა მიმართებაში იქნებიან -ენ/-დ სუფიქსები ქართულის დ (<ენ) ვნებითის მაწარმოებელთან; ან ქართუ-

---

[17] ყველგან ესარგებლობთ „სვანურ ზმნაში" მოხმობილი ნიმუშებით, გვ. 163, 164.

ლის მსგავს დისიმილაციის პროცესად მიჩნეული მოვლენა თუ შეინიშნება სხვა შემთხვევებშიც და სხვ.

ყველა შემთხვევაში მხოლოდ საკითხის დასმით ვიფარგლებით.

§ 1. ფუძემონაცვლე აბსოლუტურ-გარდაუვალი ზმნები

1. ლ ე გ 'დგას'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ., ზსვ. ხუგ, ლშხ. ხუ̄გ [ხვი] || ლეგ ხვი, ლნტ. ხუგ ხვი || ლეგ ხვი 'ვდგავარ'; II პ., ზსვ. ხეგ, ლშხ. ხე̄გ[ხი] || ლე̄გხი, ლნტ. ხეგ ხი || ლეგ ხი 'დგახარ'; III პ., ზსვ., ლნტ. ლეგ, ლშხ. ლე̄გ || ლეგ 'დგას'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ნაჲ ჩუ ხ უ გ დ ჩიქე 46,20 'ჩვენ ვდგავართ ჯერ'; იმ ხ ე გ აშხე ჲგის? 'რას დგახარ ერთ ადგილას'?;

ბქვ. სურუ კვაშ ლ ე გ 23,37 'ნამეტანი კვამლი დგას';

ლშხ. ქჯიშ საყდარ ლ ე გ 25,17 'ქვიშში ეკლესია დგას';

ლნტ. ეშხუ ღელაჲსა ეშტჲერბი ლუგვერ ლ ე გ 204,26 'ერთ ღელეზე თორმეტი წისქვილი დგას';

უ წ უ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. ხუგდას || ხუგანდას, ბქვ. ხუგნ || ხუგან, ლშხ. ლეგენ, ლნტ. ლუგდას 'ვიდექი'; II პ., ბზ. ხეგდას || ხეგან || ხეგანდას; ბქვ. ხეგნ || ხეგანდ; ლშხ. ლე̄გენ, ლნტ. ლეგდას 'იდექი'; III პ., ბზ. ლე̄გდა || ლე̄გან[და], ბქვ. ლეგან || ბეჩ. ლეგან, ლშხ. ლე̄გან[და] || ლე̄გდა, ლნტ. ლეგდა || ლეგდა 'იდგა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. საყდარისგა ლ ე̄ გ ან ეშხუ კუბ 296,7 'ეკლესიაში ერთი კუბო იდგა'; ლ ე̄გ ან დ ა ეჩუსგა სტჲმანილ 32,19 'მასში იდგა დოქი'; სოფლი თხუმ ვოთახარ ლ ე გ დ ახ 125,36 'სოფლის თავში ოთახები იდგა';

ბქვ. ამეჲსგა ლ ე გ ან ოქრეშ ტობ 136,16 'ამაში იდგა ოქროს ტბა'; ჩვიბეკეევისგა ჯვინალდ ეშხუ ჲორიზჲანან კლას გარ ლ ე გ ან 225,1 'ჩუბეხევში ძველად ერთი ორკლასიანი სკოლაღა იდგა';

ლშხ. ჲეზჲმეყ ლ ე̄ გ ან დ ა საყდარ 63,28 'ეზოსთან იდგა საყდარი';

ლნტ. ამეჩუ ჩუ ლ ე გ ე დ ა (ჩვ. ტ.) 'აქ იდგა'; ლეგეერჲარ ლ ე გ დ ახ 'წისქვილები იდგა'.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I: მხ. რ., I პ., ბზ. ხუგდე̄დ || ხუგანდე̄დ, ბქვ. ხუგდე || ხუგანდე, ლშხ. ლ ე̄გდე, ლნტ. ლუგდე 'ვიდგე'; III პ.,

ბზ. ლგგდედს || ლგგანდედს || ლგგდედს, ბქვ. ლგდეს || ლგგანდეს, ლშხ. ლგგდეს, ლნტ. ლგდეს 'იდგეს'.

ნიმუშები: ბზ. მაჲ ლგდედს, მაგ ქა ანგოშ 'რაც იდგეს, სულ გადმოასხი'; პოეზ. ამგვარ მურყვამ ჩუ ლგდედს 188,12 '(თუ) ამგვარი ციხე იდგეს...'

მყოფადი: მხ. რ., I პ., ზსვ. ხვიგნი, ლშხ. ხვიგნი, ლნტ. ხვიგენი 'ვიდგები'; III პ., ზსვ. იგნი, ლშხ. იგნი, ლნტ. იგენი[18] 'იდგება'.

ნიმუშები: ბზ. ეჩესგ'ესერ შკაფ იგნი 328,7 'იმაში „შკაფი" იდგებაო';

ბზ. ჯედ ლოქ ამშა უთხელად დეშ იგნი... 69,5 'ის (შენ) ამის უძებნელად ვერ დადგება'; პოეზ. ამიშ თერაღ აშ დეშ იგნიხ, ამიშ მგყდი შამ ხვიროლე 28,68 'ამის თვალები ასე ვერ გაჩერდებიან (იდგებიან), ამის მყიდველი არ ვიქნები'; ვოდე ბარბალს დო ხვეწდენი, ეჩქად შიაჲ დემე ხვიგნი 40,65 'ვიდრე (წშ.) ბარბალეს არ ვნახავ, მანამდის მე ვერსად გავჩერდები'.

ლშხ. ...მი ღალ ცანას დემ ხვიგენი 85,3 'მე ცანაში არ გავჩერდები'.

უნახავი II: მხ. რ., I პ., ბზ. ლგმგენ ხვი || ლგმგენელ ხვი, ბქვ. ლგმგენ ხვი || ლგმგენე ხვი, ლშხ. ლგმგენელ ხვი, ლნტ. ლგმაგენ ხვი 'ვმდგარვარ'; III პ., ბზ. ლგმგენ || ლგმგენელი || ლგმგენელი; ბქვ. ლგმგენ[ლი] || ლგმგენელი, ლშხ. ლგმგენელი, ლნტ. ლგმაგენ ლი 'მდგარა'.

ნიმუშები: ბზ. ზანულ ადილგერი ნესგაისგა ლგმგენ 385,5 'ზანულ ადილგერი შუაში მდგარა';

ბქვ. ეჩეჩუ წჷრნი პერ ლგმგენ 208,36 'იქ წითელი ქაფი მდგარა';

ლნტ. ლგმაგენლი 268,8 'მდგარა'.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ზსვ. მიგნა, ლნტ. მიგენა 'ვმდგარვარ', II პ., ზსვ. ჯიგნა, ლნტ. ჯიგენა 'მდგარხარ'; III პ., ზსვ. ხოგნა, ლნტ. ხოგენა 'მდგარა'.

ნიმუში: ბზ. ეჯ ქორცახაბ ხვაინ მიგნა 'იმ სახლთან ბევრჯერ ვმდგარვარ'.

ლგგ 'დგას' აბსოლუტურ-გარდაუვალი ზმნაა. საკუთარი გაჩნია აწმყო, უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი. დანაკლისი ფორმების შევსება ხდება ამავე ძირისაგან ნაწარმოები ვნებითი

[18] აქვს აწმყოს მნიშვნელობაც...

გვარის ზმნის ფორმებით. მყოფადი, ზსვ. ხ ვ ი გ ნ ი, ლნტ. ხ ვ ი გ ე ნ ი. მყოფადსა და აქედან ნაწარმოებ ნაკვთებში ვლინდება -ენ სუფიქსი, რომელიც უცვლელადაა დაცული ლენტეხურში, სხვა სამ კილოში კი იგი რედუქციას განიცდის.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ლგ'ში გ ძირია, ლ- მესამე სუბიექტური პირის ნიშანია რამდენიმე ზმნის მსგავსად (ლ ი 'არის', ლ ა ლ ე მ 'შეჯამა' და ა. შ.), რაც შეეხება გ'ს, იგი თანხმოვანთგამყარია[19]. გ ძირის შემცველია დინამიკური: „... იგნაღ 'დგება', აგნე 'აყენებს, აცილებს', აგემ 'აშენებს'«[20]. ეგევე გ ძირი გვაქვს ქართულ დ-ე-გ-ში, სადაც დ- ნივთთა კლასის ნიშანია, -ე- კი ვნებითისა. საინტერესო ჩანს აფხაზურ ა გ ღ ა რ ა 'დგომა'ში გ'ს გამოყოფა და მისი სვანურ-ქართულთან დაკავშირება[21] (მეგრულსა და ჭანურში დგ ქართულიდან შესულადაა მიჩნეული[22]). ეგევე გ ნაგულისხმევია ზმნისართებთან და ნაცვალსახელებთან: ა გ ი (აგა), ე გ ე, მ ა გ ა, ი გ ი... ი მ ე გ 'სად', დ ე მ ე გ 'არსად', ა შ ე გ 'აქ'... ი მ ს გ ი შ 'სადაური'[23].

წარმოდგენილი მასალის მიხედვით აღსანიშნავია: ქვემოსვანურში აწმყოს I და II პირის ფორმები — ლშხ. ლ ღ გ ხ ვ ი, ლნტ. ლ ღ გ ხ ვ ი 'ვდგავარ', ლშხ. ლ ღ გ ხ ი, ლნტ. ლ ღ გ ხ ი 'დგახარ', რომლებიც მეშველზმნიან წარმოებას გვიჩვენებენ. მათ შესახებ ნათქვამია, რომ ეს ფორმები გვიანდელი წარმოშობისაა[24]. უწყვეტელსა და კავშირებით პირველში ქვემოსვანური ლ- პრეფიქსიან ფორმებს იყენებს პირველსა და მეორე პირში: ლშხ. ლ ღ გ ე ნ მ ი, ლნტ. ლ უ გ დ ა ს 'ვიდექი', ლ ღ გ ე ნ ს ი, ლ ღ გ დ ა ს 'იდექი' შდრ. ლ ღ გ 'დგას'. ჩანს, გაბატონებას ლამობს ფორმათა უნიფიკაცია, გათანაბრება.

ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში ყურადღებას იქცევს ფორმათა სიჭარბე. აქ III პირში ერთმანეთს ენაცვლება ბზ. ლ ღ გ ა ნ, ლ ღ გ ა ნ დ ა, ლ ღ გ დ ა (ლ- ღ გ-და'ც დადასტურებულია), ბქვ. -ში ლ ღ გ ა ნ ‖ ლ ღ გ ა ნ 'გვაქვს'.

მყოფადში ლაშხურზე ადგილობრივ მუშაობისას ჩაწერილი

---

[19] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დ-თავსართიანი ზმნები ქართულში, თბ. უნივ. შრ. XXV, 1942.

[20] იქვე.

[21] იქვე.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] ვ. თ ო ფ უ რ ი ა. სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 2.

გვაქვს ხვ̄გნი, ხ̄გნი, ̄გნი ფორმები, მაგრამ, როგორც ა. ონიანის მოწოდებული ხვიგენი 85,3 გვიჩვენებს, ლაშხურში ურედუქციო ფორმებიც იხმარება. აღსანიშნავია ისიც, რომ ლაშხურში ვნებითის ი ნიშანი გრძელია: შდრ. ლშხ. ̄გნი, ბზ. იგნი 'იდგომება'. რა იწვევს სიგრძეს? მახვილი? ხმოვნის სიგრძის საკითხი ყურადღებას იქცევს აგრეთვე ბალსზემოურისა და ლაშხურის უნახავი II'ის ფორმებშიც: ლგმგენ̄ლ 'მდგარა'. ვ. თოფურიას აზრით, მსგავს პოზიციებში ე ხმოვნის სიგრძე გამოწვეულია იმით, რომ მეშველი ზმნის III სუბ. პირის ნიშანი ლ პრეფიქსი მიმღეობის ფუძეს შეხორცებია და მახვილის წყალობით ე ხმოვანი დაგრძელებულა[25].

2. ზი 'ძევს'

აწმყო: მხ. რ., ბზ., III პ., ზი, ბქვ. ზი || ზჳ, ლშხ. ლჳდე, ლნტ. ლჳდ 'ძევს'; მხ. რ., ბზ. ზიხ, ბქვ. ზიხ || ზჳხ, ქვსვ, ლჳდე.

ნიმუშები: ბზ. ლჳდგარ ესერ ზი 407,14 'მკვდარი ძევსო';

ბქვ. ათხე ეჯი ზჳ მესტიას მუზეუმისგა 70,6 'ახლა ის მესტიის მუზეუმში ძევს'.

ზი'ს ბალსქვემოურშიეე ზოგჯერ აქვს არის ზმნის მნიშვნელობა მაგ.: დოლაშ კვეცენ ჰარაკდ ზჳ 1,13 'დოლის პური საარაკოა'.

უწყვეტელი: მხ. რ., III პ., ბზ. ზჳსდან || ზჳსდანდა, ბქვ. ზჳსდ[ა] || ზჳსდან, ლშხ. ლჳდდა, ლნტ. ლჳზდა || ლჳდდა 'იდო'.

მრ. რ., III პ., ბზ. ზჳსდანხ || ზჳსდანდახ, ბქვ. ზჳსდახ || ზჳსდანხ, ლშხ. ლჳდდახ, ლნტ. ლჳზდახ || ლჳდდახ.

ნიმუშები: ბზ. პოეზ. ხოლა ღვაჟარე ტუბას ზჳსდანდახ 6,18 'გლახა მამაკაცები ხევში ეყარნენ';

ბქვ. მაჲ ზჳსდა ჟიქაქა... 48,36 'რაც ზევით იდვა'...; ბაღლს ჩუბავ დეი განწესდ ზჳსდ 285,22 ლხმ. 'ბალს ქვეშოთ წესად არ იყო'. გიმარ... უკმარად ზჳსდახ 2,2 'ადგილები... დაუმუშავებლად იყო';

ლნტ. გაჩ ლჳდდა || ლჳზდა ამეჩუნ 'დანა იდო აქ'.

კავშირებითი I: მხ. რ., III პ., ბზ. ზჳსდენდს, ბქვ. ზჳსდეს, ლშხ. ლჳდდეს, ლნტ. ლჳზდეს || ლჳდდეს 'იდოს'; მრ. რ. ზჳსდენდხ, ბქვ. ზჳსდეხ, ლშხ. ლჳდდეხ, ლნტ. ლჳზდეხ || ლჳდდეხ.

25 ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 135.

ნიმუშები: ბქვ. მაგთანოე ლაღემ, ჩუ მა ზგსდეს 343,33 'ყველაფერი შეჰამოს, რაც რომ იდოს'; ლნტ. ამეჩუნ ლგდდეს 'აქ იდოს'.

მყოფადი: მხ. რ. III პ., ზსვ., ლნტ., იდი, ლშხ. ედი 'იდება'. მრ. რ., III პ., ზსვ., ლნტ., იდიხ, ლშხ. ედიხ 'იდებიან'.

ნიმუშები: ბზ. ანღვლი, ერე ქიქანი დი 'მგონია, რომ ზევით იდება (იქნება)'; ბქვ. ჯაყე იდი 135,2 'ჯაყეა იდება'; ლნტ. ესჩუნ იდი (ჩვ. ტ.) 'იქ იდება (იქნება)'.

უნახავი II: მხ. რ., III პ., ბზ., ლშხ. ლგმდელი, ბქვ. ლგმდელი, ლნტ. ლგმაღლი „ნადება".

ნიმუშები: ბზ. ესნარ ფენდას ლგმდელი 'თურმე ახლოს დებულა';

ბქვ. ჩუ ლღდგარ ესერ ლგმდელი 165,4 'მკვდარი დებულა'; ლნტ. ამეჩუ ლგმადლი 'აქ დებულა'.

ზი 'ძევს' საშუალი გვარის სტატიკური ზმნაა. ჩვეულებრივ იხმარება III პირის ფორმით. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირველსა და მეორე პირში[26]. დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს იმით, რომ საკუთარი არ გააჩნია ყველა ფორმა, დანაკლის ფორმებს ივსებს იმავე ძირისაგან ნაწარმოები ენებითით (შდრ. ბზ. ზი 'ძევს', ედი 'იდება', ედრლ 'იდებოდა').

მსგავსი შინაარსის ზმნა დრონაკლია მონათესავე ქართულშიც. მიუხედავად ამისა, ქართულსა და სვანურს შორის გარკვეული სხვაობა შეინიშნება. ქართულში ძევს ზმნას აკლია უწყვეტელი და კავშირებითი I, სვანურში კი გვაქვს: აწმყო, ბზ. ზი, უწყვეტელი ზგსდან || ზგსდანდა, კავშ. I, ზგსდედს. ასევე აქვს ზანურშიც დასახელებულ ზმნას უწყვეტლისა და კავშირებითი I'ის ფორმები.

სანამ ზოგ სხვა თავისებურებაზე შევჩერდებოდეთ, გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ამ ზმნის ძირზე. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ზანურ-ქართულისათვის საერთოა ძ ძირი[27] (შდრ. მეგრ. ძ-უ-(ნ), ჭან. ძ-უ-ნ || ძ-ი-ნ, ქართ. ძ-ევ-ს). გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ძევს ფორმა მიღებულია

---

26 იხ. ჩვენი „ზოგიერთი დრონაკლი ზმნა სვანურში", უ. შრ., 105, თბილისი, 1965, გვ. 13.

27 არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისის, 1938, გვ. 387.

დ ე ვ ს'ისგან (დ>ძ)[28]. იქვე აღნიშნულია, რომ „... დ'ს ცვლის მესამე საფეხურია — ზ: დ>ძ>ზ (იხ. მ ო გ ო ზ უ ნ — ათინური ტექსტებიდან)[29]. დებულება წარმოდგენილია ზანურისა და ქართულის მიმართ. ძ ე ვ ს ზმნას თავის მონოგრაფიაში ეხება ივ. ქავთარაძეც. იგიც იზიარებს იმ აზრს, რომ ძირეული ძ მომდინარეობს დ'საგან (ვ-დ-ებ). აღნიშნულია, რომ პირველად დ'ს გაწუცდია აფრიკატიზაცია ე ხმოვნის წინ[30]. აქვე უკვე მოხმობილია სვანურის მასალაც: ზი 'ძევს', ზ გ ს დ ა ნ[დ ა] 'იდვა'. დასახელებული ფორმები მიჩნეულია აგრეთვე დ ე ვ ს ზმნის ფონეტიკურ სახესხვაობად, უფრო სწორად, გარდამავალ საფეხურად დ>ძ'ს განვითარების გზაზე. ე. ი. დ>ზ>ძ. როგორც ვხედავთ, პირველ თვალსაზრისთან მიმართებით ავტორი რამდენადმე განსხვავებულ პოზიციაზე დგას. ამ ურთიერთობათა შესახებ საკითხი როგორც არ უნდა გადაწყდეს, ჩვენთვის არსებითი ის, რომ სვანური ზ ი 'ძევს', ზ გ ს დ ა ნ დ ა 'იდვა' ძირეული მასალის თვალსაზრისით გვერდით უდგას მონათესავე ენებს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულთან საერთო დ ძირიც (დ-ევ-ს) დასტურდება იმავე სვანურის როგორც ნაზმნარ სახელებში (ბზ. ხაკუ ლ ე დ ი დ 247,32 'უნდა დასადებად', ბქვ. ლი ჩუ ლ ე დ ე 256,32 'დადებულია'), ასევე უღვლილების ფორმებში (შდრ. ბზ. ნ დ ი 'იდება', ბქვ. ლ ე მ დ ე ლ ი 'დებული'..., რელატ. ბზ. ჲ გ დ ი ‖ [ჲ] დ ე ს გ ი 'დებს' და ა. შ.).

აღსანიშნავია, ისიც, რომ ეგევე დ/ზ ძირი გვაქვს ფორმაში ხ ა ზ 'აცივა ფეხზე'. ამ მხრივ საინტერესოა ზანურის ჩვენება. როგორც ჰანურში, ასევე მეგრულში გვაქვს ძ ძირი „აცივა (ფეხზე)" ზმნაში: შდრ. ჰან. კუჩხეფეს -თი ჩაფლა ქ ო მ ო ძ ი ნ 'ფეხებზედაც წუღა მაცივა (მადევს)'[31]; მეგრ. კუჩხის ჩაფლა მ ჳ მ ო ძ უ (ნ) 'ფეხზე წუღა მაცივა'.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზი ერთი იმ გარდაუვალი ზმნათაგანია, რომლებსაც მოეპოვებათ ქცევის სამივე ფორმა: საარვისო — ზ ი 'ძევს', სასხვისო — ხ რ ზ 'უძევს', საზედაო — ხ ა ზ 'აძევს'.

---

28 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938. გვ. 388.

29 იქვე.

30 ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 151.

31 ნიმუში ამოღებულია არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს შედარებითი ლექსიკონიდან..., გვ. 387.

უღვლილების ფორმებიდან ყურადღებას იქცევს ქვემოსვანურში დადასტურებული ფორმები: აწ., ლშხ. ლ ე დ ე, ლ ე დ ხ, ლნტ. ლ ე დ 'ძევს', უწყვეტ. ქვსვ. ლ ე დ დ ა || ლნტ. ლ ე ზ დ ა. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „... ლენტეხურში ლ ე დ 'ძევს', ლ-ე ზ დ ა 'იდვა'... თუ მართლა იხმარება, მაშინ S_3 პრეფიქსიან ზმნათა რიცხვი კიდევ ერთით გადიდდება"[32]. ჩვენი დაკვირვებით მსგავსი ფორმები ნამდვილად იხმარება არა მარტო ლენტეხურში, არამედ ლაშხურშიც. ამიტომ ვფიქრობთ, სწორია ვ. თოფურიას შენიშვნა იმის შესახებ, რომ ლ პრეფიქსი S_3'ის აღსანიშნავად გვხვდება ექვს ზმნაში.

აწმყოს ფორმებთან დაკავშირებით სხვა რამეც იქცევს ყურადღებას: ძირისეული ი (ბზ. ზი) ბალსქვემოურში ე'ს სახითაცაა წარმოდგენილი, რაც შეეხება ლაშხურს, აქ აწმყოში გვაქვს ლ ე დ ე. ეს ფორმა საინტერესოა ორ მხრივ:

ა. დაცულია ძირისეული დ პირვანდელი სახით (ასევე ლენტეხურში).

ბ. ასახსნელია -ე'ს ფუნქცია. დასახელებული ხმოვანი არ დასტურდება არათუ სვანურის სხვა კილოებში, არამედ თვით ლაშხურის მრავალობითში, შდრ. მხ. ლ ე დ ე და მრ. ლ ე დ ხ. ასახსნელია, რატომ არ არის იგი მრავლობითში და, საერთოდ, როგორია მისი დანიშნულება?

გ. რა უნდა იყოს უწყვეტელში (ზ ე ს დ ა ნ || ზ ე ს დ ა ნ დ ა) გამოვლენილი ს, როგორც ამაზე მიგვითითა თ. შარაძენიძემ. დავუმატებთ, რომ ქვემოსვანურის ფორმებში, სადაც გვაქვს ლ პრეფიქსი III სუბიექტური პირის ნიშნად, ეს ს'ანი არ ჩანს, მაგ., ლშხ. ლ ე დ დ ა, ლნტ. ლ ე ზ დ ა || ლ ე დ დ ა.

უწყვეტელში ლენტეხური პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს — ლ ე დ დ ა და ლ ე ზ დ ა. ბალსქვემოურის ტექსტებში დადასტურდა უწყვეტლის მარტო დ'ონიანი წარმოება: ზ ე ს დ.

მყოფადში, როგორც ეს უღვლილების პარადიგმებიდან ჩანს, დ ძირიანი ი'ნიანი ვნებითის ფორმებია გამოყენებული: ზი — ̄დი, შდრ. ქართ. ძ ე ვ ს-ი დ ე ბ ა, დასახელებული ზმნისათვის ვერ დადასტურდა თურმეობითის ფორმები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ზმნის თემატური სუფიქსია -ე ს გ ი, რომელიც ლაშხურში გამარტივებულადაა წარმოდგენილი: -ეს,

---

[32] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 251.

ლენტეხურში კი -ესკ'ის სახით გვხვდება: ლშხ. ლიდეს, ლნტ. ლიდესკ 'დება'.

3. აყვრე 'წევს'

აწმყოს ფორმები: მხ. რ., I პ. ზსვ., ლნტ. ხვაყვრე, ლშხ. ხვაყვრე || ჩუ ყურ ხვი || ყურ 'ვწევარ'; II პ., ზსვ., ლნტ. ხაყვრე, ლშხ. ხაყვრე || ჩუ ყურ ხი || ყურ 'წევხარ'; III პ., ზსვ. აყვრე, ლშხ. აყვრე || ჩუ ყურ 'წევს'.

ნიმუშები: ბზ. სგან სი ხაყვრე 83,3 'შიგ შენ წევხარ' ეოქვრა ჰაკვანისგა აყვრე 100,14 'ოქროს აკვანში წევს'; ლნტ. აყვრე 299,7 'წევს'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ., ლნტ. ხვაყვრას, ბქვ. ხვაყურდ, ლშხ. ჩუ ყურდ || ჩუ ყურდ ხვას 'ვიწექი'; II პ., ბზ., ლნტ. ხაყვრას, ბქვ. ხაყურდ, ლშხ. ჩუ ყურდ || ჩუ ყურდ ხას 'იწექი'; III პ., ბზ., ლნტ. აყვრა || ლნტ. აყურდა, ბქვ. აყვრა || აყურდა, ლშხ. ჩუ ყურდა 'იწვა'.

ნიმუშები: ბზ. ში ჰაკვანისგა ხვაყვრას 123,32 'მე აკვანში ვიწექი'; ტახტყინ ნანულ აყვრა 173,28 'ტახტზე ქალიშვილი იწვა'; ამჩუ ჩვაყვრა დალ 88,6 'აქ იწვა დალი'.

ლნტ. გელა აყურდა 73,19. 'გელა იწვა'; ჯუხვ-ჭაშ აყურდხ 21,2 'ცოლ-ქმარი იწვა (იწვნენ)'.

კავშირებით I: მხ. რ., I პ., ბზ. ხვაყვრედ, ბქვ. ხვაყვრადე, ლშხ. ჩუ ყურდე, ლნტ. ხვაყურდე 'ვიწვე'; II პ. ხაყვრედ, ბქვ. ხაყვრადე, ლშხ. ჩუ ყურდე, ლნტ. ხაყურდე 'იწვე'; III პ., ბზ. აყვრედს, ბქვ. აყურადეს, ლშხ. ჩუ ყურდეს, ლნტ. აყურდეს 'იწვეს'.

ნიმუში: ბზ. ჩუ ერ ხვაყვრედ ეჩნოში ი მამგვეშ იფჭავი 'რომ ვიწვე, იმითაც არაფერი დამაკლდება'.

მყოფადი: მხ. რ., I პ., ზსვ., ლნტ. ხვიყვნი, ლშხ. ხვიყვნი 'ვიწვები'; II პ. ხიყვნი, ლშხ. ხიყვნი 'იწვები'; III პ., ზსვ., ლნტ. იყვნი, ლშხ. იყვნი 'იწვება'.

ნიმუშები: ბზ. ლაყვრაძსგა ჰე იყვნი, ნრსამა ხჭქვა 'თუ ლოგინში იწვება, არაფერი უთხრა'; ლნტ. ბაზი ლოქ იყვნი 218,3 'ამაღამ იწვებაო'; ისკვი ჯეხვ ლაყვრაისა იყვნი (ჩვ. ტ.) 'შენი ცოლი ლოგინში იწვება'.

უნახავი II: მხ. რ., I პ., ზსვ., ლჳმყვინ ხვი, ლშხ. ლჳმყვინნელ ხვი, ლნტ. ლუმაყვინ ხვი || ლჳმაყვინოლ ხვი 'ვწოლილვარ';

III პ., ზსვ. ლგმყვინ ლი, ლშხ. ლგმყვინელი, ლნტ. ლუმაყვინ ლი || ლგმაყვინოლ ლი 'წოლილა'.

ნიმუშები: ბზ. ჰაშ ჩუ ლგმყვინ ლი 384,2 'ქმარი წოლილა';

ლნტ. ლენტეხას ლგმაყვინ ლი ი მი მად მიხალდა (ჩვ. ტ.) 'ლენტეხში წოლილა და მე არ ვიცოდი'.

თურმეობითი I: მხ. რ., ზსვ., ლნტ. მიყვნა 'ვწოლილვარ'; III პ. ხოყვნა 'წოლილა'.

ნიმუში: ბზ. მი ერ მიყვნა, ეჯი გარ ჯიყვნა სი 'მე რომ ვწოლილვარ, ისე მარტო წოლილხარ შენ'.

აყვრე 'წევს' საშუალი გვარის სტატიკური ზმნაა. ქართული წევს ზმნის მსგავსად ესეც დრონაკლია, ოღონდ სვანურში მას აქვს საკუთარი წარმოების უწყვეტლისა და კავშირებითი პირველის ფორმები: აყვრა || აყურდა 'იწვა'; აყვრედს 'იწვეს'. სვანურის ანალოგიური ვითარებაა მეგრულშიც: ჯანუ 'წევს', ჯანუდუ 'იწვა', ჯანუდას 'იწვეს'. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აყვრე ზმნასთან ზოგჯერ იხმარება ჩუ ზმნისწინი. ეს კარგად ჩანს აქ წარმოდგენილი ნიმუშებიდან: ბზ., ჩვაყვრე დაწლ 91,10 '(ქე) წევს დალი'; ჩვაყვრა დაწლ 88,6 '(ქე) იწვა დალი'.

რ და ნ თანხმოვნების მონაცვლეობა განასხვავებს საშუალი და მოქმედებითი გვარის ზმნათა ფუძეებს: აყვრე 'წევს' და აყვნე 'აწევნს', სახელებში: ლიყვრე 'წოლა' და ლიყვნე '(და) წევნა'[33].

აწმყოს ფორმები, ერთი მხრივ, ყველა კილოში ერთნაირადაა წარმოდგენილი: ხვაყვრე, ხაყვრე, აყვრე, მეორე მხრივ, ყურადღებას ლაშხურის ფორმები იქცევს, რომლებიც ადგილობრივ ჩაგვაწერინეს. ესენია: ჩუ ყურ || ყურ ხვი 'ვწევარ', ჩუ ყურ || ყურ ხი 'წევხარ', ჩუ ყურ 'წევს'... როგორც ვხედავთ, დასახელებულ ფორმებს ა მაქცევარი არ ახლავს, არც I და II პირის სუბიექტური ნიშნები. გარდა ამისა, ყურ ხვი და ყურ ხი შედგენილობის მიხედვით გვაგონებს ახალი ქართულის ვწევარ, წევხარ ფორმებს.

უწყვეტელში ბალსზემოურის I და II პირში გვაქვს დ სუფიქსი, რომელიც მესამე პირში არ ჩანს, რაც შეეხება ლაშხურს,

---

[33] ვ. თოფურია, რ და ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში, თბ., უნივ. შრ., XVIII, 1941.

აქ ისევ უმაქცევრო ფორმებია გამოყენებული როგორც მეშველი ზმნით, ისე მეშველი ზმნის გარეშე: ჩუ ყუურდ || ჩუ ყუურდ ხვას 'ვიწვექი', მესამე პირში კი ფუძისეული უ დაგრძელებულია. უ'ს სიგრძე გაჰყვება მრავლობითის ყველა პირსა და აგრეთვე კავშირებით I'ში: ჩუ ყუურდად || ლუყუურდად 'ვიწვექი', ჩუ ყუურდე 'ვიწვე' და ა. შ.

მყოფადში, ქართულის მსგავსად, ი'ნიანი ვნებითის ფორმებია გამოყენებული. ამ მხრივ კილოები მსგავს ვითარებას გვიჩვენებს. მხოლოდ ლაშხურში ბოლოკიდური -ი გარკვევით ისმოდა გრძლად: იყუნა... დასასრულ, მდგომარეობის გამომხატველი სხვა ზმნების მსგავსად აყარე'ც ჩვეულებრივ წარმოდგენილია ჩუ ზმნისწინით.

4. სგურ 'ზის'

აწმყო: მხ. რ., I პ., ზსვ. სგურ, ლშხ. სგურ || სგურ ხვი, ლნტ. სკურ || სკურ ხვი 'ვზივარ'; II პ., ზსვ. სგურ, ლშხ. სგურ || სგურ ხი, ლნტ. სკურ || სკურ ხი 'ზიხარ'; III პ., ზსვ., ლშხ. სგურ, ლნტ. სკურ 'ზის'.

ნიმუშები: ბზ. ამი ჩუქვან ზურაღ სგურ 56,3 'ამის ქვეშ ქალი ზის'.

ლშხ. ეჩეჟი სგურხ ლჳდგარა ასაბიელ 34,25 'იმაზე ზის (სხედან) მიცვალებულის ნათესაობა';

ლნტ. ლჳდგარი თხუმმოყ სკურ ხოჩა ლჳმხაღ ხოშა მარე ი ჯედ ზურალ 51,33 'მკედრის თავთან ზის კარგი მცოდნე უფროსი (დიდი) კაცი, ანდა ქალი'; ჩუ სკურ ყორმოყ 120,14 'ზის კართან'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ. სგურდას, ბქვ. (ბეჩ.) სგურდასვ || სგურდასგვ || ეცრ. სგურდ, ლშხ. სგურდ ხვას. ლნტ. სკურდას, 'ვიჯექი'; II პ. ბზ. სგურდას, ბქვ. (ბეჩ.) სგურდასვ || სგურდასგვ || (ეც.) სგურდ; III პ., ბზ. სგურდა, ბქვ. (ბეჩ.) სგურდა || ეცრ. სგურდა(ნ), ლშხ., სგურდა, ლნტ. სკურდა 'იჯდა'.

ნიმუშები: ბზ. ამეჩუნ სგურდას 'აქ ვიჯექი': აშხვ ლადეღ აშხვ ზუგვენ ჩუ სგურდახ 99,13 'ერთ დღეს ერთ ზეგანზე ისხდნენ';

ბქვ. ჯი ამეჩუ სგურდა 190,18 'თვითონ აქ იჯდა';

ლშხ. ჩუ სგურდა ი გვანდა (sic) 69,7 'იჯდა და ტიროდა';

ლნტ. ბაზარი თხუმ სკურდა რუკაპ 255,9 'როკაპი ბაზრის თავში იჯდა'; მაგ ჩუ სკურდახ... 153,12 'ყველანი ისხდნენ'.

კავშირებითი I: ზსვ. I პ., სგურდე, ლშხ. სგურდე, ლნტ. სკურდე 'ვიჯდე'; II პ. ზსვ. სგურდე, ლშხ. სგურდე, ლნტ. სკურდე 'იჯდე'; III პ., ზსვ. სგურდეხ, ლშხ. სგურდეს, ლნტ. სკურდეს 'იჯდეს'.

მყოფადი: მხ. რ., I პ., ზსვ. ხვისგვრი, ლშხ. ხვისგვრ̄, ლნტ. ხვისკვრი 'ვიჯდები'; II პ., ზსვ. ხისგვრი, ლშხ. ხისგვრ̄, ლნტ. ხისკვრი 'იჯდები'; III პ., ზსვ. ისგვრი, ლშხ. ისგვრ̄, ლნტ. ისკვრი 'იჯდება'.

ნიმუშები: ბზ. ჩუ ისგვრიხ ი კ̣ესჳრს ითშიხ 13,4 'დასხდებიან და კეისარს ირჩევენ'; ბქვ. ჩუ ისგვრიხ ი ჩუ იდარალხ 76,35 'დასხდებიან და პურობენ'; ლნტ. სი ლაჲდი გუშკვეხენ ხისკვრი ხი (ჩვ. ტ.) 'შენც ჩვენთან იჯდები'. ეჩანღო ჩუ ისკვრიხ ი ხოჩამ ჩუ ივახშჳმიხ 63,5 'შემდგომ დასხდებიან და კარგად ივახშმებენ'.

უნახავი II: მხ. რ., I პ., ზსვ. ლუმსგვირ ხვი, ლშხ. ლჳმსგურ̄ელ ხვი, ლნტ. ლჳმჳსკურ ხვი 'ვჯდარვარ'; II პ., ზსვ. ლჳმსგვირ ხი, ლშხ. ლუმსგურ̄ელ ხი, ლნტ. ლჳმასკურ ხი 'მჯდარხარ'; III პ., ლუმსგვირ ლი, ლშხ. ლჳმსგურ̄ელი, ლნტ. ლჳმჳსკურ ლი 'მჯდარა თურმე'.

ნიმუში ლენტეხური კილოდან: ნებოზს აზვისკა ჩუ ლჳმასკვირხ 176,13 'საღამოს ეზოში ქე მსხდარან'.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ. მისგვრა 'ვმჯდარვარ', II პ. ჯისგვრა 'მჯდარხარ'; III პ. ხოსვგრა 'მჯდარა'.

სგურ 'ზის' მდგომარეობის გამომხატველი საშუალი გვარის აბსოლუტური ზმნაა. როგორც ამ ტიპის სხვა ზმნები, იგიც დრონაკლია. აქვს სასხვისო და ე. წ. „საზედაო" ქცევის ფორმები: ბზ., სასხვ. ხოსგურ, ლნტ. ხოსკურ 'უზის'; საზედ., ბზ. ხასგურ, ლნტ. ხასკურ 'აზის'

სგურ ზმნაც თავისუფლად აწარმოებს უწყვეტლისა და კავშირებითი პირველის ფორმებს. აწმყოს ფორმების წარმოებისას ზემოსვანურის I და II პ. ძველი ქართულის ვითარებას გვიჩვენებს[34], ე. ი., მეშველ ზმნას არ დაირთავს: მი სგურ 'ვზი', სი სგურ 'ჰზი', ეჯა || ეჯი სგურ 'ზის'. იგუებს ჩუ ზმნისწინს — ჩუ სგურ.

---

[34] Л. Т. Барамидзе, Зарождение и развитие некоторых форм со вспомогательным глаголом в грузинском языке, автореферат диссертации..., 1966, стр. 17.

ლაშხურსა და ლენტეხურში ორგვარი წარმოებაა: მეშველზმნიანი და მარტივი. უპირატესობა პირველს ენიჭება.

უწყვეტლის წარმოებისას ყურადღებას იქცევს, პირველ ყოვლისა, ბალსქვემოურის მონაცემები. ჩვენს შემთხვევაში ბალსქვემოური წარმოდგენილია, ერთი მხრივ, ბეჩოურით, მეორე მხრივ, ეცერულით. პირველი უწყვეტელს აწარმოებს -დ ა ს გ ვ და -დ ა ს ვ სუფიქსებით. ვ. თოფურიას შენიშნული აქვს[35] და ჩვენი დაკვირვებითაც დასტურდება, რომ -დ ა ს გ ვ სუფიქსს ხმარობენ მოხუცები, ხოლო ახალგაზრდები უპირატესად მიმართავენ დ ა ს ვ სუფიქსიან წარმოებას.

როგორც წარმოდგენილი ნიმუშებით ჩანს, ეცერული უწყვეტელში დასახელებული ზმნისთვის იყენებს დ სუფიქსს I და II პირში, მესამე პირში კი და გვაქვს, ისევ როგორც ეს არის ბალსზემოურსა და ბეჩოურში. ჩვენ დავადასტურეთ აგრეთვე ს გ უ რ დ ა ნ ფორმა. აქ ყურადღებას იქცევს ბოლოკიდური ნ. მოცემულ შემთხვევაში რომ ნ'ს ხმარება შემთხვევითი არ უნდა იყოს, ამას ადასტურებს ა რ დ ა ნ, ი ზ ბ უ დ ა ნ და ა. შ.

ჩვენი აზრით, აქ უნდა გვქონდეს -ნ უწყვეტლის მაწარმოებლისეული ნ.

დასასრულ, ლაშხურის უწყვეტლის III პირში ფუძისეული უ გრძელია. უ'ს სიგრძე გადაჰყვება მრ. რიცხვის ყველა პირსა და კავშირებით პირველში.

მყოფადში გამოყენებულია ვნებითის ფორმები, რომელთაც აწმყოს გაგებაც გააჩნიათ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მხრივ ყველა კილო ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებს.

ლაშხურის ფორმები ყურადღებას იქცევს ბოლოკიდური თემისნიშნეული ი ხმოვნის სიგრძით: ხ ვ ი ს გ ვ რ ი და ა. შ.

დრო-კილოთა III ჯგუფში გამოყენებულია ინვერსიული ფორმები: მ ი ს გ ვ რ ა, ჯ ი ს გ ვ რ ა, ხ ო ს გ ვ რ ა 'ვმჯდარვარ', 'მჯდარხარ', 'მჯდარა'. როგორც ცნობილია, ქართული მოცემულ შემთხვევაში მიმართავს მეშველზმნიან ფორმებს: ვმჯდარვარ და ა. შ. აგებულების თვალსაზრისით ამ უკანასკნელთ უფრო მიესადაგება სვანური ლ ე მ ს გ ვ ი რ ხვი და ა. შ. ფორმები.

---

35 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, 1, ზმნა, გვ. 94.

5. ს გ ვ ე ჯ ი ‘ბრძანება, არის’[36]

ა წ მ ყ ო ს ფ ო რ მ ე ბ ი: მხ. რ., I პ., ზსვ. სგვეჯი, ლშხ. სგოჯი, ლნტ. სკვეჯი ‘ვბრძანებები’; II პ., სგვეჯი, ბქვ. სვვეჯი || სგეჯი, ლშხ. სგოჯი, ლნტ. სკვეჯი ‘ბრძანებები’, III პ., ბზ. სგვეჯი, ბქვ. სგვეჯი || სგეჯი, ლშხ. სგოჯი, ლნტ. სკვეჯი ‘ბრძანდება’.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. პოეზ. მანგურ ს გ ო ჯ ი გოშთელდანა 130,1 ‘მანგური ბრძანდება გოშთელიანი’; პოეზ. მაშედ გუშგვე ჯედ ს გ ო ჯ ი ლ ე 316,3 ‘ჩვენი შემწე ის ბრძანდება’;

ბქვ. მა ტარ ბედნიერ ს გ ე ჯ ი, ქა ლაშწვენენ 275,7 ‘რა ბედნიერიც ბრძანდები, დამენახვე’; აჩად შიშდ, იმგვა მიჩა ხეხვ ს გ ვ ე ჯ ი 112,30 ‘წავიდა ხელად, სადაც მისი ცოლი ბრძანდებოდა’;

ლშხ. ათხე ეშხუ ჯგგრაგი ხატ კერის ს გ ო ჯ ი 50,18 ‘ახლა წმინდა გიორგის ერთი ხატი ხერში ბრძანდება (არის)’; პოეზ. მაშედ გუშგვ ჯეი ს გ ო ჯ ი ლ ე 27,3 ‘ჩვენი შემწე ის ბრძანდება’.

მ ყ ო ფ ა დ ი: მხ. რ., I პ., ბზ. ხვისგვჯი || ხვისგვჯინე, ბქვ. ხვისგვჯი, ლშხ. ხვისგვჯინე, ლნტ. ხვისკვჯი „ვებრძანები“; III პ., ბზ. ისგვჯი || ისგვჯინე, ბქვ. ისგვჯი, ლშხ. ისგვჯინე, ლნტ. ისკვჯი „ებრძანება“.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ხიად, ამ̇უნ შომად ხ ი ს გ ე ჯ ი? ‘სიხარულო, აქ როდემდე ბრძანდებოდე იქნება? „იბრძანები“’.

უ ნ ა ხ ა ვ ი II: მხ. რ., I პ., ბზ. ლჷმსგვეჯ ხვი, ბქვ. ლჷმსგვეჯინ ხვი, ლშხ. ლჷმსგოჯნე ხვი, ლნტ. ლჷმსკვეჯ ხვი ‘ვბრძანებოდი თურმე’; III პ. ბზ. ლჷმსგვეჯ[ლი], ბქვ. ლჷმსგვეჯინ[ლი], ლშხ. ლჷმსგოჯნელი || ლუმსგვეჯნელი, ლნტ. ლჷმსკვეჯ[ლი] ‘ბრძანებოდა თურმე, „ნაბრძანება“’.

ნ ი მ უ შ ი: ლშხ. ჯგგრაგი ხატარ ლ ჷ მ ს გ ო ჯ ნ ე ლ ი ხ ჯერუ 50,18 ‘წმინდა გიორგის ორი ხატი „ნაბრძანება“’.

ადგილობრივ მცხოვრებთა მითითებით შედარებით იშვიათად ხმარებული ზმნაა. ს გ ვ ე ჯ ი ს იშვიათად ხმარებას თვით მისი შინაარსი უნდა განაპირობებდეს. როგორც ეს იზ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე მაც მიგვითითა, „სგვეჯი“ სემანტიკურად მიემართება სარწმუნეობის თუ წოდების აღმნიშვნელ სახელებს (ღმერთი, ხატი, ღვთისმშობელი, მეფე, დედოფალი, აზნაური...), ასე მიმართავენ აგრეთვე ცხედარსაც. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სვანურში არ გვაქვს ე. წ. ზრდილობის ფორმა „თქვენ“. მაგ.: თ ქ ვ ე ნ

[36] ნიშნავს აგრეთვე ბ რ ძ ა ნ ე ბ ს.

გააკეთეთ და ა. შ. სვანი მსგავს შემთხვევაში მხოლოობითს იხმარს: სი ახასყ 'შენ გააკეთე'.

სგვეჯი დრონაკლია. სხვა ზემოგანხილული ზმნების მსგავსად საკუთარი გააჩნია აწმყოსეული დროები. მყოფადისეულ დროებში მიმართავს ვნებითის ფორმებს. ამ მხრივ ყველა კილო ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებს.

საილუსტრაციო მასალების შესახებ აღვნიშნავთ ზოგ რამეს: ლაშხურში დაცული ჩანს ფუძისეული ო (სგოჯი), სხვა კილოები უპირატესობას -ვე'კომპლექსიან ფორმებს აძლევენ. ბალსზემოურში ზოგჯერ -ვე კომპლექსი დელაბიალიზებულია (სგეჯი). ლენტეხურში მოსალოდნელი სკვეჯი გვაქვს.

6. თერა 'ჩანს'

დასახელებული ზმნის დრო-კილოთა წარმოებისას კილოები რამდენადმე განსხვავებულ ფორმებს გვიჩვენებენ, ამდენად აქ წარმოვადგენთ თერა ზმნის უღვლილების ძირითად ფორმებს:

აწმყო: მხ. რ., I პ., ზსვ. თვერა, ლშხ. თერა || თერვ ხვი, ლნტ. თვერე ხვი 'ვჩანვარ'; III პ., ზსვ., ლშხ. თერა, ლნტ. თერე 'ჩანს'.

ნიმუშები: ბზ. შუკვ მაშა თერა 36,28 'გზა არ ჩანს'; ბქვ. მჟლაწადხენ მაჩენ ლახვარდ თერახ 226,10 'აღმოსავლეთიდან ყველაზე კარგ მთებად მოჩანან'. ლნტ. კეჭოლ თერე ხი 194,35 'პატარა ჩანხარ'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ. თვერონდას || თვერონდას, ბქვ. თვერუნდასვ, ლშხ. თერონდ ხვას, ლნტ. თვერას || თვერდას 'ვჩანდი'; III პ., ბზ. თერონ || თერონდა || თერონდა, ბქვ. თერუნდა || ბეჩ. თერუნ, ლშხ. თერონდა, ლნტ. თერდა || თერუნ 'ჩანდა'.

ნიმუშები: ბზ. ამყინ ანლვლი, მი მაშ თვერონდას 'ასე მგონია, მე არ ვჩანდი'; ეჩი ცხვი დემე თერონ 108,35 'იმის ისარი არსად ჩანდა';

ბქვ. მიჩა ნაზვ იმგვა ქა თერუნი იმგვა დემეგ 203,17 'მისი ნავალი ზოგან ჩანდა და ზოგან არა'.

ლნტ. ალ დენა დემე თერდა 239,4 'ეს გოგო არსად ჩანდა'.

მყოფადი: მხ. რ., I პ., ზსვ., ლშხ. ხვითონი, ლნტ. ხვითერონი 'ვჩანდე იქნება'; III პ. ითონი, ლნტ. ითერონი 'ჩანდეს იქნება'.

ნიმუშები: ბზ. სგათეკვსგ, მარე ქა ნონის ხითონი 'მიეპარე, მაგრამ ნუ გამოჩნდები'.

თ ე რ ა 'ჩანს' საშუალი გვარის აბსოლუტური ზმნაა, დასტურდება ჭა ზმნისწინიანი ფორმებიც (ბქვ. ქა თერგნ 'ჩანდა'). ძირად გამოიყოფს თერ'ს.

განხილულ ზმნათა მსგავსად გააჩნია საკუთარი აწმყო (აქედან ნაწარმოები ნაკვთებით) და ნასესხები მყოფადი, ვერ აწარმოებს დრო-კილოთა II და III ჯგუფის ფორმებს.

ფორმათა წარმოებისას კილოები ბევრ საგულისხმო თავისებურებას გვიჩვენებს: ლენტეხურში აწმყოში -ე სუფიქსიანი ფორმა გვაქვს — თ ე რ ე, შდრ. სხვა კილოების თ ე რ ა. ქვემოსვანურში აწმყოსათვის იხმარება როგორც მეშველზმნიანი, ისე მარტივი ფორმები. ლაშხურის მარტივ ფორმებში პირველი პირის ნიშანი არ ჩანს: მი თ ე რ ა 'მე ვჩანვარ'. მეშველზმნიანი ფორმების I და II პირში ბოლოკიდური ა გრძელი ჩანს: თერა̄ ხვი...

საკმაოდ ჭრელ სურათს გვიჩვენებს ამ ზმნის უწყვეტლის ნაკვთი. აქ ზოგი სხვა ზმნის მსგავსად (ხ ა ლ ა-ხ ა ლ რ ნ დ ა 'სწყინს-სწყინდა'...) გამოვლინდა -ონ სუფიქსი: შდრ. თ ე რ ა 'ჩანს', ბზ., ლშხ. თ ე რ ნ დ ა 'ჩანდა', თუმცა ბალსზემოური სხვა ფორმებსაც გვიჩვენებს: თ ე რ ი̄ ნ || თ ე რ ი̄ ნ დ ა 'ჩანდა'.

ყურადღებას იქცევს მყოფადის ფორმებიც: ზემოსვანურსა და ლაშხურში არ ჩანს ფუძისეული რ: ხ ვ ი თ ნ ი, ხოლო ლენტეხურის ხ ვ ი თ ე რ ნ ი ფორმაში დაცულია როგორც შეუკუმშავი ფუძე, ისე ფუძისეული თანხმოვანიც.

§ 2. ფუძემონაცვლე რელატიურ-გარდაუვალი ზმნები

ა. საარვისო ქცევის ფუძემონაცვლე ზმნები

1. ხ უ ღ ვ ა || ხ უ ღ ვ ე 'აქვს'

გვხვდება მხოლოდ ობიექტური წყობით.

შესაბამისი ნაზმნარი სახელების ნიმუშებად კილოთა მიხედვით დადასტურდა შემდეგი:

ბზ. დჴვა̄ მ ა ღ ვ ჴ ნ ჟ̄ნ ესერ ანჯიდხ 191,29 'დევის ქონება ამოიტანეთო'; ეჩი ლ ი ღ ვ ე̄ ნ ე... 'იმის ქონა'...;

ბქვ. ჴუბრიშ მაჩენ მ ა ღ ვ ა ნ-მაწვან ლი მეშხე ნენჩა 228,14 'ჴუბერის ყველაზე უკეთესი სიმდიდრე (ქონება) არის შავი ტყე'; მიჩა ლიხენწიფხ მიჩეშდულ ხომზჯრჳნ, მიჩა მ ა ღ ვ ე ნ ა მაგ 183,1

'თავისი ხელმწიფობა მისთვის დაულოცნია, თავისი ქონება ყველაფერი';

ლშხ. მინე ქუნე გუნღა დემამ აზარეხ მინე მაღვენს 42,17 'თავისი სულის გულისათვის არაფერს ზოგავდნენ თავიანთი ქონებიდან'.

ლნტ. ალ ცულაკემანტ ლას მიჩა ხორვა მუხვბეჯ ნაღვან 314,16 'ეს მშვილდ-ისარი იყო მისი უმცროსი ძმის ნაქონი'.

აწმყო: მხ. რ., I პ. ყველა კილოსათვის მუღვა/ე 'მაქვს'; III პ. ხუღვა/ე 'აქვს'; მრ. რ., I პ. Si ყველა კილოსათვის გუღვა/ე, ზსვ. Se ნუღვა/ე 'გვაქვს'; III პ. ყველა კილოსათვის ხუღვა/ეხ 'აქვთ'.

ნიმუშები: ბზ. პოეზ. ნებგვაჟი ნაჲ სეინდის ნუღვა 80,33 'შუბლზე ჩვენ სინდისი გვაქვს'; ისგვაშ ჯუღვუ მპრენი ცოდ 70,25 'შენით გაქვს ადამიანის ცოდვა'; მაჲ ჲას მა ხუღვა 10,6 'ვის რა აქვს'; ალჲარს თვით ღუაშ შდ ხუღოხ უშგ. 77,35 'ამათ თითო ჯიხვი ქე აქვთ';

ბქვ. მინს როქ მაჲ ხუღვეხ 8,19 'თქვენ რა გაქვთო';

ლშხ. სასაშზუმ დეც ი გიმ დეხდა სოფელს ესა ხუღჯა 3,4 'სასაშისხელა ცა და მიწა არც ერთ სოფელს არა აქვს'; დესამა ხუა ლეზობრრა 76,10 'არაფერი აქვს საშმლისნაირი';

ლნტ. ხვაჲ ლოქ მუღვა 308,30 'ბევრი მაქვსო'; თეთრ მად ლოქ მუღვე 161,4 'ფული არა მაქვსო'; ხუვა || ხუღვა 29,32 'აქვს'; დიარ დესა ლოქ ხუვეგ? 'პური არა აქვსო'?

უწყვეტელი: მხ. რ., I პ. ბზ. მუღვან[და] || მუღვადა, ბქვ. მუღვანდ, ლშხ. მუღვანდა, ლნტ. მუღვან[და] 'მქონდა'; III პ. ხუღვან[და] || ხუღვადა, ბქვ. ხუღვანდ, ლშხ. ხუღვანდა, ლნტ. ხუღვან[და] 'ჰქონდა'.

ნიმუშები: ბზ. ჲორი ლაშხან ნუღვან თხილმარალ 35,27 'ორი თხილამური ლაშხეთიდან გვქონდა'; სპიჩა ნუღვანდა 34,22 'ასანთი გვქონდა'; თეთრ მუღვად ეშხუ ფაყე 155,34 'ფული მქონდა ერთი ქუდი'; ამის ქორხან ხუღვად ეჯკალიბ ლაირ 218,17 'ამას სახლიდან ჰქონდა ისეთი წერილი';

ბქვ. აშხვ შეხენ მუგვალ მუღვანდა 15,32 'ერთ ხელში კვარი მქონდა'; თამარიშ მჭსკად მიჩ ხუღვანდა 185,21 'თამარის ბეჭედი მას ჰქონდა'; მიჩაცახან მერმა შირე ლაკვცანარ ხუღვანდ 287,13 'მასთან სხვა ხელების შესამშრალებელი ჰქონდა'; ვოხუშდთეჟი ნაბ ხუღვანდხ 289,14 'ხუთამდე ნება ჰქონდათ';

ლშხ. ტაბაგთე ლეკდე ლოქ დენ̃ამა ხუღვან̃და 40,19 'სუფრაზე გამოსატანი არაფერი ჰქონდაო';

ლნტ. გუღვანდა 55,16 'გვქონდა'; ხუვანდახ ეჯმინს 149,5 'ჰქონდათ იმათ'; ალ მურყვამისკა ეჯმინს მარალე ლაჭებდა ლაჲდი ხუღვანხ 4,29 'ამ კოშკში იმათ კაცების დასამწყვდევიც ჰქონდათ'.

კავშირებითი I'ის ნიმუშები კილოთა მიხედვით:

ბზ. პოეზ. ლადაღისგა ღვაშ ჯუღვენ̃დედს 302,2 'დღეში (თითო) ჯიხვი გქონდეს'; ეჩქად ეჯა ვადშვ ჯუღვენ̃დენ̃ს 302,28 'მინამდე ის ნატერით გქონდეს'. ...უფლობ, იმვაჲჟი მინე მუს ხუღვან̃, ეჯჟი ხეკვეს ეჯჲარს ხუღვენ̃ხ (ხუენ̃ხ) 119,34 ... 'უფლება, როგორც მათ მამას ჰქონდა, ისე უნდა ჰქონდეთ იმათ'. ჲასუ ესერ ხუღვენ̃ხ ნაჭვთარ ბულთ? 102,19 'ვის ჰქონდესო ნაპარავი ბუთი?'

ბქვ. ლეტკრე ხეკვეს ხუღვანდუს ნარჰიდ 78,27 'სინათლისათვის სანთელი უნდა ჰქონდეს'.

ლშხ. მაჲ ლოქ მაკუჩ-ი დიარიშ-ი კეთილი სოჲ ლოქერ მუღვან̃ს 52,15 'რა მინდაო და პურისა და კეთილის (სიმდიდრის) ბარაქა რომ მქონდესო'; ჯუღვან̃დეს 19,1 'გქონდეს';

ლნტ. ხეკვეს გუღვანდეს ლეჩაფჭლი ეშხუ შველტ ტეფ 31,19 'უნდა გქონდეს საქალამნედ ერთი შოლტი ტყავი'.

მყოფადი: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. მეღვენი, ბქვ., ლნტ. მეღვენი 'მექნება'; III პ., ბზ., ლშხ. ხეღვენი, ბქვ., ლნტ. ხეღვენი 'ექნება'.

ნიმუშები: ბზ. მაჲ როქე ღერბათდ გუღვენი, ქალპირად 36,17 'რა ბედიც გვექნებაო ღვთისაგან, გავბედოთ'; პოეზ. თოფარ შუნ ნეღვენი 72,15 'თოფები ხელთ გვექნება';

ბქვ. ჰჭ, მიჩ ესერ მა ლემშერაწლ ხეღვენი მიჩეშცაწლ 272,30 'ეჰ, შენ რა სასაყვედურო გექნებაო ჩემოდენა'; ლხმ. ლესკორე ესერ იმჟი მოდე ხეღენი 318,13 'საფიქრელი როგორ არ ექნებაო';

პოეზ მარად-ჭჯ ორი ჯარიშ თხვიმ, ნენჯერალაჯ ხეღენილა 158,32 'კაცად იქნება-ჰეთქი ჯარის მეთაური, ლენხერა ექნება-მეთქი';

ლშხ. მაჲმა ხოჩერობა ჯეღვენი... 17,25 'რაც რომ კარგი გექნება'.... ხიდისი ლოქ ხოშა... ხუღვენიხ... 57,2 'რომელსაც მეტი ექნება(თ)'...;

ლნტ. ჲერვაჲს ხეღვენი ლჭდარბაზ ქორ 45,36 'ვისაც ექ-

წება დარბაზიანი სახლი'; მიჩ ლოქ ხოჩილ ხ ე ე ვ ნ ი || (ხ ე ღ ე ვ ნ ი) 29,72 'მას უკეთესი ეჭნებაო'.

ტექსტებში დადასტურდა აგრეთვე მყოფადის პირობითის ფორმები. მოგვყავს ნიმუშები: ბქვ. ჯეშდ ი ეშდჯორი ფუთთეჟი კეცენ ლახ ... ხ ე ღ ე ნ ი ვ ხ, ქა მარად ხებჟეხნ 300,15 'ათი-თორმეტი ფუთი ხორბალი თუ ეჭნებოდათ, საკმარისად ჩათვლიდნენ'; ლშხ. აჯაღ მჯამა ხ ე ღ ჯ ე ნ რ ლ ხ 19,31 'კიდევ რაც რამე ეჭნებოდათ'.

ლნტ. ჭყინტ აღვე იროლ, ადათ ხ ე ღ ვ ე ნ ო ლ, მეთხვარ ჯხეფასოლ 51,14 'ბიჭი რომ იქნებოდა, ადათის მიხედვით მონადირე გახდებოდა'.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. მაღვენა, ბქვ., ლნტ. მჯ || მაღვენა 'მქონია'; III პ., ბზ., ლშხ. ხაღვენა, ბქვ., ლნტ. ხჯ || ხაღვენა 'ჰქონია'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ეჩქას გაჩ მჯმ ხ ა ღ ვ ე ნ ა ხ 49,11 'მაშინ დანა არ ჰქონიათ'; პოეზ. მგმლახილს... ხ ა ღ ვ ა ნ ა, უშგ. 70,21 'მულახელს... ჰქონია';

ბქვ. ამ დრევქა ლაშიალდ ხ ა ღ ვ ე ნ ა ხ... 241,1 'ამ დროს საომრად ჰქონიათ'...; მჯ ჩიქას გეშ ხოჩამდ ხ ა ღ ე ნ ა 320,6 'რა დროს საქმე კარგად ჰქონია';

ლშხ. ... ეჩე ხ ა ღ ვ ე ნ ა ლამბგგდ დაჯდაჯნს ბგგი მურყვამ 1,15 ... 'იქ ჰქონია სიმაგრედ დადიანს მაგარი კოშკი'.

ლნტ. ლენტეხას ეჯ დვრეჟი ჩი სოფელისკა სანყვირაჯლ ხ ა ღ ვ ე ნ ა ხ 5,7 'ლენტეხელებს იმ დროისათვის ყველა სოფელში საყვირები ჰქონიათ'. უ ჲ ს ხ ა ვ ე ნ ა უშხუ ვისკვ 307,4 'იმას ჰქონია ერთი ვაშლი'.

კავშირებით III'ში ლენტეხური გვიჩვენებს მ ა ღ ვ ე ნ ე ნ ს 'მქონდეს'; აღვე მი მ ა ღ ვ ე ნ ე ნ ს ... 'თუ მე მქონდეს'... ასევეა ბალსქვემოურშიც: მ ა ღ ვ ე ნ ე ნ ს 'მქონოდეს', ჯ ა ღ ვ ე ნ ე ნ ს 'გქონოდეს'...

სვანურში ქართულის მსგავსად, სულიერისა და უსულოს ქონების გამოსახატავად ერთმანეთს უპირისპირდება ხ უ ღ ვ ა და ხ ა ყ ა. შდრ. ქართ. აქვს და ჰყავს, მეგრ. უღუ და ღუნს, ჭან. უღუნ და უღოუნ... თუმცა გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართველურ ენებში ცოცხლისა და არაცოცხლის გარჩევა „... მეორეული მოვლენა უნდა იყოს: თავდაპირველად ერთი ფუძე უნდა

გვქონოდა ორივე მნიშვნელობით"[37]. როგორც ამის შესახებ მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ძველ ქართულში გვაქვს იმის ნიმუშები, როცა აქუს ზმნა არ განარჩევს პირსა და ნივთს. მსგავს ვითარებას გვიჩვენებს ქართულის ზოგი დიალექტი: მთიულური, ფშაური, ქიზიყური, მესხურ-ჯავახური...[38] საგულისხმოა, რომ სვანეთის ზოგი სოფლის მეტყველებაში დასტურდება ხუღვა'სთან საერთოძირიანი ესღვა 'მიაქვს' ზმნის ხმარება ცოცხალთა მიმართ...

ხუღვა/ე გარდაუვალი სტატიკური ზმნაა. ქართული აქუს ზმნის მსგავსად არ ირთავს ზმნისწინს. ზმნისწინის დართვის შემთხვევებში დინამიკურ შინაარსს იღებს: ესღვა — მიაქვს...

ძირად ჩვენთვის საინტერესო ზმნაში ღვ (resp. ღ) გამოიყოფა[39], იგივე ძირი დასტურდება ზანურში. „სვანურს „ქონა"'ს მნიშვნელობის სხვა ზმნებიც აქვს, „ხუღვე" ზანურიდანაა, ალბათ, შეთვისებული"[40]. ქონების მნიშვნელობით ღ ძირი ქართულისათვის უცხოა, მაგრამ იგი დაცულია სხვა ზმნაში: შდრ. ძვ. ქართულის მოიღო (ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 89).

სვანური ზანურისა და ქართულის მსგავს ვითარებას გვიჩვენებს იმ თვალსაზრისით, რომ აქაც ერთი ძირია გამოყენებული ქონებისა და წაღება-მოტანის გადმოსაცემად, მაგ., ამღვა/ესღვა 'მიმაქვს-მომაქვს' და მუღვა/ე 'მაქვს'..., შდრ. ქართ. მიმაქვს-მომაქვს და მაქვს... მეგრული მემიღუ[ნ] / მომიღუ[ნ] 'მიმაქვს/მომაქვს' და მიღუნ 'მაქვს'.

ახლა რაც შეეხება უღელილებას: საწყისის (ბზ. ლიღვენე, ბქვ., ლნტ. ლიღვუნე) ფორმისათვის ამოსავლად არ ჩანს აწმყოს ფუძე, როგორც ეს ჩვეულებრივ მოსალოდნელი იყო, შდრ. აწმყ. ხუღვა/ე 'აქვს'.

აწმყოში ერთმანეთს ენაცვლება -ა და -ე'სუფიქსიანი წარმოება. ბალსზემოურის უშგულური თქმისათვის დადასტურდა ხუღოხ ფორმა. ქვემოსვანურის ლენტეხურ კილოში, აგრეთვე

---

37 არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, იკე, XI, 1958.

38 ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 161, 278.

39 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 345.

40 იქვე.

ლაშხურსა და ბალსზემოურში შეინიშნება ძირისეული ღ'ს დაკარგვა ვ'ინის წინ.

უწყვეტულში საინტერესოა მუღვან[და] და მუღვად ფორმები -ან და -ად'ის მონაცვლეობით.

ბალსქვემოური, რომელიც ჩვენს პარადიგმებში ეცერულითაა წარმოდგენილი, ბოლოკიდურ ა'ს არ გვიჩვენებს. მაგრამ, როგორც საილუსტრაციო ნიმუშებიდან ჩანს, ბალსქვემოურისათვის ისევე დამახასიათებელია მუღვანდა, ჯუღვანდა, ხუღვანდა, როგორც მუღვანდ და ა. შ. ფორმები.

ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა ბალსზემოურის კავშირებითი I. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, მუღვა წარმოშობით თურმეობითი I ფორმაა შემდგომ აწმყოდ გააზრებული[41], შესაბამისად, უწყვეტლის მუღვანდა თურმეობითი II იქნება უწყვეტლის -და სუფიქსით გართულებული, ხოლო კავშირებითში არსებული მუღვანდენს ფორმაში თურმეობითი II'ის -ან ფორმანტი უცვლელად ჩანს გადასული (შდრ. აქვე მუღვენდენს), რომელსაც ერთვის კავშირებითი I'ის -დენ სუფიქსი.

კავშირებითი პირველისათვის წარმოდგენილი ნიმუშებიდან ყურადღებას იქცევს ბალსზემოურის ხუღვედხ (ხუენხ) 119,34, სადაც -ედ სუფიქსს ენაცვლება -ენ'ი. ხუენხ ფორმაში ქვემოსვანურის მსგავსად დაკარგული ჩანს ძირეული ღვ კომპლექსი.

მყოფადის წარმოების პრინციპი ყველა კილოში ერთნაირი ჩანს: გამოყენებულია მეღვენი || მეღვენი და ა. შ., რითაც ქართულის მაქვს-მექნება წარმოებას ჰგავს. სვანური მუღვენი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ელინდება -ენ სუფიქსი. ისევე როგორც ქართულში, სვანურშიც ჩვენთვის საინტერესო ზმნას არ გააჩნია II სერიის ფორმები. რაც შეეხება III სერიის ფორმებს, აქ უკვე მაღვენა და ა. შ. ფორმების დასტურდება, ე. ი., მუღვე 'მაქვს', მეღვენი 'მექნება', მაღვენა 'მჭონია'.

მესამე სერიის ფორმებში გამოვლენილი -ენ/-ენ იგივე ჩანს, რაც მყოფადში გვაქვს. შდრ. ქართ. მექნება და მჭონებია.

---

[41] ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა..., გვ. 180.

2. ხ ა ყ ა 'ჰყავს'

ნაწარმოები სახელები კილოთა მიხედვით:

ბზ., ლშხ. ლიყენე, ბქვ., ლნტ. ლიყენე 'ყოლა'; ბზ., ლშხ. ლეყენე, ბქვ., ლნტ. ლეყენე '„საყოლი“'; ბზ., ლშხ. მჷყენე, ბქვ., ლნტ. მჷყენე '„მყოლი“', ბზ. ნაყანვ, ლშხ. ნაყენ, ბქვ. ნაყენვ || ლნტ. ნაყან '„ნაყოლი“', ბზ., ლშხ. უყენა, ბქვ., ლნტ. უყჷნა '„უყოლი“'.

აწმყოს ფორმები ყველა კილოსათვის: მხ. რ., I პ. მაყა 'მყავს'; III პ. ხაყა 'ჰყავს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ათხე მერდად მაშა მ ა ყ ა 88,15 'ახლა სასიცოცხლოდ არ ვარგივარ';

ბქვ. მჷყოღდ ხოშა ლაღაჭ ბოფშარ ხ ა ყ ა ხ 229,13 'მძღოლად მეტწილად ბავშვები ჰყავთ'...;

ლშხ. ჯედ დი მუ ჯ ა ყ ა დრსა ლუჯარ ათხე 11,33 'ან დედამამა გყავს თუ არა ცოცხალი ახლა';

ლნტ. დედე-ჯ მამა ჩუ მ ა ყ ა 242,33 'დედაც და მამაც (ქე) მყავს' უანწყად შჷანჯა გიმს მაჯ ხ ა ყ ა 6,5 'გაუპატივებლად სვანეთის მიწა არ ვარგა'. ხამარე მჭლდეღ ხ ა ყ ა 'ღორების მწყემსი ჰყავს'.

უ წ ყ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. მეყან || მეყანდა || მეყად || მეყადდა, ბქვ. მეყად || მეყად, ლშხ. მეყენდა, ლნტ. მეყად || მეყადდა 'მყავდა'; III პ., ბზ. ხეყან || ხეყანდა || ხეყად || ხეყადდა, ბქვ. ხეყად || ხეყად, ლშხ. ხეყენდა, ლნტ. ხეყად || ხეყადდა 'ჰყავდა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. მი მაშედ მარე დარ მ ე ყ ა დ 23,29 'მე მშველელი (კაცი) არაინ მყავდა'; აფხნეგ ნ ე ყ ა დ დ ა სემი მარე 37,7 'ამხანაგი გვყავდა სამი კაცი'; ალჯარე მუს... ეშხუ თე მამ ხ ე ყ ა ნ დ ა 93,1 'ამათ მამას... ერთი თვალი არ ჰქონდა'; ალჯარს ხ ე ყ ა დ ხ (|| ხ ე ყ ა დ დ ა ხ) თვით სემი ჩაჟ 215,20 'ამათ ჰყავდათ თითო სამი ცხენი'... სუბიექტური წყობა: პოეზ. ეჩქად ნაბჟი ჰურ ხ ვ ე ყ ა დ დ ა ს 26,20 'მანამდე თითქოს (ჩემს) ნებაზე ვჰყავდი'.

ბქვ. ალი მი მ ე ყ ა დ 'ეს მე მყავდა'.

• ლშხ. ეშხუ ღოლჯაქრ ხ ე ყ ე დ ა 53,30 'ერთი ცხვარი (ცხვარუკა) ჰყავდა'.

პოეზ.: ჯეხვდ მ ე ყ ე დ ა დალე 348,3 'ცოლად მყავდა დალი';

ლნტ. ხალხს დესა ხ ე ყ ა დ პატვრენ 89,25 'ხალხს არ ჰყავდა პატრონი'.

კავშირებითი I-ის ნიმუშები კილოთა მიხედვით:

ბზ. იმჟი მ ე ყ ა დ დ ე დ ს... 'როგორ მყავდეს';

ლშხ.: ღჟრი აშ ქორდ ლეკერძჟლიშერთე-ბ ხაშგმინნე, ერე მაკუჩ ლოქ, ერე სი კერძმარად მ ე უ ე დ ე ხ ი· 43,22 'მიდის ისე პირდაპირ სახლში სამეგობროსთან და სთხოვს, რომ მინდა, (რომ) შენ მყავდე მეგობარ კაცად'.

ლნტ.: გუშკვე გეზალ გუშკვეცაბუნ გ ვ ე უ ა დ დ ე ს 176,36 'ჩვენი შვილი ჩვენთან გვყავდეს'; მად ხ ე უ ე ს (ჩვ. ტ.) 'არ ჰყავდეს'.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. მეყენი, ბქვ., ლნტ. მეყენი 'მეყოლება'; III პ., ბზ., ლშხ. ხეყენი, ბქვ., ლნტ. ხეყენი 'ეყოლება'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ჩაჭ მ ე უ ე ნ ი 'ცხენი მეყოლება';

ბქვ. ბშიშ ესერ ლეჭშჟრიდ ჩუ ემა ხ ე უ ე ნ ი 216,19 'ამის საქმროდ თუ ივარგებსო';

ლშხ. ლეჲხური ჰყინტ ერ ხ ე უ ე ნ ი მჟლაშხს... 29,27 'საცოლე ბიჭი რომ ეყოლება ლაშხელს'...;

ლნტ. ქა ლამო ეშხუ ტევან ი მაძლიერ ჯ ე უ ე ნ ი ხ ვ ი 'მოიცი ერთი მტევანი და მაძლობელი (მაძლიერი) გეყოლები'.

მყოფადი სრულის პირობითის ნიმუში ბალსქვემოური ციკლოდან:

სგ'ესერ ხ ე უ ე ნ ო ლ... 17,14 'ეყოლებოდაო'...

თ ურ მ ე ობ ი თ ი I: მხ. რ., I პ., ბზ. ლშხ. მაყენა, ბქვ. მაყენა, ლნტ. მაყენა 'მყოლია'; III პ., ბზ., ლშხ. ხაყენა, ბქვ. ხაყენა, ლნტ. ხაყენა 'ჰყოლია'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. მეკეშდა ადგილს ჯ ა უ ე ნ ა 43,8 'მოკლე ადგილზე გყოლია';

ლშხ. ჯჳინელდ გაცხაჲდ ბაპრე მჟქაფ ლუშნუ პაპ ხ ა უ ე ნ ა ხ 4,23 'ძველად ნამდვილი მღვდლების მაგიერ „სვანური" მღვდელი ჰყოლიათ'; ლნტ. ალ მეზგეს დაკლაჲ ჯეეგ ხ ა უ ე ნ ა 8,23 'ამ მოსახლეს თხების ჯოგი ჰყოლია'; ეჯმინს ხ ა ჯ ე ნ ა ხ ეშხუ ყვიჩ 260,18 'იმათ ჰყოლიათ ერთი მამალი'.

ხ ა უ ა 'ჰყავს' ზმნას ხ უ ღ ვ ა 'აქვს' ისაგან განსხვავებით გააჩნია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წყობა (შდრ. მი ხ ვ ა უ ა 'მე ვყავარ'... მი შ ა უ ა 'მე მყავს'...) ორივე წყობა დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებს.

ორიოდე სიტყვა მსგავსი შინაარსის ზმნებზე მონათესავე ენებში:

ახალ ქართულში სვანური ხ ა უ ა'ს შინაარსს ჰ ყ ა ვ ს ზმნა გადმოსცემს. ზმნის ძირია ყ ა ვ, რომელსაც მეგრულში ყ უ ნ ||

ღ ვ ე ნ, ხოლო ჭანურში ყ ო (ვ) || ღ ო (ნ) || ჲ ო ნ შეესაბამება[42]. ჭანური ყ ო ვ (ხოფური) მიჩნეულია ქართული ყ ა ვ ძირის კანონზომიერ შესატყვისად[43]. რაც შეეხება მეგრულს, ამოსავალი უნდა იყოს ღ ო ნ, რომელსაც ქართულში ყ ვ ა ნ 'წაყვანა, ვესტი' შეესატყვისება[44]. სვანურის შესახებ გ. კლიმოვის შრომაში ვკითხულობთ: „qa- 'иметь, вести' (об одушевленных предметах)': груз. qaw 'иметь, вести'; мегр.'-; -чан. qo-'o-; сван. q(a)-. Соотносится к общекартвельским периодом. Груз. и занск. формы сводимы к архетипу *qaw'-. Сван. форма указывает, возможно, на еще более древнюю праформу"[45]. ჩვენთვის აქ არსებითია არა ის, რომ სვანურს დაუცავს პრაფორმა (ეს ჯერ სამტკიცებელია), არამედ ის, რომ სვანური ძირის მიხედვით გვერდში ამოუდგა მონათესავე ენებს.

სვანური ხ ა ყ ა ძირითადი მნიშვნელობით ზმნისწინს ვერ იგუებს (მსგავსი ვითარებაა მონათესავე ქართულსა და ზანურში). ზმნისწინის დართვის შემთხვევაში ფუძე განსხვავებულ მნიშვნელობას იღებს: ე ს ყ ა... 'მიჰყავს', ა ხ ყ ა... 'მოჰყავს'...

უღვლილებისას შეინიშნება შემდეგი:

ხ უ ღ ვ ა ზმნის მსგავსად აქაც მასდარში აწმყოს ფუძე არ ჩანს ამოსავლად. შდრ. აწმყო ხ ა ყ ა და მასდ. ლ ი უ ე̄ ნ ე / ლ ი უ ე ნ ე 'ყოლა'.

წარსული დროის მიმღეობა, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, აქაც ზემოსვანურში გართულებული ჩანს ვ'თი: ნ ა უ ჴ ნ ვ / ნ ჴ უ ე ნ ვ. ბალსზემოურისა და ლენტეხურის ფორმები იმით იქცევს ყურადღებას, რომ -ე̄ნ/-ენ სუფიქსი აქ წარმოდგენილია -ჴნ/-ან'ის სახით. შდრ. ბზ. ნ ა უ ჴ ნ ვ, ლნტ. ნ ა უ ა ნ და ბქვ. ნ ა უ ე ნ ვ, ლშხ. ნ ა უ ე̄ ნ...

ძირითადი სხვაობა ხ უ ღ ვ ა 'აქვს' და ხ ა ყ ა 'ჰყავს' ზმნებს შორის შეინიშნება უწყვეტელში, სადაც, ერთი მხრივ, გვაქვს აწმყო ხ უ ღ ვ ა, უწყვეტ. ხ უ ღ ვ ჴ ნ [დ ა], ხოლო, მეორე მხრივ, აწმყო ხ ა ყ ა, უწყვეტ. მ ე უ ჴ დ || მ ე უ ჴ დ დ ა 'მყავდა'... რო-

---

42 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 356.

43 იქვე.

44 იქვე.

45 Г. А. К л и м о в. Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964, გვ. 208.

გორც ვხედავთ, ა მაქცევრის შეცვლა, რაც მოსალოდნელი იყო მყოფადსა და მისგან ნაწარმოებ პირობითში, მომხდარა უკვე უწყვეტელში (შესაბამისად კავშირებით. პირველში). მაშასადამე, გვაქვს აწმყოსაგან განსხვავებული ფუძე (მსგავს შემთხვევას ადგილი აქვს სხვა ზმნებთანაც, ამაზე სხვაგან!).

როგორც უწყვეტელი, ასევე კავშირებითი I გამოირჩევა პარალელური ფორმების სიჭარბით. კავშ. I'ში საინტერესოა ლნტ.-ის მ ე უ ე ს 'მყავდეს', ჯ ე უ ე ს 'გყავდეს', ხ ე უ ე ს 'ჰყავდეს' ფორმები, მოსალოდნელი მ ე უ ა დ დ ე ს და ა. შ. ფორმების გვერდით, რომლებშიც არ ჩანს ნაკვთის მაწარმოებელი (მსგავსი ფორმები დასტურდება ბალსქვემოურშიც).

მყოფად სრულში თავს იჩენს -ე̄ნ/-ენ სუფიქსი. ამავე ნაკვთში ქუემოსვანურისათვის უცხო არ უნდა იყოს მეშველზმნიანი წარმოება (ლნტ. ჯ ე უ ე ნ ი ხ ვ ი).

როგორც ცნობილია, დრო-კილოთა II ჯგუფში ეს ზმნა არ იუღვლება, ხოლო III ჯგუფში იგივე -ენ/-ენ სუფიქსია გამოყენებული, რაც მყოფადისეულ დროებში გვხვდება: მ ა უ ე ნ ა 'მყოლია'...

საილუსტრაციო მასალიდან ყურადღებას იქცევს კავშირებითი III'ის ფორმა მ ა უ ჳ ნ ან, რომელშიც -ენ სუფიქსი შეცვლილია ჳნ'ით. როგორც აღნიშნულია, ასეთი მოვლენა დამახასიათებელია უშგულურისათვის[46]. ეს ცვლილება პოზიტიური ხასიათისა ჩანს. მას მომდევნო ა განაპირობებს[47].

სვანურმა მ ა უ ა, ჯ ა უ ა, ხ ა უ ა; ჰანურმა მ ი ღ ო ნ უ ნ (|| მ ი ღ ო უ ნ), გ ი ღ ო ნ უ ნ (|| გ ი ღ ო უ ნ), უ ღ ო ნ უ ნ (|| უ ღ ო უ ნ) ფორმებმა შესაძლებელი გახადეს, გამოთქმულიყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართულში შესაბამისი შინაარსის გადმომცემ მ ყ ა ვ ს, გ ყ ა ვ ს, ჰ ყ ა ვ ს ზმნას ძირის წინ უნდა ჰქონოდა პრეფიქსი ხმოვანი ისევე, როგორც ესაა მ ა ქ ვ ს, გ ა ქ ვ ს, ა ქ ვ ს ფორმებში და ეს პრეფიქსი უნდა ყოფილიყო ა ხმოვანი სვანურის მსგავსად, რადგან „სვანური ვოკალიზმი საერთო ფუძეთა წყობაში იმეორებს ქართულისას"[48].

---

46 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 177.

47 მ. ჭ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ფონეტიკა, I (უმლაუტის სისტემა სვანურში), თბილისი, 1969, გვ. 49.

48 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკე, X I, 1959.

დასასრულ, დასახელებული ზმნა იგუებს ჩუ ზმნისწინს ზმნის ძირითადი მნიშვნელობის დაცვით, თუმცა სხვა შემთხვევებში იგივე ჩუ ზმნას ანიჭებს „ვარგას“ მნიშვნელობას: ჩუ ხ ა ყ ა = ‘ქე ვარგა’.

3. ხ ა კ უ ‘უნდა’

საწყისი და მიმღეობა ბალსზემოური კილოს მიხედვით: ლიკ-ეედ || ლიკვდენი ‘ნდომა’; მეკვედ ‘მდომი’.

ა წ მ ყ ო (ყველა კილოსათვის): მხ. რ., I პ. მაკუ || მაკუჩ ‘მინდა’, II პ. ჯაკუ || ჯაკუჩ; III პ. ხაკუ || ხაკუჩ ‘უნდა’.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ჯილდოდ მა მ ა კ უ-ი... 82,5 ‘ჯილდოდ რა მინდა და’...; შომვა ესერ ხ ა კ უ ჩ... 51,24 ‘როდესაც უნდაო’...; ჯილდოდ მა მ ა კ უ-ი ეშხუ მ ა კ უ დ მიშვგა ჯეხვდ 82,5 ‘ჯილდოდ რა მინდა და ერთი მინდებიხართ ჩემ ცოლად’;

ბქვ. ...ქორთე ლიზი ხ ა კ უ 175,11 ‘... სახლში წასვლა უნდა’: ჯაღვე’სერ მიჩი მადე ხ ა კ უ ჩ 175,21 ‘აბა თვითონაც არ უნდაო’;

ლშხ. ათხე ლოქ იმნარ ხ ა კ უ ლიტრტე? 55,29 ‘ახლა რატომ გინდაო აყვანა’? ... ლჯუ ხ ა კ უ ჩ 8,11... ‘რძე უნდა’;

ლნტ. მახიადარ ლოქ გ ვ ა კ უ მოჯამაგირ 239,36 ‘სიხარულით გვინდა მოჯამაგირეო’; ხ ა კ უ ჩ გეზალ 124,28 ‘უნდა შვილი’.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. მეკვად || მეკვადდა, ბქვ. მეკვად || მეკვად || მაკუჩდა, ლშხ. მეკვად || მეკვადდა, ლნტ. მეკვადდა || მაკუჩდა ‘მინდოდა’; III პ., ბზ. ხეკვად || ხეკვადდა || ხაკუდა, ბქვ. ხეკვად || ხეკვად || ხაკუჩდა, ლშხ. ხეკვად || ხეკვადდა, ლნტ. ხეკვადდა || ხაკუჩდა || ხაკვედა ‘უნდოდა’.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ჯეხვდ მ ე კ ვ ა დ დ ა 71,23 ‘ცოლად მინდოდა’; ხ ა კ უ დ ა, მიჩა ჰაშ ჩვათოთვიფან 247,33 ‘უნდოდა, თავისი ქმარი დაეკარგა’. ალა ჯ ე კ ვ ა დ დ ა ‘ეს გინდოდა’; ალა ჯ ე კ ვ ა დ ი ალა ჩემნ 64,25 ‘ეს გინდოდა და ეს გააკეთე’;

პოეზ. ლიმზირ ჯ ე კ ვ ა დ ი ძღდაში 40,2 უშგ. ‘შესაწირი გინდოდა ძლიერისა’;

ბქვ. ათხელდი მ ე კ ვ ა დ ამიშ ლიჰვდელ 258,14 ‘აქამდისაც მინდოდა ამის კითხვა’; ლაჩვცახვან მარა მა ხ ე კ ვ ა დ 153,36 ‘ირემთან კაცს რა უნდოდა’; მორვარ ეჩქასი ხ ე კ ვ ა დ ხ 288,9 ‘მედიატორები მაშინაც უნდოდათ’; ხ ა კ უ ჩ დ ა ნ, ერე ალი ნაღვჟურ ჩოთდაგრენს 44,23 ‘უნდოდა, რომ ეს ბიჭი მოეკლა’;

ლნტ. ალე ხეკვადდა მიჩა მუს 124,33 'ეს უნდოდა მის მამას'; თათარს... მად ხაკვედა 97,35 'თათარს... არ უნდოდა'; ლახვბას ხაკუჩდახ (ჩვ. ტ.) 'ძმებს უნდოდათ':

კავშირებითი I'ის ნიმუშები კილოთა მიხედვით:

ბზ. მაჲ ჰაჯ ჯეკვეს, ეჯა მექარ 139,31 'რა საჩუქარი გინდოდეს, ის მითხარი';

ბქვ. ლახა ემაგვეშ ჯეკვეს, ეჩქას ხაყლას 21,11 'თუ რამე გინდოდეს, მაშინ უთხარი ხოლმე'; ლშხ. ხეკვეს აჩეს 10,5 'უნდა წავიდეს'.

ლნტ. დენა ხეკვეს (‖ ეკვეს) ლახომეს 'გოგო უნდა მისცეს'; ეჯას ხეკვადდეს (ჩვ. ტ.) 'იმას უნდოდეს'.

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ზსვ. მეკვდი ‖ მეკვდენი, ლშხ. მეკვდი, ლნტ. მეკვედი 'მენდომება'; III პ., ზსვ. ხეკვდი ‖ ხეკვდენი, ლშხ. ხეკვდი, ლნტ. ხეკვედი 'ენდომება'.

ნიმუშები: ბზ. მაჲ მეკვდი ღალ 367,16 'რა უნდა მინდოდეს'; მაჲ ჯეკვდენი, ეჩის ჯაჩოდ 213,35 'რასაც ისურვებ, იმას გაგიკეთებთ';

ბქვ. ამეჩუ მაჲ ხეკვდი? 52,3 'აქ რა ენდომება'?; ეჩქას სი მაჲ ჯეკვდენი, ეჯის ჯეჩო ალ მჯსკად 28,28 'მაშინ შენ რაც გენდომება, იმას გაგიკეთებს ეს ბეშედი'; ლშხ. მაჲზუმჳაჲ ჯეკვდი... 3,26 'რამდენიც გენდომება'... ჟერჯაჲს ხეკვდი არაყ, ითრჯნი აჯალ ამეჩუ 36,33 'ვისაც არაყი ენდომება, კიდევ სვამდეს იქნება აქ';

ლნტ. ტაბაგ ლი ეშკალი, ერ მა ჯეკვედი, ეჯ ლეზვებლეთრეს ფხიჟე 168,35 'სუფრაა ისეთი, რომ რაც გენდომება, იმ საქმელ-სასმელს გაგიშლის'.

მყოფადის პირობითის ნიმუშები: ბქვ. მიჩ იმეგ ხეკვდოლ... 68,5 'თვითონ სად ენდომებოდა'...: კონჩხარს მაჲ ხეკვდენივ 303,4 'საკურთხეზე რა ენდომებოდაო'; ლნტ. დენას ი ჰყინტს მად ხეკვედოლხ 48,10 'გოგოს და ბიჭს არ ენდომებოდათ'.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ. მაკვდენა ‖ მაკვდა, ბქვ. მაკვდენა, ლშხ. მაკვდენა, ლნტ. მაკვედა 'მნდომია'; III პ., ბზ. ხაკვდენა ‖ ხაკვდა, ბქვ. ხაკვდენა, ლშხ. ხაკვდენა, ლნტ. ხაკვედა 'ჰნდომია'.

ნიმუშები ბზ. ამგნქა მამგვეშ მაკვდენა 'ამის მეტი არაფერი მნდომებია'; ჩიშგ ესერ მიჩა დაგრა ხაკვდა მინე დის

136,34 'ყველგან მისი მოკვლა ნდომებია მათ დედას'; პოეზ. წი-რი-თალი მაგ ხაკვედახ 58,20 მლხ. 'ურო — სოლი ყველა-ფერი ნდომებიათ';

ბქვ. მადმა ჯაკვდენა მიშგუ თხვიმ გეზალდ 258,22 'არ გდომებია ჩემი თავი შვილად'; სოფელს ლილჩე ხაკვდენა 124,7 'სოფელს მეთვალყურეობა სდომებია'.

ლშხ. პოეზ. გაგას გირცილ მაკვდ[უნ]ა 254,2 'გაგას ოსპი მდომებია';

ლნტ. აგხო ლიზი ხაკვედა 'შინ წასვლა ნდომებია'.

ხაკუ 'უნდა' ზმნა მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. ზოგი სხვა ზმნის მსგავსად ნაზმნარ სახელებში არ ჩანს აწმყოს ფუძე ამოსავლად; შდრ. ხაკუ 'უნდა' და ლიკვედ 'ნდომა'.

ოთხივე კილო აწმყოში გვიჩვენებს პარალელურ ფორმებს: მაკუ || მაკუჩ 'მინდა', ჯაკუ || ჯაკუჩ 'გინდა', ხაკუ || ხაკუჩ 'უნდა'. იშვიათად ბოლოკიდური ჩ თავს იჩენს უწყვეტელსა და კავშირებით I'ში (იხ. ზემოთ). რა ფუნქციისაა ჩ? რა თქმა უნდა, იგი ფუძის კუთვნილებას არ წარმოადგენს. ამას მხარს უნდა უჭერდეს მეგრულის ჩვენებაც: მო-კო 'მინდა', გო-კო 'გინდა', ო-კო 'უნდა'. მეგრ. მოკო და სვან. მაკუ მასალობრივ ერთი და იგივე ჩანს[49]. ჩ'ს ფუნქცია კი ჯერჯერობით გაურკვეველია.

ხაკუ ზმნა იმითაცაა საინტერესო, რომ აწმყოსაგან განსხვავებულ ფუძეს უკვე უწყვეტელსა და კავშირებით პირველში გვიჩვენებს: მაკუ 'მინდა'-მეკვად 'მინდოდა'. ბალსქვემოურსა და ლენტეხურში დადასტურებული მაკუჩდა, ხაკუჩდა ფორმები შეინიშნება ახალგაზრდების მეტყველებაში. ერთი შეხედვით თითქოს ქართულის გავლენა ჩანს, ალბათ, წიგნური გზით: მინდა-მინდოდა და მაკუჩ-მაკუჩდა...

წარმოდგენილი ნიმუშებიდან ყურადღებას იქცევს უშგულურ ლექსში დადასტურებული ჯეკვადი. აქ აუხსნელია ბოლოკიდური -ი (ლექსისაა?!).

ბალსქვემოური გვიჩვენებს როგორც უმლაუტიან, ისე უუმლაუტო ფორმებს: ხეკვად და ხეკვად 'უნდოდა'...

კავშირებითი პირველისათვის მოყვანილი ნიმუშებიდან ლენ-

---

49 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 291.

ტეხურის ეკვეს ფორმაში დაკარგული ჩანს პრეფიქსისეული ხ'ანი, სხვა შემთხვევაში იგი ჲ'შია გადასული[50].

მყოფად სრულში (შესაბამისად პირობითში) ამავე ზმნის ვნებითის ფორმებია გამოყენებული, გვხვდება როგორც -ენ/-ენ სუფიქსიანი, ისე მარტივი წარმოება: მეკვდი და მეკვდენი.

ზემოსვანურსა და ლაშხურის მყოფადში რომ ფუძე შეკუმშულია, ამაზე ლენტეხურის მეკვედი და ა. შ. ფორმები მიგვითითებენ. რაც შეეხება პარადიგმებით წარმოდგენილ ლაშხურის ფორმებს, ბოლოკიდური ხმოვანი ისეთი ინტონაციით წარმოითქმოდა, რომ ჩვენ აღნიშვნის გაკეთება ვარჩიეთ.

დრო-კილოთა III სერია აქ წარმოდგენილია თურმეობითი პირველით. ერთმანეთის გვერდით იხმარება მაკვდენა/მაკვდენა და მაკვდა[51]. დაბეჭდილ ტექსტებში მხოლოდ ეს უკანასკნელი შეგვხვდა. აქვე აღვნიშნავთ მულახური პოეზიიდან ხაკვედახ ფორმას, რომელშიც ლენტეხურის მსგავსად დაცულია -ე- ხმოვანი.

დასასრულ, მივუთითებთ, რომ ზოგ შემთხვევაში დასახელებულ ზმნას დაკარგული აქვს ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა და ქართული უნდა'ს მსგავსად კონტექსტში ნაწილაკად გვევლინება. მაგ.: ბქვ. ჩჲაგ შგურარ ხეკვეს ხვარდედ 'ყველგან შერცხვენილი უნდა ვიყოთ'.

4. ხაჯეშ 'ჰგავს; ღირს'

აწმყო: მხ. რ., I პ., ზსვ. ხვაჯეშ, ლშხ. ხვაჯეშ ხვი, ლნტ. ხვაჯეშ ხვი 'ვგავარ'; II პ., ზსვ. ხაჯეშ, ლშხ. ხაჯეშ ხი, ლნტ. ხაჯეშ ხი 'ჰგავხარ'; III პ., ზსვ., ლშხ. ხაჯეშ, ლნტ. ხაჯეშ 'ჰგავს'.

ნიმუშები: ბზ. ხაჯეშ გვიშგვეჲ ჩალისიმეს 123,36 'ჰგავს ჩვენს ჩალისიმეს';

ბქვ. ა სოფლაჩ ქალქიდაჩს ხაჯეშხ 283,31 'ეს სოფლები პატარა ქალაქებს ჰგვანან'; ალ დინა ხაჯიშ ეჯ ბოფშაჩს 49,33 'ეს გოგო იმ ბავშვებს ჰგავს';

ლშხ. თელდ ლგსრუაჲ ხაჯეშ 93,28 'მთლად გადარეულს ჰგავს'.

---

50 მ. ქალდანი, სვანური ენის ლენტეხური კილოს ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურებანი, ქართ. ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1961.

51 ქართულის ანალოგია ხომ არ არის წარმოების თვალსაზრისით: მდომებია—მაკვდენა; მდომია—მაკვდა?

ლნტ. ალე ნა გვაჯეშ 'ეს ჩვენ გვგავს'; მაზუმდ ხაჯეშ? 161,17 'რა ღირს'?

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ. ხვაჯეშდას || ხვაჯრნდას, ბქვ. ხვაჯეშდასვ || ხვაჯონ, ლშხ. ხვაჯრნდ ხვას, ლნტ. ხვაჯონდას || ხვაჯეშდას 'ვგავდი'; III პ. ბზ. ხაჯეშდა || ხაჯრნ[და], ბქვ. ხაჯეშდა[ნ], ლშხ. ხაჯრნ[და], ლნტ. ხაჯონდა || ხაჯეშდა[52] 'ჰგავდა'.

ნიმუშები: ბზ. პოეზ. ჰაბდურდ ჟეღაჩს ჭურ ხაჯონდახ 56,96 'მთლად ძაღლებსა ჰგვანდნენ თურმე', იმ ხაჯეშდას? 'რას ჰგავდი'?; რრჩეს ხაჯრნ ვიცბი 'სულელს ჰგავდა ვიცები'; ბქვ. ალაჩს ეჯი მარე ხოხალდახ, ეჯზუ ხაჯეშდახ ალაჩ უშხვარ 47,15 'ამათ ის კაცი ეგონათ, იმდენად ჰგავდნენ ესენი ერთმანეთს';

ლშხ. ალ ზითუნახავ დეშ ხაჯრნ ეჯის 70,7 'ეს მზეთუნახავი ვერ ჰგავდა იმას'; ალეჯ მაშა ხაჯრნდა მიჩა ლეჯხური ზითუნახავს 70,20 'ესეც არ ჰგავდა მის საცოლე მზეთუნახავს';

ლნტ. ჩხარა ლეზას ხაჯონდა 273,31 'ცხრა წლისას ჰგავდა'; უშხვარს ხაჯეშდახ (ჩვ. ტ.) 'ერთმანეთს ჰგავდნენ'.

კავშირებითი პირველის ნიმუშები ბაღსზემოური კილოდან:

სუბ. წყ.: მი მიცხა, ერ'ეჯას ხვაჯონდედ 'მე მირჩევნია, რომ იმას ვჰგავდე'; ობ. წყ.: ეჯა ეჯგვარ მარა ლახომეს, მი მაჯონდედს თვალდ ითანდ[ა]'ის 'იმგვარ კაცს მისცეს, (რომ) მე მგავდეს თვალად და ტანად'.

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ბზ. ხვეჯვენი, ბქვ. ხვეჯენი, ლშხ. ხვეჯრნი, ლნტ. ხვეჯონი 'ვჰგავდე იქნება'; III პ., ბზ. ხეჯვენი, ბქვ. ხეჯენი, ლშხ. ხეჯრნი, ლნტ. ხეჯონი 'ჰგავდეს იქნება'.

ნიმუშები: ბზ. ნახტავშალ ხეჯვენი 'ნახატივით ჰგავდეს იქნება';

ლნტ. ეშხუ ნაგაზიში ეშხვი თვეაშს ხეჯონი 'ერთი კვირისა ერთი თვისას ჰგავდეს იქნება'.

მყოფადი სრულის პირობითის ნიმუში ლენტეხური კილოდან: იმვაჯ ხეჯონოლ ეჯ კუმაშ, ეჩის ფას ქ'ათოჯიდა 'რაც ეღირებოდა ის საქონელი, იმისი ფასი გადაუხდია'.

თურმეობით I: მხ. რ., I პ., ბზ. ხვაჯრნა, ბქვ. ხვაჯენა || ხვაჯონა, ლშხ. ხვაჯონენა ხვი, ლნტ. ხვაჯეშნა [ხვი] 'ვგვანებივარ';

---

52 მთქმელის აზრით: სწორი და გავრცელებული ფორმაა ხვაჯონდას და ა. შ., ხვაჯეშდას უმართებულოა და იშვიათად იხმარებაო.

III პ., ბზ. ხაჯრნა, ბქვ. ხაჯენა || ხაჯონა, ლშხ. ხაჯონენა, ლნტ. ხაჯეშნა || ხაჯონა 'ჰგვანებია'.

ნიმუშები: ბზ. გეზალდ ხოშა ესნაარ მი ხვაჯრნა 'შვილზე მეტად თურმე შე ეგვანებივარ'; მიჩა ლირდე... დემნაარ ხაჯრნა 113,12 'თავისი სიცოცხლე... არაფრად უღირდა თურმე'.

ლნტ. ალ ლავდილა თელდ უშხვაარ ხაჯონახ 266,37 'ესდები მთლად ერთმანეთს ჰგავდნენ თურმე'.

ხაჯეშ ომონიმური მნიშვნელობისაა: 'ჰგავს, ღირს'. უღვლილებისას გარკვეულ ნაკვეთებში გამოივლენს **-რნ/-ონ** სუფიქსს. ამდენად სხვავდება, ერთი მხრივ, აწმყოს ფუძე, მეორე მხრივ, სხვა ნაკვთთა ფუძეები; მყოფადსა და პირობითში ენებითის ფორმაა გამოყენებული: ხეჯვენი, რომელიც თავის მხრივ აწმყოა და ნიშნავს 'ემსგავსება'...

ხაჯეშ ზმნას ქართული ჰგავს ზმნის მსგავსად არ გააჩნია დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმები, ხოლო III ჯგუფში კვლავ **-რნ/-ონ** სუფიქსი იჩენს თავს. ეგევე **-რნ/-ონ** წარმოდგენილია ნაზმნარ სახელებში: ლიჯრნე, მაჯრნ და ა. შ.

აწმყოს ნაკვთში, როგორც ეს პარადიგმებიდან ჩანს, ქვემოსვანურისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს I და II პირში მეშვკელი ზმნის ხმარება სუბიექტური წყობისას: ლშხ. ხვაჯეშ ხვი და ა. შ. უწყვეტელში ადგილი აქვს როგორც **-რნ/-ონ** სუფიქსის გამოვლენას, ასევე აწმყოს ფუძისაგან უწყვეტლის ჩვეულებრივი წესით წარმოებას: ბზ. ხაჯრნდა და ხაჯეშდა, შდრ. ძვ. ქართულის ჰგვანდა და ახალის — ჰგავდა... სვანურისათვის **-ონ-** სუფიქსიანი წარმოება ჩანს პირველადი. ამას მხარს უჭერს, ერთი მხრივ, პოეზიაში დადასტურებული ნიმუშები, მეორე მხრივ, ლაშხურის ფორმები (აქ მხოლოდ **-რნ-** სუფიქსიანი წარმოება შეინიშნება). დასასრულ, მხედველობაში უნდა იქნეს აგრეთვე მიღებული ძველი ქართულის ვითარებაც (შდრ. ძვ. ქართ. ჰგვანდა: კომ. I, 211,4).

მყოფადში ქვემოსვანურში **-რნ/-ონ** სუფიქსი უცელელადაა დაცული, მაშინ როცა ბალსზემოურში ხეჯვენი და ბალსქვემოურში ხეჯენი 'გვაქვს'.

თურმეობით I'ში განსხვავებულ ფორმებს გვიჩვენებს ლენტეხური: ხვაჯეშნა და ა. შ., აწმყოდან გადმოყოლილი ჩანს **შ** ელემენტი. რაც შეეხება ლაშხურის ხვაჯონენა და ა. შ. ფორმებს, აქ ყურადღებას იქცევს **-ენ** სუფიქსი. როგორც ადრე იქნა აღნიშნული, ლაშხურის ზოგიერთი ტიპის ზმნისათვის დამა-

ხასიათებელი უნდა იყოს თურმეობით I'ში -ენ სუფიქსის გამოვლენა[53].

დასასრულ, ძირის შესახებ. ყველა კილოსათვის ამოსავალია ჯ ე შ, მაგრამ საგულისხმოა ბალსქვემოურისათვის დადასტურებული ხ ა ჯ ი შ 49,33. იგი შემთხვევითი რომ არ არის, ამას ადასტურებს ვ. თოფურიას წიგნში მითითებული ხ ა ჯ ი შ, რომელიც ავტორს ერთ-ერთ ძველ ნაბეჭდ ტექსტში დაუდასტურებია[54].

სვანურ ხ ა ჯ ე შ ზმნისათვის ძირითადი უნდა იყოს ჰ გ ა ვ ს მნიშვნელობა. მონათესავე ენებში მსგავს შინაარსს გადმოსცემენ: ჭან. -ნ-გ-ამ-ს || გ-აფ-ს, მეგრ. გ-უ-ნ, ქართ. გ-ავ-ს. ყველგან ძირია გ[55]. ვარაუდობენ, რომ ქართულ-ზანური -გ- ძირის შესატყვისი სვანურში უნდა იყოს — -ჯ- ხ ა ჯ ე შ'ში. ე. ი., ქართული ჰ გ ა ვ ს = სვ. ხ ა ჯ ე შ'ს[56]. სვანურში ჯ მიღებული უნდა იყოს ქართული უკანაენისმიერი გ თანხმოვნის აფრიკატიზაციის შედეგად[57]. ამდენად, აქ საერთო-ქართველურ ძირთან გვაქვს საქმე[58]. მხოლოდ აუხსნელი რჩება სვანურში შ'ს საკითხი. რას უნდა წარმოადგენდეს იგი, ან საიდან უნდა მომდინარეობდეს?

5. ხ ა ჟ ხ ა 'ჰქვია'

ნაზმნარი სახელები კილოთა მიხედვით: ზსვ., ლიჟხენი, ლშხ ლიშხენი 'დარქმევა'; ზსვ. ლჟეჯხ, ლშხ. ლჟეჯხ, ლნტ. ლჟეჯხნე 'დარქმეული', ზსვ. მჟეხენი, ლშხ. მჟშხენი, ლნტ. მჟეჯხნე 'დამრქმევი' და ა. შ.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ., ბზ. მაჟხა, ბქვ. მაჟხა || მაშხა, ლშხ. მაჯშხა, ლნტ. მაჟახა 'მქვია'; III პ., ბზ. ხაჟხა, ბქვ. ხაჟხა || ხაშხა, ლშხ. ხაჯშხა, ლნტ. ხაჟახა 'ჰქვია'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. მი მანრლ მ ა ჟ ხ ა 'მე მანოლი მქვია'; გელეანრე ნალზიგე ხ ა ჟ ხ ა 24,25 'გელოვანების ნასახლარი

---

53 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 209.

54 იქვე, გვ. 259.

55 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 258.

56 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, ბგერით მოელენათა თანმიმდევრობა, მიმომხილველი, I, ტფილისი, 1926.

57 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა, შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იქე, XII, 1961, გვ. 152.

58 Г. А. К л и м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

ჰქვია'; ჰაშს ეოფრინდომ ხაჲშხა 58,4 უშგ. 'ქმარს ფრიდონი ჰქვია';

ბქვ. მი ალექსანდრე მაჟხა 32,26 'მე ალექსანდრე მქვია'; ღუშგმე მჯუშხი ხაშხა ეჯის 74,8 'უკანა მეკვლე ჰქვია მას';

ლშხ. იმუჲ სგიმარ ხაზვიბხ, ეჯ გიმს ხჳჲშხა ჟახად მუაშ 1,17 'სადაც მქავე წყლები ამოდის, იმ ადგილს სახელად ჰქვია მუაში';

ლნტ. ჩუბე შვანს ლენტეხაჲ რაიონ ხაჟახა 3,4 'ქვემო სვანეთს ლენტეხის რაიონი ჰქვია'.

ეშხუს ხაჲახა (|| ხაჟახა) ქუდო 318,25 'ერთს ჰქვია ქუდო'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ. მეჟხან[და] || მაჟხან[და], ბქვ. მეშხან || მეშხან || მაშხან, ლშხ. მეჲშხან[და] || მაჲშხან[და], ლნტ. მეჟახან || მაჟახან[და] 'მერქვა'; III პ., ბზ. ხეჟხან[და] || ხაჟხან[და], ბქვ. ხეშხან || ხეშხან || ხაშხან, ლშხ. ხეჲშხან[და] || ხაჲშხან[და], ლნტ. ხეჟახან[და] || ხაჟახან[და] 'ერქვა'.

ნიმუშები: ბზ. პოეზ. მიჩა აფხნეგს ხეჟხან ბობზიკ 72,20 'მის ამხანაგს ბობზიკი ერქვა'; ათხად ალა მეჟხანდა 'აქამდე ეს მერქვა'; მინე დის ხეჲჟხან თამი 24,11 'მათ დედას თამი ერქვა'; ეჯ სოფელს ხაჲჟხან მალყარ 216,6 'იმ სოფელს მალყარი ერქვა'; ბქვ. ჟახად ჩუქე ხეშხგნ 83,1 'სახელად ჩუქე ერქვა'; ანგლიჩანარ ხეშხგნხ მიჩა აფხნეგარს 15,1 'ინგლისელები ერქვათ მის ამხანაგებს'; ლნტ. იმაღა ღენ ხეჟახგნდა სკიმარ, ჩუ დარს ხოხალდა 10,19 'თუ რატომ ერქვა მქავე წყლები, არავინ იცოდა'; მამიდაჲ გეზალს ხაჟახგნდა ვენერა 'მამიდაშვილს ვენერა ერქვა'. ალეს ხაჟახგნ ლიშიაში 59,7 'ამას ჰქვია „დაბერება“'.

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ბზ. მეჟხი[59], ბქვ. მეშხი[60], ლშხ. მეჲშხი, ლნტ. მეჟახი 'მერქმევა'; III პ., ბზ. ხეჟხი, ბქვ. ხეშხი, ლშხ. ხეჲშხი, ლნტ. ხეჟახი 'ერქმევა'.

ნიმუშები: ბზ. ღო ალ გვეშს მაჲ ხეჟხი? 'მერე ამ საქმეს რა ერქმევა?'

ლშხ. ლამრიას ხოლგენიხ ფურალს, ჟახად ლამრჲაჲ ხეჲშხი ეჯ ფურს 10,20 'ღვთისმშობელს შესწირავენ ძროხებს და სახელადაც „ლამრჲაჲ („ღვთისშობელა“) ერქმევა იმ ძროხასა';

---

59 ნიშნავს აგრეთვე 'მესახელეს'.

60 —„— —„— 'მეწვეს'.

ლნტ. ეჯის ჟახედ ხეჟახი ფრიდონ 'იმას სახელად ფრიდონი ერქმევა'.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ. მაჟხენა, ბქვ. მაშხენა, ლშხ. მაჯშხენა, ლნტ. მაჟახენა 'მრქმევია'; III პ., ბზ. ხაჟხენა, ბქვ. ხაშხენა, ლშხ. ხაჯშხენა, ლნტ. ხაჟახენა 'რქმევია'.

ნიმუშები: ბზ. ალ ზურაჲლს სანდუხე ხაჟხენა 24,27 'ამ ქალს სანდუხი რქმევია';

ბქვ. ჟახად გელაჲრ ჯაშხენახ 245,3 'სახელად გელარები გრქმევიათ';

ლნტ. ეშხუ მუხვბას ბეჟან ხაჟახენა 127,2 'ერთ ძმას ბეჟანი რქმევია'; ეჩას ხაშხენა (sic) დავით ჩანსქელიან 'იმას რქმევია დავით ჩარქსელიანი'.

სვანური ხაჟხა 'ჰქვია' ობიექტური წყობისაა. ნასახელარი ზმნაა, ნაწარმოებია ჟახე არსებითი სახელისაგან[61], რომელიც დასტურდება ყველა კილოში. ხაჟხა დრონაკლია. ნაკლულ ფორმებს ივსებს ამავე ძირისაგან ნაწარმოები ვნებითით.

საწყისსა და ზოგიერთ მიმღეობაში ხერხდება -ენ სუფიქსის გამოყოფა. კილოებში გვხვდება როგორც ლეჟხენი (ბზ.) ისე ლეჯშენი (ლშხ.) 'დასარქმევი'. ჟხ'ს ნაცვლად შხ კომპლექსი პირიან ფორმებშიც გვხვდება. იგი ასიმილაციის შედეგია[62].

აწმყოში, როგორც მოსალოდნელი იყო, ურედუპლიციო ფორმა დაცულია ლენტეხურში: მაჟახა, შდრ. ბზ. მაჟხა. ბალსქვემოურსა და ლაშხურში ასიმილაციის შედეგად მიღებული შხ კომპლექსი გვაქვს. ლაშხურის ფორმები სხვა მხრივაცაა საინტერესო: სხვა კილოებისაგან განსხვავებით აქ მაქცევარსა და ძირს შორის ჯ ჩანს, გარდა ამისა გრძელია ა მაქცევარი: შდრ. ლშხ. ხაჯშხა და ბზ. ხაჟხა 'ჰქვია'.

წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალებიდან ბალსზემოურისათვის საყურადღებოა ხაჯშხა ფორმა, რომელიც დასტურდება უშგულურ მეტყველებაში. იგი ლაშხურის გავლენა ჩანს. ლენტეხურში ძირეული ჟ ჯ'თია შეცვლილი: ხაჟახა || ხაჯახა. მსგავ-

---

[61] ივ. ჭავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის, ძველ ქართულში, 1954, გვ. 43.

[62] ვ. თოფურია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იკე, XII, 1961.

სი მოვლენა სხვაგანაცაა დადასტურებული და ახსნილია, როგორც ჟ'ს პალატალიზაციის შემთხვევა[63].

პარალელური ფორმებით წარმოგვიდგება დასახელებული ზმნის უწყვეტელი. ყველა კილოში ერთმანეთის პარალელურად იხმარება -ე და -ა პრეფიქსმონაცვლე ფორმები: ბზ. მ ე ჯ ხ ვ ნ [დ ა] და მ ა ჯ ხ ვ ნ [დ ა]; ბქვ. მ ე შ ხ ვ ნ და მ ა შ ხ ვ ნ; ლშხ. მ ე ჲ ა შ ხ ვ ნ [დ ა] და მ ა ჲ ა შ ხ ვ ნ [დ ა]; ლნტ. მ ე ჯ ა ხ ვ ნ და მ ა ჯ ა ხ ვ ნ [დ ა]... საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბალსზემოურშიც დასტურდება ჲ'იანი ფორმები ლაშხურის მსგავსად: ხ ე ჲ ა ჯ ხ ვ ნ და ხ ა ჲ ა ჯ ხ ვ ნ (იხ. აქვე, ნიმუშები).

თურმეობით I"ში აღნიშვნის ღირსია ბალსქვემოურის ა შ ა შ ხ ე ნ ა, ჯ ა შ ხ ე ნ ა, ხ ა შ ხ ე ნ ა ფორმებში. რა უნდა იწვეოდეს აქ ა'ს უმლაუტს? მომდევნო პოზიციაში ხომ ა ხმოვანია რედუცირებული? (შდრ. ლნტ. ხ ა ჯ ა ხ ე ნ ა 'რქმევია'; ჟ ა ხ ე 'სახელი'). ლაშხურის ხ ა ჲ შ ხ ე ნ ა ფორმა ხომ არ აგვიხსნის ამ უმლაუტის საიდუმლოებას?

დასასრულ, მივუთითებთ ლენტეხურისათვის დადასტურებულ ხ ა შ ხ ე ნ ა ფორმას: როგორც კი სხვა კილოების მსგავსად ლენტეხურში რედუქცია განხორციელდა ფუძის შიგნით, ასიმილაციასაც გზა გაეხსნა — ლენტეხურის ფორმა დაემსგავსა ბალსქვემოურისას.

ორიოდე სიტყვა სვანური ხ ა ჯ ხ ა'ს სხვა ქართველურ ენებთან მიმართების შესახებ.

ზანურში ჯ ა ჯ ხ ა'ს შინაარსს გადმოსცემს მეგრ. რ ჯ ო ხ ო 'გქვია', ჭან. გ ჯ ო ხ ო ნ ს 'გქვია'. ზანურშიც, სვანურის მსგავსად, ჯ ო ხ ო სახელია ამოსავალი ზმნური ფორმებისათვის[64]. ხოლო ჯ ო ხ თავის მხრივ კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ქართული ძ ა ხ'ისა, რომელიც გვაქვს ძ ა ხ-ილ"ში, ე ძ ა ხ ი ს და ა. შ. თუ სვანურს დავუბრუნდებით, ჟ ა ხ ე სახელი კანონზომიერი შესატყვისი აღმოჩნდება ზანური ჯ ო ხ, ქართული ძ ა ხ-ილისა[65].

---

63 მ. ჭ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლენტეხური კილოს ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურებანი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961.

64 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 437.

65 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, ტ. უნ. მოამბე, X, 1930.

6. ხ ო ხ ა ლ 'იცის, ჰგონია'

ა წ მ უ ო (უველა კილოსათვის): მხ. რ., I პ., მიხალ || მიხა 'ვიცი, მგონია'; II პ. ჯიხალ || ჯიხა 'იცი, გგონია'; III პ. ხოხალ || ხოხა 'იცის, ჰგონია'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ნაჲ მაშაგვეშ ნ ი ხ ა ლ 60,36 'ჩვენ არაფერი ვიცით'; ჩუ როქ მ ი ხ ა, მიშგვათე მეკდე ხიშდ 100,23 'ვიციო, ჩემთან მოსული ხართ'; ეჩიშ მი მაშგვეშ მ ი ხ ე, მაჲ ღუნ სი შდავლარ ჯირიხ 277,13 'იმისი მე არაფერი ვიცი, თუ რა რაღაც მერცხლები გყავსო'; ეჯ ლეთი ლიმციქვილ ხოჩაშდ ხ ო ხ ა ლ ხ მეჩიარს 14,1 'იმ ღამის მოციქულობა კარგად აქვთ დაცდილი მოხუცებს'; ჩუ ესერ ხოხე, მიჩ ოთქვითა 275,3 'ვიცი, რომ შენ მომპარეო'; ამჟი ხ ო ხ ა ხ დრშდი ლადაღე 12,24 'ასე იციან ორშაბათ დღემდე':

ბქვ. ესვაჲს ხელობ (|| ლიმშივ) ხ ო ხ ა 2,10 'ვინც ხელობა იცის':

ლშხ. მრ მ ი ხ ა ლ, ლუჯარ მაჩას იმჟი ხოჯგრჯნიხ ბაპარ ტაბაგს 42,22 'არ ვიცი, ცოცხალ კაცს როგორ უკურთხებენ მღვდლები სუფრას';

ლნტ. შკერიაჲშ მაჲდ მ ი ხ ა ლ 24,39 'შქერისა არ ვიცი'; ძღდ (|| ძღუდ) ხორგაჲლ გ ვ ი ხ ა ლ 28,27 'დიდი საწნახელები ვიცით'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ზსვ., ლნტ. მიხალდა, ლშხ. მიხაჲლდა 'ვიცოდი, მეგონა': III პ., ზსვ., ლნტ. ხოხალდა, ლშხ. ხოხაჲლდა 'იცოდა, ეგონა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ალა დეჩსა მ ი ხ ა ლ დ ა 123,13 'ეს არ ვიცოდი'; სი ლახ გაჩრგლა ჩუ ჯ ი ხ ა ლ დ ა, იმღა მრდე მ ა გ ვ რგაჲლდას 117,31 'შენ თუ ლაპარაკი იცოდი, რატომ არ მელაპარაკებოდი?'

პოეზ. თავბექს ლუშნუ მაშ ხ ო ხ ა ლ დ ა 34,193 'თავბექმა სვანური არ იცოდა';

ბქვ. ქორაშ ლიხვერ მ ი ხ ა ლ დ 102,16 'სახლის დანგრევა ვიცოდი (=მეგონა)'; ნიშგე თხვიმ დეცკი როქ ნ ი ხ ა ლ დ ა 15,1 'ჩვენი თავი ცაზე გვეგონაო'.

ლშხ. ათხად დაშ მა ხ ო ხ აჲ ლ დ ა ალ გვეშიშ 30,17 'აქამდე არავინ არ იცოდა ამ საქმის';

ლნტ. ამჟი გ ვ ი ხ ა ლ დ ა ალე ჟეს-ჟესინ აშხე ზაჲასკ 55,31 'ასე ვიცოდით ეს ხანდახან ერთი წლის მანძილზე'.

კავშირებითი I: მხ. რ., I პ., ბზ. მიხალდ̄ედს, ბქვ., ლნტ. მიხალდეს, ლშხ. მიხ̄ალდეს 'ვიცოდე'; III პ., ბზ. ხოხალდ̄ედს, ბქვ., ლნტ. ხოხალდეს, ლშხ. ხოხ̄ალდეს 'იცოდეს'.

ნიმუშები: ბზ. ალა ჩუ ჯიხალდ̄ედს 278,7 'ეს იცოდე'; მი, სერ ჯიხალდ̄ედ, ლუქდუნე ხვი ისგვაცახ̄ან 208,13 'მე, შენ რომ იცოდე, შემცდარი ვარ შენთან'; ჰენსამ'ენსერ ხოხალდ̄ედს... 177,9 'თუ რამე იცოდეს'...

ბქვ. ალი ამჟი ჯიხალდეს 184,34 'ეს ასე იცოდე'; ხეკვეს ნინ ხოხალდეს 182,7 'უნდა ენა იცოდეს'.

ლშხ. არგებს ლოქ ეჯის ენსამა ხოხ̄ალდეს 74,23 'ეგების ომან იცოდეს რამე';

პოეზ. ამ ჯიხალდეხ 342,7 'ასე იცოდეთ'.

ლნტ. ჩუვ ხოხალდეს 145,16 'იცოდეს'.

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ზსვ. მეხლი, ლშხ. მეხლ̄ი, ლნტ. მეხ̄ალი 'მეცოდინება'; III პ. ხეხლი, ლშხ. ხეხლ̄ი, ლნტ. ხეხ̄ალი 'ეცოდინება'.

ნიმუშები: ბზ. დაგრ'ე მეხლი, ეჩქ̄ი ქა ლოხ̄ვედნი 93,8 'სიკვდილი რომ მეცოდინება, მაშინაც ვკითხავ'; ჰჳ, მიშგუ გვეშ ლახ ჩუ ჯენლი, მევარ ჯესკვრელი 118,24 'ეჰ, ჩემი საქმე რომ იცოდე, ძალიან გაგიკვირდება';

ბქვ. ჰარკ̄ერ ესერ მინს ხეხლიხ 194.26 'ანდაზები თქვენ გეცოდინებათო';

ლშხ. ვმბჯი სერ ხეხლი მ̄ალე ვ მ̄ამა 12,24 'ამბავი კიდევ ეცოდინება რამე თუ არა';

ლნტ. მი ეჩქა მეხ̄ალი (ჩვ. ტ.) 'მე მაშინ მეცოდინება'. ეჯი ლოქ ერე ხეხ̄ალი, ერე იმეჩუნ ბარი? 143,37 'ის რომ ეცოდინება, რომ სად არის'?

მყოფადი სრულის პირობითის ნიმუშები კილოთა მიხედვით:

ბზ., პზ. დაღო, ნ̄ად მ̄ად ნეხლრ̄ლე 72,12 'აბა, ჩვენ რა გვეცოდინება': ბქვ. პზ., ეჯი მიად ჩუ მეხლოლე 162,9 'ის მეც მეცოდინება'.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. მახლენა, ბქვ. მ̄ახლენა || მახლენა, ლნტ. მახალა 'მცოდნია'; III პ., ბზ., ლშხ. ხახლენა, ბქვ. ხ̄ახლენა || ხახლენა, ლნტ. ხახალა || ხახალენა 'სცოდნია'.

ნიმუშები: ბზ. ნ̄ად ლიყ̄არე დენსა გვახლენა 189.27 'ჩვენ ყავრის გამოხდა არ გვცოდნია'; ცორევ ესერ ხახლენა 235,34 'ცურვა სცოდნიაო';

ბქვ. ლიშკადი მადმა ხ ა ხ ლ ე ნ ა ხ 247,35 'ჰედვა არ სცოდნიათ';

ლშხ. ეჩქად ხოფშირა ხ ა ხ ლ ე ნ ა ლიცარისა კალმხარ 2.30 'უწინ უფრო ბევრი სცოდნია კალმახი წყლებში'; ლნტ. ზურალს ჩუ ხ ა ხ ა ლ ა, ერე... 'ქალს (ქე) სცოდნია, რომ...'; ჩუ ხ ა ხ ა ლ ე ნ ა ქორპ გარემოება 94,5 '(ქე) სცოდნია ოჯახის გარემოება'; მიჩ ხ ა ხ ა ლ ე ნ ა (|| ხ ა ხ ა ლ ა) ლჳდგარ მეკეე გარ 'მას ჰგონები› მიცვალებულის წინამძღოლი მხოლოდ'.

კავშირებითი მესამის ნიმუში ბალსზემოური კილოდან:

სი ერ მიშგვიზუმ ჩუ ჯ ა ხ ლ ე ნ ს... 70,31 'შენო ჩემოდენა რომ გცოდნოდეს'...

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ზოგ ზმნასთან ნამყო უსრულის ფორმას დაერთვის ზმნისწინი და ვიღებთ აორისტს[66]. სხვა ზმნებთან ერთად დასახელებულია ხ ო ხ ა ლ 'იცის'. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ვითარებაში (ზმნისწინის დართვისას) ზმნა უმეტესად ე გ ო ნ ა'ს მნიშვნელობას იღებს. მაგ.:

ბზ. უშგვლარს ლ ო ხ ვ ხ ა ლ დ ა ხ 52,4 'უშგულელებს ეგონათ, მოეჩვენათ'; ალა ... ტკიც ლ ო ხ ხ ა ლ დ ა 426,1 'ეს... მართალი ეგონა'; სვ. პოეზ. მი ლ ა მ ხ ა ლ დ ა კვიცრაშ ბაჩგილდ 52,4 'მე მეგონა ჯიხვის ჯოგი';

ლშხ. ზითუნახაჯი... ლ ო ხ ხ ა ლ დ ა მიჩა დაშნაჯიქ ნახატ 70,5 'მზეთუნახავი ... ეგონა თავის ხმალზე დახატული';

ლნტ. ეჯის გაცხად ლ ა ხ ო ხ ა ლ დ ა ი ხელათ ლაჯბინე ლითი 148,9 'იმას მართალი ეგონა და ხელად დაიწყო მკა'.

მ ი ხ ა ლ თავისი ძირითადი მნიშვნელობით ობიექტური წყობისაა. სუბიექტს შეიწყობს მიცემით ბრუნვაში.

ე ჯ ა ს ხ ო ხ ა ლ 'მან იცის' (სიტყვასიტყვით: „მას იცის“). ძირია ხ ა ლ (მ ი ხ ა ლ, ჯ ი ხ ა ლ, ხ ო ხ ა ლ), რომელიც უცვლელად (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოლოკიდურ ნარნარა ლ'ს კარგვას: ხოხა...) გვხვდება აწმყოსა, უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში. მყოფადსა და პირობითში ამავე ძირისაგან ნაწარმოები ვნებითის ფორმებია გამოყენებული. ზემოსვანურსა და ლაშხურში ფუძე შეკუმშულია, ლენტეხურში შეუკუმშავი ფუძე გვაქვს, ოღონდ ძირეული ხმოვანი უმლაუტიანია.

თურმეობით პირველში ფუძე გავრცობილია **-ენ/-ენ** სუფიქსით, თუმცა ლენტეხურში გაუვრცობელი ფორმებიც დასტურდე-

---

66 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 163.

ბა: ხახალა. თურმეობით I'ში მაქცევრად უკვე ა პრეფიქსი გვევლინება: ხახლენა 'სცოდნია', შდრ. აწმყო — ხოხალ 'იცის'.

წარმოდგენილი ნიმუშებიდან ბალსზემოურში ყურადღებას იქცევს აწმყოსათვის მიხე 277,13 და ხოხე 275,3 ფორმები, რომლებიც მულახურ თქმაში დადასტურდა. ნიმუშებს წარმოვადგენთ კონტექსტში:

ჩუ ესერ ხოხე, მიჩ ოთქვითა 275,3 'ვიცი, რომ შენ მომპარეო'; ეჩიშ მი მამგვეშ მიხე, მაჯ ღენსი შდაელპარ ჯირიხ 277,13 'იმისი მე არაფერი ვიცი, თუ რა რაღაც მერცხლები გაყვსო'; მიხე, ხოხე ფორმების მიღების პროცესი ასე წარმოგვიდგება: ძირისეული ლ'ს დაკარგვის შედეგად ერთმანეთის მეზობლობაში აღმოჩნდა ა ხმოვანი და ერე 'რომ' კავშირის წინამავალი ე- ხმოვანი, განხორციელდა ე- ხმოვანთა შერწყმა, რის შედეგადაც დაგრძელდა ე- ხმოვანი.

უწყვეტლისათვის წარმოდგენილ ნიმუშებში დასტურდება როგორც მიხალდ ისე ჩიხალდა ფორმები. პირველ შემთხვევაში ა სუფიქსი არ არის წარმოდგენილი. ლაშხურის უწყვეტელში ძირისეული ა გრძელია. შდრ. აწმყო ხოხალ და უწყვ. ხოხალდა 'იცოდა'.

მყოფად სრულში ლაშხურის ფორმების ბოლოკიდური ხმოვნები ისეთი მკვეთრი სიგრძით გამოითქმოდა (შემოწმდა რამდენიმე პირთან), რომ ჩვენ საჭიროდ ვცანით, გრაფიკულად გამოგვესახა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიხალ ზმნის ძირია ხალ. გასაზიარებელი ჩანს მოსაზრება, რომ იგი ძირეული მასალის მიხედვით ქართულში უნდა უკავშირდებოდეს „ნახვის" მნიშვნელობის მქონე ფუძეებს: ხ-ედ-ავს... ი-ხ-ილ-ა, ნა-ხ-ა... საერთოა -ხ-, ხოლო ამოსავალია ის მნიშვნელობა, რაც ამ ერთეულს ქართულში აქვს. მაშასადამე, სვ. მიხალ 'ვიცი'... ეტიმოლოგიურად ნიშნავს: ჩემთვის ხილულია, დასანახია[67].

7. ხაიდ 'შია'

ბზ. მაჯდარ, ბქ., ლნტ. მაჯდარ 'შიმშილიანი, მშიერი'.

ნიმუშები: ბქ. მაიდ ხარხ მასარდ 39,15 'შიათ ძალიან (შიმშილი აქვთ...)'.

---

[67] ი. ცერცვაძე, ცოდნის აღმნიშვნელი ორი ფუძე. 1. სვან. მა-ხალ. 2. ან. წინუ, თ. უნ. სამეც. სესია მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 37 წლისთავისადმი, თეზისები, 1954.

ლნტ. ეჯჟი ლიხ მ ა ჲ დ ა რ, ერე... 303,21 'ისეთი მშიერები არიან. რომ'..

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ., ზსვ., ლნტ. მაიდ, ლშხ. მაიდ 'მშია'; II პ., ზსვ., ლნტ. ჯაიდ, ლშხ. ჯაიდ 'გშია'; III პ. ხაიდ, ლშხ. ხაიდ 'შია'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. დედე საბრა, მ ა ი დ 253,20 'დედა (საბრალო), მშია'; ათხე ალას, ჰყინტს, ხ ა ი დ მევარ 159,21 'ახლა ამას, ბიჭს, შია ძალიან'; ბქვ. ათხე მი მ ა ი დ 'ახლა მე მშია'; ლნტ. სურუ მ ა ი დ (ჩვ. ტ.) 'ნამეტანი მშია'; დიარ ლოქ ხ ა ჲ დ ხ 210,32 'პური შიათო'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. მაიდგნ || მაიდგნდა || მაიდა, ბქვ. მაიდგნ, ლშხ. მაიდგნ || მაიდგნდა, ლნტ. მაჲდგნ || მაჲდგნდა || მაიდგნდა 'მშიოდა'; III პ., ბზ. ხაიდგნ || ხაიდგნდა || ხაიდა, ბქვ. ხაიდგნ, ლშხ. ხაიდგნ || ხაიდგნდა, ლნტ. ხაჲდგნ || ხაჲდგნდა || ხაიდგნდა 'შიოდა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. საბლუ ჟეღარ, დრუ ჯ ა ი დ გ ნ დ ა ხ 181,1 'საწყალო ძაღლებო, ვაითუ გშიოდათ'; ხ ა ი დ გ ნ დ ა ხ წინწლარს 139,27 'წიწილებს შიოდათ'; ლნტ. მი გუნ მ ა დ გ ნ 'მე ძალიან მშიოდა'; ხ ა ი დ გ ნ დ ა მევარ 'შიოდა ძალიან'; ეჯჟი ხ ა ჲ დ გ რ დ ა, ერე იდგაროლდა მაიდშუ 303,26 'ისე შიოდა, რომ კვდებოდა შიმშილით'.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I'ის ნიმუშები კილოთა მიხედვით:

ბზ. შომვჯა ესერ ხ ა ი დ გ ნ დ ე დ ს, ეჩქა აშხვ ჩუე იზობდა 287,5 'როცა შიოდეს, მაშინ ერთს შეჭამდესო';

ლნტ. ბეფშს ერ ხ ა ი დ გ ნ დ ე ს, ლენაბაჟ მად ლი 'ბავშვს რომ შიოდეს, არც არის გასაკვირი'.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. მეჲდი || მეიდინი, ბქვ., ლშხ. მეიდინი, ლნტ. მეჲდი || მეიდნი || ჟი მეიდვნი 'მეშიება'; III პ., ბზ. ხეჲდი || ხეიდინი, ბქვ., ლშხ. ხეიდინი, ლნტ. ხეჲდი || ხეიდნი || ჟი ხეიდვნი 'ეშიება'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ეჩას ხ ე ჲ დ ი იმვაღლე 356,37 'იმას შეიძლება შიოდეს';

ლნტ. ამზუმ ხაჲნს ეჯმინს ხ ე ჲ დ ი ხ 'ამდენ ხანს მაგათ უკვე ეშიებათ'.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: მხ. რ., I პ., ბზ. მაიდენა, ბქვ., ლნტ. მაიდენა, ლშხ. მაიდენ 'მშიებია'; III პ., ბზ. ხაიდენა; ბქვ., ლნტ. ხაიდენა, ლშხ. ხაიდენ 'შიებია'.

ნიმუშები: ბზ. ეჩუნღო აჯაღ ხოშაჲ ხაიდენა 'შემდგომ კიდევ უფრო შიებია';

ლნტ. ათხე გუდ ადკვედ, ერ ბგგიდ მაიდენა 'ახლა მიეხვდი, რა მაგრა მშიებია'; ბაჰარს ლოქ ლგმაზვებლი, ეჯჟი ლოქ ხაჲდენა 'ქვებს „ნაჭამა", ისე შიებია'.

8. ხაფგნ 'სწყურია'

საწყისი და მიმღეობა:

ბზ. ლიფნე, ბქვ. ლიფირ || ლიფგრ, ლშხ. ლიფგნე 'წყურვილი'; ბზ. მაფნჰრ, ლშხ. მაფნჰრ 'მწყურვალი'.

აწმყო: მხ. რ., I პ., ქვსვ. მაფგნ, ბქვ. მაფგრ 'მწყურია': III პ., ბზ. ქვსვ. ხაფგნ, ბქვ. ხაფგრ 'სწყურია'.

ნიმუშები: ბზ. იმჟი მაფგნ 'როგორ მწყურია'; ბქვ. ეჯის მასარდ ხაფგრ 'იმას ძალიან სწყურია'; ლნტ. მაფგნ ლოქ, მაფგნ 'მწყურიაო, მწყურია'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ., ლნტ. მაფნგნ || მაფგნდა, ბქვ. მაფგნდა, ლშხ. მაფგნდა 'მწყუროდა'; III პ., ბზ., ლნტ. ხაფნგნ || ხაფგნდა, ბქვ. ხაფგნდა, ლშხ. ხაფგნდა 'სწყუროდა'.

ნიმუშები: ბზ. ისგუ ლიწედ მაფნგნ 'შენი ნახვა მწყუროდა'; ლიც გუნ ხაფგნდა 'წყალი ძალიან სწყუროდა'.

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ბზ., ლნტ. მეფნი, ბქვ. მეფგრი || მეფნი, ლშხ. მეფნნ 'მეწყურება'; III პ., ბზ., ლნტ. ხეფნი, ბქვ. ხეფგრი || ხეფნი, ლშხ. ხეფნნ 'ეწყურება'.

ნიმუშები: ბზ. სგიმ მეფნი 'ვეძა მეწყურება'; სი ჰე ჯაფგნ, ეჯას იმღადო ხეფნი 'შენ თუ გწყურია, იმას რატომ არ ეწყურება?'

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ. მაფგნენა, ბქვ. მაფრენა || მაფნენა, ლშხ. მაფგნენა, ლნტ. მაფგნენა 'მწყურებია'; III პ., ბზ. ხაფგნენა, ბქვ. ხაფრენა || ხაფნენა, ლშხ. ხაფგნენა, ლნტ. ხაფგნენა 'სწყურებია'.

ნიმუშები: ბზ. ფარსაგდ ჯაფგნენა?! 'როგორ გწყურებია?!' ლირდედ მეჩის ი გუშგვეჲშალ ხაფგნენა 'მოხუცსაც სიცოცხლე ჩვენსავით სწყურებია'.

მაიდ 'შია', მაფგნ 'მწყურია' ზმნების ნიმუშები დაბეჭდილ ტექსტებში მცირე რაოდენობით შეგვხვდა. შევეცადეთ დანაკლისი ჩვენი ნიმუშებით შეგვევსო.

მაიდ და მაფგნ ორივე ოდენობიექტური წყობის საშუალი გვარის ზმნაა. საკუთარი წარმოებისა გააჩნიათ მხოლოდ

აწმყოს წრის ნაკვეთები, მყოფადისეულ დროებში იყენებენ ამავე ძირისაგან ნაწარმოებ ვნებითებს: შდრ. მ ა ი დ ი 'მშია' და მ ე ჲ დ ი 'მეშიება', ბზ. მ ა ფ ჳ ნ 'მწყურია' და მ ე ფ ნ ი 'მეწყურება'. დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით, როგორც რიგ სხვა შემთხვევაში, აქაც ქართულის ანალოგიური ვითარებაა.

უღვლილების პარადიგმებში წარმოდგენილი ფორმებისა და აგრეთვე საილუსტრაციო მასალების ანალიზმა შემდეგი გვიჩვენა: უწყვეტელში ლენტეხურის მ ა დ ჳ ნ || მ ა დ ჳ ნ დ ა ფორმებში ძირისეული ი არ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ლაშხურის I თურმეობითის მ ა ი დ ე ნ 'მშიებია' და ა. შ. ფორმებს, იმით იქცევს ყურადღებას, რომ ნაკვთის მაწარმოებელი არ ჩანს. შდრ. სხვა კილოების მ ა ი დ ე ნ ა და მ ა ი დ ე ნ ა ფორმები.

რაც შეეხება ძირს, ვ. თოფურიას მონოგრაფიაში ხ ა ი დ დაშლილია შემდეგნაირად: „ხ-ა-დდ, ლშხ. ხ-ა-იდ"[68], ასევე გ. დეეტერსს (G. Deeters) გამოყოფილი აქვს -იდ ნაწილი[69].

მ ა ფ ჳ ნ 'მწყურია' ზმნა ბალსქვემოურში მ ა ფ ჳ რ ფორმით წარმოგვიდგება, თუმცა მ ა ფ ჳ ნ წარმოებაც გავრცელებული ჩანს. ძირი ჩანს, არის ფ ი ნ / ფ ი რ.

9. ხ ა ხ ი ა დ 'უხარია'

საწყისი ბალსზემოურ კილოზე: ლიხ̃დე 'გახარება'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ., ზსვ., ლნტ. მახიაჲდ, ბქვ. მახჲადდ || მახიად, ლშხ. მახიად 'მიხარია'; III პ., ზსვ., ლნტ. ხახიაჲდ, ბქვ. ხახჲადდ || ხახიად, ლშხ. ხახიად 'უხარია'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ნაჲ ნ ა ხ ი ა ჲ დ ისგვი ლიჩ̃ჟაჲლ 72,31 'ჩვენ გვიხარია შენი ცოლის თხოვა'; ტარიელ, ჲეხე ი გეზალ ჯ ა ხ ი ა ჲ დ 53,18 'ტარიელ, ცოლი და შვილი გიხარია';

ლშხ. ეჯი გუნ მ ა ხ ი ა დ 'ის ძალიან მიხარია'.

ლნტ. ხ ა ხ ი ა ჲ დ 151,32 'უხარია';

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. მახიადჲნ || მახიადჲნდა || მახიადდა, ბქვ. მახდჲნ, ლშხ. მახიად ჳ ნ || მახიად ჳ ნდა, ლნტ. მახიადჲნ || მახიადჲნდა 'მიხაროდა'; III პ., ბზ. ხახიადჲნ || ხახიადჲნდა || ხახიადდა, ბქვ. ხახდჲნ, ლშხ. ხახიად ჳ ნ || ხახიად ჳ ნდა, ლნტ. ხახიადჲნ || ხახიადჲნდა.

---

68 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 50.

69 გ. დ ე ე ტ ე რ ს ი, ნ/რ მონაცვლეობის შესახებ ქართულში, დაბეჭდილია Sybaris-ში, Wiessbaden, 1958, თარგმნა გ. ნ ი ნ უ ა მ.

ნიმუშები: ბზ. დჳვს ხჳხჲადგნდა 242,19 'დევს უხაროდა';

ბქვ. ამჳრე ხოლა მიჩ ი ხჳხდგნ 'ამათი ცუდი მასაც უხაროდა'[70];

ლნტ. მაშენე ეჯი მჳხიადგნდა 'ყველაზე მეტად ის მიხაროდა'.

კავშირებითი პირველის ნიმუში ლენტეხური კილოდან: ეკჳლის ლოქ ჯექნე, სი ლოქ ერ ჯჳხჲადგნდეს 310,4 'ისეთ რამეს გეტყვი, რომ შენ გიხაროდესო',

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ბზ., ლნტ. მეხიჳდი, ბქვ. მეხდი, ლშხ. მეხჳდი 'გამიხარდება'; III პ. ხეხიადი, ბქვ. ხეხდი, ლშხ. ხეხჳდი 'გაუხარდება'.

ნიმუშები: ბზ. ისგუ ხოჩა მიი მეხიჳდი 'შენი კარგი მეც გამიხარდება'; ამჟი ლისედ იმღადო ხეხიჳდი? 'ასე დარჩენა რატომ არ გაუხარდება'?

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ. მჳხიადენა, ბქვ. მჳხდენა, ლშხ. მახჳდენა, ლნტ. მჳხიადენა '(გა) მხარებია'; III პ,. ბზ. ხჳხიადენა, ბქვ. ხჳხდენა, ლშხ. ხახჳდენა, ლნტ. ხჳხიადენა '(გა) ხარებია'.

ნიმუშები: ბზ. ისგუ ლიკედ ჩიგჳრ დამ მჳხიადენა 'შენი მოსვლა ხომ ყოველთვის (გა)მხარებია'; ხელწიფს ამზუმ მჳმგვეშ ხჳხიადენა 393,4 'ხელმწიფეს ასე არაფერი გახარებია';

ლნტ. ჰკვიანოლს ხჳხიადენა 270,6 '... ჰკვიანოლს გახარებია'; დაშტვს ი ღობენატორს ხჳხჲადენახ ი ჩუ ლახომახ 122,19 ... 'დათვს და გუბერნატორს „ხარებიათ" და ქე შეუჰამიათ'.

ხჳხიჳდ საშუალი გვარის ობიექტური წყობის ზმნაა, ზემოთ განხილულ ზმნათა მსგავსად საკუთარი წარმოებისა მხოლოდ აწმყო. უწყვეტელი და პირველი კავშირებითი აქვს. მყოფადსა და პირობითში ამავე ძირისაგან ნაწარმოები ვნებითის ფორმებია გამოყენებული.

ახლა რაც შეეხება ძირეულ მასალას. სვანური ხჳხიად'ის შინაარსს ქართულში გადმოსცემს უ-ხარ-ი-ა, მეგრულში ო-ხიოლ-უ,

---

[70] ვსარგებლობთ თ. შარაძენიძის წერილში „სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი" მოყვანილი ნიმუშით, იქვე, IX—X, 1958, გვ. 243.

ჰანურში ა-ხელ-უ 'გაუხარდა', ე. ი., გამოიყოფა „ჰან. ხ-ელ, მეგრ. ხ-ი-ოლ, ქართ. ხ-არ, სვ. ლი-ხ-ი-ად-ე"[71]. ჩანს, ხ ძირი საერთო- ქართველურია და ერთი და იგივე მნიშვნელობაა მასთან დაკავშირებული[72].

აქ წარმოდგენილი ნიმუშების შესახებ ზოგ რამეს აღვნიშნავთ: უურადღებას იქცევს ი ხმოვანი მ ა ხ ი ა დ ფორმაში, რომელიც ბალსქვემოურის აწმყოში ჲ'ად არის ქცეული. შდრ. ბქვ. მ ა ხ ჲ ა დ 'მიხარია'. ი ხმოვანი სულ იკარგვის იმავე ბალსქვემოურის უწყვეტელსა, მყოფადსა და თურმეობით I"ში: მ ა ხ დ ჳ ნ 'მიხაროდა'; მ ე ხ დ ი „მეხარება", 'მიხაროდეს იქნება', მ ა ხ დ ე ნ ა 'მხარებია'. ამ მხრივ სხვა კილოებთან შედარებით ლაშხურშიც შეინიშნება სხვაობა. მართალია, ბალსზემოურისა და ლენტეხურის მსგავსად აქაც ორივე ხმოვანია დაცული: მ ა ხ ი ა დ ჳ ნ || მ ა ხ ი ა დ ჳ ნ დ ა, მაგრამ მყოფადსა და თურმეობით I"ში გვაქვს: მ ე ხ ი დ ი 'მიხაროდეს იქნება', მახიდენა 'მხარებია'. როგორც ვხედავთ, -ად სუფიქსის -ა ხმოვანი არ ჩანს, წინამავალი -ი- კი გრძელია. რატომ გვაქვს კილოებს შორის ასეთი სხვაობა? საკითხი საინტერესო ჩანს, თუმცა პასუხის გაცემა ჭირს.

10. ხ ა ლ ა ტ 'უყვარს'

ნაზმნარი სახელები კილოთა მიხედვით:

ზემოსვ. ლილატ || ლილატვ || მალატ, ლშხ. ლილატ, ლნტ. ლილატ 'სიყვარული'. ზსვ., ლნტ. ლელატ, ლშხ. ლელატ 'საყვარელი'; ზსვ. მოლატ, ლშხ. მოლატ, ლნტ. მგლატ 'მოყვარული'; ზსვ., ლნტ. ნალატვ, ლშხ. ნალატ 'ნაყვარები'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ეფენდის ესერ დინჭ ლ ი ლ ა ტ ხაკვდა 372,16 'ეფენდის ქალიშვილის სიყვარული ნდომებიაო'; ბქვ. პოეზ. მი ისგვი მ ა ლ ა ტ გუთე სგა ამჩად 340,25 'მე შენი სიყვარული გულში ჩამივარდა'; ლნტ. ამ დვრეს ხეყადდა ლ ე ლ ა ტ (ჩვ. ტ.) 'ამ დროს ჰყავდა საყვარელი'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ., ზსვ., ლნტ. მალატ, ლშხ. მალატ 'მიყვარს'; III პ., ზსვ., ლნტ. ხალატ, ლშხ. ხალატ 'უყვარს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ეჩას ესერ ლივქე ხ ა ლ ა ტ მენვარ 178,4 'იმას ძილი უყვარსო ძალიან'; ბქვ. მ ა ლ ა ტ ხ ისგუ გეზლირ 94,27

---

71 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი..., გვ. 422.

72 იქვე.

‘მიყვარს შენი შვილები’; ლშხ. პოეზ. სურუ მალატ შვანე ლახვარ 32,2 ‘ძალიან მიყვარს სვანეთის მთები’; მეჯვარ ლოქ ხალატ ჯედ 43,9 ‘ძალიან მიყვარხარო შენ’; ლნტ. ძღვდ ხალ0ტხ 7,19 ‘ძალიან უყვართ’.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ზსვ. მალტჷნ || მალტჷნდა, ლშხ. მალტჷნ || მალტ ჷნდა, ლნტ. მალატჷნ || მალატჷნდა ‘მიყვარდა’; III პ., ზსვ. ხალტჷნ || ხალტჷნდა, ლშხ. ხალტჷნ || ხალტჷნდა, ლნტ. ხალატჷნ || ხალატჷნდა ‘უყვარდა’.

ნიმუშები: ბზ. მი ეჯ დინა გუნ მალტჷნ ‘მე ის გოგო ძალიან მიყვარდა’; ხეხვს უშხუ ბაპ ხალტჷნდა 354,16 ‘ცოლს ერთი მღვდელი უყვარდა’; პოეზ. თვეთვნე ლერქვილპარ ხალტჷნდა 324,76 ‘თეთრი ტანსაცმელი უყვარდა’; ბქვ. ამიშ ლიშდრაწლ ბოფშაპრსი მასაპრდ ხალტჷნხ 188,6 ‘ამის თამაში ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ’; ეჯი ნაღეჟურ ხოშილ ხალაჭდან 44,23 ‘ის ბიჭი უფრო უყვარდა’; ლნტ. დენას მად ხალატჷნ ჯე (ჩვ. ტ.) ‘გოგოს არ უყვარდა ის’; ლენტეხალს მევარ ხალტჷნდახ იარაღ 7,24 ‘ლენტეხელებს ძალიან უყვარდათ იარაღი’.

კავშირებითი I’ის ნიმუშები: პოეზ. ეშხუს ღური ლეჟა, მარე ე ჯალტჷნდე, გამახარე 342,3 ‘ერთს წავალ ზემოთ, მაგრამ თუ გიყვარდე, გამახარე’.

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ზსვ. მელტი, ლშხ. მელტი, ლნტ. მელაჭი ‘მეყვარება’; II პ., ზსვ. ჯელტი, ლშხ. ჯელტი, ლნტ. ჯელაჭი ‘გეყვარება’; III პ., ზსვ. ხელტი, ლშხ. ხელტი, ლნტ. ხელაჭი ‘ეყვარება’.

ნიმუშები: ბზ. ისგუ მჷსგდი ხვი, ჲაღო, ჲაპრ მელტი ისგვანქა 123,33 ‘შენი შემყურე ვარ, აბა, ვინ მეყვარება შენს გარდა’; ლშხ., პოეზ. მი ისგვიზუმ ჲარ ღალ მელტი 344,17 ‘მე შენოდენა ვინ მეყვარება’; ლნტ. ეჯი მელაჭი ‘ის მეყვარება’; ეჯი ლოქ ხოშა ხელაჭი 280,9 ‘ის უფრო მეტად ეყვარება’.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. მალტჷნა, ბქვ. მაპლტენა || მალტენა, ლნტ. მალატენა ‘მყვარებია’; III პ., ბზ., ლშხ. ხალტჷნა, ბქვ. ხაპლტენა || ხალტენა, ლნტ. ხალატენა ‘ჰყვარებია’.

ნიმუშები: ბზ. ეჩი ხეხვ სალდათს ხალტჷნა 272,7 ‘იმისი ცოლი „სალდათს“ ჰყვარებია’;

ლახე მპრა -ჲ მპრა უშხვპრე თხვიმ ხალტჷნახ 6,4 ‘რაკი კაცსა და კაცს ერთმანეთის თავი ჰყვარებიათ’... სუბ. წყობით: დედეს მიშგვა მამ ხვალტჯნა 78,5, უშგ. ‘დედაჩემს არ ვყვარე-

ბივარ'; ბქვ. პოეზ. დუნიაჲი დარ მალტენა 344,11 'ამქვეყნად არავინ მყვარებია'; ლშხ. ეჯღა ხალტენა ამჲი, ერე... 81,8 'მიტომ ჰყვარებია ასე, რომ'..; ლნტ. ეჯის ხალატენა ცხეკი ზურალ 74,26 'იმას ჰყვარებია ტყის ქალი'; ივანა ლოქ მინს ძღვდ ხალატენახ 178,6 'ივანე მათ ძალიან ჰყვარებიათ'; ეჩის ხალტენა (sic) მგწანაში ზურალ 'იმას ჰყვარებია წანაშელი ქალი'.

11. ხასისგ 'სძულს'

ბზ. ლისისგ 'სიძულვილი', ლესისგ || ლემსისგ 'საძულველი', მოსისგ 'მოძულე', ნჳმსისგვ '„ნაძულები"', უსისგ '„უძულველი"'.

აწმყო: მხ. რ., I პ., ზსვ. მჳსისგ, ლშხ. მასისგ, ლნტ. მჳსისკ 'მძულს'; III პ., ზსვ. ხჳსისგ, ლშხ. ხასისგ, ლნტ, ხჳსისკ 'სძულს'.

ნიმუშები: ბზ. მი ლიჩრჟჳლ მჳდეჲ, თხვიმი მასისგ 87,25 'მე ცოლის თხოვა კი არა, თავიც მძულს'; მევარ ხასისგხ, მარე ხაყლუნიხ 204,21 'ძალიან სძულთ, მაგრამ ეშინიათ'; სუბ. წ. ამსვჳლს ხვასისგ 70,3 'ადამიანს ვძულვარ'; ბქვ. ესნჳრი ჯალჩსი ხასისგ მიჩა ღვაჭარ... 251,34 'თურმე მოჯამაგირესაც სძულებია მისი ვაჭარი'; ლნტ. ალ მარე მი ძღვდ მასისკ (ჩვ. ტ.) 'ეს კაცი მე ძალიან მძულს'; ხასისკ ბზითუნახჳვ 157,32 'სძულს მზეთუნახავი'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ზსვ. მჳსსგნ || მჳსსგნდა || მჳსისგდა, ლშხ. მასსგნ || მასსგნდა, ლნტ. მჳსსკნ || მჳსსკნდა 'მძულდა'; III პ., ზსვ. ხჳსსგნ || ხჳსსგნდა || ხჳსისგდა, ლშხ. ხასსგნ || ხასსგნდა, ლნტ. ხჳსსკნ || ხჳსსკნდა 'სძულდა'.

ნიმუშები: ბზ. ჰიტი მიჩა ლახვბას ხასსგნდახ 310,25 'ჰიტი თავის ძმებს სძულდათ'; ლნტ. ეჯ ნადიენარს ეჯეინ ხჳსსკნ მინე უდილ, ერე ვიჯი წიწილშალ 'იმ გოგონებს ისე სძულდათ თავისი და, როგორც გველის წიწილა'; დიენაცჳდს ხჳსსკნდა ბეფშე 'დედინაცვალს სძულდა ბავშვი'.

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ზსვ. მესსგი, ლშხ. მესსგჳ, ლნტ. მესსკი 'მეძულება'; III პ., ზსვ. ხესსგი, ლშხ. ხესსგჳ, ლნტ. ხესსკი 'ეძულება'.

ნიმუშები: ბზ. ამუნღო ხოშჳჲ მესსგი 'აწი კიდევ უფრო მეძულები'; ლამბაჭშნა იმნჳრ ხესსგიხ? 'სახლიშვილები რატომ ეძულებით'? ლნტ. სი ჯიხალ, ერე ალ ლეზვებ მი მესსკია? 'შენ გგონია, რომ ეს საქმელი მე მეძულება'?

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: მხ. რ., I პ., ზსვ. მ ა ს ს გ ე ნ ა, ლშხ. მ ა ს ს გ ე ნ ა, ლნტ. მ ა ს ს კ ე ნ ა 'მძულებია'; III პ., ზსვ. ხ ა ს ს გ ე ნ ა, ლშხ. ხ ა ს ს გ ე ნ ა, ლნტ. ხ ა ს ს კ ე ნ ა 'სძულებია'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ამღა ცვიდდ ჯ ა ს ს გ უ ნ ა 'ამისათვის ტყვილად გძულებია'; ლნტ. მი ხვაჲ მ ა ს ს კ ე ნ ა (ჩვ. ტ.) 'მე ბევრი მძულებია'..., დიენაცვლს ხ ა ს ი ს კ უ ნ ა მინე გეზლილ 'დედინაცვალს სძულებია თავიანთი შვილები'; დიენაცვლს ეჯი ხ ა ს ს კ ე ნ ა ალმინ, ერე... 165,18 'დედინაცვალს ისე სძულებია ესენი, რომ'...

გრძნობის გამომხატველი ზმნები სვანურში (მ ა ლ ა ტ 'მიყვარს'; მ ა ს ი ს გ 'მძულს') ქართულის მსგავსად დრონაკლია. გვხვდება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური წყობით.

მ ა ლ ა ტ 'მიყვარს', ლ ი ლ ა ტ ვ 'ყვარება' და ა. შ. ძირად, როგორც ჩანს, ლ ა ტ'ს გამოიყოფს. მონათესავე ენებში შესატყვისი არ ჩანს.

სვანური ხ ა ს ი ს გ'ის შინაარსს ქართულში ძ ა გ ს გადმოსცემს. მეგრულში ბგერითი შესატყვისი ჯ ო გ გვაქვს (ქართ. ძ ა გ ს — მეგრ. ჯ ო გ უ), სვანურში ქართულ-მეგრულის შესატყვისი ჟ ა გ უნდა გვქონოდა, მაგრამ გვაქვს ს გ (ხ ა ს ი ს გ)[73]. ანალოგიური ვითარებაა ზან. მარ-ძგე-ანი, სვ. ლე-რ-სგე-ენ 'მარჯვენა'[74].

გ. კლიმოვს „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში" ერთად მოუქცევია ქართ. ძ ა გ 'быть противным', მეგრ. ჯ ო გ 'быть противным; презирать'; ჭან. (ნ) ჯ უ გ-, ჯ ო გ- 'быть противным; наскучать; სვანური ჟ ა გ-/ჟ გ- 'отравлять'[75].

როგორც ზემოთ აღინიშნა, დადგენილი ბგერათშესატყვისობის მიხედვით ქართულ-ზანურის შესაბამისად სვანურში უნდა გვქონოდა ჟ ა გ. მაგრამ გ. კლიმოვის მიერ მოშველიებული ჟ ა გ 'порох' არ უნდა იყოს ქართულ-ზანურ ფუძეთა შესაბამისი სიტყვა სვანურში. სხვა რომ არ იყოს, ეს სიტყვები სემანტიკურად ძალიან დაცილებული ჩანან. ყოველ შემთხვევაში მეტი საბუთიანობაა საჭირო, ერთი მხრივ, ქართულ ძ ა გ-, ზანურ (ნ) ჯ უ გ/ჯ ო გ და,

---

[73] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იქვე, XII, 1961, გვ. 154.

[74] გ. რ ო გ ა ვ ა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იქვე, IV, თბილისი, 1953, გვ. 45.

[75] Г. А. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков,... გვ. 236.

მეორე მხრივ, სვანური ჟ ა გ (ჟაგარ) 'წამლის' ერთიანობის დასამტკიცებლად.

წარმოდგენილი საილუსტრაციო ნიმუშების შესახებ შემდეგს აღვნიშნავთ: ზემოსვანურში ლ ი ლ ა ტ ვ 'სიყვარული' ნამყო დროის მიმღეობის მსგავსად ვ'თია გართულებული. გვხვდება მარტივი ლ ი ლ ა ტ ფორმაც. ლაშხურის ნ ა ლ ა ტ 'ნაყვარები' ვ-ს გარეშეა წარმოდგენილი.

ბალსქვემოურის უწყვეტელში დასტურდება ნ'არიანი ხ ა ლ ა ტ დ ა ნ. დრო-კილოთა III სერიის ფორმებიდან ყურადღებას იქცევს თურმეობით I'ში უშგულურის ხ ვ ა ლ ტ ა ნ ა 'ვყვარებივარ' (შდრ. უშგ. ხ ა ღ ვ ა ნ ა 'ჰქონია') და ლენტეხურის ხ ა ლ ტ ე ნ ა. პირველში მოსალოდნელი ხ ა ლ ტ ე ნ ას ნაცვლად ა'ნიანი ფორმა გვაქვს, მეორეში კი რედუქცია მომხდარა, რაც არ არის დამახასიათებელი ლენტეხურისათვის.

მ ა ს ი ს გ 'მძულს' ზმნასთან დაკავშირებით შემდეგი ითქმის: ლენტეხურისათვის დამახასიათებელი ცნობილი თავისებურების გამო (ლენტეხური ს გ ბგერათკომპლექსს ვერ იგუებს) აქ ეს ზმნა მ ა ს ი ს კ ი'ს სახით წარმოგვიდგება.

უწყვეტელში ბალსზემოურისათვის დადასტურდა მ ა ს ი ს გ და ფორმაც, ჩვეულებრივი მ ა ს ს გ ვ ნ || მ ა ს ს გ ვ ნ დ ა'ს პარალელურად.

ლენტეხურში თურმეობითის პირველისათვის რედუცირებული მ ა ს ს კ ე ნ ა და ა. შ. ფორმები შეგვხვდა (ასე გვაქვს შეტანილი პარადიგმებშიც), მაგრამ, როგორც აქვე წარმოდგენილი ნიმუში ადასტურებს, ურედუქციო ხ ა ს ი ს კ ე ნ ა'ც იხმარება, რაც უფრო ბუნებრივი ჩანს ლენტეხურისათვის.

12. ხ ა შ ა 'ემუნათება, შურს'

სახელები კილოთა მიხედვით: ბზ., ლშხ. ლიშრნე, ბქვ., ლნტ. ლიშონე 'შურება, დამუნათება'; ბზ., ლშხ. ლეშრნე, ბქვ., ლნტ. ლეშონე 'დასამუნათებელი'; ბზ. მეშონჭლ, ბქვ., ლნტ. მეშონჭლ, ლშხ. მეშრნჭლ 'დამამუნათებელი'; ბზ. ნაშრნჭლვ, ბქვ., ლნტ. ნაშონ[ალ], ლშხ. ნაშრნჭლ 'დანამუნათები'; ბზ., ლშხ. უშრნჭლ/ა, ბქვ., ლნტ. უშონ[ალ] 'დაუმუნათებელი'.

ა წ მ ყ ო: ყველა კილოსათვის მხ. რ., I პ., მაშა 'მემუნათება, მშურს'; II პ. ჯაშა 'გემუნათება, გშურს'; III პ. ხაშა 'ემუნათება, შურს'.

ნიმუშები: ბზ. ისგოე მაშგვეშ მაშა 'შენთვის არაფერი მშურს'; ნიშგვეჲ მახვში ამთან დიარს მაშდეჲ ტაბგი ნარყვნაჭს ლახე ნიშდე, უჯაი ხაშა 181,3 'ჩვენს ბატონს ამისთანა პური კი არა და ნასუფრალს როცა გვიყრის, ისიც შურს'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. მაშონ || მაშონდა, ბქვ. მაშონ, ლნტ. მაშონდა 'მემუნათებოდა, მშურდა'; III პ., ბზ., ლშხ. ხაშონ || ხაშონდა ბქვ. ხაშონ, ლნტ. ხაშონდა 'ემუნათებოდა, შურდა'.

ნიმუშები: ბზ. ეჩი ლირდე ჯაშონა? 'იმის სიცოცხლე გშურდა?' პოეზ. ცოდვა გუშგვეჲ ნოვ ხაშდეხახ, მაჲ ხაშონდახ ხეხვარ გუშგვედ? 80,12 'ცოდვა ჩვენი არ გამოლეოდეთ, რად ენანებოდათ ცოლები ჩვენთვის'?

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ბზ. მეშენი, ბქვ. მეშვენი || მეშენი, ლშხ. მეშონი, ლნტ. მეშონი 'მეშურება'. III პ., ბზ., ხეშვენი, ბქვ. ხეშვენი || ხეშენი, ლშხ. ხეშონი, ლნტ. ხეშონი 'ეშურება'.

ხობიც 'შეუძლია' ზმნასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბალსზემოური უპირისპირდება დანარჩენ კილოებს იმდენად, რამდენადაც იგი არ წარმოვვიდგენს ბოლოკიდურ ა'ს, შდრ. ბქვ., ლნტ. მიბცა და მიბიცა 'შემიძლია'. ლაშხური თითქოს იმეორებს როგორც ბალსზემოურის, ისე ბალსქვემოურის ვითარებას: ხობიც || ხობცა. ბალსქვემოურისა და ლაშხურის ხობცა ფორმებში ფუძისეული -ი- რედუცირებულია, შდრ. ბზ. მიბიც ლნტ. მიბიცა.

მყოფადში ლაშხური ხებცი'ს ბოლოკიდური -ი გრძელი ჩანს.

6. ხოცხა 'ურჩევნია'

საწყისი კილოთა მიხედვით:

ბზ., ლშხ. ლიცხენე, ბქვ., ლნტ. ლიცხონე.

აწმყო (ყველა კილოსათვის): მხ. რ., I პ. მიცხა 'მირჩევნია', II პ. ჯიცხა 'გირჩევნია', III პ. ხოცხა 'ურჩევნია'.

ნიმუშები: ბზ. ამჟი ლირდე მიცხა 304,20 'ასე ყოფნა მირჩევნია'; ნაჲ ნიშგვეჲ ლაბხჳაცახაჳნ ლიყვნაჲლ ნიცხა 164,6 'ჩვენ ჩვენს მეუღლეებთან დაწოლა გვირჩევნია'; ეჩას ესერ ლიშიაჲლ ხოცხახ 4,22 'იმას ბრძოლა ურჩევნიათო'; ალა ალექსის მაჲდ ხუცხა 255,14 'ეს ალექსის არ უნდა (ურჩევნია)'; ბქვ.

ისგუ როქ შიმი ნაფიშვდ მიცხა 72,14 'შენ მიერ ხელის გახსნა მირჩევნიაო'; ღვაშუთ ლეძენძურე ჯიცხაუთ?.. 114,4 'ჯიხვი გასატყავებელი გირჩევნია'?... ლშხ. ...ძღა გვიცხა, ერე... მშრე ჩინოჯშ ხოჩა ლუსეს... 17,14 ...'ძმიტომ გვირჩევნია, რომ... კაცი ყველაფრად კარგი იყოს'; ლნტ. იშა ლოქ მიცხაი- ...'ვისი მირჩევნიაო დო'... ათხე ლიხელწიფ ლოქ ხოცხადა. მა ლოქ ხოცხა 140,39 'ახლა მეფობა ურჩევნიაო, თუ რა ურჩევნიაო'...

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ. მიცხუნ || მიცხუნდა, ბქვ. მიცხონ, ლნტ. მიცხანდა 'მერჩია'; III პ., ბზ. ხოცხუნ || ხოცხუნდა, ბქვ. ხოცხონ, ლნტ. ხოცხანდა 'ერჩია'.

ნიმუშები: ბზ. დინას ბფიცართე ხოცხუნ ლიწვილშლ 350,28 'გოგოს ოფიცერზე გათხოვება ერჩია'; სერ ქირსუ ლიქჩეს მშგ მიცხუნდა 423,14 'ოსპის მომკას ყველაფერი მერჩია'; პოეზ. დო ჯიცხანდა ლჯიარ ლირდე? 296,14 '(რად) არ გერჩია ცოცხლად ყოფნა'? ბქვ. შეზგა ლიჭედ დესვაჯშ მოდე ხოცხონ, ეჯის გუდ კიდახ, ერე ლაჭად დემეგ ხად 297,34 'ოჯახს ვისი მოსვლაც არ სურდა, იმას აგრძნობინებდნენ, მოსასვლელი აღარ გაქვსო'; ლნტ. ალ დენაჯ ჭაშს მად ხოცხანდა ეჩი მინეცახენ ლიზი 'ამ გოგოს ქმარს არ ერჩია იმისი მათთან სიარული'.

კავშირებითი I'ის ნიმუში ლენტეხური კილოდან: შომაჯ ლოქ მიჩ ხოცხანდეს 178,38 'როცა მას ერჩიოსო'

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. მეცხენი, ბქვ., ლნტ. მეცხენი 'მერჩივნება'; III პ., ბზ., ლშხ. ხეცხენი, ბქვ., ლნტ. ხეცხენი 'ერჩივნება'.

ნიმუშები: ბზ. ...ეჩნიანიდ მაჯ ჯეცხენი, ეჯას ჯაჩო 362,12 ...'იმისათვის რაც გერჩიოს, იმას გიზამ'; ბქვ: მ'ესერ ხეცხენი, ეჯის ეს'ერ ხეჩო 311.28 'რაც გერჩიოს, იმას გაგიკეთებო'; ლშხ. ადერჯაჯ მიჩ ხეცხენი... 47,15 'ვინც მას ერჩივნება'...; ლნტ. აღვე გვეცხენი 30,26 'თუ გვერჩივნება' მად ხეცხენი 62,2 'არ ერჩივნება'.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. მაცხენა, ბქვ., ლნტ. მაცხენა || ბქვ. მაცხონა 'მერჩია'; III პ., ბზ., ლშხ. ხაცხენა, ბქვ., ლნტ. ხაცხენა || ბქვ. ხაცხონა 'ერჩია'.

ნიმუშები: ბზ. მიჩა ლიკდე ესერ ე მრდ ხაცხენა... 291,24 'მისი მოყვანა თუ არ სურდაო'...; ბქვ. აზურალს ხაცხენა 338,36 'ამ ქალს ერჩია თურმე'; ლშხ. ეჩგნღო დეკთაკ ხაცხენა დალგლს ცხეტაკნ 55.20 'იმის შემდეგ დეკთაკი ერჩივნა თურმე

დილილს ცხეტაკთან შედარებით'; ლნტ. მად ხაცხენა ეჩა გახარება 'არ ერჩივნა მისი გახარება'.

ხოცხა 'ურჩევნია' ზმნა ზოგი რამით იქცევს ყურადღებას. ნაზმნარი სახელი ბალსზემოურსა და ლაშხურში -ენ სუფიქსს გამოიელენს, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში -ონ'ს, შდრ. ბზ., ლშხ. ლიცხენე და ბქვ., ლნტ. ლიცხონე.

აწმყოში ბალსზემოურში ხოცხა'ს პარალელურად ხუცხა'ც დადასტურდა, რომელშიც სასხვისო ქცევის -ო- ნიშნის ნაცვლად -უ- გვაქვს.

უწყვეტელში ბალსზემოური გვიჩვენებს -ან, -ანდა სუფიქსიან ფორმებს. ბალსქვემოური თითქოს -ონ სუფიქსიან წარმოებას აძლევს უპირატესობას. რაც შეეხება თურმეობით I'ს, აქ ბალსქვემოური გვიჩვენებს როგორც -ენ (იხ. პარადიგ.), ისე -ონ სუფიქსიან წარმოებას (ხაცხონა 324,27).

7. ხორიკ 'უკიდია, ჰკიდია'

საწყისი ბალსზემოური კილოს მიხედვით: ლირკე '(და)კიდება'.

აწმყო: მხ. რ., I პ., ბზ., ქვსვ. მირიკ, ბქვ. მირკა 'მიკიდია'; II პ., ბზ., ქვსვ. ჯირიკ, ბქვ. ჯირკა 'გიკიდია'; III პ., ბზ., ქვსვ. ხორიკ, ბქვ. ხორკა 'უკიდია'.

ნიმუშები: ბზ. ეჩი სურათ ლათხურმაშ მირიკ 'იმისი სურათი სასთუმალთან მიკიდია'; ჲეშდჲორუ ლაკილ თუჯი ყრრ ხორიკ 79,5 'თორმეტი საკეტიანი თუჯის კარი ჰკიდია'; ბქვ. ა დავს გიცარ ხორკა ლატმურას 127,36 'ამ დეეს ვერძი უკიდია გასატყავებლად'; ლშხ. სგაჩად მაჩუბთე, ხეწად ხოჩა ჩაჭს ი ხოჩა დაშნაჲ ჟიხორაკ 68,26 "შევიდა „პალატში", ნახა კარგი ცხენი და კარგი დაშნა ზედ ეკიდა'; ლნტ. ცხვად ქიმირიკ 'ქვაბი მიკიდია'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ. მირკვნ || მირიკდა || მირკან, ბქვ. მირკვნ || მირკან, ქვსვ. მირიკდა 'მეკიდა'; III პ., ბზ. ხორკვნ || ხორიკდა || ხორკან, ბქვ. ხორკვნ ||ხორკან, ქვსვ. ხორიკდა 'ეკიდა'.

ნიმუშები: ბზ. პოეზ. თხუმრაშ სალშგარვ ხატ ხორიკდა 50,100 'სასთუმალთან სალაშქრო ხატი ეკიდა'; წვირამი დეცას ხორკვდა 216,1 'წვირმი ზეცას ეკიდა'; ბქვ. ეჩქას ჩანგ აშ ხორკვნ 301,17 'მაშინ ჩანგი ეკიდა'; ჰაზვაშ ყორჟი ჲეშდჲორი კვლ ხორიკდა 33,9 'ეზოს კარებზე თორმეტი ბოქლომი ეკიდა'; ლნტ. აღვე ჟი ხორიკდა, ამჟი იმნარ ათაგვიანვდ 'თუ კი ეკიდა, ასე რატომ დააგვიანდა'.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ., I პ. ზსვ., ლშხ. მერკი, ლნტ. მერეკი 'მეკიდება'; III პ., ზსვ., ლშხ. ხერკი, ლნტ. ხერეკი 'ეკიდება'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ათთხალ, ეჯაჯ ეშჩუ ხ ე რ კ ი 'დაძებნე, ისიც იქ ეკიდება'; ლნტ. მ ე რ ე კ ი ვოდ ლიჯაბალ 'მეკიდება მოხარშვამდე'.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: მხ. რ., I პ., ბზ. მ ა რ კ ე ნა, ბქვ. მ ა რ კ ე ნა, ლშხ. მარკ̌ენა, ლნტ. მარეკენა 'მკიდებია'; III პ., ბზ. ხ ა რ კ ე ნ ა, ბქვ. ხარკ̌ენა, ლშხ. ხარკ̌ენა, ლნტ. ხარეკენა 'ჰკიდებია'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ., ... ხეთ გ̌რი, ამჩუ ხ ა რ კ ე ნ ა 'ეტყობა, აქ ეკიდა'; ლნტ. ჟი ხ ა რ ე კ ე ნ ა, მარე შიშტ ახოკიდა 'თურმე ეკიდა, მაგრამ მაშინვე აუღია'.

კილოთა მონაცემების შეჯერება ცხადყოფს, რომ ერთმანეთს ენაცვლება რიკ/რეკ/რაკ ერთეულები.

აწმყოს ნაკვთის ფორმათა შორის ყურადღებას იქცევს ბალსქვემოურის მ ი რ კ ა, ჯ ი რ კ ა, ხ ო რ კ ა ფორმები ბოლოკიდური -ა ხმოვნის ხმარებით. სხვა კილოებში იგი არ ჩანს. გარდა ამისა, -ა ხმოვანი იწვევს ფუძის შეკუმშვას, შდრ. ბზ. მ ი რ ი კ და ბქვ. მ ი რ კ ა.

უწყვეტლის ფორმებიდან საინტერესოდ გვეჩვენება ბალსზემოურისათვის პოეზიაში დადასტურებული ხ ო რ კ ე დ ა 216,1, რომელშიც უწყვეტლის მაწარმოებლად -ედ(ა) 'გვაქვს'.

მყოფადსა და თურმეობით I'ში ლენტეხური, როგორც მოსალოდნელი იყო, ურედუქციო ფუძეს გვიჩვენებს: ხ ე რ ე კ ი 'ეკიდება', ხ ა რ ე კ ე ნ ა 'ჰკიდებია'.

9. ხ ო ჯ ა ნ 'სდის (სუნი)'

საწყისი ბალსზემოურ კილოზე — ლ ი ჯ ა ნ 'დენა (სუნის)'.

ა წ მ ყ ო (ყველა კილოსათვის): მხ. რ., I პ., მ ი ჯ ა ნ 'მდის'; II პ. ჯ ი ჯ ა ნ 'გდის', III პ. ხ ო ჯ ა ნ 'სდის'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ლეზვებს ესერ ხოლა ქვინ ხ ო ჯ ა ნ 368,25 'საჭმელს ცუდი სუნი სდისო'; ლშხ. ... პინტნჯ̌ა ქუნ ხ ო ჯ ა ნ 4,1[108]. ...'პიტნის სუნი სდის'; აბზინდაჯ... არაყსი ხონჩგდეხ, სუნს ლოქ ხ ო ჯ ა ნ ი ხოჩამ 1.9 'აბზინდს... არაყში ურევენ, კარგ სუნს აძლევსო'.

---

108 არს. ო ნ ი ა ნ ი, მეგმარეშ ი ბალხარე ჟახ̌ელე ხორაჯ (Сборник свансκих названий деревьев и растений), Петрг., 1917.

ლნტ. დავდ ხაქე რაშვს, ერე „ქრისტიანი“ ქვინ ლოქ ხოკან 156,15 ‘დევმა უთხრა რაშს, რომ ქრისტიანის სუნი გდისო’.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ზსვ., ლნტ. მიკანდა, ლშხ. მიკანდა ‘მდიოდა’; II პ., ზსვ., ლნტ. ჯიკანდა, ლშხ. ჯიკანდა ‘გდიოდა’; III პ., ზსვ., ლნტ. ხოკანდა, ლშხ. ხოკანდა ‘სდიოდა’.

ნიმუში: ბზ. მერმა ლადაღ ლეღვს ქვინ ხოკანდა ·მეორე დღეს ხორცს სუნი სდიოდა’.

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ზსვ. მეკნი, ლშხ. მეკნი, ლნტ. მეკანი ‘მდიოდეს იქნება (სუნი)’; II პ., ზსვ. ჯეკნი, ლშხ. ჯეკნი, ლნტ. ჯეკანი ‘გდიოდეს იქნება’; III პ., ზსვ. ხეკნი, ლშხ. ხეკნი, ლნტ. ხეკანი ‘სდიოდეს იქნება’.

ნიმუშები: ბზ. ხოლა ქვინ ესერ იმჟი ხეკნი, ჩიგარ ესერ ლჳმსყავინ ლეზობს 368,25 ‘ცუდი სუნი რატომ უნდა უდიოდეს, ყოველთვის აკეთებდაო საქმელს’; ბქვ. ღოშგიმ ბრყიშ ქვინ ხეკნი ალისი 196,27 ‘ბოლოს არყის სუნი დიოდეს იქნება ამასაც’; ლნტ. ქვინ მეკანი, მა ირა (ჩვ. ტ.) ‘სუნი მდიოდეს იქნება, აბა რა იქნება’.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. მაკნენა, ბქვ. მაკნენა || მაკნენა, ლნტ. მაკანენა ‘მდიოდა თურმე’; III პ., ბზ., ლშხ. ხაკნენა, ბქვ. ხაკნენა || ხაკნენა, ლნტ. ხაკანენა ‘სდიოდა თურმე (სუნი)’.

10. ხოშგურ, ლნტ. ხოშკურ ‘რცხვენია’

სპწყისი და მიმღეობა ბაღსზემოური კილოს მიხედვით: ღოშგვირ ‘„რცხვენა“, სირცხვილი’, ლუშგვირ ‘მორცხვი’.

აწმყო: მხ. რ., I პ., ზსვ., ლშხ. მიშგურ, ლნტ. მიშკურ ‘მრცხვენია’; III პ., ზსვ., ლშხ. ხოშგურ, ლნტ. ხოშკურ ‘რცხვენია’.

ნიმუშები: ბზ. ამჟი ლირდე მიშგურ ‘ასეთი ყოფა მრცხვენია’; ლნტ. მიჩ ეჯი მად ლოქ ხოშკურ 273,33 ‘მას ის კი არ რცხვენიაო’.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ. მიშგუნ || მიშგუნდა || მიშგურდა, ბქვ. მიშგუნდა, ლშხ. მიშგუნ || მიშგუნდა, ლნტ. მიშკუნდა || მიშკურდა ‘მრცხვენოდა’; III პ., ბზ. ხოშგუნ || ხოშგუნდა || ხოშგურდა, ბქვ. ხოშგუნდა, ლშხ. ხოშგუნ || ხოშგუნდა, ლნტ. ხოშკუნდა || ხოშკურდა ‘რცხვენოდა’.

ნიმუშები: ბზ. ნიშგვჲ მჭაფ სგაჲ ჯიშგურდახ 'ჩვენ მაგივრად თქვენ გრცხვენოდათ'; ლნტ. ხოშკუნდა, ხოლამდ ერ ხაჭუდა 'რცხვენოდა, ცუდად რომ ეცვა'.

მყოფადი სრული: მხ. რ., I პ., ზსვ. მეშგვრი, ლშხ., მეშგვნი, ლნტ. მეშკვნი '„მერცხვინება"'; III პ., ზსვ. ხეშგვრი, ლშხ. ხეშგვნი, ლნტ. ხეშკვნი '„ერცხვინება"'.

ნიმუში: ბზ. ... ეზარ, მიჩ ჰე მრმ ხეშგვრი ...'კეთილი, თუ მას არ „ერცხვინება"'.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ. მაშგვრენა, ბქვ. მაშგვრენა || მაშგვრენა, ლშხ. მაშგვნენა, ლნტ. მაშკვნენა || მაშკვნა 'მრცხვენოდა თურმე'; III პ., ბზ. ხაშგვრენა, ბქვ. ხაშგვრენა || ხაშგვრენა, ლშხ. ხაშგვნენა, ლნტ. ხაშკვნენა || ხაშკვნა 'რცხვენოდა თურმე'.

ნიმუში: ბზ. მიშგრვ ხაშგვრენა 'ჩემი რცხვენოდა თურმე'.

ხოშგურ || ხოშკურ 'რცხვენია' რელატიურ-გარდაუვალი ზმნაა, ნასახელარი, ნაწარმოებია ზსვ. შგვირ, ლშხ. შგურ 'სირცხვილი' სახელისაგან.

ხოშგურ ერთი იმ ზმნათაგანია, რომლებიც ნამყო უწყვეტელში ფუძისეულ რ'ს ჰკარგავენ და უწყვეტლის მაწარმოებლად -ვნ/-ნ მოუდით. ზოგჯერ ძირეული რ'ი დაცულია -დ(ა) უწყვეტლის მაწარმოებელთან. მაგ., ბზ. მიშგურდა (თუმცა მიშგუნდა'ც გვაქვს) და ლნტ. მიშკურდა 'მრცხვენოდა'.

აქ წარმოდგენილი მასალებიდან აღვნიშნავთ ქვემოსვანურის მყოფადსა და თურმეობით I'ის ფორმებს, რომლებიც ხოშირ 'უპირს' ზმნის მსგავსად ნ'არიან ვარიანტებს გვიჩვენებენ. შდრ. ზსვ. მეშგვრი და ლშხ. მეშგვნი, ლნტ. მეშკვნი... 'მერცხვინება'; ბზ. მაშგვრენა, ლშხ. მაშგვნენა, ლნტ. მაშკვნენა || მაშკვნა 'მრცხვენოდა თურმე', უკანასკნელში -ენ სუფიქსი არ არის წარმოდგენილი.

აქ განხილულ ზმნათა მსგავს წარმოებას გვიჩვენებენ:

ჭუქ[109] „აცუცქია" — იქქვი 'დაცუცქებული იქნება'; (ჩუ) ყვიყვ 'აყუყია' — იყყვი 'დაყუყებული იქნება'; ხოწიბ 'ჰკიდია' — ხეწბი 'ეკიდება'; ხოსტუნი 'სტკივა' — ხესტვნნი 'ეტკივება'. ხოხერ 'ემადლიერება' — ხეხერინი 'ემადლიერებოდეს იქნება'; ხაბდავა 'აბადია' — ხებდავი '„ებადება", ექნება'; ხაზნა 'სჩვევია' — ხეზნი

109 ნიმუშები წარმოდგენილია ბალსზემოურ კილოზე.

'ზნედ ექნება'; ხათგმ 'სჭირს' — ხეთმი 'ეჭირება', ხაკაფ 'სურდა' — ხეკფი '„ესურვება", ენდომება'; ხამთქვა 'სჩვევია' — ხემთქვი 'ჩვევად ექნება'; ხამჭირ 'ეზარება' — ხემჭირი 'დაეზარება'; ხაჟარ '„მოწყენილობს", მოწყენილია' — ხეჟრი 'მოწყენილი იქნება'; ხახარბ 'ეხარბება' — ხეხჯრბი 'შეეხარბება'; ხახონხა 'დახუნძლულია' — ხეხვენხი 'დახუნძლული იქნება'; ხაჯრავა 'სჯერა' — ხეჯრაჳი — '„ეჯერება"'; ხაჰვრა 'ეცოტავება' — ხეჰვრონნი 'ეცოტავებოდეს იქნება'; ხასკვრელ 'უკვირს' — ხესკვრელი 'გაუკვირდება'; ხაცხტა 'აკვეხია' — ხეცხტი 'გაკვეხილი იქნება'; ხავშგედ 'უკადრისობს' — ხევშგედი 'უკადრისობდეს იქნება'; ხაღხინ 'ელხინება' — ხელხნი 'ელხინებოდეს იქნება' და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1. სვანურში, ქართულის მსგავსად, გამოიყოფა ერთპირიანი და ორპირიანი მედიოპასივების დიდი ჯგუფი (ტექნიკური მიზეზების გამო, ცხადია, აქ მათი სრული წარმოდგენა ვერ მოხერხდა), რომლებიც დრონაკლი არიან. ამ ტიპის ზმნებს საკუთარი გააჩნიათ მხოლოდ აწმყოსეული დროები, ხოლო სხვა ნაკვეთები იყენებენ სათანადო ვნებითი გვარის ზმნათა ფორმებს (ერთპირიანთ ან ორპირიანთ).

2. ერთპირიანი მედიოპასივები ძირითადად მდგომარეობის გამომხატველი ზმნებია (ლჳგ 'დგას', სგურ 'ზის', აყვრე 'წევს'...). დრო-კილოთა მიხედვით მათ მონაცვლედ იმავე ძირისაგან ნაწარმოები -ი'ნიანი ვნებითები გვევლინებიან)აწმყ. ლ ჳ გ 'დგას', მყოფ. ი გ ნ ი 'იდგება'; ა ყ ვ რ ე 'წევს', მყოფ. ი ყ ვ ნ ი 'იწვება'...).

3. ორპირიანი მედიოპასივები (ხ ა ყ ა 'ჰყავს', ხ ა ლ ა ტ 'უყვარს'... ხ ო შ გ უ რ 'რცხვენია', ხ ო ც ჳ ხ 'ეგულება'...) ნაკლული ფორმების შესავსებად სათანადო ე'ნიან ვნებითებს იყენებენ (აწმყო ხ ა ყ ა 'ჰყავს', მყოფ. ხ ე ყ ე ნ ი 'ეყოლება'; ხ ა ლ ა ტ 'უყვარს', მყოფ. ხ ე ლ ტ ი 'ეყვარება'... აწმყ. ხ ო შ გ უ რ 'რცხვენია', მყოფ. ხ ე შ გ ვ რ ი „ერცხვინება", აწმყ. ხ ო ც ჳ ხ 'ეგულება', მყოფ. ხ ე ც ხ ი 'ეგულებოდეს იქნება'...).

ამდენად, როგორც ერთპირიანი ასევე ორპირიანი მედიოპასივები სვანურში დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით ქართულის ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებენ.

სვანური მედიოპაქტიური ზმნები

ქართულში დრონაკლი ზმნების ერთ ჯგუფს ქმნიან საშუალი გვარის ის ზმნები, რომლებიც საკუთარი ფუძით ვერ ახერხებენ ყველა დრო-კილოს წარმოებას და იყენებენ შესაბამისი გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევის ფორმებს. ესენია ე. წ. მედიოპაქტიური ზმნები, მაგ.: კივის ის — იკივლა მან, მეფობს ის — იმეფა მან, დუღს ის — იდუღა მან და ა. შ.

ამ მხრივ სვანური ქართულის იდენტურია: აქაც ქართული მედიოპაქტივების შინაარსის გადმომცემი ზმნები დრონაკლია. ნაკლული ფორმების შევსება ხდება სათანადო გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევის ფორმების ხარჯზე (აქედან გამომდინარე ეს ზმნებიც შეიწყობენ ბრუნვაცვალებად სუბიექტს), მაგ.: „ბქვ. რაგდ-ი ლაპარაკობს · ი-რგად-ნ-ი ი-ლაპარაკებს: ორივე გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევაა“[1].

რ ა გ დ ი — ი რ გ ა დ ნ ი ფორმების შეპირისპირებით ცხადია, რომ სვანურში საშუალი გვარის აწმყოს ფუძისაგან განსხვავებით, მყოფადში გვაქვს ი- პრეფიქსი, რომელიც ქართულის მსგავსად[2] სათავისო ქცევის ი- ნიშანს წარმოადგენს. ასეთი ვითარებაა ზემოსვანურსა და ლენტეხურში.

რაც შეეხება ლაშხურს, აქ რამდენადმე განსხვავებული ვითარება გვაქვს. საქმე იმაშია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ე. ი., როცა დანაკლისი ფორმების შევსება ხდება იმავე ფუძისაგან ნაწარმოები სათავისო ქცევის ფორმით, ლაშხურის მყოფადში (უსრულო იგულისხმება) ფუძეს წინ არ უძღვის ი- პრეფიქსი. მაგ.: იგივე ზმნა ლაშხურის მყოფად უსრულში ასე გვექნება: გ ა რ გ ლ-გ ნ-ი (ბალსზემოურის მსგავსად აქაც გ ა რ გ ლ ი გვაქვს), შდრ. ბზ. ი-გ ვ რ გ ა ლ ნ ი ‘ილაპარაკებს’.

რა უნდა იყოს კილოებს შორის არსებული ამ განსხვავების მიზეზი, ან როდინდელია იგი? პასუხის გაცემა ჭირს. ჩვენ ლაშხურზე ადგილობრივ მუშაობისას განსაკუთრებით დაგვაინტერესა ამ გარემოებამ. ერთი შევნიშნეთ მხოლოდ: მთქმელებს ძალზე იშვიათად (როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობის წარმომადგენ-

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 117.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 488.

ლებს) წამოცდებოდათ ხოლმე ი'პრეფიქსიანი წარმოება (მსგავსი შემთხვევა ბალსზემოურშიც გვქონდა: აქ უპრეფიქსო ფორმები — გ ა რ გ ლ-გ ნ-ი'ს ტიპისა გაეიგონეთ აქა-იქ. ამის შესახებ სათანადო ადგილას მითითებული გვაქვს). ერთმა ინფორმატორმა შენიშნა კიდეც, რომ ასეთი ფორმები იშვიათად მსმენიაო.

უნდა ვიფიქროთ, რომ ლაშხურში ი'პრეფიქსიანი ფორმების იშვიათად ხმარება ან ძველის გადმონაშთია (ე. ი. აქაც სხვა კილოების ანალოგიური ვითარება იყო), ან სხვა კილოებთან (განსაკუთრებით ბალსზემოურთან და ლენტეხურთან) ინტენსიური კონტაქტის შედეგია. ხოლო თუ დავუშვებთ, რომ ლაშხურში ძველი ვითარებაა დაცული (მყოფადი უსრული ხომ აწმყოს ფუძისგან იწარმოება!), მაშინ სხვა კილოებში არსებული ი'პრეფიქსიანი წარმოება გვიანდროინდელი იქნება და ქართულის ანალოგიით უნდა ავხსნათ.

გამოდის ასე: გარკვეული ტიპის ზმნები ზემოსვანურსა და ლენტეხურში ნაკლულ ფორმებს სათანადო ზმნების სათავისო ქცევის ფორმებით ივსებენ, ლაშხურში კი დროის (მყოფადის) წარმოების ეს პრინციპი დარღვეულია (ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს ფორმის მიხედვით), მაგრამ ეს რომ ასე არ უნდა იყოს, ამაზე მიგვითითებს ერთი გარემოება.

როგორც სვანურის სხვა კილოებში, ასევე ლაშხურში გვაქვს მყოფადის მეორე ფორმა, ე. წ. მყოფადი სრული. ამ ნაკვთში ლაშხური შემდეგ ფორმებს გვიჩვენებს: რომელიმე ყ უ ლ ი 'ბღავის' ლაშხურის მყოფად უსრულში იქნება ყ უ ლ ნ ი, ბალსზემოურში ი ყ უ ლ ი ნ ი. იგივე ზმნა ლაშხურის მყოფად სრულში ლ ე ჲ ყ უ ლ ნ ე'ს სახით წარმოგვიდგება, ნ. წყვეტილში კი — ეჯნემ ლ ე ჲ ყ უ ლ ე 'მან დაიბღავლა' გვაქვს. ამ ფორმებში ყურადღებას იქცევს ზმნისწინის მომდევნო ჲ. ვ. თოფურიას მონოგრაფიაში ვკითხულობთ: „სათავისოს -ი- ყოველ შემთხვევაში პრევერბისეულ ა'ს აუმლაუტებს (ლშხ. -ში ე'დ აქცევს), ლა'სთან — ჲ'ს სახითაა დარჩენილი, სხვაგან კი იკარგვის"[3].

მაშასადამე, აქ მიჩნეულია, რომ ჲ მიღებულია სათავისო ქცევის -ი- ნიშნისაგან.

ჲ'ს წარმომავლობას სულ სხვანაირად ხსნის მ. ქალდანი, მისი აზრით, ჲ წარმოადგენს S_3 პირის ნიშნის -ლ'ს დარბილების შე-

---

[3] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

დეგს ლა-//ლე- წინდებულიან ფორმებში[4], ხოლო წინდებულისეული ხმოვნის უმლაუტის გამომწვევი სათავისო ქცევის -ი- ნიშანი რედუცირებულიაო მთლიანად. მოსაზრება საინტერესო ჩანს. ე. ი. აქაც მიჩნეულია, რომ ლ ა დ გ ე რ გ ლ ე და ა. შ. ფორმები სათავისო ქცევისაა.

როგორიც არ უნდა იყოს ჩვენთვის საინტერესო ფორმებში წარმოდგენილი ჲ-ს კვალიფიკაცია, მთავარი მაინც ის არის, რომ მყოფად სრულში ყველა კილო ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებს: მედიოაქტივები დრონაკლი არიან და დანაკლის ფორმებს ივსებენ სათანადო ზმნების სათავისო ქცევის ფორმებით.

ლაშხურის მყოფადი უსრულის მიმართ დასმული კითხვა კი კვლავ პასუხს ითხოვს.

1. კ ი̄ ლ ი 'კივის'

საწყისი კილოთა მიხედვით: ბზ., ლშხ. ლიკი̄ლი, ბქვ., ლნტ. ლიკილი 'კივილი'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. რიყხან ლ ი კ ი̄ ლ ი ლამსჳმდა 'რიყიდან კივილი მომესმა'; ლნტ. ეჯკაღლი ლ ი კ ი ლ ი ადბინე... 125,37 'ისეთი კივილი დაიწყო'...

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ., ბზ., ლშხ. კვი̄ლი, ბქვ. კვილი, ლნტ. კილი || კილი ხვი 'ვკივი'; III პ., ბზ., ლშხ. კი̄ლი, ბქვ., ლნტ. კილი 'კივის'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი ბზ. ზურალჯარ კ ი̄ ლ ი ხ 8,6 'ქალები კივიან'; ლნტ. მი თელდ კ ი ლ ი ხვი... (ჩვ. ტ.) 'მე განუწყვეტლი ვკივი'; ამეჱსა ვიჯ კ ი ლ ი 204,28 'ამაში გველი კივის'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. კვი̄ლდჳს, ბქვ. კვილიდჳსვ, ლშხ. კი̄ლის, ლნტ. კილდჳს 'ვკიოდი'; III პ., ბზ., ლშხ. კი̄ლდა, ბქვ. კილიდა, ლნტ. კილდა 'კიოდა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ისგვან ხოხვრჳმ მჳმ კ ვ ი̄ ლ დ ჳ ს მი? 'შენზე ნაკლებ არ ვკიოდი მე?'; ლნტ. კ ი ლ დ ჳ ს სი 'ჰკიოდი შენ'.

მ ყ ო ფ ა დ ი უ ს რ უ ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. ხვიკი̄ლინი, ბქვ. ხვიკილინი, ლშხ. კი̄ლნი, ლნტ. ხვიკილნი 'ვიკივლებ'; III პ., იკი̄ლინი, ბქვ. იკილინი, ლშხ. კი̄ლნი, ლნტ. იკილნი 'იკივლებს'.

---

4 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი. ჲ-ს გენეზისისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, 1959, გვ. 98.

ნიმუშები: ბზ. იკ̃ლინი, მიზეზ მაჲ ̃რა? 'იკივლებს, რა თქმა უნდა'? ლნტ. აშ ხვიკილნი... 'ისე ვიკივლებ';

მყოფადი სრული:[5] მხ. რ., III პ., ბზ. ლაჲკ̃ლნე, ბქვ. ლაჲკილაჲლისგ, ლშხ. ლეჲკ̃ლნე, ლნტ. ლაჲკილი 'დაიკივლებს'.

ნ. წყვეტილი: მხ. რ., III პ., ბზ. ეჯნემ ლაჲკ̃ლე, ბქვ. ლაჲკილალე, ლშხ. ლეჲკილე, ლნტ. ლაჲკილე 'მან დაიკივლა'.

თურმეობითი I: მხ. რ., I პ., ბზ. მიკ̃ლინა[6]//მიკ̃ლა, ბქვ. მიკილა, ლშხ. მიკილა, ლნტ. მიკილნა 'მიკივლია'; III პ., ბზ. ხოკ̃ლინა||ხოკ̃ლა, ბქვ. ხოკილა, ლშხ. ხოკ̃ლა, ლნტ. ხოკილნა 'უკივლია'.

ნიმუში: ლნტ. სურუ ხვაჲ მიკილნა ი სერ მად მაჲმედა 'ძალიან ბევრი მიკივლია და მეტი აღარ შემიძლია'.

აწმყოში ლენტეხური სამივე პირისათვის ერთ ფორმას გვიჩვენებს: კილი მი 'ვკივი მე', კილი სი 'ჰკივი შენ', კილი ეჯი 'კივის ის', შდრ. ლშხ. კვ̃ლი 'ვკივი'. იმავე ლენტეხურში დასტურდება მეშველზმნიანი წარმოებაც: კილი ხვი.

კ̃ლი -ი სუფიქსიანი ზმნაა. საინტერესოა, რომ ბალსქვემოურში თემისნიშნისეული -ი დაცულია უწყვეტულშიც: კვილიდაშვ, კილიდაშვ, კილიდა, შდრ. ლნტ. კილდაშ 'ვკიოდი', კილდაშ 'ჰკიოდი', კილდა 'კიოდა'.

მყოფად უსრულში ლენტეხური ნ ელემენტს ხმოვნის გარეშე წარმოგვიდგენს: (ლაშხურში კ̃ლნი გვაქვს), შდრ. ბზ. იკ̃ლინი, ბქვ. იკილინი... 'იკივლებს'. ანალოგიური ვითარებაა თურმეობით I'შიც: შდრ. ბზ. ხოკილ̃ნა, ლნტ. ხოკილნა. ბალსზემოურისა და ლაშხურის ხოკ̃ლა და ა. შ. ფორმები იმითაა საყურადღებო, რომ -ინ(-ნ) სუფიქსი არ ჩანს.

დასასრულ, კ̃ლი/კილი ხომ არ ამოუდგება გვერდში მონათესავე ენებში მსგავსი შინაარსის ზმნებს? კ̃ლ < ქართ. კივილ (სვანურში ი'ს სიგრძე პოზიტიურია), ჭან. კრ-ი-ამ-ს, მეგრ. რკ-ი-ან-ს, ქართ. კ-ივ-ი-ს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ძირეული ყველგან კ უნდა იყოს, რ მეგრულში ფონეტიკურად განვითარე-

---

[5] მყოფად სრულსა და ნ. წყვეტილში ადგილის ეკონომიის მიზნით წარმოვადგენთ მხოლოდ III პირის ფორმებს, სადაც დაცულია სათავისო ქცევის ▲ (<ი) ნიშანი.

[6] მიკ̃ლინა და ა. შ. იხმარება მიკივლებია'ს (ვიღაცა) მნიშვნელობით.

ბული თავკიდური ბგერა ჩანს, ჰანურში რ'ს მეტათეზისი გვაქვს[7]. ძირეულ მასალად სვანურშიც კ უნდა გამოიყოს.

2. ყ უ ლ ი 'ბღავის'

საწყისი კილოთა მიხედვით:

ბზ., ლშხ. ლიყული, ბქვ., ლნტ. ლიყული 'ბღავილი'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ალა ლ ი ყ უ ლ ის იჩოდა გუნ 378,14 'ეს ბღავილს შვრებოდა (ბღაოდა) ძალიან'; მიჩა მუვე ლ ი ყ უ ლ ი აშ ხესმი 259,33 'მამამისის ბღავილი სულ ესმის'; ბქვ. ლაბინე ლ ი ყ უ ლ ი 203,31 'დაიწყო ბღავილი'; ლნტ. ეჩქა ლ ი ყ უ ლ ი ათობინა სულთანს 261, 13 'მაშინ ბღავილი დაუწყია სულთანს'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., III პ., ბზ., ლშხ. ყული, ბქვ., ლნტ. ყული 'ბღავის'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ., პოეზ. აშხვ კოჯისგა ლაჩვი ყ უ ლ ი 326,32 'ერთ კლდეში ირემიც ბღავის'; მიჩა მუ ჩუ ვეთ ადსრყანნ, ეჯჭი ჩუ ყ უ ლ ი 259,31 'მამამისი კინაღამ გადაირია, ისე ბღავის'; ლნტ. იმე ყ უ ლ ი, სი მარე?! 'სად ბღავი, შე კაცო'?! წელაწლ ყ უ ლ ი ბ 199,25 'ვირები ყროყინებენ'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ყვილდა, ბქვ. ყულიდა || ყულივ, ლშხ. ყულდა[8], ლნტ. ყულდა 'ბღაოდა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ბუღა ჯა გარ ყ ვ ი ლ დ ა 'ბუღა თვითონ მარტო ბღაოდა'; ლნტ. დაშტვარ ყ უ ლ დ ა ხ 'დათვები „ბღაოდნენ", ღრიალებდნენ'.

მ ყ ო ფ ა დ ი უ ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. იყულინი, ბქვ. იყულინი, ლშხ. ყულნი, ლნტ. იყულნი 'იბღავლებს'.

ნ ი მ უ შ ი: ბზ. ი ყ უ ლ ი ნ ი ჩვადგენი 'იბღავლებს და გაჩერდება'.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ლაჯყვილნე, ბქვ. ლაჯყულალისგ, ლშხ. ლეჯყულნე, ლნტ. ლაჯყული 'დაიბღავლებს'.

ნ. წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ეჯნემ ლაჯყულე, ბქვ. ლაჯყულალე, ლშხ. ლეჯყულე, ლნტ. ლაჯყულე 'დაიბღავლა'.

ნ ი მ უ შ ი ლენტეხური კილოდან: დაჯდ ლ ა ჯ ყ უ ლ ე 256,14 'დევმა დაიბღავლა'.

ყ უ ლ ი ზმნაზე მსჯელობისას, პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ აქ წარმოვადგინეთ მხოლოდ III პირის ფორ-

---

[7] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰან.-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი, გვ. 298.

[8] დაგვისახელეს აგრეთვე ყ უ ლ ა დ, შესამოწმებელია.

მები. ეს, ერთი მხრივ, გამართლებულიცაა, რადგან დასახელებული ზმნა ძირითადად მესამე პირის ფორმებით გვხვდება. მაგრამ, როგორც ამას აქვე მოყვანილი ზოგი ნიმუში მოწმობს, ყ უ ლ ი იხმარება პირველსა და მეორე პირშიც.

უღვლილების ფორმებიდან აღვნიშნავთ ბალსზემოურის ყ ე ნ ლ დ ა 'ბღაოდა' (შდრ. აწმყ. ყნული) ფორმას, რომელშიც თემისნიშნისეული ი'ს მოკვეცის შემდეგ ფუძისეულ -ნ'ს უმლაუტი განუცდია.

გვხვდება დასახელებული ზმნის აღწერითი ფორმებიც ორგანულის პარალელურად, მაგალითად:

მ ყ ო ფ ა დ ი: ბზ. მი ჰალ მეწდენი, ყ უ ლ ს იკედ 'მე როგორც დამინახავს, ბღავილს „იღებს", იწყებს'.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: ბზ. ეჩქა დაჲდ ყ უ ლ ანკიდ 364,34 'მაშინ დევმა ბღავილი დაიწყო'.

3. ზ უ ლ ი 'ზმუის'

საწყისი კილოთა მიხედვით:

ბზ., ლშხ. ლიზული, ბქვ., ლნტ. ლიზული 'ზმუილი'.

ნ ი მ უ შ ი: ბზ. ლ ი ზ უ ლ ი ლაშსჷმდა 'ზმუილი მომესმა'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., III პ., ბზ., ლშხ. ზული, ბქვ. ლნტ. ზული 'ზმუის'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ლარდას მაშ იჩო, ეჯჭი ზ უ ლ ი 'არ გვაყენებს, ისე ზმუის'; ლნტ. ეჩანლო თელდ ზ უ ლ ი 'იმის მერე სულ ზმუის'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ზვ̈ლდა, ბქვ., ლნტ. ზულდა, ლშხ. ზულდა 'ზმუოდა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ღუნი მჷთხ̌ელი ფვირ ზ ვ̈ ლ დ ა 'ხბოს მაძებარი ძროხა ზმუოდა'; ლნტ. ეჯმინ თელ ლადეღ ზ უ ლ დ ა ხ 'ისინი მთელი დღე ზმუოდნენ'.

მ ყ ო ფ ა დ ი უ ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. იზ̌ულინი, ბქვ. იზულინი, ლშხ. ზულნი, ლნტ. იზულნი 'იზმუვლებს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ღუნი ლ̈შდნალ ი ზ̌ უ ლ ი ნ ი 'ხბოს დაყ̈ნყებამდე იზმუვლებს'; ლნტ. აღვე დემის ხამნიხი, ალმინ აჯაღ ი ზ უ ლ ნ ი ხ... 'თუ არ აშმევთ, ესენი კიდევ იზმუვლებენ'.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ლაჲზვ̈ლნე, ბქვ. ლაჲზულაჲლისგ, ლშხ. ლეჲზ̌ულნე, ლნტ. ლაჲზულნი 'დაიზმუვლებს'.

ნ. წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ეჯნემ ლაჰზვი̄ლ, ბქვ. ლაჰზულალე, ლშხ. ლეჰზულე, ლნტ. ლაჰზვილნე 'დაიზმუვლა'.

4. ღ ჳ ლ ი 'ღრენს'[9]

ნაზმნარი სახელები კილოთა მიხედვით:

ბზ., ლშხ. ლიღჳლი, ბქვ., ლნტ. ლიღლი 'ღრენა'; ბზ., ლშხ. მჳღჳლი, ბქვ., ლნტ. მჳღლი 'მღრენი'; ბზ., ლშხ. ნაღლჳ || ლშხ. ნაღჳლ, ბქვ., ლნტ. ნაღლვ 'ნაღრენი'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., III პ., ბზ., ლშხ. ღჳლი, ბქვ., ლნტ. ღლი 'ღრენს'.

ნ ი მ უ შ ი: ბზ. ჟეღ ღჳლ ი 'ძაღლი ღრენს'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ღი̄ლდა, ბქვ. ღლიდა, ლშხ. ღჳლდა, ლნტ. ღლდა 'ღრენდა'.

ნ ი მ უ შ ი: ბზ. ლჳფეთე ჟეღშა̄ლ ღ ი̄ ლ დ ა 'ავი ძაღლივით ღრენდა'.

მ ყ ო ფ ა დ ი უ ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. იღჳლინი, ბქვ. იღლინი, ლშხ. ღლნი, ლნტ. იღლნი 'ღრენდეს იქნება, „იღრენს"'.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ლაჰღი̄ლნე, ბქვ. ლაჰღლაჰლისგ, ლშხ. ლეჰღჳლნე, ლნტ. ლაჰღლი 'დაიღრენს'.

ნ. წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ., III პ. ბზ. ეჯნემ ლაჰღჳლე, ბქვ. ლაჰღლალე, ლშხ. ლეჰღჳლე, ლნტ. ლაჰღლე 'დაიღრინა'.

5. ქ ჳ ლ ი 'ქშენს'

საწყისი კილოთა მიხედვით: ბზ., ლშხ. ლიქჳლი, ბქვ., ლნტ. ლიქლი 'ქშენა пыхтеть'; მოქმედებითი გვარის მიმღეობა: ბზ, ლშხ. მქჳლი, ბქვ., ლნტ. მქლი 'მქშენი'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ., ბზ. ქუ̄ლი, ბქვ. ქული, ლშხ. ქჳლი, ლნტ. ქლი (ხვი) 'ვქშენ'; II პ., ბზ., ლშხ. ქჳლი, ბქვ. ქლი, ლნტ. ქლი (ხი) 'ქშენ'; III პ., ბზ., ლშხ. ქჳლი, ბქვ., ლნტ. ქლი 'ქშენს'.

ნ ი მ უ შ ი: ბზ. მაფშაჰრ ვედდ გარ ქ ჳ ლ ი 'დაღლილი ძლივს ქშენს'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. ქუ̄ლდას, ბქვ. ქულიდასვ, ლშხ. ქჳლის, ლნტ. ქულდას 'ვქშენდი'; III პ., ბზ., ქი̄ლდა, ბქვ. ქლიდა, ლშხ. ქჳლდა, ლნტ. ქლდა 'ქშენდა'.

---

[9] ფიგურალურად იხმარება I და II პირშიც: მი ღ უ̄ ლ ი, სი ღ ჳ ლ ი...

მ ყ ო ფ ა დ ი უ ს რ უ ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. ხვიქ̄ლინი, ბქვ. ხვიქულინი, ლშხ. ქ̄ლნი, ლნტ. ხვიქლნი 'ვიქშენ; III პ., ბზ. იქ̄ლინი, ბქვ. იქულინი, ლშხ. ქ̄ლნი, ლნტ. იქლნი 'იქშენს'.

ნ ი მ უ შ ი: ბზ. ეჩქინ ახფეშ̄ერე ვედდ გარ იქ̄ლინი 'ისე დაიღლება, რომ ძლივს იქშენს'.

ნ. წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ. III პ., ბზ. ეჯნემ ლაჭქ̄ლე, ბქვ. ლაჭქლალე, ლშხ. ლეჭქ̄ლე, ლნტ. ლაჭქლე 'დაიქშინა'.

ქ̄ლი 'ქშენს' იგივე უნდა იყოს, რაც გვაქვს ქართულში ქ ე ლ ავ ს: შად. [არისტო და პლატონი] ღვინისაგან გალებილნი... ქ ე ლ ა ვ დ ნ ე ნ[10] ან თირქაშს ავეანდაზე ხელი ეკიდა, მოახსენებდა ა ქ ე ლ უ ბ უ ლ ი 18,20[11]; იგივე ქ ე ლ ძირი გვაქვს მეგრულშიც: ჯოღორი მუკო ქ ე ლ ა ნს 'ძაღლი როგორ ქშენს (ქელავს)'.

სვანურში, როგორც ჩანს, ძირეული ხმოვანი ჷ'ს სახითაა წარმოდგენილი.

6. ტ ̄უ ლ ი 'იძახის, ამბობს'

ნაზმნარი სახელები კილოთა მიხედვით:

ბზ., ლშხ. ლიტ̄ული, ბქვ., ლნტ. ლიტული 'დაძახება, თქმა':

ბზ., ლშხ. ლეტ̄ული, ბქვ., ლნტ. ლეტული 'დასაძახებელი'; ბზ., ლშხ. მუტ̄ული, ბქვ., ლნტ. მუტული 'დამძახებელი'; ბზ., ლშხ. ნატ̄ულ, ბქვ., ლნტ. ნატულ 'დანაძახები'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ამ̄ ლ ი ტ ̄უ ლ ი მ̄ამ ჯესგუვ 'ამის თქმა არ შეგშვენის'; ლ ე ტ ̄უ ლ ი ნრს მ̄აცე 'დაძახება არ დამშვრდეს'; ბქვ. ლ ი ტ უ ლ ი ს ეჯ ლადეღ დემეგ ხაყა 73,34 'იმ დღეს დაძახება არ ვარგა'; ეჯგვ̄არდ გარ ესერუ წვა ათხეშ მიჩა მ უ ტ უ ლ ი 43,28 'ისე მარტო იყოსო ახლანდელი მისი დამძახებელი'; ლშხ. ამკალიბდ ლ̄ექ̄ჯნეხ სუმინ მჯჰხში მიჩა ლ̄ექ̄ჯნ̄ესს ი ქორხენ მ უ ტ ̄უ ლ ი მიჩას 16,20 'ამნაირად იტყვის სამჯერ მეკვლე თავის სათქმელს და სახლიდან მთქმელი თავისას'; ლნტ. ̈ათხე ზურალდ ლ ი ტ უ ლ ი ლახობინე დ̈ავს 187,3 'ახლა ქალმა ძახილი დაუწყო დევს'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ., ბზ. ტ̄ული, ბქვ. ტული, ლშხ. ტ̄ული || ტ̄ული ხვი, ლნტ. ტული || ტული ხვი 'ვიძახი, ვამბობ'; II პ., ბზ.

---

[10] დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, სამანიშვილის დედინაცვალი, თბილისი, 1957.

[11] კ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, რჩეული თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1960.

ტული, ბქვ. ტული, ლშხ. ტული || ტული ხი, ლნტ. ტული || ტული ხი 'იძახი, ამბობ'; III პ. ბზ., ლშხ. ტული, ბქვ., ლნტ. ტული 'იძახის, ამბობს'.

ნიმუშები: ბზ. ეში ტული: მაფგნ ლიცდ 242,28 'მაინც იძახის: წყალი მწყურია'; ჯული მჯყდალა ტული ხ 10,13 'კეტის შემომტანები იძახიან'; ბქვ. ეჩქას ტული ხ, ერე... 'მაშინ იძახიან, რომ...' ლნტ. აჯაღ ტული ხ 52,17 'კიდევ იძახიან'.

უწყვეტელი: მხ., რ., I პ., ბზ. ტვილდას, ბქვ. ტულიდასვ || ტულ, ლშხ. ტულის, ლნტ. ტულდას 'ვიძახდი, ვამბობდი': II პ., ბზ. ტვილდას, ბქვ. ტულიდასვ || ტულ, ლშხ. ტულის, ლნტ. ტულდას 'იძახდი, ამბობდი'; III პ., ბზ. ტვილდა, ბქვ. ტულიდა || ტულივ, ლშხ. ტულდა, ლნტ. ტულდა 'იძახდა, ამბობდა'.

ნიმუშები: ბზ. მაგ ალას ტვილდახ სოფლარ 183,29 'ყველა ამას იძახდნენ სოფლელები'; ბქვ. ჰამუნღვე ნებოზდ „გიგუ, გიგუ'ს" ტული ვ 269,23 'დილიდან საღამომდე იძახოდა „გუგუ, გუგუ'ს"; ლშხ. ერ აჯად ხენწიფი სასახთეჟი, ტულდა, ერე... 75,19 'რომ ავიდა მეფის სასახლეზე, იძახოდა, რომ...'; ლნტ. ეჯი ტულდა 267,9 'ის იძახდა'.

კავშირებითი I'ის ნიმუში ლენტეხური კილოდან:

იმჯაჟი ლოქ ტულდეს 146,20 'როგორც იძახოდესო'.

მყოფადი უსრული: მხ. რ., I პ., ბზ. ხვიტულინი || ხვიტვილნი, ბქვ. ხვიტულინი || ხვიტულუნი, ლშხ. ტულნი, ლნტ. ხვიტვილნი '(და)ვიძახებ, ვიტყვი': III პ., ბზ. იტულინი || იტვილნი, ბქვ. იტულინი || იტულუნი, ლშხ. ტულნი, ლნტ. იტვილნი '(და)იძახებს, იტყვის'.

ნიმუშები: ბზ. ხოჩამგნქა იმჯარ იტულინი 'კარგის მეტს ვინ რას იტყვის'; ლშხ. ლასკნჯლჟი ტულნი ჰრპუპუ-ჰრპუპუ 23,14 'ხტუნვისას დაიძახებს: ჰოპა, ჰოპა'.

უნახავი II'ს ნიმუში ლენტეხური კილოდან: აგის... ლგამატვილლი 267,12 'სახლში... „ნაძახება"'.

ნ. წყვეტილის ნიმუში ლენტეხური კილოდან: ლაჯატულე 291,14 'დაიძახა'.

ტული 'იძახის (კაცი, მამალი), ამბობს' დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით საინტერესოა: მყოფადი უსრულის ჩათვლით ზემოთ განხილულ ზმნებს მიჰყვება (იხ. ყული, გული, ზული...). ე. ი. გააჩნია საკუთარი აწმყოსეული დროები, ხოლო მყოფად უსრულში იმავე ძირისაგან ნაწარმოებ სათავისო ქცევის ფორმებს იყენებს (შდრ. ტული 'იძახის, ამბობს' — იტულინი '(და)-

იძახებს, იტყვის'), რაც შეეხება მყოფ. სრულსა, დრო-კილოთა II და III ჯგუფებს, აქ შესაბამისი შინაარსი ე ქ ვ ძირიანი ფორმებით გადმოიცემა, მაგ., ბზ., მყ. სრ. რ ჯ ქ ვ ი ნ ნ ე || ლ ჯ ქ ვ ი ნ ნ ე 'დაიძახებს, იტყვის'; ნ. წყვეტილი — რ ჯ ქ ვ ე || ლ ჯ ქ ვ ე... 'დაიძახა, თქვა'; I თურმეობითი ხ რ ქ ვ ა (ყვიჩს) 'დაუძახია (მამალს); უთქვამს', თუმცა ლენტეხურში ლ ა ჯ ტ უ ლ ე'ც დადასტურდა (იხ. ნიმუში აქვე, გვ. 205).

სამპირიანი ხ ა ტ უ ლ ი კი თავისუფლად აწარმოებს ყველა დრო-კილოს ფორმებს.

აქ მოყვანილი ფორმებიდან გამოვყოფთ ბალსზემოურის ტ ვ ი ლ დ ა 'იძახდა' და ა. შ. ფორმებს, რომლებიც მიღებულია თემისნიშნისეული -ი'ს მოკვეცის შედეგად: ფუძისეული უ უმლაუტდება. ბალსქვემოურში კი აწმყოს თემის ნიშანი -ი უწყვეტელშიც გადაყოლილი ჩანს, ამდენად ბალსზემოურის მსგავსი პროცესი აქ ვეღარ განხორციელდებოდა, ამიტომაც გვაქვს ტ უ ლ ი დ ა ს ვ 'ვიძახდი', ტ უ ლ ი დ ა ს ვ 'იძახდი', ტ უ ლ ი დ ა 'იძახდა'.

რაც შეეხება ლენტეხურის ტ უ ლ დ ა და ა. შ. ფორმებს, უწყვეტელში -ი აქ აღარ ჩანს, მაგრამ არც უ'ს უმლაუტს დაურჩა ადგილი, რამდენადაც ბალსზემოურში (ლაშხურშიც) ფუძისეული უ გრძელია: ცნობილია, რომ ასეთ შემთხვევებში ლენტეხურში უმლაუტი არ გვაქვს[12].

7. გ ა რ გ ლ ი 'ლაპარაკობს'

საწყისი და მოქმედებითი გვარის მიმღეობა კილოთა მიხედვით:

ბზ. ლიგგრგაწლი, ბქვ. ლირგაწდი, ლნტ. ლირაგაწდი, ლშხ. ლიგგრგალი 'ლაპარაკი': ბზ. მგგგრგაწლი, ბქვ. მგრგაწდი, ლშხ. მგგგრგალი, ლნტ. მგრაგაწდი 'მოლაპარაკე';

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. მიჩ ესერ ლ ი გ გ რ გ ა წ ლ ი მაწ ხაკვდა ჩიქე 370,27 'მე ლაპარაკი არ მინდოდაო ჯერ'; მაჯ ესერ ლ ე გ გ რ გ ა წ ლ ი ლი 217,20 'რა სალაპარაკოაო'; ჰე ესერ გ ა რ გ ლ ა ჩუ ხახლენა, იმღა ესერ მრწ ლგმგგრგაწლინ 370,25 'თუ ლაპარაკი იცოდი, რატომ არ ლაპარაკობდიო': ლშხ. ეჩთან სპარს მ გ გ გ რ გ ა ლ ი მეცარ მა ლოქ ხოწჯახ ჩიქე მინს 11,34 'ასეთი სწრაფი მოლაპარაკე მარჩიელი არ მინახავსო მე ჯერ'; ლნტ. ლგლენტეხუ ლ ი რ ა გ ა დ ი მერბე ნაირ ლი, მარე ლენტეხალ ი იშკენ შვანარ ხამეკერნეხ

---

12 ალ. ო ნ ი ა ნ ი, გრძელი ხმოვნების საკითხისათვის სვანურში, იქე, XIII, 1962, გვ. 218.

უშხვარ გარგალას 9,12 'ლენტეხური ლაპარაკი სხვანაირია, მაგრამ ლენტეხელები და სხვა სვანები აგებინებენ ერთმანეთს ლაპარაკს'.

ა წ შ ყ ო: მხ. რ., I პ., ბზ. გარგვლი, ბქვ. რვაგდი, ლშხ. გარგლი, ლნტ. რაგადი ხვი || რვაგადი 'ვლაპარაკობ'; II პ., ბზ. გარგლი, ბქვ. რაგდი, ლშხ. გარგლი, ლნტ. რაგადი ხი || რაგადი 'ლაპარაკობ'; III პ., ბზ. გარგლი, ბქვ. რაგდი, ლშხ. გარგლი, ლნტ. რაგადი 'ლაპარაკობს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. დინა ქა დემ გ ა რ გ ლ ი 370,12 'გოგო არ ლაპარაკობს'; ბქვ. რ ა გ დ ი მაგ 75,22 'ლაპარაკობს ყველა'; ლნტ. მაგ ლჳლენტეხუდ რ ა გ ა დ ი ხ 9,17 'ყველანი ლენტეხურად ლაპარაკობენ'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. გარგვალდას, ბქვ. რვაგდიდასვ || რვაგად, ლშხ. გარგლის, ლნტ. რვაგადდას 'ვლაპარაკობდი'; III პ., ბზ. გარგალდა, ბქვ. რაგდიდა || რაგდივ, ლშხ. გარგლჳდ || გარგლჳდა, ლნტ. რაგადდა 'ლაპარაკობდა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. დინა ქა დემ გ ა რ გ ა ლ დ ა 370,14 'გოგო არ ლაპარაკობდა'; ლნტ. რ ვ ა გ ა დ დ ა დ 73,33 'ვლაპარაკობდით'.

მ ყ ო ფ ა დ ი უ ს რ უ ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. ხვიგჳრგალნი[13], ბქვ. ხვირგადნი, ლშხ. გარგლჳნი, ლნტ. ხვირაგადნი 'ვილაპარაკებ'; III პ., ბზ. იგჳრგალნი, ბქვ. ირგადნი, ლშხ. გარგლჳნი, ლნტ. ირაგადნი 'ილაპარაკებს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ისგვა ბედჟინ ხოჩემ იმ ხ ვ ი გ ჳ რ გ ა ლ ნ ი 'შენზე კარგს რას ვილაპარაკებ'; ლნტ. აშ ხ ვ ი რ ა გ ა დ ნ ი, ერე დარ მიმნარი 'რაც არ უნდა ვილაპარაკო, არავინ მისმენს'.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ლადგჳრგალნე, ბქვ. ლადრაგდინისგ, ლშხ. ლედგჳრგალნე, ლნტ. ლადრაგადნი 'დაილაპარაკებს'.

უ ნ ა ხ ა ვ ი II'ის ნიმუში ბალსზემოური კილოდან: იმღა ესერ მრდ ლ ჳ მ გ ჳ რ გ ა ლ ი ნ 370,26 'რატომ არ ლაპარაკობდიო („ნალაპარაკებ ხარ")'?; ლნტ. ისრენ სურუს ლ ჳ მ ა რ ა გ ა დ ხვი 'თურმე ნამეტანს ვლაპარაკობდი'.

ნ. წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ეჯნემ ლადგჳრგალე, ბქვ. ლადრაგდინე, ლშხ. ლედგჳრგალე, ლნტ. ლადრაგადნე 'დაილაპარაკა'.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: მხ. რ., I პ., ბზ. მიგჳრგალა, ბქვ. მირაგ-

[13] ბალსზემოურისათვის დამისახელეს აგრეთვე გ ა რ გ ლ უ ნ ი მი 'ვილაპარაკებ მე', გ ა რ გ ლ უ ნ ი სი 'ილაპარაკებ შენ', გ ა რ გ ლ უ ნ ი ეჯა 'ილაპარაკებს ის'.

დინა || მირგვდნა, ლშხ. მიგგრგალა, ლნტ. მირაგვდნა 'მილაპარაკია'; III პ., ბზ. ხოგგრგვლა, ბქვ. ხორაგდინა || ხორგვდნა, ლშხ. ხოგგრგალა, ლნტ. ხორაგვდნა 'ულაპარაკია'..

ნიმუშები: ბზ. გვიშგვეჯ ბედჟინ ი ხოგგრგალა როქვ 'ჩვენს შესახებაც ულაპარაკნია თურმე'; ლნტ. ამნერ დესა ჯირაგადნა ი მა მიხალდა 'ამის მეტად არ გილაპარაკია და რა ვიცოდი'.

ქართული ლაპარაკობს ზმნის შინაარსს სვანურში კილოთა მიხედვით ორი ფუძე გადმოსცემს: გვრგლი/გარგლი ბალსზემოურსა და ლაშხურში, რაგდი/რაგვდი ბალსქვემოურსა და ლენტეხურში. უკანასკნელი იგივეა, რაც მეგრულში გვაქვს: რაგადანს 'ლაპარაკობს'. ლენტეხურში გარგალ ფუძეც იხმარება.

როგორც სხვა ზემოგანხილულ ზმნებს, გვრგლი'საც საკუთარი წარმოებისა გააჩნია აწმყოსეული დროები, მყოფადისეულ დროებში, აგრეთვე დრო-კილოთა II ჯგუფში მას ენაცვლება იმავე ძირისაგან ნაწარმოები სათავისო ქცევის ფორმები: ლაპარაკობს — ბზ. გვრგლი, დაილაპარაკებს — ლშგვრგლი, დაილაპარაკა — ლშგვრგლე.

შდრ. ვ. თოფურია „ბზ. გვრგლი, ლშხ. გარგლი, ბქვ. რაგდი< ლნტ. რაგვდი 'ლაპარაკობს' დროთა I ჯგუფში (უმთავრესად აწმყო — ნ. უსრ. — კონიუნქტივ I'ში) გვხვდება აბსოლუტური სახით, სხვა დროებში კი ექვძირი ენაცვლება" (ხაზი ჩვენია — კ. გ.)[14].

გვრგლი 'ლაპარაკობს' ზმნასთან დაკავშირებით ზოგი სხვაცაა აღსანიშნი:

საწყისი ლაპარაკი ორგვარადაა გაფორმებული: ლიგვრგვლი და გვრგლა. პირველში საწყისის მაწარმოებელი ლი-პრეფიქსი გვაქვს.

ლენტეხურის აწმყოში გვაქვს როგორც მეშველზმნიანი წარმოება, ასევე მარტივი: შდრ. რაგვდი ხვი და რვაგადი 'ვლაპარაკობ', ზოგჯერ მეშველზმნიან ფორმას არ ახლავს ბოლოკიდური -ი: რაგვდ ხვი 'ვლაპარაკობ'.

ჩვენი მასალით განსხვავებულია კილოთა მიხედვით თურმეობითი პირველის ფორმებიც: ბალსზემოურისა და ლაშხურის ფორმები არ ჩანს რაიმე სუფიქსით გართულებული (ბზ. ხოგგრ-

[14] ვ. თოფურია, სვანური ენა, შრ., I, ზმნა, თბილისი, 1931, გვ. 255.

გ ა ლ ა, ლშხ. ხ ო გ ვ რ გ ა ლ ა), მაშინ როცა ბალსქვემოურსა და ლენტეხურში -ნ- სუფიქსი იჩენს თავს (ბქვ. ხ ო რ გ ა დ ნ ა, ლნტ. ხ ო რ ა გ ა დ ნ ა 'ულაპარაკია').

8. ბ ე კ რ ე 'ბლუკუნებს'

საწყისი კილოთა მიხედვით:

ბზ. ლიბკერე,ბქვ., ლნტ. ლიბეკრე 'ბლუკუნი'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., I პ., ბზ. ბრკრე, ბქვ. ბეკვ || ბეკვ ხვი, ქვსვ. ბეკრე || ბეკრე ხვი 'ვბლუკუნებ'; II პ., ბზ. ბეკრე, ბქვ. ბეკ || ბეკ ხი, ქვსვ. ბეკრე || ბეკრე ხი 'ბლუკუნებ'; III პ., ბზ., ქვსვ. ბეკრე, ბქვ. ბეკ || ბეკ ლი 'ბლუკუნებს'.

ნ ი მ უ შ ი: ბზ. ლახ ხვირტყოლაწლ, ეჩქა ბ რ კ რ ე 'როცა ეტყუი, მაშინ ვბლუკუნებ'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., I პ., ბზ. ბრკრას, ბქვ. ბეკვდასვ, ლშხ. ბეკრის, ლნტ. ბეკრას 'ვბლუკუნებდი'; III პ., ბზ., ლნტ. ბეკრა, ბქვ. ბეკდა, ლშხ. ბეკრდა || ბეკრა 'ბლუკუნებდა'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ეჯგვაჲდ ბ ე კ რ ა, ერე ...'ისეთნაირად ბლუკუნებდა, რომ'...; ლნტ. ეჯი ბ ე კ რ ახ, ერე მადმა მოშ ახვმეკერ 'ისე ბლუკუნებდნენ, რომ ვერაფერი გავიგე'.

მ ყ ო ფ ა დ ი უ ს რ უ ლ ი: მხ. რ., I პ., ზსვ. ხვიბკერნი, ლშხ. ბეკრგნი[15], ლნტ. ხვიბეკრინი 'ვიბლუკუნებ'; III პ., ზსვ. იბკერნი, ლშხ. ბეკრგნი, ლნტ. იბეკრინი 'იბლუკუნებს'.

ნ. წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ეჯნდ ლაჲბჟკრე, ლშხ. ლეჲბეკრე, ლნტ. ლაჲბეკრე 'მან დაიბლუკუნა'.

ბ ე კ რ ე 'ბლუკუნებს' ზმნის საწყისი კილოთა მიხედვით განსხვავებულია, შდრ. ბზ. ლ ი ბ კ ე რ ე და ბქვ., ლნტ. ლ ი ბ ე კ რ ე. ჩანს, ძირია *ბ ე კ ე რ. აწმყოში ბალსქვემოური და ქვ. სვანური მეშველზმნიან წარმოებას გვიჩვენებს მარტივი წარმოების გვერდით. ბალსქვემოურის აწმყოს ფორმები იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ძირისეული რ'აე დაკარგული ჩანს (ასევეა ნ. უწყვეტელშიც), შდრ. ბზ. ბ რ კ რ ე და ბქვ. ბ ე კ ვ || ბ ე კ ვ ხ ვ ი 'ვბლუკუნებ'.

ლაშხურში ნ. უწყვეტლის III პირი ბ ე კ რ დ ა'ს გვერდით ბ ე კ რ ა'ს გვიჩვენებს.

კილოთა შორის განსხვავება თავს იჩენს აგრეთვე მყოფად

---

15 ლაშხურში მყოფად უსრულში დაგვისახელეს აგრეთვე: ხ ვ ი ბ კ რ გ ნ ი, ხ ი ბ კ რ გ ნ ი, ი ბ ე კ რ გ ნ ი შენიშვნით — იშვიათად იხმარებაო.

უსრულში ფუძეთა გამოყენების თვალსაზრისით, შდრ. ზსვ. იბკერნი და ლნტ. იბეკრინი, ლშხ. ბეკრგნი 'იბლუკუნებს'. ბალსქვემოურის იბკერნი ფორმაში ძირისეული რ'ც ჩანს.

9. კარკაწე 'კაკანებს'

საწყისი და მიმღეობა კილოთა მიხედვით:

ბზ. ლიკგრკაწე, ბქვ. ლიკარკაწე, ლშხ. ლიკარკაწე || ლიკარკაწლი, ლნტ. ლიკარკაცე 'კაკანი'; ბზ. მგკგრკაწე, ბქვ. მგკარკაწე, ლშხ. მგკარკაწე, ლნტ. მგკარკაცე 'მოკაკანე'.

აწმყო: მხ. რ., III პ., ბზ. კარკაწე[16], ბქვ. კარკაწე, ლშხ. კარკაწი || კარკაწლი[17], ლნტ. კარკაცე || კარკაცი 'კაკანებს'.

ნიმუშები: ბზ. ქათალ ლანგრჳაზგა კარკაწე 'ქათამი საბუდარში კაკანებს'; ლნტ. ალ ქათალალ თელდ კარკაციხ (ჩვ. ტ.) 'ეს ქათმები სულ კაკანებენ'.

უწყვეტელი: მხ. რ., III პ., ბზ. კარკაცა, ბქვ. კარკაცა, ლშხ. კარკაწდა || კარკაწლდა, ლნტ. კარკაცდა 'კაკანებდა'.

ნიმუშები: ბზ. ტკიცდ აშ კარკაცდა 'თითქოს მართლა კაკანებდა'; ლნტ. მიშკვი ქათალ ლაჲდი ეჯჟი კარკაცდა... 'ჩემი ქათამიც ასე კაკანებდა'...

მყოფადი უსრული[18]: მხ. რ., III პ., ბზ., ლნტ. იკარკაწნი, ბქვ. იკარკუნი, ლშხ. კარკაწნი || კარკაწლნი 'იკაკანებს'.

ნიმუში: ლნტ. ეჯი თელდ იკარკაწნი 'ის სულ იკაკანებს'.

მყოფადი სრული: მხ. რ., III პ., ბზ. ლაჲკგრკაწინე, ბქვ. ლაჲკარკაწინე, ლშხ. ლეჲკარკაწნე || ლეჲკარკაწლნე, ლნტ. ლაჲკარკაწნი '(და)იკაკანებს'.

ნიმუშები: ბზ. ლაჲკგრკაწინე, ღო ჩვაწგენი 'დაიკაკანებს, მერე გაჩერდება'; ლნტ. აჯალ ხვაის ლაჲკარკაწნი 'კიდევ ბევრს იკაკანებს'.

ნ. წყვეტილი: მხ. რ., III პ., ბზ. ეჯნემ ლაჲკგრკაწე, ბქვ. ლაჲკარკაწე, ლშხ. ლეჲკარკაწე || ლეჲკარკაწლე, ლნტ. ლაჲკარკაცნე 'დაიკაკანა'.

---

[16] კარკაწე ფიგურალურად იხმარება I და II პირშიც.

[17] მეგრულში გვაქვს: კარკალი 'კაკანი'.

[18] ლაშხურში იშვიათად იხმარება აგრეთვე იკარკაწლნრლ 'იკაკანებდა' (მყოფ. პირობითი), ბალსზემოურში: კარკაცნრლ || იკარკაწნრლ...

კარკვაცე 'კაკანებს'[19] დასტურდება ოთხსავე კილოში. ლაშხურში ამავე შინაარსს გადმოსცემს ლიკარკვლი'ც (შდრ. მეგრ. კარკალანს 'კაკანებს').

როგორც ამ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, აწმყოში ერთმანეთს ენაცვლება -ე და -ი სუფიქსები, შდრ. ბზ. კარკვაცე და ლაშხურის კარკვაცი.

ბალსზემოურის საწყისი და მიმღეობა განსხვავებულია სხვა კილოთა საწყისისა და მიმღეობისაგან: პირველში ფუძისეული -ა (კარ ნაწილიდან) წარმოდგენილია -ჳ'ს სახით, შდრ. ბზ. ლიკჳრკვაცე, მჳკჳრკვაცე და ბქვ. ლიკარკაცე, მჳკარკაცე. არანაკლებ საინტერესოა ბალსქვემოურის ნაზმნარი სახელები და ზმნური ფორმები, მაგ., ლიკარკაცე 'კაკანი' ... და კარკაცე 'კაკანებს', რომლებშიც *კაც ნაწილიდან რედუქციის ძალით იკარგვის ა ხმოვანი.

უწყვეტელში მაწარმოებლად გვევლინება -ა და -და სუფიქსები, მყოფად უსრულში ბალსქვემოური -უნ'ს გვიჩვენებს.

დასასრულ, ეგევე ზმნა გვხვდება მეგრულში: კარკაცანს 'კისკისებს', დასტურდება გურულშიც: კარკაცებს, საფიქრებელია, როგორც სვანურში, ისე გურულში იგი ზანიზმია.

10. კვეც 'კვნესის'

საწყისი და მიმღეობა კილოთა მიხედვით:

ყველა კილოსათვის: ლიკვეც || ლხმ. ლიკეც 'კვნესა'; ყველა კილოსათვის: მეკვეც || ლხმ. მეკეც 'მკვნესარე'.

ნიმუში: ბზ. ლიკვეც ლამსჳმდა 'კვნესა მომესმა'.

აწმყო: მხ. რ., I პ., ზსვ. კვეც, ქვსვ. კვეც || კვეც ხვი 'ვკვნესი'; III პ., ზსვ. ქვსვ. კვეც 'კვნესის'.

ნიმუში: ბზ. ათხჳლადაღ ამჟინ კვეც 'მთელი დღე ასე კვნესის'.

უწყვეტელი: მხ. რ., I პ., ბზ., ლნტ. კვეცდას, ბქვ. კვეცდასვ, ლშხ. კვეცის 'ვკვნესოდი'; III პ., ქვსვ. კვეცდა, ბქვ. კვეცდა || კვეცდან 'კვნესოდა'.

მყოფადი უსრული: მხ. რ., I პ., ბზ., ხვიკვცინი, ბქვ.

[19] კარკვაცე ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი უნდა იყოს, როგორც ამაზე მიგვითითა ლატავრა სანიკიძემ.

ხვიკვცუნი, ლშხ. ხვიკვეცჳნი, ლნტ. ხვიკვეცნი 'ვიკვნესებ'; III პ., ბზ., იკვცინი, ბქვ. იკვცუნი, ლშხ. იკვეცჳნი, ლნტ. იკვეცნი 'იკვნესებს'.

ნიმუშები: ბზ. შომვაჲ ხესტვინნი, იკვცინი 'როცა ეტკივება, იკვნესებს'; ლნტ. ექიმ ერ ანკედენი, მი ხვიკეცნი (ჩვ. ტ.) 'ექიმი რომ მოვა, მე ვიკვნესებ'.

მყოფადი სრული: მხ. რ., III პ., ბზ. ლაჲკვეცნე, ლშხ. ლეჲკვეცნე, ლნტ. ლაჲკვეცნი 'დაიკვნესებს'.

ნ. წყვეტილი: მხ. რ., III პ., ბზ. ეჯნემ ლაჲკვეც, ლშხ. ლეჲკვეცე, ლნტ. ლაჲკვეცნე 'დაიკვნესა'.

კვეც 'კვნესის' საშუალი გვარის აბსოლუტურ-გარდაუვალი ზმნაა. მსგავსი შინაარსის ზმნა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში დრონაკლია.

აქ წარმოდგენილი მასალიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მყოფადი უსრულის ფორმები ლაშხურ დიალექტში: მყოფადის ისეთივე წარმოება, როგორიც სხვა კილოებში! შდრ. ბზ. ი-კვცინი და ლშხ. იკვეცჳნი 'იკვნესებს'.

მყოფადი უსრულის ჩვენება სხვა მხრივაც საყურადღებოა: ქვემოსვანურში შეუკუმშავი ფუძე გვაქვს: ლშხ. იკვეცჳნი, ლნტ. იკვეცნი და ბზ. იკვცინი, ბქვ. იკვცუნი...

ბალსქვემოურის ლახამულურ კილოკავში ნაზმნარ სახელთა ფუძეში გაუჩინარებულია ძირეული ვ: ლიკეც 'კვნესა' და ა. შ., თუმცა იმავე ლახამულურში გვაქვს კვაც 'კვნესა'. -ვე კომპლექსის დელაბიალიზაცია ლახამულურის დამახასიათებელი თავისებურებაა.

11. წვეთავს 'წვეთავს'

საწყისი კილოთა მიხედვით: ბზ., ლშხ. ლიწვეთვე, ბქვ. ლიწვეთ || ლიწვეთვე, ლნტ. ლიწვეთვ 'წვეთა'.

ნიმუში ლენტეხური კილოდან: ლიწვეთვ ლაჲბინე 152,10 წვეთა დაიწყო.

აწმყო: მხ. რ., III პ., ბზ., ლშხ. წვეთვე, ბქვ., ლნტ. წვეთვე 'წვეთავს'.

ნიმუში: ბზ. სარაგ ეშ გარ წვეთვე 'წყარო წვეთ-წვეთადღა მოდის'.

უწყვეტელი: მხ. რ., III პ., ბზ. წვეთვა, ბქვ. წვეთვა || წვეთვდა, ლშხ. წვეთვა || წვეთვდა, ლნტ. წვეთვდა 'წვეთავდა'.

ნიმუში: ბზ. უკდარა ლერქვაწლ წ ე ქ ვ ა ხ 'გაუმშრალი ტანსაცმელები წვეთავდნენ'.

მ ყ ო ფ ა დ ი უ ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. იწ ე ქ ვ ი ნი, ბქვ. იწ ქ უ ნ ნი, ლშხ. წ ე ქ ვ ნი, ლნტ. იწ ე ქ ვ ნი 'იწვეთებს'.

ნიმუში: ბზ. მუს იჰნოლნი, ლგყარაწლ ი წ ე ქ ვ ი ნ ი ხ 'თოვლი დნობას დაიწყებს, ყავრები იწვეთებენ (ე. ი. წვეთები ჩამოვლენ)'.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ლ ა ჯ წ ე ქ ვ ნე, ლშხ. ლ ე ჯ წ ე ქ ვ ნი, ლნტ. ლ ა ჯ წ ე ქ ვ ნი 'იწვეთებს (დაიწყებს წვეთას)'.

ნ. წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ე ჯ ნემ ლ ა ჯ წ ე ქ ვე, ლშხ. ლ ე ჯ წ ე ქ ვე, ლნტ. ლ ა ჯ წ ე ქ ვ ნე 'იწვეთა (დაიწყო წვეთა)'.

წ ე ქ ვ ე / წ ე ქ ვ ე 'წვეთავს' დრონაკლთან ერთად პირნაკლიცაა. საწყისი გვხვდება როგორც -ე სუფიქსით (ბზ., ლშხ. ლიწ ე ქ ვე, ბქვ. ლიწ ქ ვე), ასევე უსუფიქსოდ (ბქვ., ლნტ. ლიწ ე ქ ვ).

მყოფად უსრულში ბალსქვემოური გვიჩვენებს იწ ქ უ ნ ნი 'იწვეთებს' ფორმას, რომელშიც ძირეულ ე'ს რედუქცია განუცდია.

12. კ ვ ა მ ე 'ბოლავს'

საწყისი კილოთა მიხედვით: ბზ., ლშხ. ლიკ ვ ა მე, ბქვ., ლნტ. ლიკ ვ ა მე 'ბოლავ'.

ა წ მ ყ ო: მხ. რ., III პ., ბზ., ლშხ. კ ვ ა მე, ბქვ., ლნტ. კ ვ ა მე 'ბოლავს'.

ნიმუში: ბზ. მუგვაწლ კ ვ ა მ ე 'კვარი ბოლავს'.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. კ ვ ა მა, ბქვ., ლნტ. კ ვ ა მა, ლშხ. კ ვ ა მა || კ ვ ა მ დ ა 'ბოლავდა'.

ნიმუში: ბზ. ჯვინალდ ალ ზაგრაწლისგა მუგვლარ კ ვ ა მ ა ხ 'ძველად ამ მთებში კვარები ბოლავდნენ'.

მ ყ ო ფ ა დ ი უ ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. იკ ვ ა მ ინი, ბქვ. იკ ვ ა მ უნი, ლნტ. იკ ვ ა მ ნი 'იბოლებს'.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ., ლ ა ჯ კ ვ ა მ ნე, ლშხ. ლ ე ჯ კ ვ ა მ ნე, ლნტ. ლ ა ჯ კ ვ ა მ ნი 'იბოლებს'.

ნ. წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. ე ჯ ნემ ლ ა ჯ კ ვ ა მე, ლშხ. ლ ე ჯ კ ვ ა მე, ლნტ. ლ ა ჯ კ ვ ა მ ნე 'მან იბოლა'.

კ ვ ა მ ე 'ბოლავს' ნასახელარი ზმნა ჩანს, ნაწარმოები კ ვ ა მ 'კვამლი' საგან. დრონაკლთან ერთად პირნაკლიცაა. მრავლობითში იხმარება, მაგრამ იშვიათად.

კ ვ ა მ / კ ვ ა მ ძირი იგივე უნდა იყოს, რაც ქართულ კ ვ ა მ ლ შ ი (ძველი ქართულით კ უ ა მ ლ'ში) გვაქვს. ამავე ფუძისად მიჩ-

ნეულია ჰანური კომა, მეგრ. კუმა 'კვამლი', дым[20], აგრეთვე ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში დადასტურებული ძირები: დაღესტ. гум, ტაბას. кум, წახ. кума და სხვ.[21]

უღვლილებადი ფორმებიდან აღვნიშნავთ ლაშხურის კვამა || კვამდა'ს, რომლებშიც უწყვეტლის ორგვარი წარმოება გვაქვს: -ა სუფიქსიანი და -და სუფიქსიანი.

13. ფუე 'დუღს, ღელავს (ზღვა)'

საწყისი და მიმღეობა კილოთა მიხედვით:

ბზ. ლიფვე, ბქვ. ლიფუე, ლშხ. ლიფუე || ლიფჩე, ლნტ. ლიფვე 'დუღება'; ბზ. მუფვე || მამფუა, ბქვ. მაფუა || მამფუა, ლშხ. მაფუა, ლნტ. მამფუა 'მდუღარე'.

ნიმუშები: ბზ. ლიცდ ლიფვე ჩუ აქვიც 'წყალმა დუღილი შეწყვიტა'; ბქვ. შომა ლიფუეს ჩუ ქვიცე, ეჩქას ლაჯბაშ ლი 196,24 'როცა დუღილს შეწყვეტს, მაშინ გამოსახდელად ვარგა (საარაყე მასალა)'; ეჩქანღო მაფუა ლაღეთჟასა სგოლე ადქვარხ 151,12 'მერე მდუღარე ხორცში ჩააგდეთო (ჩამაგდეთო)'; მაფუა ზუღვახენქა რაშდ ანსკინე 332,34 'ალღვებული ზღვიდან რაში გამოხტა'.

დვდ ყარჩი ესყედნე ეშხუ ჩვეინ ლუფუნე ლიც 120,2 'დევმა ყავარზე დაიკავა ერთი ქვაბი ადუღებული წყალი'; ლნტ. მამფუა ლიცისა სკა შვიდედ... თაშს 36,35 'მდუღარე წყალში ჩავყრით... ყველს'.

აწმყო: მხ. რ., III პ., ზსვ. ფუე, ლშხ. ფუვე, ლნტ. ფუე || ფუვე 'დუღს'.

ნიმუშები: ბქვ. ეჯჩი ქა ფუე ლიც, ერე დგვარბს აშ აქვანე 252,34 'ისეთნაირად დუღს წყალი, რომ ბუშტებს ისვრის'; ლნტ. ცოდ ლოქ ფუვუ 'საცოდაობა დუღსო'.

უწყვეტელი: მხ. რ., III პ., ზსვ. ფუა, ლშხ. ფუვდა, ლნტ. ფუა || ფუვა || ფუვდა 'დუღდა'.

ნიმუში: ლნტ. ერ ანქვედ, ლჟე ფუა 'რომ მოვედი, რძე დუღდა'.

---

20 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 161.

21 ტ. გუდავა, ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრების შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XV, № 10, თბ., 1954, გვ. 706.

მ ყ ო ფ ა დ ი უ ს რ უ ლ ი: მხ. რ., III პ., ბზ. იფვინი[22], ბქვ. იფუვუნი ‖ იფუვნი, ლშხ. ფუვნი, ლნტ. იფუვნი 'იდუღებს'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ...ვოდ ლიც ი ფ ვ ი ნ ი ...'ვიდრე წყალი იდუღებს'; ბქვ. ეჯი შიშდხი ჟი ი ფ უ ი ნ ი 196,24 'ის ხელად ადუღდება'; ლნტ. ფეჩჟინ კარდალაჯ ჟი ი ფ უ ვ ნ ი ‖ ი ფ ი ნ ი 37,5 'ღუმელზე ქვაბი ადუღდება'; ი ფ უ ნ ი, აღვე მაჲ ირა (ჩვ. ტ) 'იდუღებს, აბა რა იქნება'; ლაღეღი ამეჩუ ცოდ ლოქ ი ფ ი ნ ი 181,4 'დღეს აქ ცოდვა იდუღებსო'.

უ ნ ა ხ ა ვ ი II: მხ. რ., III პ., ბზ., ლჷმფვინ ლი, ბქვ. ლუმფუვნელი, ლშხ. ლჷმფუვინ, ლნტ. ლჷმაფუვლი 'დუღდა თურმე, „ნადუღება“'.

ნ ი მ უ შ ი: ბზ. ჲთუდ ლ ჷ მ ფ ვ ი ნ ლ ი 'ცხლად „ნადუღება“'; ლნტ. ლიც ლ უ მ ა ფ უ ვ ლ ი 'წყალი დუღდა თურმე'.

ნ. წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ბალსზემოურსა და ლაშხურ კილოებზე: ეჯნემ ლაჲფუე, ლეჲფუვე 'იდუღა'. ნიმუში ბალსზემოური კილოდან: ლემსგი ლიდგჲლ ლ ა ჲ ფ უ ე 'ცეცხლის ჩაქრობამდე იდუღა'.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: მხ. რ., III პ., ბზ. ხოფვინა, ბქ. ხოფუინა, ლნტ. ხოფუვნა 'უდუღია'.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: ბზ. ჩუ ჲმქეჩ, ეჯიმჲგ ხ ო ფ ვ ი ნ ა 'ჩამშრალა, იმდენი უდუღია'; ლნტ. ლიც ეჯიმაგ ხ ო ფ უ ვ ნ ა, ერე ... 'წყალს იმდენი უდუღია, რომ'...

ფ უ ე სვანურში ორი მნიშვნელობით იხმარება: დ უ ღ ს (წყალი, რძე...) და ღ ე ლ ა ვ ს (ზღვა...) უღვლილების ფორმებიდან აღსანიშნავია ქვემოსვანურის ფ უ ვ ე 'დუღს', ფ უ ვ დ ა 'დუღდა' და ა. შ. ფორმები, რომლებშიც ბალსზემოურთან შედარებით ზედმეტი ჩანს -ვ'ინი. მაგრამ იგი არც ზემოსვანურისათვის უნდა იყოს უცხო. ყოველ შემთხვევაში ასე გვავარაუდებინებს უღვლილების პარადიგმებში წარმოდგენილი მყოფადი სრულისა და უნახავი II'ის ფორმები: ი ფ უ ვ უ ნ ი ‖ ი ფ უ ვ ნ ი 'იდუღებს'; ბზ. ლ ჷ მ ფ ვ ი ნ ლი 'დუღდა თურმე'.

საიდან მომდინარეობს ფ უ ვ ე და ა. შ. ფორმებში -ვ'ინი? ამის პასუხს თითქოს ქართულში დაცული ფ უ ვ ე ბ ა (გაფუვდა ცომი...) იძლევა. აქ ვ'ინი ძირისეულია. შინაარსობლივადაც სვანური ფ უ ვ ე ქართული ფ უ ვ ე ბ ი ს ტოლფარდია, რადგან

---

22 დაგვისახელეს აგრეთვე: ბზ. ფუნი, ლნტ. ფუვნი.

„... გაფუვებაც იგივე დუღილია: არსებითად ამ ორ პროცესს შორის სხვაობა არც არის“[23].

მონათესავე მეგრულსა და ჰანურში ფუნ ძირი გვაქვს[24].

14. წ ე ფ ხ ვ ა რ ე ‘ცრის (წვიმა)’

საწყისი ზემოსვანურის მიხედვით:

ბზ. ლიწფხვარე, ბქვ. ლიწიფხარე ‘моросить’.

ა წ მ ყ ო: III პ., ბზ. წეფხვარე, ბქვ., ლნტ. წიფხარე, ლშხ. წიფხვარე ‘ცრის’.

ნ ი მ უ შ ი: ბზ. იმჟი წ ე ფ ხ ვ ა რ ე?! ‘როგორ ცრის’?!

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: III პ., ბზ. წეფხვარა, ბქვ. წიფხარა, ლშხ. წიფხვარდა, ლნტ. წიფხარა || წიფხარდა ‘ცრიდა’.

მ ყ ო ფ ა დ ი უ ს რ უ ლ ი: III პ., ბზ. იწფხვარინი || იწფხვარნი, ბქვ. იწიფხარნი || ლხმ. იწიფხარენი, ლშხ. წიფხვარნი, ლნტ. იწიფხვარნი ‘ცრიდეს იქნება’.

ნ ი მ უ შ ი: ბზ. ზაგრვლჟი იწ ფ ხ ვ ა რ ნ ი იმვალე ‘მთებზე ცრიდეს იქნება’.

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: მხ. რ. III პ., ბზ. ლვაწეფხვარნე, ბქვ. ლვაწიფხვარისგ, ლშხ. ლეაწიფხვარნე, ლნტ. ლვაწიფხარნი ‘ცრიდეს იქნება (წვიმა)’.

ნ. წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: მხ. რ. III პ., ბზ. ლვაწეფხვარე, ბქვ. ლვაწიფხარე, ლშხ. ლეაწიფხვარე, ლნტ. ლვაწიფხარე ‘წამოცრა წვიმამ’.

წ ე ფ ხ ვ ა რ ე ‘ცრის’ მეტეოროლოგიური მოვლენის გადმომცემი ზმნაა. როგორც ამ ტიპის სხვა ზმნები, იგიც დრონაკლი, პირნაკლი და რიცხვნაკლია.

ბზ. წ ე ფ ხ ვ ა რ ე’სთვის ამოსავალია წ ი ფ ხ ა რ ე || წ ი ფ ხ ვ ა რ ე. როგორც ეს გვაქვს ბალსქვემოურსა, ლენტეხურსა და ლაშხურში.

15. უ ჩ ხ ე ‘წვიმს’

ნაზმნარი სახელები კილოთა მიხედვით:

ბზ., ლნტ. ლიუჩხე, ბქვ., ეცრ. ლიუჩხე, ლხმ. ლივჩხე ‘წვიმა’; ბზ. ნაუჩხვ, ბქვ. ნაუჩხ ‘ნაწვიმარი’; ზსვ., ლნტ. უვჩხა ‘უწვიმარი’.

---

23 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 331.

24 იქვე.

ნიმუშები: ბქვ. ლაჲბინე ლიუჩხე 154,24 'დაიწყო წვიმა'; ბზ. მახე ნაუჩხვ ლი 'ახალი ნაწვიმარია'.

აწმყო (ყველა კილოსათვის) უჩხე 'წვიმს'.

ნიმუშები: ბზ. იმჟი უჩხე, ფისრაჲ... 'როგორ წვიმს, წყეული'...; ბქვ. ჩიაგ უჩხე, ჩიაგ შდუე 121,9 'ყველგან წვიმს, ყველგან თოვს'; ეჯკალი უჩხე ლი, ერე ქვეყანა უსღვა ზუღვას 98.30 'ისეთი წვიმაა, რომ ქვეყანა ზღვას მიაქვს'; ლნტ. ლადეღი ძინარეშ უჩხე (ჩვ. ტ.) 'დღეს დილიდან წვიმს'.

